ISSN—0132—6058

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-1/2
1983
(25)

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

132

3. 1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1983, № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

3. 1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 1.7.1983; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.11.1983;
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 16,8;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,8;

უე 08364; შეკვ. № 2239; ტირაჟი 1100;
ფასი 1 მან. 30 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი

გ. პაიჭაძე, გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობა 5

თ. ენუქიძე, გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტის პალეოგრაფიული შესწავლის საკითხისათვის 15

შ. ხანთაძე, გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიოგრაფიიდან 26

თ. ბოცვაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერიოდიზაციის საკითხისათვის XV—XVIII საუკუნეებში 44

თ. ტივაძე, XVI საუკუნის 80-იანი წლების კახეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის 52

მ. სამსონაძე, საქართველოს საგარეო ორიენტაციის საკითხი XVIII საუკუნეში . 72

ი. ბაბალაშვილი, ქართველი და რუსი ხალხების საბრძოლო მეგობრობა . . 92

ლ. დავლიანიძე, ზოგიერთი მომენტი იოსებ არღუთინსკის მოღვაწეობიდან . . . 105

ნ. გვენცაძე, მოსკოვის ქართული სათვისტომოს ისტორიიდან 113

ვ. მაჭარაძე, ნ. ჩიქოვანი, გამოჩენილი რუსი კავკასიოლოგი ს. ა. ბელოკუროვი . 117

ც. კალანდაძე, რუს მეცნიერთა ექსპედიციები საქართველოში XIX საუკუნეში . . 130

ნ. გეტაშვილი, კ. მარჯანიშვილის დადგმები რუსულ ენაზე 1901—1917 წწ. . . 143

ნ. მირცხულავა, გ. გაბაშვილის ერთ-ერთი ჯგუფური პორტრეტის შესახებ . . . 158

კუგლიკაცია

ვ. სილოგავა, მასალები მოსკოვის ქართული დასახლების ისტორიისათვის . . . 162

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ახალი წიგნები 181

ვ. ბაბაშვილი, ილია ტაბაღუა, მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის 182

ქრონიკა და ინფორმაცია

ეძღვნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს

მ. ნათმელაძე, საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია 188

ზ. ჭამბურია, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია 189

მ. აბაშიძე, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის სამეცნიერო სესია . . 190

ჯ. რუხაძე, ნ. მინდაძე, ეთნოგრაფთა V რესპუბლიკური სესია 191

СОДЕРЖАНИЕ

200-летие Георгиевского трактата

Г. ПАЙЧАДЗЕ, История значения Георгиевского трактата 5
Т. ЕНУКИДЗЕ, К вопросу о палеографическом изучении ратифицированного текста Георгиевского трактата 15
Ш. ХАНТАДЗЕ, Из историографии Георгиевского трактата 26
Т. БОЦВАДЗЕ, К вопросу о периодизации русско-грузинских политических взаимоотношений в XV—XVIII вв. 44
Т. ТИВАДЗЕ, К вопросу о кахетино-русских отношениях в 80-е годы XVI в. 52
М. САМСОНАДЗЕ, Вопрос о внешней ориентации Грузии в XVIII веке . . 72
И. БАБАЛАШВИЛИ, Боевое содружество русского и грузинского народов . 92
Л. ДАВЛИАНИДЗЕ, Из истории деятельности Иосифа Аргутинского . . 105
Н. ГВЕНЦАДЗЕ, Из истории московского грузинского землячества . . . 113
В. МАЧАРАДЗЕ, Н. ЧИКОВАНИ, Известный русский кавказовед С. А. Белокуров 117
Ц. КАЛАНДАДЗЕ, Научные экспедиции русских ученых в Грузии в первой половине XIX в. 130
Н. ГЕТАШВИЛИ, Постановки К. А. Марджанишвили на русской сцене в 1901—1917 гг. 143
Н. МИРЦХУЛАВА, Об одном групповом портрете Г. Габашвили . . . 158

ПУБЛИКАЦИЯ

В. СИЛОГАВА, Материалы по истории грузинского поселения в Москве . . 162

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Новые книги 181
В. ГАБАШВИЛИ, И. Табагуа, Материалы по истории Грузии первой половины XVIII в. 182

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Посвящается 200-летию Георгиевского трактата

М. НАТМЕЛАДЗЕ, Всесоюзная научная конференция 188
З. ДЖАМБУРИА, Научная сессия Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили 189
М. АБАШИДЗЕ, Научная сессия комиссии по источникам истории Грузии . 190
Дж. РУХАДЗЕ, Н. МИНДАДЗЕ, V Республиканская сессия этнографов . . 191

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი

გიორგი კაიხაძე

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის გამო

გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით გაფორმდა, მოასწავებდა ქართლ-კახეთის სამეფოს ანუ აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლას. ცხადია, რომ ეს აქტი ორივე მხარის გარკვეული ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

რუსეთი XVI საუკუნიდან დაწყებული საერთაშორისო ასპარეზზე უკვე დიდი სახელმწიფოს როლში გამოდიოდა. იგი აფართოვებდა თავის საზღვრებს და აქტიურად ებრძოდა ოსმალეთისა და ყირიმის სახანოს აგრესიას აღმოსავლეთ ევროპაში. ამდენად, ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხები რუსეთისათვის მოკავშირეებს წარმოადგენდნენ.

ბრძოლის ამ ეტაპზე რუსეთის მთავრობა დაინტერესებული იყო ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრებით, ხოლო ამიერკავკასიაში მტკიცე პლაცდარმის მოპოვებით, რის განხორციელებასაც ძირითადად ქართული სახელმწიფოების რუსეთის მფარველობაში შესვლის გზით აპირებდა. ამრიგად, კავკასიის საკითხი რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებდა. კავკასია ხომ სტრატეგიულად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად მნიშვნელოვან ტერიტორიას წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ კავკასიის საკითხი რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში უშუალოდ უკავშირდებოდა მახლობელ და შუა აღმოსავლეთში მის პოლიტიკას, მის ურთიერთობას ოსმალეთთან და ირანთან.

ამოცანათა ამ რთული ჯაჭვის გარკვეულ რგოლს წარმოადგენდა საქართველოს საკითხი. ქრისტიანული საქართველო და ქართული სახელმწიფოები რუსეთის მთავრობას აინტერესებდა, ერთი მხრივ, როგორც დამხმარე ძალა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც იურიდიული მორალური უფლებების მომცემი ფაქტორი ამიერკავკასიაში შემოსასვლელად და ამ მხარეში თავისთვის მყარი პლაცდარმის შესაქმნელად.

ამრიგად, XVI—XVIII საუკუნეებში რუსეთის მთავრობისათვის ქართული სამეფოების არსებობა და მათი თავდადებული ბრძოლა ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ყოველმხრივ სასურველი და ხელსაყრელი იყო.

რაც შეეხება თვით ქართულ სახელმწიფოებს, რუსეთთან ურთიერთობა, მასთან სამხედრო პოლიტიკური კავშირის დადება და მის მფარველობაში შესვლა, როგორც ირან-ოსმალეთის აგრესიისაგან და დაღესტნელ მფლობელთა შემოსევებისაგან თავის დაღწევის საშუალება, იმთავითვე სასიცოცხლო ამოცანად იყო მიჩნეული.

საქართველოს ტრაგიკული ბედი სწორედ ის იყო, რომ ერთიანი და ძლიერი ქართული სახელმწიფო, რომელიც XII საუკუნეში კავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა, XV საუკუნის მიწურულისათვის ცალკეულ სამეფოებად დაშლილი აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო გამოწვეული უაღრესად რთული და არახელსაყრელი საგარეო მდგომარეობით. ჯერ

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

მონგოლთა შემოსევამ და მათი ბატონობის მძიმე უღელმა, შემდეგ თემურლენგის გამანადგურებელმა თავდასხმებმა და ბოლოს ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის იმპერიების აგრესიამ ხელი შეუწყვეს ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში ცენტრიდანული ძალების წარმატებას, შინაფეოდალური ბრძოლის გაღვივებას, რამაც განაპირობა საქართველოს პოლიტიკური დაშლა ცალკეულ სამეფოებად.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოში არ შეწყვეტილა ბრძოლა ამ მავნე მოვლენების აღმოსაფხვრელად, შინაფეოდალური ბრძოლის დასაძლევად, ცენტრიდანული ტენდენციების აღსაკვეთად, ქვეყნის გასაერთიანებლად და გარეშე მტრების აგრესიის ასალაგმავად, შემდგომი პროგრესული განვითარებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

ყოველივე ეს კარგად ესმოდათ ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ძალებს, რომელთაც ქართული ეროვნული თვითშეგრძნება და ერთიანი საქართველოს აღდგენის აუცილებლობა ამოძრავებდათ.

მაგრამ ყველა ამ რთული ამოცანის ერთდროულად წარმატებით გადაწყვეტა საკუთარი ძალებით საქართველოს არ შეეძლო. მას ესაჭიროებოდა ისეთი ძლიერი მოკავშირე, რომელიც ხელს შეუწყობდა მას მძიმე საგარეო მდგომარეობის შემსუბუქებაში, გარეშე მტრების თავდასხმების ალაგმვაში და ყოველივე ამით ქვეყნის შიგნით მოქმედი რეაქციული ძალების დაძლევაში.

ქართველი მოღვაწენი კარგად ხედავდნენ ამ აუცილებლობას და დაუყოვნებლივ ცდილობდნენ, რომ მოეძებნათ ისეთი გარეშე ძალა, რომელიც მათ გამოადგებოდათ საკუთარი შინაგანი სისუსტის კომპენსირებისათვის. საქართველოსათვის ასეთ გარეშე დამხმარე ძალად XVI საუკუნიდან რუსეთის სახელმწიფო გამოდიოდა. ამიტომაც XVI—XVIII საუკუნეების მანძილზე ყველა ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ირანისა და ოსმალეთის ბატონობის უღლისაგან განთავისუფლებასა და დაღესტნელთა თავდასხმების ალაგმვას ცდილობდა, რუსეთზე ორიენტაციის პოლიტიკის მომხრედ გამოდიოდა, რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის იმედით მოქმედებდა. მიუხედავად არაერთი მარცხისა, რუსეთზე ორიენტაცია საქართველოში დღითიდღე იზრდებოდა და სულ უფრო ფართო წრეებში პოულობდა აღიარებას.

პოლიტიკური სფეროს გარდა რუსეთთან ურთიერთობა თანდათან ცხოვრების სხვადასხვა დარგშიც ვითარდებოდა. პირველ რიგში, ცხადია, მან თავი იჩინა იდეოლოგიური ცხოვრების სფეროში, სადაც იმხანად გადამწყვეტ როლს მართლმადიდებლური ეკლესია ასრულებდა, ხოლო ამის საფუძველზე ურთიერთობა მეცნიერების მრავალ დარგსაც შეეხო. XVIII საუკუნეში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მეცნიერებისა და კულტურის სფეროში უკვე ისეთ დონეზე იყო ასული, რომ მასაზრდოვებელ ნაკადს წარმოადგენდა. ვითარდებოდა აგრეთვე ურთიერთობა ეკონომიკური ცხოვრების, კერძოდ სავაჭრო ურთიერთობის დარგშიც.

რუსეთი თავისი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური წყობით, მით უმეტეს გაბატონებული მართლმადიდებლური ქრისტიანული იდეოლოგიით გაცილებით უფრო ახლოს იდგა საქართველოსთან, ქართულ ფეოდალურ სისტემასთან, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანა კავკასიითა და საქართველოთი უშუალოდ დაინტერესებული. ის არ ემუქრებოდა ქართველობას გაჭრობით, არამედ პირიქით ირანელი და ოსმალო ასიმილატორების წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართველებისა და საქართველოს დაცვის იდეით გამოდიოდა. გასაგე-

ბია, რომ მაჰმადიანი ასიმილატორების წინააღმდეგ ურთულესი ბრძოლის პირობებში რუსეთთან ერთმორწმუნეობა განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტორი იყო.

რუსეთის ცხოვრების შესწავლა და რუსეთის გზით მოწინავე ევროპულ კულტურასთან დაახლოვება საქართველოსათვის უფრო აქტუალურს ხდიდა რუსეთზე პოლიტიკური ორიენტაციის კურსს.

ამრიგად, ორივე მხარის ინტერესების თანხმობის საფუძველზე XVI—XVIII საუკუნეების მანძილზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა სულ უფრო ვითარდებოდა და მის ძირითად დამახასიათებელ ნიშნად გამოიკვეთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების ცდა. ამ ურთიერთობის განვითარების პროცესში შემუშავებული იყო იდეაც ქართული სამეფო-სამთავროების, როგორც შედარებით სუსტი სახელმწიფოების, რუსეთის ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში შესვლის შესახებ.

ერთი სიტყვით, რუსეთზე პოლიტიკური ორიენტაციის კურსი XVI—XVIII საუკუნეებში საქართველოში ტრადიციად იქცა. ერეკლე II-ც მტკიცედ იცავდა ამ კურსს.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის მთავრობამ ახალი ნაბიჯები გადადგა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში თავისი პოზიციების გასამაგრებლად. მან გადაწყვიტა განეხორციელებინა ყირიმის უშუალო შემოერთება და ქართლ-კახეთის სამეფოს თავის მფარველობაში მიღება.

ერეკლე II დაეთანხმა რუსეთის მთავრობის წინადადებას და ოფიციალურად დასვა საკითხი ამის თაობაზე.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიაში გეორგიევსკის ციხესიმაგრეში ხელმოწერილ იქნა კიდევაც სათანადო ხელშეკრულება.

ქართველები მას უკავშირებდნენ თავისი სანუკვარი ოცნების განხორციელებას—ირანისა და ოსმალეთის ბატონობისაგან სრულ განთავისუფლებას და მოწინავე ევროპული გზით განვითარებას. გეორგიევსკის ტრაქტატის პირველსავე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ერეკლე II უარყოფდა ქართლ-კახეთის სამეფოს ყოველგვარ დამოკიდებულებას ირანსა და ოსმალეთზე და აღიარებდა რუსეთის მფარველობას.

ამ ისტორიული აქტით საქართველო გაემიჯნა ირან-ოსმალეთს, მოსწყდა ჩამორჩენილი აზიური ქვეყნების მავნე ზეგავლენას. საქართველომ ამ აქტით პირი იბრუნა პროგრესის გზით მიმავალი რუსეთისაკენ, რომელსაც დაუკავშირა თავისი მომავალი ბედი.

ამავე დროს გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული იყო ოსმალთა მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის გათავისუფლება და დედასამშობლოსთან მისი ხელახლად შეერთება.

გეორგიევსკის ტრაქტატის პირობით ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო ფუნქცია ბუნებრივად იზღუდებოდა, რადგანაც რუსეთის სახელმწიფოს მფარველობაში შესვლის შესაბამისად ერეკლე II უარს ამბობდა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე და პირობას დებდა, რომ ყოველ საკითხს რუსეთის მთავრობას შეუთანხმებდა. სამაგიეროდ ტრაქტატში ხაზგასმით იყო აღნიშნული საშინაო საქმეების წარმოების სრული დამოუკიდებლობა. ამდენად, ქართლ-კახეთის სამეფო სუვერენულ სახელმწიფოდ რჩებოდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით ქართველი პატრიოტები შეეცადნენ რუსეთის მთავრობისაგან მიეღოთ ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისა

და შენარჩუნების იურიდიული გარანტია, რომელიც ქვეყნის უშიშროებას გარეშე მტრების შემოსევებისაგანაც უზრუნველყოფდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადება საქართველოში იმთავითვე გააზრებული და შეფასებული იყო როგორც ირან-ოსმალეთზე გამარჯვება და საშუალება ქვეყნის შემდგომი პროგრესული განვითარებისა, რაც შეეხება საკითხს, თუ რამდენად პასუხობდა გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებს, საკმარისია აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნებში იგი შეფასებული იყო როგორც ტრიუმფი რუსეთის დიპლომატიისა. და მართლაც, გეორგიევსკის ტრაქტატმა მკვეთრად შეასუსტა ოსმალეთისა და ირანის პოზიციები ამიერკავკასიაში. ეს გარემოება, ცხადია, ირან-ოსმალეთის მხრივ რეაქციას იწვევდა. შემდგომ მათ არაერთგზის სცადეს საქართველოს დასჯა და აქ თავისი ბატონობის აღდგენა, მაგრამ ამაოდ. ქართველ მოღვაწეებს რუსეთზე ორიენტაციის კურსი არ შეუცვლიათ. ისინი მთელი არსებით იღვწოდნენ გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების დასაცავად.

XIX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის მთავრობის პოლიტიკა საქართველოს მიმართ შეიცვალა. თუ ადრე რუსეთის მთავრობას ესაჭიროებოდა ქართული სახელმწიფოების არსებობა, ამჯერად, ამიერკავკასიაში შემოსვლის შემდეგ, რუსეთის ცარიზმმა მოინდომა ქართული სახელმწიფოებრიობის საერთოდ გაუქმება და საქართველოს ტერიტორიის უშუალოდ რუსეთთან შეერთება.

რუსეთის ცარიზმი მისთვის ჩვეული სამხედრო-ფეოდალური მეთოდებით მოქმედებდა. პავლე I-ის მთავრობამ ჯერ მოლაპარაკება დაიწყო ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-სთან მისი უფლებების შეზღუდვისა და ქართლ-კახეთში რუსეთის მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ, შემდეგ კი გიორგი XII-ის სიცოცხლეშივე პავლე I-მა 1800 წ. 18 დეკემბერს ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. პავლე I-ის განკარგულებით ამ მანიფესტს საიდუმლოდ ინახავდნენ გიორგი XII-ის გარდაცვალების მოლოდინში. გიორგისაც დიდხანს არ უცოცხლია, 1800 წ. 28 დეკემბერს ის გარდაიცვალა და პავლე I-ის მანიფესტი 1801 წ. 18 იანვარს გამოაქვეყნეს. 1801 წ. 12 მარტს პავლე I მოკლეს. რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა საქართველოს საკითხის ხელახლად შესწავლა სახელმწიფო საბჭოს დაავალა და ამის შემდეგ დათანხმდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების თაობაზე ახალი მანიფესტი მიეღო.

ახალი მანიფესტი ალექსანდრე I-ის მიერ ხელმოწერილი იქნა 1801 წ. 12 სექტემბერს.

ამის შემდეგ დადგა ჯერი საქართველოს სხვა რეგიონების რუსეთთან შეერთებისა.

1804 წელს დაიდო ელაზნაურის ხელშეკრულება იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შესახებ, 1810 წელს კი იმერეთის სამეფო გაუქმდა. 1828 წელს გაუქმდა გურიის, 1857 წელს სამეგრელოსა და სვანეთის, ხოლო 1846 წელს აფხაზეთის სამთავროები.

1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად კი აჭარა, რომელიც სამი საუკუნის მანძილზე იტანჯებოდა ოსმალეთის ბარბაროსულ-დესპოტური სახელმწიფოს უღელქვეშ, კვლავ დაუბრუნდა თავის დედა სამშობლოს

— საქართველოს. უფრო ადრე კი 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლდა ძველი ქართული ქალაქები ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი, აგრეთვე ძველი სამცხე-საათაბაგოს ათი რაიონი — ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ქვაბლიანის, აბასთუმნის, ჭაჭარაქის, ფოცხოვისა და ჩილდირისა. ეს დიდი ისტორიული გამარჯვება იყო.

ამრიგად, რუსეთთან საქართველოს შეერთება იყო ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესი. მის საწყის ეტაპად უნდა ჩაითვალოს 1783 წელი, როდესაც დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის ძალითაც აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა, ხოლო დასასრულ თარიღად — 1878 წელი, როდესაც ოსმალთა ბატონობისაგან აჭარა განთავისუფლდა და ამით ფაქტობრივად დამთავრდა პროცესი რუსეთთან მთელი საქართველოს შეერთებისა.

რუსეთის ცარიზმისათვის უცხო იყო ეროვნული თვითგამორკვევის იდეა. 1801 წლიდან რუსეთის თვითმპყრობელობამ საქართველოში კოლონიური ექსპლუატაციის რეჟიმის დამყარება დაიწყო. რუსეთის ცარიზმმა ქართველ ხალხს წაართვა ავტონომიური უფლებები და მას ეროვნული ჩაგვრის მძიმე უღელი დაადგა. რუსეთის ცარიზმი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ხალხთა საპყრობილეს წარმოადგენდა. მაგრამ მიუხედავად რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა, საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილი კონკრეტული ისტორიული ვითარების გამო, საქართველოს რუსეთთან შეერთებას ობიექტურად დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლად არსებობის პირობები აღარ იყო. ირან-ოსმალეთის აგრესიისა და დაღესტნელი ფეოდალების მუდმივი გამანადგურებელი თავდასხმების გამო ქართველი ხალხი ფაქტობრივად ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგა. შექმნილი მდგომარეობის გამო რუსეთთან შეერთება საქართველოსათვის ერთადერთი გამოსავალი იყო. ამიერიდან საქართველოს შემდგომი პროგრესული განვითარება მხოლოდ რუსეთთან შეერთების გზით შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

მოწინავე ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა საქართველოს რუსეთთან შეერთება თავიდანვე შეაფასეს როგორც ერთადერთი გზა ქართველი ერის გადარჩენის, მისი შემდგომი კეთილდღეობის უზრუნველყოფისა. ეს აზრი მთელი სიცხადით გამოხატეს ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, იაკობ გოგებაშვილმა და ქართული კულტურის სხვა დიდმა მოამაგეებმა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების უმთავრესი პროგრესული შედეგი ის იყო, რომ ამ გზით ქართველმა ხალხმა შეძლო თავისი მთავარი ამოცანის გადაწყვეტა — ერთ ორგანიზმში გაერთიანება. ის, რისთვისაც სამი საუკუნის მანძილზე ასე თავგამოდებით იბრძოდა ქართველობა და რასაც საკუთარი ძალით ვერ აღწევდა, რუსეთთან შეერთების გზით XIX საუკუნის პირველ ნახევარში განხორციელდა.

ქართული მიწა-წყლის უმთავრესი ნაწილისა და ქართველი ხალხის ერთ ორგანიზმში გაერთიანება, საკუთარი სახელმწიფოებრიობის დაკარგვის მიუხედავად, იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა, რომელმაც არსებითი მნიშვნელობა იქონია ქართველობის ეროვნული კონსოლიდაციის საქმეში.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ საქართველოში შეიქმნა ცხოვრების ისეთი ახალი პირობები, რამაც თავისთავად, როგორც იტყვიან ავტომატურად მოაგვარა და გადაწყვიტა მთელი რიგი სოციალური განვითარების პრობლემებისა. საკმარისია აღინიშნოს, რომ თავისთავად მოისპო შინაფეოდალური ომები და შეწყდა სათავადოთა სისტემის პოლიტიკური ბატონობა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ქართველ ხალხს შეექმნა ცხოვრების ის აუცილებელი მშვიდობიანი პირობები, რამაც ხელი შეუწყო სამეურნეო ცხოვრების მკვეთრ განვითარებას.

რა თქმა უნდა, ცხოვრების ეს „მშვიდობიანი პირობები“ არ უნდა წარმოვიდგინოთ რაღაც იდეალურ მშვიდობად. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ქართველ ხალხს აქტიური მონაწილეობის მიღება მოუწია რუსეთ-ირანის 1804—1813, 1826—1828 წლების და რუსეთ-თურქეთის 1806—1812, 1828—1829, 1853—1856, 1877—1878 წლების ომებში, რომელთა მსვლელობაშიც მან ღირსეული წვლილი შეიტანა ირანელი და ოსმალო მოძალადეების საბოლოო დამარცხებაში.

მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რუსეთის ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად ქართველი ხალხი ეროვნული ჩაგვრის უღელქვეშ აღმოჩნდა, ახალ სიმძიმეებსა და სირთულეებს წააწყდა, რასაც, ბუნებრივია, ბრძოლით პასუხობდა, გავიხსენოთ თუნდაც 1802 წლის ქართლისა და კახეთის გლეხთა მღელვარება, 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1819—1820 წლებში გლეხთა გამოსვლები იმერეთსა და გურიაში და სხვ. ერთი სიტყვით, ქართველ ხალხს სიმძიმე არ აკლდა და მისი ბრძოლა ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის არც შეწყვეტილა და არც შენელებულა. მაგრამ იმ ადრინდელ პირობებთან შედარებით ქვეყანა უთუოდ უფრო მშვიდობიან პირობებში აღმოჩნდა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როდესაც „ივერიაში“ 1899 წლის 26 ნოემბერს წერილში „ასის წლის წინათ“ (რომელიც საქართველოში 1799 წლის 26 ნოემბერს რუსეთის ჯარის შემოსვლის მეასე წლისთავს მიეძღვნა) წერდა: „ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელი იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერებას და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეებს განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვე-

ნებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს“[1]...

ირანელ და ოსმალო დამპყრობთა თავდასხმებისა და დაღესტანელი მძარცველების თარეშის შეწყვეტამ, ფეოდალური შინაომების მოსპობამ, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციამ და ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებამ, სამეურნეო ცხოვრებისათვის ნორმალურმა, სტაბილურმა მდგომარეობამ შექმნეს ის აუცილებელი პირობები, რომლებმაც უბიძგეს ქვეყნის საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას. ამის ნათელი დადასტურებაა მოსახლეობის რიცხვის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების ის სწრაფი და შეუქცევადი ზრდა და განვითარება, რომელსაც XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში ვხვდებით.

ამრიგად, რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგად საქართველოში სწრაფი ტემპებით წარიმართა საწარმოო ძალების განვითარება. ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დონე იმდენად ამაღლდა, რომ წარმოებითი ურთიერთობის ხასიათმა განაპირობა ქვეყანაში ახალი, კაპიტალისტური ფორმაციის სრული გამარჯვება.

მიუხედავად რუსეთის ცარიზმის მკაცრი კოლონიზატორული პოლიტიკისა, საქართველო კაპიტალიზმის განვითარების საერთო დინებასა და მსოფლიო საქონელმიმოქცევაში ჩართული აღმოჩნდა.

ქვეყნის კაპიტალისტურმა განვითარებამ შექმნა აუცილებელი პირობები ქართველი ხალხის კონსოლიდაციისათვის, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მის ჩამოყალიბებაში ბურჟუაზიულ ერად.

საქართველოს რუსეთთან შეერთების დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისთვისაც. რუსეთის მოწინავე კულტურასთან ურთიერთობამ, მისი რევოლუციური და დემოკრატიული ტრადიციების გაზიარებამ და რუსეთის გზით მოწინავე ევროპული კულტურის მიღწევების გაცნობამ ცხოველმყოფელი მნიშვნელობა იქონიეს თვითმყოფადი ქართული ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია აგრეთვე ამ მოვლენის მნიშვნელობა კავკასიის საერთო ისტორიის თვალსაზრისითაც. საქართველოს სახით ამიერკავკასიაში რუსეთმა ხომ მტკიცე დასაყრდენი და საიმედო მოკავშირე მოიპოვა ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და მთელი კავკასიის შესაერთებლად. ამდენად, საქართველოს შეერთება რუსეთთან ყველა კავკასიელი ხალხის ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ის საერთაშორისო მნიშვნელობის ასპექტიც, საქართველოსა და კავკასიის რუსეთთან შეერთებას რომ ჰქონდა.

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და კავკასიის რუსეთთან შეერთებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა თვით რუსეთისთვი-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ., 4, თბ., 1955, გვ. 216—217.

საც. ცხადია, ეს მნიშვნელობაც ავრეთვე შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკონომიკური, ისე კულტურის ცხოვრების სფეროში. რუსეთს ხომ ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა შეუერთდა, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკური მნიშვნელობის სხვა ასპექტებზე. რაც შეეხება კულტურულ ცხოვრებას, გავიხსენოთ თუნდაც ბ. ბელინსკის შემდეგი სიტყვები: კავკასიას თითქოს ჩვენი პოეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზის მწყემსად და ზეშთამაგონებლად, მათ პოეტურ სამშობლოდ ყოფნა უწერია. პუშკინმა კავკასიას მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი პირველი პოემა „კავკასიელი ტყვე“, ასევე კავკასიას ეძღვნება ერთ-ერთი უკანასკნელი პოემათაგანი „გალუბიც“; რამდენიმე მისი საუკეთესო ლირიკული ლექსიც კავკასიას ეკუთვნის. გრიბოედოვმა თავისი „ვაი ჭკუისაგან“ კავკასიაში შექმნა: ქვეყნის ველურმა და მედიდურმა ბუნებამ, მგზნებარე ცხოვრებამ, მისი შვილების კუშტმა პოეზიამ შთააგონეს მას გამოესახა ფამუსოვების, სკალოზუბების, ზაგორეცკების, ხლესტოვების, ტუგოუხოვსკების, რეპეტილოვებისა და მოლჩალინების აპატიური და უქნარა წრე — ადამიანებზე შექმნილი ეს კარიკატურები... და, აი, ჩნდება კიდევ ერთი ტალანტი (მ. ი. ლერმონტოვი—გ. პ.) და კავკასია მის ღრმად მოსიყვარულე პოეტურ სამშობლოდ იქცევა[2].

ჩვენი დროის გამოჩენილ რუს საბჭოთა პოეტს ნიკოლოზ ტიხონოვს კი შემდეგი სიტყვები ეკუთვნის: „არსებობენ ისეთი ქვეყნები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ სხვა ქვეყნებისათვის. ეს გამოიხატება არა ეკონომიკისა ან პოლიტიკის სფეროში. ისინი მრავალ თაობებს განსაკუთრებული პოეტური შარავანდედით მოსილი ევლინებიან. მათი ბუნება, ხელოვნება, ძველი კულტურა არა მხოლოდ მცოდნეების აღფრთოვანებას იწვევს. ისინი ახდენენ თავის გავლენას მხატვრებზე, მწერლებსა და მეცნიერებზე. ათასობით მოგზაურს იზიდავენ. ევროპაში ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა, რომელიც ევროპელის ცნობიერებისათვის აღსავსეა განსაკუთრებული მნიშვნელობით, ჩემი აზრით, არის იტალია. ყველა ევროპელი პოეტი კლასიკოსი ეწვია მას, ყველამ მიუძღვნა მას თავისი გულის განსაკუთრებული გამოძახილი. რუსი პოეტებისათვის ასეთ იტალიად, უდავოდ, გახდა საქართველო“[3].

ამრიგად, რუსეთთან საქართველოს შეერთებამ. ისევე როგორც ადრე უკრაინისა და შემდგომ აზერბაიჯანის, სომხეთის და სხვა ხალხების რუსეთთან შეერთებამ მრავალგზის გაზარდა რუსი და ამ ხალხების ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი პოტენციალი, რამაც წარუვალი მნიშვნელობა იქონია მათი მომავლისათვის. ძლიერების ზრდა საშუალებას აძლევდა რუსეთს უცხოელ დამპყრობთა ბატონობის ქვეშ ტანჯული, მაგრამ განთავისუფლებისათვის გმირულად მებრძოლი მეზობელი ხალხების წინაშე გამოსულიყო მათი მფარველი, განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი ძალის ისტორიული მისიით.

მაგრამ ის სასიკეთო, ხცოველმყოფელი გავლენა, რომელიც ქართველი ხალხის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაზე რუსეთმა მოახდინა, თავისთავადი, ბუნებრივი პროცესი იყო და სრულებით არ გამოდიოდა რუსეთის ცარიზმის პოლიტიკიდან, პირიქით, ის შორს იდგა ცარიზმის სურვილებისაგან.

[2] В. Г. Белинский, Избранные статьи, М., 1976, გვ. 156.
[3] Летопись дружбы, т. II, Тб., 1961, გვ. 290.

მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილეს წარმოადგენდა. მეფის ხელისუფლება აღვივებდა ხალხებს შორის მტრობას, აწყობდა რბევასა და ხოცვა-ჟლეტას. რუსეთის ცარიზმის პოლიტიკა ერთთავად გაჟღენთილი იყო შავრაზმული ნაციონალიზმით. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ამ პოლიტიკის მახვილი მიმართული იყო „რუსეთის იმ ხალხთა უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელნიც მისი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ“[4].

ქართველი ხალხი, ისევე როგორც სხვა არარუსი ხალხები, უმძიმეს, ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა — სოციალურსა და ეროვნულს. ამ ჩაგვრის გაძლიერებამ გამოიწვია ხალხთა აღშფოთება. ხალხები ცარიზმის წინააღმდეგ აღიმართნენ. ამ ბრძოლაში არარუსი ხალხები რუს ხალხთან ერთად გამოვიდნენ.

XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის ცარიზმმა რევოლუციურ და დემოკრატიულ ძალებზე ახალი შეტევა მიიტანა. რუსეთში აღვირახსნილი თავადაზნაურული რეაქციის ხანა დაიწყო. გაძლიერდა დიდმპყრობელური შოვინიზმის იდეოლოგია. ეროვნული ჩაგვრის გაძლიერებას, ბუნებრივია. ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობის გაძლიერება მოჰყვა. მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა დიდი ბრძოლა გაშალეს ცარიზმის კოლონიური, რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართული ენისა და კულტურის გადასარჩენად, ქართველი ერის პოლიტიკური უფლებების დასაცავად.

თავის მხრივ პროგრესული რუსი მოღვაწეებიც კიცხავდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას. 1887 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა რუსი მწერლისა და მოგზაურის ევგენი მარკოვის წიგნი „ოჩერკი კავკაზა“, სადაც ავტორი გულითადად მოუთხრობდა მკითხველს ქართველი ხალხის გმირული ისტორიისა და დიდი კულტურის შესახებ, ე. ლ. მარკოვი თავის წიგნში აღნიშნავდა: „ჩვენ, რუსებმა, არ უნდა დავივიწყოთ თავის დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიპყრია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი მებატონენი. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ, ამიტომაც ყოველსავე ქართულს, ისტორიით მოპოვებულს, ყოველ ქართველთაგანს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა — იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამოდენადაც ყოველისფერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მეორეს ძმურად შეეწევოდეს, ერთი მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში, რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაყლაპოს“.

ილია ჭავჭავაძე დადებითად აფასებდა ე. ლ. მარკოვის საქმიანობას.

1899 წლის ოქტომბერში თბილისში ე. ლ. მარკოვის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე ილიამ დიდი სიტყვით მიმართა მას და აღნიშნა: „საბედნიეროდ რუსეთისა და მის მფარველობის ქვეშ მყოფ სხვა და სხვა ერთა... არიან რუსეთში იმისთანა კაცნიც. რომელთაც ნამდვილად გაუგიათ ჭეშმარიტი დანიშნულება რუსის მოღვაწეობისა რუსეთის განაპირა ქვეყნებში“[5].

---

[4] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 87.
[5] გაზ. „ივერია“, 1899 წლის 27 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მეფის რუსეთი თავისი მოქმედებით აღაშფოთებდა ხალხებს, სამაგიეროდ პუშკინისა და დეკაბრისტების, ჩერნიშევსკისა და გორკის რუსეთი იყო მათთვის მიზიდულობის ცენტრი. გულითადი მეგობრების და დიდი კულტურის ქვეყანა. ცარიზმის და გაბატონებული კლასების მიმართ საერთო სიძულვილი რაზმავდა და აკავშირებდა ხალხებს. ბრძოლის ამ პროცესში ჩაისახა და განვითარდა ხალხთა ჭეშმარიტი მეგობრობა.

რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების რევოლუციური ბრძოლისათვის გაერთიანებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა რუსეთის პროლეტარიატმა, ქვეყნად მარქსიზმის იდეების ფართოდ გავრცელებამ. რუსეთი იქცა რევოლუციური მოძრაობის ცენტრად.

ჭეშმარიტად რევოლუციური ბრძოლა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით გაიშალა.

ეროვნული საკითხის სწორი გაგებისათვის ბრძოლა იმთავითვე პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ჩვენთვის, უკიდურესი აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის საკმაოდ დიდი ნაწილის დიდმპყრობელი ერის წარმომადგენლებისათვის შეუფერებელი იქნებოდა დაგვევიწყნა ეროვნული საკითხის უდიდესი მნიშვნელობა, — განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ „ხალხთა საპყრობილეს“[6].

გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული საკითხი სოციალისტური რევოლუციისა და კომუნიზმის მშენებლობის საერთო საკითხის შემადგენელი ნაწილი იყო, ვ. ი. ლენინმა შექმნა კომუნისტური პარტიის თეორია და პროგრამა ეროვნულ საკითხშიც. შეიმუშავა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეების თეორიული საფუძვლები.

კომუნისტურმა პარტიამ შეძლო ხალხების ერთ მებრძოლ ბანაკად გაერთიანება. მან გააერთიანა ერთ ძლიერ რევოლუციურ ნაკადად სხვადასხვა რევოლუციური მოძრაობანი, როგორიცაა საერთო-სახალხო მოძრაობა ზავისათვის და გლეხთა ბრძოლა მიწისათვის, რუსეთის ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა და პროლეტარიატის ბრძოლა სოციალიზმისათვის.

მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაანთავისუფლა ხალხები სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან. მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად შეძლო ყველა ერების შეკავშირება ერთიან ინტერნაციონალურ ძმობად და მათი ძალების წარმართვა ახალი საზოგადოების შექმნისათვის.

Г. Г. ПАЙЧАДЗЕ

К 200-ЛЕТИЮ ГЕОРГИЕВСКОГО ТРАКТАТА

Резюме

В статье рассматривается историческое значение Георгиевского трактата, скрепившего тесными узами судьбу Грузии с Россией и сыгравшего этапную роль в истории всех народов Кавказа.

[6] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინათინ ენუქიძე

გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტის პალეოგრაფიული შესწავლის საკითხისათვის

1783 წლის 24 ივლისს რუსეთ-საქართველოს შორის დაიდო ტრაქტატი, რომელიც ისტორიაში ცნობილია როგორც „ხელშეკრულება კავშირისა და მფარველობის შესახებ“ ამ ორ სახელმწიფოს შორის.

ხელშეკრულების ხელმოწერის პროცედურა შედგა 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში, კავკასიის ხაზის რუსთა სარდლის შტაბბინაში.

ტრაქტატს ხელი მოაწერეს ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა: თავადებმა იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ, რუსეთის მხრიდან კი გენერალმა პავლე პოტიომკინმა. იგი შედგებოდა 13 ძირითადი და 4 სეპარატული (საიდუმლო) მუხლისაგან.

ხელშეკრულების პირველ და მეორე მუხლში ერეკლე მეფე აღიარებდა ეკატერინე II-ის მფარველობას, ხოლო რუსეთის მთავრობა ვალდებულებას იღებდა, რომ დაიცავდა ერეკლესა და მისი მემკვიდრეების უფლებას და შეეცდებოდა საქართველოს ძველ საზღვრებში აღდგენას.

ტრაქტატის საფუძველზე იზღუდებოდა ერეკლე II-ის სუვერენული უფლებები საგარეო პოლიტიკის საკითხებში, და ისინი მას ამიერიდან რუსეთის იმპერატორთან უნდა შეეთანხმებინა.

რუსეთი თავის მხრივ არ უნდა ჩარეულიყო ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში. რუს სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებს საქართველოში ეკრძალებოდათ ქართველი მეფის დაუკითხავად რაიმე განკარგულების გაცემა.

ტრაქტატის ე. წ. სეპარატული მუხლები ძირითადად სამხედრო-პოლიტიკური შინაარსის იყო და ეხებოდა საქართველოში რუსთა ჯარის ჩაყენებას, საგარეო მტრების წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებას და სხვა.

ტრაქტატის მიხედვით საქართველოს ტახტზე ახლად ასულ მემკვიდრეს რუსეთის იმპერატორისაგან უნდა მიეღო სამეფო ნიშნები: გვირგვინი, სიგელი და დროშა რუსეთის იმპერიის გერბით, რომელშიც ჩახატული უნდა ყოფილიყო ქართლ-კახეთის სამეფოს გერბიც. მასვე უნდა გამოეგზავნა ქართველი მეფისათვის ხმალი, კვერთხი და მანტია (წამოსასხამი). ამ ნიშნების მიღების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეებს, რუსეთის მინისტრ რეზიდენტის თანდასწრებით იმპერატორის ერთგულებაზე უნდა დაეფიცათ.

ტრაქტატს ერეკლემ დაურთო სია ქართლ-კახეთის თავადაზნაურებისა, რომელთაც ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად, რუსეთში ჩასვლის შემთხვევაში, უფლება ეძლეოდათ ესარგებლათ ყველა იმ პრივილეგიით, რაც რუსეთის თავადაზნაურობას ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაქტატი, რომელსაც „მეგობრობის პირობა“ ეწოდებოდა ძალაში შედიოდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ.

1784 წლის 22 იანვარს ერეკლე II-ემ მიიღო ეკატერინე II-ის სარატიფიკაციო სიგელი, ხოლო 1784 წ. 24 იანვარს ერეკლემ თავის სარატიფიკაციო სიგელს მოაწერა ხელი და გადასცა რუსეთის წარმომადგენელს ვასილ ტამარას.

ტრაქტატი მეტ-ნაკლები სისრულით არაერთხელაა გამოცემული[1]. ამ ტექსტის მრავალჯერ გამოცემა მისადმი მეცნიერთა დიდ ინტერესსა და ყურადღებაზე მიგვანიშნებს.

ცნობილია, რომ ჩვენამდე მოღწეულია რუსეთთან დადებული ქართლ-კახეთის სამეფოს 1783 წლის ხელშეკრულების ანუ გეორგიევსკის ტრაქტატის ორი ქართული ეგზემპლარი: ერთია, ტრაქტატის ის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერენ: პ. პოტიომკინი, კ. მუხრანბატონი და გარსევან ჭავჭავაძე დათარიღებული 1783 წ. 24 ივლისით. იგი ითვლება ტრაქტატის ამოსავალ დედნად. ამჟამად ინახება მოსკოვში, საგარეო საქმეთა არქივში[2]. იგი დიპლომატიკის, პალეოგრაფიის, სფრაგისტიკის და სხვ. თვალთახედვით შეისწავლეს მკვლევრებმა ვალერიან მაჭარაძემ და სერგეი პავალნიკოვმა[3]. ხოლო ზურაბ ცქიტიშვილი მიკვლეული საარქივო მასალების საფუძველზე ვარაუდობს, რომ ტრაქტატის ძირითადი ტექსტი დაწერილია საელჩოს მდივნის ზაზა გაბაშვილის მიერ[4].

ტრაქტატის მეორე ხელნაწერი ტექსტი კი, ერეკლე II-ის მიერ 1784 წ. 24 იანვარს რატიფიცირებული ინახება კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საისტორიო საზოგადოების ფონდში, შიფრით H—2073. იგი 1922 წ. გადმოეცა საქართველოს.

გეორგიევსკის ტრაქტატის ამოსავალ დედნად ითვლება 1783 წლის პოტიომკინის, მუხრანბატონისა და ჭავჭავაძის მიერ ხელმოწერილი ტექსტი. მასთან ერთად დედნის ძალა აქვს ერეკლე მეფის რატიფიცირებულ ტექსტს. იგი საგანგებოდაა გაფორმებული. დაწერილია თეთრ, კარგი ხარისხის ეტრატზე კალიგრაფიული მხედრულით, სატიტულო სიტყვები და საკუთარ სახელთა დასაწყისი ასოები—ასომთავრულით. აკინძულია საგანგებო ზონარით, რომლის გამოკვანძულ ბოლოებზე მიმაგრებულია შეკიდული სამეფო ბეჭდის საცავი თითბრის ორი სამუალო ზომის მრგვალი ყუთი, რუსეთისა და საქარ-

---

[1] 1783 წ. პეტერბურგის სენატის გამოცემა (იხ. АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, გვ. 80—82); 1784 წ. პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა (რუსული და ქართული პარალელური ტექსტები), საგარეო საქმეთა კოლეგიის დავალებით (იხ. АВПР ф. Трактаты, оп. 2. д. 178, გვ. 35—47); 1830 წ. რუსეთის იმპერიის კანონთა სრულ კრებულში გამოიცა (იხ. ПСЗ, т. XXI, СПб. 1830 г. д. № 15835, გვ. 1013—1017); 1898 წ. ა. ცაგარელმა გამოსცა (Грамоты, II, вып. I, გვ. 99—110); 1922 წ. გ. ვეშაპელმა; 1949 წ. პროფ. დ. ენუქიძემ, 1960 წ. პროფ. ი. ციცაძემ] 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, 1965, წ. ი. დოლიძემ (ქართ. სამართლ. ძეგლები, II, გვ. 457); 1970 წ. რ. მიმინოშვილმა და გ. პაიჭაძემ (ქართული სამეფო სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970, გვ. 182—145). მომდინარე წელს იგი თანამედროვე პუბლიკაციის დონეზე გამოსცა გ. პაიჭაძემ.

[2] АВПР, ф. «Трактаты, оп. 2. . 178.

[3] В. Мачарадзе, С. Повальников, Подлинник русско-грузинского договора 1783. г., Литературная Грузия, 1982, № 2, გვ. 201—210.

[4] ზ. ცქიტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982,

თველოს გერბების გამოსახულებით. ხელნაწერში არაა დაცული ცნობა მისი დამწერის, უფრო სწორად გადამწერის, ვინაობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექსტი დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იმსახურებს მასთან დაკავშირებული ყველა არქეოგრაფიული საკითხი ჯერჯერობით გამოკვლეული არ არის. ასეთთა რიგს მიეკუთვნება ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტის დამწერის ვინაობის გარკვევა. ამ საკითხის დადგენას ჩვენ შევეცადეთ ხელის შესწავლით ანუ პალეოგრაფიული ანალიზით. რუსი მკვლევრის ნ. სინიცინას აზრით, ხელის მიხედვით გადამწერის ვინაობის დადგენა პალეოგრაფიის აქტუალური ამოცანაა. ამ ხერხის შედეგიანობა არაერთხელ ყოფილა პრაქტიკულად დამტკიცებული ცალკეული ხელნაწერების თუ ხელნაწერთა ჯგუფის შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომებით, მაგრამ ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ ხელის იდენტიფიკაციის მეთოდიკა საკმაოდ რთულია, ხოლო თვითონ პრობლემა ძალიან პასუხსაგები, რადგან თუ ერთი მხრით სწორი დასკვნა ფართო კულტურულ-ისტორიულ განზოგადოებებს შეიძლება დაედოს საფუძვლად, მეორე მხრით, შეცდომამ შეიძლება არასწორ მოსაზრებებს მისცეს დასაბამი[5].

ხელნაწერი წიგნების გადამწერთა ხელის დადგენის საკითხებთან დაკავშირებით ნ. სინიცინა გამოჰყოფს პრობლემათა სამ ძირითად ჯგუფს. მათში ერთ-ერთ მნიშვნელოვნად თვლის გადამწერთა სკოლების შესწავლას[6].

ამ მხრივ ქართველ მკვლევრებს დიდი ხანია გადადგმული აქვთ ნაბიჯები. (ე. თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ლ. ქუთათელაძე, მ. ქავთარია, ი. გაჩეჩილაძე, კ. გრიგოლია, ვ. ენუქიძე და სხვ.). უკანასკნელ პერიოდში კი ცალკეულ პირთა დამახასიათებელი კალიგრაფიული სკოლების შესწავლა დაიწყო[7].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტი, ერეკლე მეფის ხელმოწერით დაწერილია კალიგრაიფული მხედრულით. მისი დამწერის გარკვევის მიზნით ჩვენ პალეოგრაფიულად შევისწავლეთ XVIII ს. 80-იან წლებში მოღვაწე იმ პირების ხელი, რომელთაც სავარაუდო იყო მონაწილეობა მიეღოთ ამ ტექსტის დაწერაში. ასეთებია: ანტონ კათალიკოსი, გაიოზ და დავით რექტორები, მესხიშვილები და განსაკუთრებით მდივნების (ეგნატე, ბირთველ, სულხან, შიოშ თუმანიშვილების, ქობულაშვილების, ბეგთაბეგიშვილების და სოლომონ ლიონიძის) მიერ დაწერილი მრავალი საბუთის ხელი და შევუჯერეთ ტრაქტატის ხელს, რის შედეგადაც იმ დასკვნამდე მივედით, რომ ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტი (H—2073) და ეგრეთწოდებული „შესასრულებელი არტიკული“ ანუ დამატებითი მუხლი, რომელიც როგორც გ. პაიჭაძემ შენიშნა — ეხება ქართლ-კახეთში მეფის კურთხევის და მირონცხების ადრე მიღებული წესის შენარჩუნებას, დაწერილია ერეკლე მეფის ცნობილი მდივანბეგ-მდივნის სოლომონ ლიონიძის მიერ.

---

[5] И. В. Синицина, Отождествление почерков русских рукописных книг конца XV—первой половины XVI в. и его трудности. — Проблемы палеографии и кодикологии в СССР, М., 1974, გვ. 89.

[6] იქვე, გვ. 90.

[7] ი. გაჩეჩილაძე, დავით რექტორის კალიგრაფიული მოღვაწეობა, იხ. „მრავალთავი“, 1976, № 5, გვ. 119—130; მისივე, მესხიშვილების კალიგრაფიული მოღვაწეობა, იხ. „მრავალთავი“, № 6, 1978, გვ. 155—166.

კ. მარქსის სახ. სახ. სსრ სახელმწიფო რესპ. ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, №2616.



საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, № 3348.



საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448 № 2616.



აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H—2073.



საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, № 2616.



საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი ფ. 1448, № 5200.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიონიძის მიერ შესრულებული ავტოგრაფული ნაწერები, რომელთაც მისი ხელმოწერა თუ ხელრთვა აქვთ იყოფა ორ ჯგუფად: კალიგრაფიული ხელით დაწერილ (იხ. საქ. ცენტრ. არქივის ფ. 1448 № 2616; ხელნაწ. ინსტიტუტის Qd № 8922 და სხვ.) და ნაჩქარევი, არა კალიგრაფიული ხელით დაწერილ (იხ. საქ. ცენტრ. არქ. ფ. 1448 №№ 3348, 5258, 6794, 8938, 9328) საბუთებად.

ეს ორი ჯგუფი საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან (იხ. ფოტო №1).

ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტი დაწერილია კალიგრაფიული ხელით. ამ ხელისა და სოლომონ ლიონიძის მიერ ხელმოწერილი და კალიგრაფიულად დაწერილი საბუთების ხელის მსგავსება (იხ. ფოტო 2) კარგად ჩანს ქარაგმების და ასოების ჳ-ნის, ჭ-არის, ჩ-ინის, და განსაკუთრებით, პ-არისა და ჰ-აეს. დაწერილობაში. ამ უკანასკნელ ორ ასოს ქვემო მხარეს აქვს წაგრძელებული ფეხი.

აქ მოტანილმა ასოთა და ქარაგმების მოხაზულობის იდენტურობამ დაგვარწმუნა, რომ ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტი დაწერილია სოლომონ ლიონიძის მიერ.

გარდა სოლომონ ლიონიძის ხელისა ტრაქტატის დაწერილობა ერთი შეხედვით ძლიერ ჰგავს ერეკლე მეფის მდივნის — შიოშ სულხანის ძე თუმანიშვილის ხელს[8] (იხ. ფოტო № 3).

შიოშ სულხანის ძე თუმანიშვილის ხელის პალეოგრაფიული მსგავსება ტრაქტატისა და ს. ლიონიძის კალიგრაფიულ ხელთან საკმაოდ დამაფიქრებელი ჩანდა. ამ საკითხის გადაჭრის მიზნით შევისწავლეთ, შიოშ თუმანიშვილის ხელით დაწერილი მრავალი დოკუმენტი. ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ მისი ხელით დაწერილი დოკუმენტები ქრონოლოგიურად 1791 წელზე ადრინდელი არ იყო. ამას დაემატა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ვეიდენბაუმის კარტოტეკაში შიოშ თუმანიშვილის შესახებ შემონახული შემდეგი ცნობა:

«Туманов, князь Шиош Сулханович, коллежский асессор, советник экспедиции суда и расправы. Родился около 1773 года. Имение нераздельно с отцом, коллежским советником князем Сулханом Тумановым... В 1788 г. апреля 1, поступил на службу к царю Ираклию. В 1791 г., июня 1, назначен при царе секретарем по всем секретным и нужным делам...»

მთავარი ვეიდენბაუმის ამ ცნობიდან ის არის რომ შიოშ სულხანის ძე დაბადებულა 1773 წ. და როცა ტრაქტატი იწერებოდა ის მხოლოდ 10 წლისა იყო. ამდენად, ცხადია, ეგი ვერ იქნებოდა ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტის დამწერი.

ამრიგად, ამ ორი პიროვნების ხელის ასეთი მსგავსება ერთი კალიგრაფიული სკოლით უნდა აიხსნას. შესაძლებელია, სოლომონ ლიონიძე მისი მასწავლებელიც იყო.

ტრაქტატთან დაკავშირებულ სოლომონ ლიონიძის საქმიანობასთან ერთი საინტერესო ცნობა არის დაცული მის წერილში. საქართველოს მთავარმმართებელ კნორინგისადმი (1801 წ. 17 თებერვალი)[9]. იგი წერს: „... მე უმაღლესის კარის სკუდილამდე ჩემის შეძლებით ერთგული მონა ვყოფილვარ, ვარ და

[8] შდრ. ცსსა 1448 ფ. საბ. №№ 1735, 3379, 3380, 5200, 5331 და სხვ.

[9] АКАК, I, გვ. 323—324.

ვიქნები პირველად საქართველოს ტრაქტატის რუსეთთან შეერთებაში მე ვიყავი მოქმედი, და ამას გარდა საქართველოს და სრულიად იმერეთის შავს ზღვამდე მე გავაკეთე ტრაქტატი და საქართველოსა და იმერეთის მეფეთა თავადთა და კათალიკოზ მღვდელთ-მთავართაგან დაიბეჭდა და ხელმოწერილ იქმნა ჩემის მოქმედებით, რომლითაც რუსეთის იმპერია უმეტესად გავრცელდება და ისარგებლებს"[10].

ციტირებულ ტექსტში ორი საყურადღებო ფაქტია აღნიშნული: 1) 1790 წ. ტრაქტატი, რომლის სათაურია: „ტრახტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული საზოგადოებისათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა ტფილისს წელთა 1790" (ამ ტექსტის დედნის პირი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში H—1335 ნომრით). საბუთს, გარდა იმერეთის მეფის სოლომონ II-ისა და მარიამ დედოფლისა, ვიცე-კანცლერის ტიტულით ხელს აწერს სოლომონ ლიონიძეც. ამდენად, კნორინგისადმი გაგზავნილ მის წერილში მოკრძალებით ნახსენები დამსახურება სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს. 2) საქართველოს ტრაქტატის რუსეთთან შეერთებაში მე ვიყავ მოქმედი" — აქ ნათლად და გარკვევით არა ჩანს თავის რა დამსახურებას გულისხმობს სოლომონ ლიონიძე. წყაროებშიც არაა პირდაპირი ცნობა ამ საკითხის ნათელსაყოფად. გამოთქმა „მე ვიყავ მოქმედი" შესაძლებელია უფრო მეტს ნიშნავს ვიდრე ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტის კალიგრაფიული შემზადება იყო, მაგრამ მასალების უქონლობის გამო ამის შესახებ რაიმეს თქმა ჯერჯერობით ძნელია.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა პალეოგრაფიულმა ანალიზმა კი დაგვარწმუნა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული „მფარველობითი" ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტი გადაწერილია სოლომონ ლიონიძის მიერ.

Т. П. ЕНУКИДЗЕ

К ВОПРОСУ О ПАЛЕОГРАФИЧЕСКОМ ИЗУЧЕНИИ РАТИФИЦИРОВАННОГО ТЕКСТА ГЕОРГИЕВСКОГО ТРАКТАТА

Резюме

На основе палеографического анализа ратифицированного текста Георгиевского трактата и написанных Соломоном Лионидзе документов в статье установлено, что ратифицированный текст тоже написан секретарем Ираклия II — Соломоном Лионидзе.

[10] ალბათ, ეს წერილი აქვს მხედველობაში მკვლევარ ნ. კანდელაკს, რომელიც წყაროს მიუთითებლად აღნიშნავს: ს. ლიონიძის უშუალო მონაწილეობით შემზადდა, გაფორმდა და ძალაში შევიდა 1783 წლის ცნობილი ხელშეკრულება საქართველოს და რუსეთს შორის — „მეგობრობითი პირობა" (ნ. კანდელაკი, ქართული მშვერმეტყველება, 1975 წ. გვ. 208). კვლევაში არა ჩანს კონკრეტულად ს. ლიონიძის რა საქმიანობას გულისხმობს მკვლევარი ტრაქტატის „შემზადებასა და გაფორმებაში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ხანთაძე

გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიოგრაფიიდან

შეფასებითი დამოკიდებულება გეორგიევსკის ტრაქტატისადმი ქართველმა მოღვაწეებმა მისი დადებისთანავე გამოამჟღავნეს. მხედველობაში გვაქვს ტრაქტატის დადებასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო შეკრებაზე გაიოზ რექტორის მიერ წარმოთქმული სიტყვა[1]. ქართველი ინტელიგენციის ამ ბრწყინვალე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულებით საქართველო მიადგა „ნავთსაყუდელსა უღელვოსო“ ე. ი. მოიპოვა მშვიდობა და თავშესაფარი. თავის მრავალრიცხოვან მტრებს საქართველომ დაუპირისპირა „სოფელსა შინა დიდებულისა და საკვირველისა რუსეთის ძალა, რომელმანცა საშინელითა ჭუხილითა თვისითა დააჯაბნა (მტრები — შ. ხ). ვითარცა კურდღელნი ლომად მგონებელნი თავთა თვისთანი“.

რუსეთის მფარველობა-მოკავშირეობა გაიოზ რექტორს მიაჩნია წინაპართა ნაანდერძევ საქმედ—„ვითარცა დაუნჯებული მამათა მიერ საუნჯე“, თვლის მას სიკეთედ და ამბობს, რომ „თანამდებ ვართ, რათა მაღლისადმი მსხვერპლად სიმართლისად შევწიროთ მადლობაჲ მხურვალითა გულითა...“

ამასთან, გაიოზი ხაზგასმით მიუთითებს ამ აქტის მნიშვნელობას რუსეთისათვის. მას უთქვამს: ამ ხელშეკრულებამ „დაუვაკნა მთანი იგი შეუვალნი კავკასიისანი“ რუსეთსო. მართლაც, გეორგიევსკის ტრაქტატმა რუსეთს თურქეთთან ბრძოლის ფრონტი ერთი ხელის დაკვრით იმიერიდან ამიერკავკასიაში გადმოატანინა.

ამრიგად, ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობის საფუძვლიან შეფასებას უკვე მისი თანამედროვე ქართველი მოღვაწე იძლევა. ვფიქრობთ, იგი გამოხატავდა მოწინავე ქართველი საზოგადოების საერთო თვალსაზრისს.

XIX საუკუნეშიც, მიუხედავად, ცარიზმის მიერ ქართული სამეფოს გაუქმებისა, ქართველი მოღვაწეები დადებითად აფასებდნენ საქართველოს დაკავშირებას რუსეთთან 1783 წლის ტრაქტატით. მაგ., ვახტანგ ბატონიშვილი წერდა: „მაშინ საქართველო, შელახული ხშირი შევიწროებით და უბედურებებით, თავისი კეთილდღეობის მიზნით შევიდა რუსეთის იმპერატორის საფარველ ქვეშ და სამარადისოდ დაუკავშირა თავისი ბედი რუსეთის ბრწყინვალე ბედს“[2]. ხოლო ბაგრატ ბატონიშვილი აღნიშნავდა: „და იქმნა სიხარული დიდი საქართველოსა შინა შეერთებისათვის რუსთა და ქართველთა“[3].

ალექსანდრე ბატონიშვილიც კი, რომელიც ცნობილია თავისი შეურიგებელი პოზიციით სამეფოს გაუქმებისადმი, მართებულად აფასებდა გეორგიე-

---

[1] სიტყვა გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ, იხ. ჟურ. „დროშა“, 1959, № 5, გვ. 10.

[2] Царевич Вахтанг Ираклиевич, Обозрение истории грузинского народа, СПб., 1814, გვ 82—83.

[3] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 58.

ვსკის ხელშეკრულების მნიშვნელობას. იგი წერდა: „მამამან ჩემმან, მეფემან ირაკლიმ შეევედრა თავი თვისი იმპერატრიცა ეკატირინას, რათამცა დაიცვას სამეფო და სახლი თავისი გარემოთა მტერთაგან“. მეორეგან იგი წერდა: „საქართველოისა მეფემან ირაკლიმ... მათის იმპერატორებისა დიდებულებას ამისათვის მიმართა, რადგანაც ქრისტიანი ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ბრძანდებოდა, ამისთვის, რომ თავისი ოჯახი და საქართველო უმეტესად აღემაღლებინა“. და კიდევ: „ჩვენმა ოჯახმა ამიტომ შეიტანა თავი რუსეთის ხელმწიფის საფარველსა ქვეშ, რომ ჩვენს ქვეყნებს გარდა სხვა ქვეყნები შეგვმატებოდა“[4]. როგორც ვხედავთ, ალექსანდრე ბატონიშვილს აღნიშნული აქვს თითქმის ყველა ძირითადი მომენტი: საგარეო მტრებისაგან დაცვა, საქართველოს გაძლიერება, ქრისტიანობის შენარჩუნება, დაკარგული მიწა-წყლის კვლავ შემოერთება.

დავით ბატონიშვილი არაერთხელ ლაპარაკობს ამ ხელშეკრულების შესახებ, მაგრამ თავს იკავებს შეფასებითი მსჯელობისაგან[5]. თუმცა ისიც ჩანს, რომ მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული რუსეთთან კავშირის მნიშვნელობა. ანალოგიურადაა წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო საკითხი თეიმურაზ და იოანე ბაგრატიონების ნაშრომებში[6].

გეორგიევსკის ტრაქტატის მომხრე და დამცველი იყო სოლომონ ლეონიძე. „პირველად საქართველოს რუსეთთან ტრაქტატით შეერთებაში მე ვიყავ მოქმედიო“ — უცხადებდა ის რუსეთის მთავრობას 1802 წელს[7]. აკად. ნ. ბერძენიშვილის ერთ ჩანაწერში, რომელიც მის პირად არქივში ინახება, სოლომონ ლეონიძის პოლიტიკური კრედო შემდეგნაირადაა დახასიათებული: „ყველა საერთაშორისო აქტი 1783 წლიდან დაწყებული ვიდრე 1804 წლამდე ერთ წერტილში სცემს და ერთი პირის უპირატესად ნახელავი ჩანს... ყველა ეს მიზნად ისახავს ერთ რასმე: რუსეთის მფარველობის ქვეშ ძლიერი საქართველოს შექმნას... ესაა სოლომონ ლეონიძის პროგრამა და გასაგებია მისი პოლიტიკური სახე ბარათაშვილს რომ ხალხური გადმოცემით აქვს გაცოცხლებული“[8].

არაფერს ვიტყვით გარსევან ჭავჭავაძეზე, რომლის დადებითი დამოკიდებულება რუსეთ-საქართველოს ამ ხელშეკრულებისადმი მისივე ხელმოწერით არის დადასტურებული.

რუსეთის მფარველობისა და, განსაკუთრებით ჯარით დახმარების ფასი და მნიშვნელობა, ჩანს, ქართველ გლეხობასაც კარგად ესმოდა. ამას გვიდასტურებს კახელ გლეხთა განცხადება 1812 წლის ცნობილი აჯანყების დროს. ისინი წერდნენ: „მარად ჟამს მოსურნენი და მთხოვნელნი საქართველოს მეფეთაგან და ეგრეთვე ერთგან ერთს სარწმუნოების გამო ქრისტიანობით დაფარვა და დაცვა ურჯულოთაგან, რომელნიცა ვართ შემოზღუდვილ გარემო მეზობელთაგან, მათმა იმპერატორების დიდებულებამან რა რომ მოგვხედა და ბრძანა

[4] ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები იხ.: მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXII-B, 1961.

[5] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბ., 1941, გვ. 16.

[6] იხ. თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, თბ., 1972.

[7] АКАК, I, გვ. 345.

[8] აკად. ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ნ. ბერძენიშვილის პირადი ფონდი.

საქართველოსა და შინა მმართებლობისა გახსნა, მაშინ გვებოძა მანიფესტნი და რჯულდებანი.

პირველი საქართველოს მეფის ვახტანგის კანონით უნდა ესამართლად და აგრეთვე ხარკიცა მეფეებისათვის რაც გვიძლევია, ის უნდა გამოგვრთმეოდა და სხვა რიგად უნდა ვყოფილიყავით მშვიდობასა, ხვნასა და თესვასა, კეთილ ცხოვრებასა შინა. "გლეხთა სხვა მოხსენებაში ვკითხულობთ: „ოდეს მეფეთა საქართველოსათა და ერთა მიერ იქმნა ხმა ვედრებისა მიწევნილ მისის იმპერატორების დიდებულებისადმი, რათამცა ყოვლად ძლიერი ხელი მართლისა ხელმწიფებისა გვმართებდეს ყოველთა საქართველოსა შინა მყოფთა და დაცულ გვყვნეს ყოველთა საშიშროებათა გამო, ინება მისმა დიდებულებამა და გვყვნა ხელდადებული და შეზღუდვილ ერნი საქართველოსანი... რომლისთვის ესრეთ ვგონებდით: ვინათგან პირველნი მეფენი ჩვენ საქართველოსანი იყვნენ ღონე მოკლებულ, ხოლო აწ ყოვლად უდიდებულესი იმპერატორების დიდებულისა საგრილსა ქვეშე დასაბამსავე მოვიპოვებდით განსვენებასა, კეთილდღეობასა და მშვიდობასა“.. დაბოლოს, კიდევ ერთი ამონაწერი, რომელიც თითქმის სტერეოტიპურ ფრაზადაა ქცეული კახელი გლეხების მოხსენებებში: „ჩვენ დასაწყისიდამ ყოვლად მოწყალის იმპერატორის მხედრობის მოსვლისა წფარველად სრულიად საქართველოისა, დაფიცებისა მისი იმპერატორების დიდებულების ერთგულებასა ზედა არასოდეს არ შევრყეულვართ...“[9]

მოტანილი ამონაწერებიდან კარგად ჩანს თუ რა იმედებს უკავშირებდნენ ქართველი გლეხები რუსეთის მეფის მფარველობაში შესვლას და რუსთა ჯარის შემოსვლას საქართველოში: მშვიდობას, ხვნა-თესვას და კეთილ ცხოვრებას. ასეთი იყო საზოგადოებრივი აზრი და ისტორიკოსთა შეხედულებები რუსეთ-საქართველოს ერთმანეთთან დაკავშირებაზე XIX ს-ის პირველ წლებშივე.

გეორგიევსკის ტრაქტატით განსაზღვრული მფარველობა-მოკავშირეობის ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის მისაღებად მიაჩნდათ მომდევნო თაობის, 30-იანი წლების მოღვაწეებსაც.

1832 წლის ცნობილი შეთქმულების მონაწილეთა ერთ ნაწილში ყოფილა მსჯელობა იმ საკითხზე თუ როგორი უნდა ყოფილიყო ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის შეთქმულების წარმატების შემთხვევაში. მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ რუსეთთან კავშირის გაწყვეტას დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა ირანისა და თურქეთის გამოლაშქრება, რასაც ქართველები ვერაფერს ვერ დაუპირისპირებდნენ. ლუარსაბ ორბელიანთან საუბარში ალ. ჭავჭავაძეს უთქვამს: „ძალიან საშიშია, რომ რუსეთს, რომელსაც დღემდე ჩვენგან სრულებით არავითარი სარგებლობა არა აქვს, არ მოვბეზრდეთ და არ მიგვატოვოს მეთქი, საქართველოს ეხლანდელი მდგომარეობა ყველასათვის ცხადია, რუსეთის დახმარების გარეშე მისი მეზობლები მას აღგვიდნენ პირისაგან მიწისა“[10]. ერთ თავის ჩვენებაში ალ. ჭავჭავაძე წერდა: „საქართველოს რუსეთთან შეერთების აუცილებლობაში, რამდენადაც მეტად ვუკვირდები საქმეს, იმდენად მეტად ვრწმუნდებოდი... ყოველ შემთხვევაში რუსებთან განუყრელნი უნდა ვიყოთ“[11]. „ეს სისულელეა, — უთქვამს ალ. ჭავჭავაძეს

[9] კახელ გლეხთა საჩივრები და მოხსენებები დაცულია მოსკოვის სამხედრო ისტორიულ არქივში.

[10] შ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1, 1935, გვ. 273.

[11] იქვე, გვ. 278.

ლ. ორბელიანისათვის, — თუმცა ჩვენ მოვახერხებთ რუსების გარეკვას, მაგრამ მათ მაგიერ სხვები შემოგვესევიან, ამას თქვენ მხედველობიდან უშვებთო". ხოლო ზაქარია ჩოლოყაშვილს მან უთხრა: „სპარსელები, თურქები, ლეკები გაცილებით უარესნი არიან რუსებზეო"[12]. ამ მოსაზრებისა იყვნენ სხვა შეთქმულებიც: ზაქარია ჩოლოყაშვილი, სტეფანე ავთანდილაშვილი, ანტონ აფხაზი და სხვ.

თავის ნარკვევში საქართველოს მდგომარეობის შესახებ ალ. ჭავჭავაძე მიუთითებს, ქართველობა დარწმუნებული იყო, რომ „რუსეთის მფარველობა მათთვის აუცილებელი იყო და ამიტომ ამის შესანარჩუნებლად ყველაფერი სხვა გასწირა"[13].

ამრიგად, რუსეთთან ყოფნა, რუსეთთან კავშირი ალ. ჭავჭავაძეს გარდაუვალ აუცილებლობად მიაჩნდა. ცხადია, ისიც გეორგიევსკის ტრაქტატის პლატფორმაზე იდგა.

სოლომონ დოდაშვილსაც არაერთხელ განუცხადებია, რომ „საქართველოს რუსეთის მფარველობის გარეშე არსებობა არ შეუძლიაო"[14], რომ რუსეთი იცავს საქართველოს და ამან ჩვენს ქვეყანას მშვიდობიანობა მისცაო[15].

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლებში წარმოთქმულ სიტყვაში ს. დოდაშვილი აღნიშნავდა რუსეთთან შეერთების სიკეთეს სპარსთა, თათართა, ოსმალთა და სხვათა თარეშთან შედარებით[16]. იგივე აზრი მას გამოთქმული აქვს თავის ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილებშიც[17].

ს. დოდაშვილისათვის მთავარი ის იყო, რომ რუსეთთან შეერთებამ მშვიდობა მოუტანა ქართველ გლეხს. იგი ეუბნებოდა გლეხებს: განა დაგავიწყდათ ის დრო, როცა სახლიდან გამოსვლას ვერ ბედავდით, ხოლო თუ გამოდიოდით ლეკებს ტყვედ უვარდებოდით. ახლა კი სადაც გნებავთ იქ შეგიძლიათ წახვიდეთ. „გლეხები ახლანდელ დროს ლოცავენ" — წერდა ს. დოდაშვილი[18].

ასეთი შეხედულებები ხელს არ უშლიდნენ სოლომონ დოდაშვილს, ისევე როგორც ალ. ჭავჭავაძეს, სასტიკად გაეკრიტიკებინა რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, ცარიზმის მძიმე რეჟიმი. 1833 წ. 23 იანვარს დაწერილ ჩვენებაში იგი ამის სამაგალითო ნიმუშს იძლევა[19]. ეს გარემოება ს. დოდაშვილს წარმოგვიდგენს დემოკრატ მოაზროვნედ, ხალხის მოსარჩლედ და რუსეთთან შეერთების მისეული შეფასებაც ამ დემოკრატიზმს ემყარება. იგივე ითქმის ალ. ჭავჭავაძის შესახებ, რომელმაც თავის ისტორიულ ნარკვევში არსებული რეჟიმის მკაცრი ხილება მოგვცა.

რუსეთთან ერთიანობის საკითხთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო ჩანს გრ. ორბელიანის პოზიცია. თავის დღიურში ივანე აფხაზთან საუბარში გრ. ორბელიანი კარდინალურად სვამს ამ საკითხს და თანამოსაუბრის პირით ვრცლად ასაბუთებს რუსეთთან კავშირის, რუსეთის მფარველობის აუცილე-

12 შ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ., 150, 168.

13 ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, თბ., 1962, გვ. 336.

14 მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1955, გვ. 80.

15 იქვე, გვ. 81.

16 სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 227.

17 იქვე, გვ. 217.

18 მ. გოცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80—81.

19 ეს საბუთი მრავალჯერაა გამოქვეყნებული. იხ. მ. გოცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82—85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლობას და იქვე შენიშნავს: „ახ! ვითარ ძლიერად და მართლად აღსწერა აწინდელი მდგომარეობა საქართველოსა“[20]. მართალია, გრ. ორბელიანი კვლავ თავისუფლების ტრფიალი რჩება, მაგრამ აღიარებს, რომ ივანე აფხაზის თვალსაზრისი ჭეშმარიტებას ღაღადებს. აქ, გრიგოლ ორბელიანი ერთგვარად გაორებულია: გულით ის თავისუფლების იდეას თანაუგრძნობს, გონებით კი რუსეთთან ყოფნას, რუსეთის მფარველობას და ბატონობას ამართლებს.

ასეთივეა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოზიცია. პოემაში „ბედი ქართლისა“, მან ერთმანეთს დაუპირისპირა ორი სიკეთე: მშვიდობა და თავისუფლება, როცა გარდაუვალი გახდა ერთ-ერთი მათგანის დათმობა. და მიუხედავად იმისა, რომ პოეტი გულით თავისუფლებას თანაუგრძნობს, იგი ერეკლეს გონებით ნაკარნახევ გადაწყვეტილებას — მოუტანოს მშვიდობა თავის ქვეყანას თავისუფლების დათმობის გზით — ამართლებს. ეს მან ნათლად გამოთქვა შემდეგ ხანებში დაწერილ ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“.

„აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა...“
„აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი“.

აქვე უნდ შევჩერდეთ პლ. იოსელიანის პოზიციაზეც, ნაშრომში: „ცხოვრება მეფის გიორგი XIII-ისა“ პლ. იოსელიანი არაერთხელ მიუთითებს იმ სიკეთეს, რაც რუსეთთან კავშირმა მოუტანა საქართველოს. „გონიერთა ქართველთა,—წერს იგი,—უხაროდათ რუსთა ჯარის შემოსვლა, ვითარცა ერთმორწმუნისა ერისაგან ელოდნენ ქვეყნის დაცვას“[21]. პლ. იოსელიანს იდეალურ მოღვაწედ ჰყავს დახატული სოლომონ ლეონიძე, რომელიც „ვითარცა ლომი გარემოცული მტერთაგან იბრძოდა ქვეყნისათვის, მეფობისა დაუკარგველობისათვის“. „დასაწყობელად საქმისა და შინააღრეულობათა—უთქვამს პლატონის სიტყვით სოლომონ ლეონიძეს — კმარა რუსნი და ტრაქტატი მეფის გიორგისა“[22]. პლ. იოსელიანს საგანგებოდ მოაქვს რუსეთთან შეერთების მომხრეთა არგუმენტაცია: „მეტად მოგვერია მტერი და რა მტერი? — უთქვამს გიორგი მეფეს — ქრისტესი. თუ არ მკლავი რუსთა ხელმწიფისა ვერ ვინ დაიცვამს საქრისტიანოსა. მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედ ბრძანებლობისა. რა ვქმნა? ვის მივმართო? რა პასუხი გავსცე ქრისტესა?... მოვიყვან მწედ ქვეყანასა (რუსეთსა — შ. ხ.). ესე იყო სურვილი ძველთა მამა-პაპათა ჩემთა. და ესე იყო ჰაზრი მამისა ჩემისა და მეც დავადგრები მასზედ. ჩემი პირობები რუსეთისა მეფესთან — საკეთილონი არიან ქვეყნისათვის“[23]. პლ. იოსელიანის ნაშრომის 99-ე თავი მთლიანად წარმოადგენს იმ სიკეთეთა ხოტბას, რაც უნდა მოჰყოლოდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას.

ამასთან ერთად, პლ. იოსელიანი უკმაყოფილოა ქართული სამეფოს გაუქმებით და სასტიკად აკრიტიკებს რეჟიმს, რომელიც რუსული მმართველობის დამკვიდრების შედეგად შეიქმნა საქართველოში[24].

კარგად ჩანს, რომ პლ. იოსელიანიც მფარველობისა და მოკავშირეობის იდეას იცავდა.

---

[20] გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 172, და შმდ.
[21] პლ. იოსელიანი, ცხოვრება მეფის გიორგი XIII-ისა, 1895, გვ. 224.
[22] იქვე, გვ. 260.
[23] იქვე, გვ. 189—190.
[24] იქვე, გვ. 189, 251, 252 და სხვ.

ამრიგად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული თავადაზნაურული ისტორიული აზროვნების წიაღში, მიუხედავად სამეფოს გაუქმებით შექმნილი მძიმე ვითარებისა, ქართველ მოღვაწეთა დადებითი დამოკიდებულება რუსეთ-საქართველოს ერთიანობისადმი, გეორგიევსკის ხელშეკრულებით განსაზღვრული კავშირისადმი შეურყეველი დარჩა. ამასთან ერთად ამ პერიოდში აღმოცენდა დემოკრატიული განწყობილების მოღვაწეთა დასი, რომელთა დამოკიდებულება რუსეთთან ერთიანობის საკითხისადმი ასევე დადებითი იყო. ამ ორ მიმართულებას ის განასხვავებდა ერთმანეთისაგან, რომ თუ პირველნი რუსეთთან შეერთების შემდგომ მთავრობის მოქმედებას თავადაზნაურთა ინტერესების დაცვის პოზიციიდან აკრიტიკებდნენ, დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეები მშრომელი ხალხის, გლეხობის ინტერესების დაცვას ცდილობდნენ.

დემოკრატიულ ბაზს ჩვენთვის საინტერესო საკითხში აგრძელებენ და ავითარებენ ჩვენი სახელოვანი „თერგდალეულები", 60-იანი წლების ქართველი რევოლუციური-დემოკრატები. მათი პროგრამა, რა თქმა უნდა, ქართველთა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენას, თვითმმართველობასა და ავტონომიას ითვალისწინებდა, მაგრამ რუსეთთან კავშირის შენარჩუნებით, რუსეთის საფარველს ქვეშ დარჩენით.

გეორგიევსკის ტრაქტატში თერგდალეულები, უპირველეს ყოვლისა, ძლიერი ქვეყნის ძმურ დახმარებას ხედავდნენ. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ საჭიროდ მიიჩნია რუსთა ჯარის საქართველოში შემოსვლის ასი წლისთავის საგანგებოდ აღნიშვნა და სპეციალური წერილი უძღვნა ამ თარიღს (1899 წ.)[25].

აღნიშნულ წერილში ილია წერდა: „ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხმის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და ოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლებისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზედ და ჩვენს ცოლშვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ საქართველოს... დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღე და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი სამზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი გულრწფელად მიენდო თავის მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული". ეს ვრცელი ამონაწერი კარგად გვისურათებს ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას რუსეთთან დაკავშირებისა და სამხედრო დახმარების მიღების საკითხთან. იმ მაღალ შეფასებას, რომელსაც დიდი ილია აძლევდა ყოველივე ამას. ახლა თუ გავიხსენებთ, როგორ აფასებდა ილია რუსეთის როლს ქართველი ახალგაზრდობის განათლებაში, რუსული კულტურისა და ლიტერატურის ცხოველმყოფელ გავლენას, მოწინავე რუსი მოღვაწეების

---

[25] ი. ჭავჭავაძე, ასის წლის წინათ (პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში) თხზულებათა სრული კრებული, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 207—217.

როლს, გასაგები გახდება, რომ ილია რუსეთთან ერთიანობის, რუსეთთან ძმური კავშირის გულმხურვალე მომხრე იყო. პოლიტიკურ სეპარატიზმამდე იგი არასოდეს არ მისულა.

ილიას მხარში ედგა აკაკი წერეთელიც. ფრიად საგულისხმოა აკაკის შემდეგი სიტყვები: „ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობას და მეგობრობას რუსეთის ერთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელ ჩაკიდებული სიარული, არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“[26].

ვფიქრობთ, ეს სიტყვები კომენტარს არ საჭიროებენ. „ორი რუსეთის“ არსებობას, რეაქციული და პროგრესული ძალების ერთმანეთისაგან განსხვავებას ჩვენი სახელოვანი წინაპრები კარგად ამჩნევდნენ.

აკაკი რუსეთთან მეგობრობას წინაპართა ნაანდერძევ საქმედ თვლიდა. 1914 წელს იგი წერდა: „როცა ჩვენმა წინაპრებმა მოგიწვიეს თქვენ — რუსები, მაშინ მათ ჩვენ, შთამომავლებს, დაგვიტოვეს ანდერძი: არ დავივიწყოთ სტუმართმოყვარეობა, გვიყვარდეს რუსები, ვმეგობრობდეთ მათთან და განუყრელად ვიაროთ ერთი გზით“[27].

ახლა მოვუსმინოთ იაკობ გოგებაშვილს. „ეს პოლიტიკური ერთობა, წერდა იგი,—შეურყეველი კავშირი რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯე[28]. ი. გოგებაშვილი სასტიკად ილაშქრებდა პოლიტიკური სეპარატიზმის წინააღმდეგ. „...ისტორიის მსვლელობამ აუცილებელი გახადა იყოს საქართველო განუყრელი ნაწილი რუსეთის სახელმწიფოსი, მაგრამ ნაწილი თავისებური: საკუთარი ენით, კულტურით, თვითმართველობით. ამიტომ ქართველებს სეპარატიზმს დააბრალებს მტერი, ცილისმწამებელი, პროვოკატორი“[29].

ასეთივე აზრისა იყო რუსეთთან კავშირის საკითხზე ვაჟა-ფშაველაც. აი, მისი სიტყვები: „საქართველო რუსეთის სხეულში, ორგანიზმში კი არ უნდა იყოს გათქვეფილი, როგორც უსულო სანოვაგე, არამედ მას ედგას გვერდით, როგორც ცოცხალი, საღი არსება რუსეთთან ერთად მოსიარულე პროგრესის გზაზე“[30].

„მოწინავე რუსეთს ყოველთვის მხარი უნდა მივცეთ — წერდა ი. გოგებაშვილი, — ... ამას მოითხოვს ჩვენი მომავალი ბედნიერება“[31]. „ჩვენ რუსები, ქართველები, სომხები ვინ გაგვყო, ვინ გაგვაცალკევა?—კითხულობდა სერგეი მესხი, — თვითოეულ ჩვენგანს რასაკვირველია, რომ ერთი ბედი გვაქვს, ერთი ნატვრა და სურვილი გვქონდეს“[32].

რუსეთთან ერთობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ნიკო ნიკოლაძეც. იგი წერდა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაკი საქართველო თავის სვებედს თუნდაც თანამედროვე რუსეთს დაუკავშირებს, იგი უფრო მალე მიაღ-

---

[26] გაზ. „კლდე“, 1913, № 6.

[27] გაზ. «Закавказская речь,» 1914, 4 მაისის ნომერი.

[28] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1, 1955, გვ. 353.

[29] იქვე, ტ. 3, გვ. 245.

[30] ვაჟა-ფშაველა, თხზულებები, V, 1961, გვ. 266.

[31] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, 11, გვ. 433.

[32] გაზ. „დროება“, 1877, № 199.

წევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (არაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) უეროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებსაც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის"[33].

ასეთი იყო თერგდალეულთა პოზიცია რუსეთთან ერთიანობის საკითხში. ცარიზმის მძიმე რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა, ეროვნულ თავისუფლებაზე ფიქრი მათ არასოდეს მიჰყავდათ სეპარატიზმამდე, რუსეთთან ერთიანობის უარყოფამდე. პირიქით, თავიანთი იდეალების განხორიცელებისათვის ბრძოლაში მათ რუსეთის პროგრესული ძალების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ.

XIX ს-ის ღამლევს და XX ს-ის დასაწყისში რუსეთთან ურთიერთობის საკითხმა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია. ეს შეპირობებული იყო საქართველოში ბურჟუაზიული საზოგადოების ჩამოყალიბებით, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გაძლიერებით და საერთოდ, რუსეთის იმპერიალიზმში გადასვლასთან დაკავშირებით ეროვნული საკითხის გამწვავებით. ბუნებრივია, რომ სწორედ ამ ხანებში მრავალგვარი თვალსაზრისი აღმოცენდა როგორც 1783 წლის ხელშეკრულების, ასევე საერთოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხებზე.

ქვეყნის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მარქსიზმის გავრცელება და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმოცენება. მუშათა კლასის და მისი რევოლუციური მოძრაობის ზრდა მოითხოვდა ყველაზე რევოლუციური თეორიის დანერგვას და გავრცელებას. ასეთ პირობებში კარდინალურად იცვლებოდა მიდგომა ეროვნული საკითხისადმი: ეს საკითხი დაექვემდებარა მთავარი სოციალური საკითხის — მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის განთავისუფლების საკითხს და მის გადაწყვეტას ინტერნაციონალიზმის პრინციპი დაედო საფუძვლად. თვითმმართველობისა და ავტონომიის მოთხოვნამ ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფოს ფარგლებში დაკარგა აქტუალობა და ადგილი დაუთმო ერთა თვითგამორკვევის პრინციპს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ვითარებაში. ბურჟუაზიამ, წვრილბურჟუაზიულმა ფენებმა და მათი ინტერესების გამომხატველმა პარტიებმა სწორედ ავტონომიზმის მოთხოვნას ჩასჭიდეს ხელი და ამით საფრთხეს უქმნიდნენ მუშათა რევოლუციური ბრძოლის ინტერნაციონალურ ხასიათს, მათ სურდათ ეროვნულ საკითხზე გადაეტანათ რევოლუციური მასების ყურადღება, დაესუსტებიათ მათი ბრძოლის ერთიანობის შეგნება.

შემუშავდა ე. წ. „საერთო ნიადაგის" თეორია. რომელიც კლასობრივ საზოგადოებაში ეროვნულ ინტერესთა ერთიანობას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე კლასობრივ ბრძოლას. ეს თეორია ქადაგებდა წოდებრივ ზავს, კლასთა თანამშრომლობას და ბურჟუაზიული კლასის წისქვილზე ასხამდა წყალს.

ქართველმა მარქსისტებმა სასტიკად გააკრიტიკეს ეს თეორია. მათ უჩვენეს, ეროვნული საკითხის დაქვემდებარებული ადგილი რევოლუციურ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, მუშათა კლასის ინტერესებისადმი ეროვნული ავტო-

[33] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები,1, 1931, გვ. 175; შდრ. თხზულებები, 1, 1962, გვ. 266.

ნომიის მოთხოვნის შეუთავსებლობა სოციალისტური რევოლუციის განხორციელებამდე, დაასაბუთეს რუსეთის მშრომელების ინტერნაციონალური ბრძოლის აუცილებლობა.

ბურჟუაზიულმა ეროვნულმა მოძრაობამ და ეროვნულმა საკითხმა ორგანიზაციული გაფორმება ჯერ კიდევ 1892 წელს ვარშავაში შექმნილ „საქართველოს განთავისუფლების ლიგაში“ პოვა. შემდეგ ამ ლიგის იდეების განვითარებას ე. წ. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი ახდენს, 1903 წელს კი ყალიბდება სოციალისტ-ფედერალისტური მიმდინარეობა, რომელიც შემდეგში პოლიტიკურ პარტიად გაფორმდა. ამ მიმართულების ორგანო იყო გაზ. „საქართველო“, ხოლო ლიდერი — არჩილ ჯორჯაძე. ავტონომია და ფედერაცია იყო მათი მთავარი მოთხოვნა. ეროვნული ავტონომიის მოთხოვნის საფუძვლად ეს ჯგუფი 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას მიიჩნევდა.

საქართველოს იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ გვიანი თერგდალეულები და ლიბერალურ-ხალხოსნური მიმართულების მოღვაწეები.

გეორგიევსკის ტრაქტატისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიოგრაფიაში ამ პერიოდში შეიძლება გამოიყოს სამი მთავარი მიმართულება: ბურჟუაზიულ-ლიბერალური, დემოკრატიული და მარქსისტული. იყო სხვა მიმართულებებიც, მაგ., საეკლესიო-კლერიკალური, თავადაზნაურულ-რეაქციული და ა. შ., მაგრამ მათი ხვედრითი წონა არ იყო დიდი და ამიტომ მათ შესახებ ამჟამად არაფერს ვიტყვით.

ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულებისა იყვნენ „ცნობის ფურცლისა“ და გაზ. „საქართველოს“ პუბლიცისტები (სოციალისტ-ფედერალისტები), დემოკრატიულ მიმდინარეობას განასახიერებდნენ გვიანი თერგდალეულები და მათი თანამგრძნობელები. მარქსისტული ისტორიოგრაფია კი წარმოდგენილია ქართველი მარქსისტების შრომებში.

ლიბერალური მიმართულება დიდი სიჭრელით ხასიათდება. აქ ერთიანდებოდნენ სხვადასხვა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლები: ეროვნულ-დემოკრატები, კონსტიტუციური დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და სხვ. თვალსაჩინო ნაშრომები შექმნეს მ. ხელთუფლიშვილმა, ზ. ავალიშვილმა, ნიკო ერისთავ-შერვაშიძემ, გულბაათმა (გულბათაშვილი?) და სხვებმა[34]!

მ. ხელთუფლიშვილის ნაშრომში მოცემულია საქართველოს რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებული აქტების იურიდიული ანალიზი. ავტორს მიაჩნია, რომ საქართველო უკვე 1783 წლის ტრაქტატით და გიორგი მეფის და სხვა მფლობელთა ე. წ. „სათხოვარი პუნქტების“ საფუძველზე შევიდა რუსე-

---

[34] იხ. М. Хелтуплишвили, Вступление Грузии в состав Российской империи. ეს ნაშრომი თავდაპირველად დაიბეჭდა 1891 წ. «Юридический вестник»-ში, ხოლო 1901 წელს ცალკე ბროშურად გამოქვეყნდა ქუთაისში; З. Авалов, Присоединение Грузии к России СПб, 1901; მეორე გამოცემა გამოვიდა 1906 წ; [Гульбат] По поводу столетия присоединения Грузии к России, Русский архив, 1900, № 4; გვ. 649—651; Н. Эристав-Шервашидзе, Памятная записка о нуждах грузинского народа, М., 1906, А. Хаханов, Столетняя годовщина присоединения Грузии к России, Вестник Европы, 1901, I, გვ. 340—366; Его же, К столетию присоединения Грузии к России (юридические акты), Русская старина, 1901, кн. I, разд. II, გვ. 111—131; გ. ჟორდანია, აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია?, 1917.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის სახელმწიფოს შემადგენლობაში. „1783 წლის ტრაქტატითა და „სათხოვარი პუნქტებით" საქართველო ყველა თავისი შემადგენელი ნაწილებით შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და იცნო სრულიად რუსეთის იმპერატორი თავის ხელმწიფედ და თვითმპყრობელად", — წერდა მ. ხელთუფლიშვილი[35]. ტრაქტატის მიხედვით მყარდებოდა მფარველობა-პროტექტორატი საქართველოზე, „სათხოვარი პუნქტები" კი, ავტორის აზრით, სიუზერენულ-ვასალურ დამოკიდებულებას ამკვიდრებდა რუსეთსა და საქართველოს შორის. რაც შეეხება პავლეს მანიფესტს, მას ავტორი, როგორც ჩანს, უკანონო აქტად მიიჩნევს. ავტორი იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთის იმპერატორები არ ასრულებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მაგრამ არც ხელშეკრულებით მოპოვებულ უფლებებზე ამბობდნენ უარს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობის საკითხს ავტორი ყრუდ უვლის გვერდს.

ზ. ავალიშვილის მონოგრაფია ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევაა[36]. მაგრამ ავტორს უპირატესად საერთაშორისო-პოლიტიკური ასპექტები აინტერესებს და საქართველოს რუსეთთან შეერთების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული შედეგები მისი განხილვის საგნად არ ქცეულან. ღრმა ისტორიულ ექსკურსს (სელჯუკების დროიდან) ავტორი მიჰყავს საქართველოს რუსეთთან შეერთების გარდაუვალობის აღიარებამდე, მაგრამ რატომღაც ამტკიცებს, რომ რუსეთს ამ შემთხვევაში არ გააჩნდა არც ეკონომიკური და არც ტერიტორიული ინტერესები, რომ შეერთება მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ქართველთა მისწრაფების შედეგად ჰყოლოდათ ძლიერი მფარველი, გამხდარიყვნენ რუსეთის ქვეშევრდომნი. რაც შეეხება იმ პრივილეგიებს, რომელთაც ქართველები ითხოვდნენ (შეერთებას ხელშეკრულების საფუძველზე, სამეფოს დატოვებით), ისინი ვერ ეგუებოდნენ რუსეთის სახელმწიფოს ხასიათს და უყურადღებოდ იქნენ დატოვებულნი.

1783 წლის ხელშეკრულებამ ზ. ავალიშვილის აზრით, რუსეთსა და საქართველოს შორის დაამყარა ისეთი ურთიერთობა, რომელიც შეიძლება მიჩნეული იქნას როგორც პროტექტორატად, ასევე ვასალიტეტად, თუ ამ ტერმინებს ფართო აზრით ვიხმართ[37]. ავტორის მთავარი ყურადღება მიმართულია 1801 წლის აქტისადმი, ამ აქტს თვლის იგი საქართველოს რუსეთთან შეერთებად და დაწვრილებით აქვს განხილული მისი განხორციელების პერიპეტიები.

ქართველთა პროგრამა, გამოხატული 1783 წლის ხელშეკრულებაში, ავტორის სიტყვით, განაგრძობდა არსებობას XIX საუკუნეშიც. მაგრამ ის ამ დროს უკვე წარსული იყო, ახალი წესრიგი კი „კარს უღებდა საქართველოსათვის თუ საუკეთესოს არა. უფრო რეგულარულ (ალბათ, წესრიგიან — შ. ხ.) მომავალს"[38].

ერთობ საინტერესო ჩანს ნ. ერისთავ-შერვაშიძის კონცეფცია. ზემოთ დასახელებულ ნაშრომში ის ამტკიცებს, რომ საქართველოს დაკავშირება რუსეთთან 1783 წლის ხელშეკრულებით მოხდა არა იმის გამო, რომ საქარ-

---

[35] მ. ხელთუფლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

[36] ზ. ავალიშვილის ამ წიგნს რეცენზიით გამოეხმაურა ფ. მახარაძე. იხ. ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, 1, ტფ., 1926, გვ. 309 და შმდ.

[37] ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

[38] იქვე, გვ. 253.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველო ამ დროს მძიმე მდგომარეობაში იყო და გამოსავალს ეძებდა, არამედ ჩვენი ქვეყნის მისწრაფებით შეექმნა ძლიერი შემტევი კავშირი თურქეთის შესამუსრავად მცირე აზიაში. ავტორის აზრით, საქართველო რუსეთთან დაკავშირების ხანაში აღმავლობასა და გაძლიერების გზაზე იდგა. „არა იმჟამინდელი საქართველოს სისუსტე გახდა მიზეზი რუსეთის უმაღლესი პროტექტორატის ნებაყოფლობით აღიარებისა, ... არამედ იმდროინდელი ქართველი მოღვაწეების გულწრფელი სურვილი შეექმნათ დარაზმული, ძლიერი, შემტევი კავშირი ძლევამოსილი თურქი სულთნების წინააღმდეგ და ხმლის ერთი დაკვრით გაენადგურებინათ მათი საძულველი ბატონობა მცირე აზიის ფარგლებში“, — ვკითხულობთ ნ. ერისთავ-შევრაშიძის ნაშრომში[39].

ავტორი ამ კავშირთან დაკავშირებულ შინაგან მიზნებსაც ეხება. იგი თვლის რომ რუსეთის დახმარება მისცემს საქართველოს საშუალებას გაერთიანდეს, მოაწესრიგოს შინაგანი ცხოვრება და უზრუნველყოს მშვიდობიანი ცხოვრება და განვითარება.

ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს 1783 წლის ხელშეკრულებას, იშველიებს ამ ტრაქტატის მ. ხელთუფლიშვილისეულ ანალიზს და თვლის, რომ საქართველო „1783 წლის ტრაქტატისა ძალით და სათხოვარი პუნქტების სახით წარმოდგენილი ნოტის საფუძველზე მთელი თავისი ნაწილებით შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“[40]. ავტორი ამტკიცებს, რომ შეერთებაში ხალხმა დინასტიის უბრალო შეცვლა დაინახაო (ბაგრატიონების შეცვლა რომანოვებით) და ვინაიდან უმაღლესი პრეროგატივების ეს გადაცემა ნებაყოფლობით მოხდა მას არავითარი პროტესტი, არავითარი სისხლისღვრა არ გამოუწვევიაო“[41]. ხალხი ერთგულია თავისი იმპერატორის—ამტკიცებს ნ. ერისთავ-შერვაშიძე. მაგრამ ახალი მმართველობის მანკიერებანი, შეზღუდვები, ბიუროკრატიზმი და სხვა გახდა მიზეზი მისი უკმაყოფილებისაო. მთელი მსჯელობა მიდის იქით, რომ საქართველოს თვითმმართველობა უნდა მიეცესო. დასკვნითი აზრი ასეთია: „გადასცა რა თავისი ბედი რუსეთის იმპერატორს, ქართველი ხალხი ამით შევიდა რუსეთის სახელმწიფოს ხალხთა დიდ ოჯახში. და პატარა საქართველო არ მისულა ცარიელი ხელებით თავის უფროს ძმასთან. მან თან მოიტანა მრავალსაუკუნოვანი კულტურული და ისტორიული ცხოვრება, შესანიშნავი წარსულით გამდიდრებული და გააზრებული ცხოვრება.. არანაკლებ შესანიშნავი აწმყოთი, რაც გამოხატულია სამშობლოსადმი და საერთო სახელმწიფოსადმი ცხარე სიყვარულით, ენერგიისა და ინტელექტუალური უნარის უზარმაზარი მარაგით, რაც წარსულში მეცნიერებისადმი, ლიტერატურისადმი და ღვთისმეტყველებისადმი სიყვარულში გამოიხატებოდა. აი, რატომ უკავია პატარა საქართველოს თვალსაჩინო ადგილი რუსეთის სახელმწიფოს ხალხთა ოჯახში და აი, რატომ უნდა მოეწყოს მეფის ნება-სურვილით ქართველი ხალხის ბედი ისე, რომ ხალხის მთელი ინტელექტუალური უნარი ვითარდებოდეს ცხოვრების ნორმალურ პირობებში და გულკეთილ ქართველს შეეძლოს მიეცეს კულტურულ მუშაობას თავისი წინაპრების მიწაზე“[42]. ამ ვრცელ ამონაწერში, რა თქმა უნდა, შეცდომაში არ უნდა შეგვიყვა-

[39] ნ. ერისთავ-შერვაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14—15.

[40] იქვე, გვ. 18.

[41] იქვე, გვ. 17—18.

[42] იქვე, გვ. 24—25.

ნოს საუბარმა ხალხის ინტერესებზე და ხალხის სახელით. მთელ ამ ტირადაში კარგად ჩანს ავტორის ქვეშევრდომლური განწყობილება მეფის მთავრობის მიმართ, ტიპიურია მისი მოწოდება, რომ არსებული წყობილების პირობებში, „მეფის სურვილით“ მოეწყოს ქართველი ხალხის უკეთესი ბედიო. ასე გადაჰქონდათ ლიბერალ ავტორებს მთელი ყურადღება მწვავე სოციალური საკითხებიდან ეროვნულ „ტკივილებზე“ და გვერდს უვლიდნენ ცარიზმის მძიმე რეჟიმის როლს ამ ტკივილების წარმოქმნასა და გაძლიერებაში.

საერთოდ ლიბერალური მიმართულების ავტორთა ნაკლია დინასტიური ინტერესებისა და მათი შელახვის წინ წამოწევა, საქართველოს რუსეთთან შეერთების ობიექტურად დადებითი შედეგების უგულებელყოფა, ან კიდევ მათი მიწერა რუსეთის მთავრობისათვის, სამართლიანობის განყენებული პრინციპით მთავრობის დანამუსება და იმედი, რომ სწორედ მთავრობა დაუყუჩებს ხალხს ეროვნულ ტკივილებს. ასეთი პოზიციის კლასობრივი საფუძვლები ნათელია: ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების დაკმაყოფილება — ასეთია მათი სურვილი.

ანალოგიურ პოზიციებზე დგას ალ. ხახანაშვილიც. ისიც ფიქრობს, რომ სამართლიანობის პრინციპზე მითითებით შეიძლება მთავრობას გამოსტაცო ქართველთა ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილება, მასაც მთელი ყურადღება გადაჰქვს მთავრობის მიერ ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების დარღვევაზე და უყურადღებოდ ტოვებს შეერთების ობიექტურად დადებით მნიშვნელობას და შედეგებს.

დემოკრატიული მიმართულების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი XIX საუკუნის დამდეგის ქართველ ისტორიკოსთა შორის ივ. ჯავახიშვილი გახლდათ. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში გამოქვეყნებულ ნარკვევში: „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.. ივ. ჯავახიშვილი აკრიტიკებს მეფის მთავრობის პოლიტიკას, მის მიერ ხელშეკრულების დარღვევას, 1801 წლის უკანონო აქტს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი გამოდის არა გაბატონებული კლასის ინტერესებიდან, არა მათი პოზიციიდან, არამედ ქართველი მშრომელების და პირველ რიგში გლეხობის ინტერესებიდან. ამ ნაშრომში მხილებულია მთავრობის ანტიხალხური ღონისძიებები, მითითებულია გლეხთა სოციალური ბრძოლის ღრმა მიზეზები, დასაბუთებულია, რომ რუსეთის ადმინისტრაციამ თვითონვე გაიტეხა სახელი და დაკარგა ნდობა ხალხში. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას აქცევს იმას, რომ რევოლუციის დღეებში ხალხმა თვითონ შექმნა თავისი ადმინისტრაციული ორგანოები და წერს: ქართველმა ხალხმა „შექმნა თავისი საკუთარი არჩევითი ადმინისტრაცია, თავისი არჩევითი სახალხო სასამართლო. რა თქმა უნდა, ეს დაწესებულებები არ იყო უზადო, მაგრამ სამაგიეროდ იყო სავსებით დემოკრატიული და გასაგები, ვინაიდან ყველაფერი ქართულ ენაზე წარიმართებოდა და კონტროლს ექვემდებარებოდა. ამაში გამომჟღავნდა ორგანიზაციული უნარი და მრავალსაუკუნოვანი კულტურა ქართველი ხალხისა“[45].

დემოკრატიულ მიმართულებასაც ახასიათებდა ის ნაკლი, რომელიც ლიბერალებს ჰქონდათ. ისინი ვერ ხედავდნენ და არ აანალიზებდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების ობიექტურად დადებით შედეგებს და რაც მთავა-

[43] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, თბ., 1953, გვ. 128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია, ისინი ეროვნულ საკითხს უპირატესობას ანიჭებდნენ სოციალურთან შედარებით.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ და საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში ახალი ძალით აგორდა ნაციონალიზმის ტალღა, რომელმაც გაჟღინთა როგორც ლიბერალური, ასევე დემოკრატიული მიმართულების ავტორთა შრომები. ამ პოზიციებიდან დაიწერა დ. ჭიაბრიშვილის, ალ. ცაგარელის, გრ. ვეშაპელის და სხვათა ნაშრომები[44].

1783 წლის ტრაქტატისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხზე ერთადერთი სწორი და მეცნიერული თვალსაზრისი მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიური პოზიციებიდან შეიქმნა. მარქსიზმის კლასიკოსები. როგორც ცნობილია, დიდ ყურადღებას აქცევდნენ კოლონიური ხალხებისა და ქვეყნების განმათავისუფლებელ ბრძოლას, ეროვნულ საკითხს. ისინი ამ ბრძოლას პროლეტარული რევოლუციის სარეზერვო ძალად თვლიდნენ. მართალია, მათ არ მოეპოვებათ სპეციალური ნაშრომი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, მაგრამ მათ შრომებში გააფნტული ცალკეული შენიშვნებიდან საკმაოდ შესაძლებელი ხდება გამოვარკვიოთ ძირითადი დებულებები საქართველოს რსეთთან შეერთების საკითხზე, ამ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის პრინციპები.

მარქსისა და ენგელსის შენიშვნები ამ საკითხზე დაკავშირებულია მათ შეხედულებებთან ე. წ. „აღმოსავლეთის საკითხზე“. ამდენად, ისინი ვრცელი და ფართო პრობლემატიკის ერთ ნაწილს წარმოადგენენ. მთლიანად „აღმოსავლეთის საკითხზე“ მარქსისტული კონცეფციის გადმოცემა ჩვენ არ დავგჭირდება, მაგრამ ცალკეული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საქართველოს რუსეთთან შეერთების პრობლემასთან, რუსეთ-საქართველოს ერთიანობის პრობლემასთან, მოგვცემს მასალას ზოგადი თვალსაზრისის წარმოსადგენად.

დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ მარქსი და ენგელსი არაერთხელ აღნიშნავდნენ საქართველოს მნიშვნელობას რუსეთისათვის. სტატიაში „ყარსის დაცემა“ კ. მარქსი დეტალურად ასაბუთებს საქართველოს დიდ პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას რუსეთისათვის[45]. რუსეთის ძალაუფლების ცენტრად აზიაში მარქსი და ენგელსი თბილისს თვლიდნენ[46]. ამასთან ერთად ისინი არაერთხელ უსვამენ ხაზს რუსეთის პროგრესულ როლს ამ ქვეყნების მიმართ. ენგელსი წერდა მარქსს: „რუსეთის ბატონობა ასრულებს მაცივილიზებელ როლს შავი და კასპიის ზღვებისათვის, ცენტრალური აზიისათვისო[47]. მეორეგან იგი წერს, რომ სლავები და სხვა ქრისტიანი ხალხები, რომლებიც თურქეთის უღელქვეშ გმინავენ, რუსეთში ხედავენ თავიანთ მხსნელს და განმათავისუფლებელსო[48]. საქართველოს მიმართ ენგელსს ნათქვამი აქვს: რუსეთმა საქართველოს პროვინციები უბრალოდ კი არ დაიკავა, არამედ

---

[44] Д. Чиабров, Грузия и Россия, Тфл., 1919; А. Цагарели, Непререкаемые права Грузии на признание ея независимости, Тфл., 1919; Г. Вешапели, Единство Грузии и русский протекторат, М., 1917; Его же, საქართველო და რუსეთი, 1918; А. Сумбатов, В мощных объятиях, Пгд., 1919 და სხვ.

[45] МЭ, 11, გვ. 636—639.

[46] იქვე, 598—599.

[47] იქვე, ტ. 27, გვ. 241.

[48] იქვე, ტ.9, გვ. 32.

ისინი მუსულმანებს წაართვაო[49]. ამას ენგელსი დადებით მოვლენად თვლიდა. მაგრამ იქვე იგი აკრიტიკებს რუსეთის მთავრობას, რომელმაც თავისი მძიმე კოლონიური პოლიტიკით ეს ქვეყანა ააჯანყა და „კავკასია შესანარჩუნებელი გაუხდათო“[50].

ამრიგად, მარქსიზმის კლასიკოსები აღიარებენ რუსეთის დადებით როლს აღნიშნული ხალხების მიმართ, ამ ქვეყნების დიდ მნიშვნელობას რუსეთისათვის და იქვე იძლევიან ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის კრიტიკას. მარქსისათვის მისაღები იყო რუსეთის მფარველობა ამ ხალხთა მიმართ, მაგრამ მფარველობის შეცვლა უშუალო ბატონობით მის აღშფოთებას იწვევდა. იგი აკრიტიკებს ცარიზმის მისწრაფებას წაართვას ხალხებს თვითმმართველობა, მფარველობა უშუალო ბატონობით შეცვალოს. „კაცობრიობას არ უნდა დააკისროს—წერდა მარქსი,—რომ რუსეთი იყო მფარველი პოლონეთისა, მფარველი ყირიმისა, მფარველი კურლანდიისა, მფარველი საქართველოს, სამეგრელოსი, ჩერქეზთა და კავკასიელ ტომთა. . .“ ამის გამო მარქსი და ენგელსი ამართლებდნენ ცარიზმის უღელქვეშ მოხვედრილ ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას. საქართველოს მარქსი რუსეთის პოლონეთად თვლიდა კავკასიაში.

რუსეთთან შეერთების პროგრესულობას აღიარება და ცარიზმის კოლონიური რეჟიმის კრიტიკა წარმოადგენენ ამოსავალ პრინციპებს საქართველოს რუსეთთან შეერთების მეცნიერული შეფასებისათვის.

ამ პრინციპებს ემყარება და ავითარებს ვ. ი. ლენინი. იგი აღნიშნავდა კავკასიისა და რუსეთის სხვა განაპირა რაიონების განსაკუთრებულ მნიშვნელობას კაპიტალიზმის განვითარებისათვის. „ეს რაიონები, — ლენინის სიტყვით, — უზრუნველყოფენ მის უდიდეს განვითარებას არა მარტო სიღრმეში, არამედ სიგანეშიცო“[51]. ამასთან ვ.ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა რუსეთის კაპიტალიზმის სასიკეთო გავლენას განაპირა მხარეების და მათ შორის კავკასიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. „რუსეთის კაპიტალიზმი. — წერდა ვ. ი. ლენინი, — კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს.

თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი შინამრეწველური სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკების კონკურენციის გამო. ეცემოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქციის კონკურენციის გამო. აგრეთვე სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონისა, და სოდის, ტყავის და სხვ. შინამრეწველური დამუშავება. ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაწარმს.

ეცემოდა რქის დამუშავება ყანწად საქართველოში ფეოდალური წყობილებისა დ მისი ისტორიული ნადიმების დაცემის გამო, ეცემოდა ქუდის სარეწი აზიური კოსტუმის ევროპულით შეცვლის გამო, ეცემოდა რუმბებისა

---

[49] МЭ, ტ. 9 გვ. 408.

[50] იქვე, 408—409.

[51] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, 4, გვ. 101.

ქვევრების წარმოება ადგილობრივი ღვინისათვის, რომელიც პირველად გაჰქონდათ გასაყიდად (რაც იწვევდა მეკასრეობის განვითარებას)...“[52]

ვ. ი. ლენინი საქართველოს რუსეთთან შეერთების ყველაზე ღრმა და არსებით შედეგებს ამ მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში ხედავდა. იგი მიუთითებდა, რომ რუსეთის გავლენით საქართველოში მიმდინარეობს „პროცესი მოსახლეობის მიზიდვისა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ“, რის შედეგადაც სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის შეფარდება საქართველოში ქალაქის სასარგებლოდ იცვლებოდა. ეს კი ბურჟუაზიული ურთიერთობის ზრდასა და გაძლიერებას ნიშნავდა. საქართველოს, ვ. ი. ლენინის სიტყვით. „ახასიათებს სამთო მრეწველობის გასაოცარი ზრდა რეფორმის შემდგომ პერიოდში“[53], საქართველოში განხორციელდა სამრეწველო რევოლუცია.

ყოველივე ამასთან ერთად ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა ცარიზმის დიდმპყრობელურ პოლიტიკას, ლაპარაკობდა კავკასიის დაპყრობაზე ცარიზმის მიერ, აკრიტიკებდა მის მძიმე კოლონიურ რეჟიმს. მაგალითად, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ საგლეხო რეფორმის დროს გლეხთა ყოვლად უსინდისო გაძარცვის შედეგად „თბილისის გუბერნიაში სრულიად უმიწოდ დატოვებულ იქნა 1944 კომლი და 386-ს საკარმიდამო მიწაც კი არ მიუღია. ეს შეადგენს თბილისის გუბერნიის საბატონო გლეხთა საერთო რაოდენობის 13 %-ს“[54]. დასავლეთ საქართველოში, — განაგრძობდა ვ. ი. ლენინი, — უმიწაწყალოდ დატოვებული იქნა გლეხთა კიდევ უფრო მეტი რაოდენობა. აქ იყო „5590 კომლი ანუ 25000 სული, რომელთაც ერთი ნაჭერი მიწაც კი არ მიუღიათ კავკასიაში გლეხთა განთავისუფლების დროს“[55].

ასევე ღირსშესანიშნავია ვ. ი. ლენინის მიერ ცარიზმის საგადასახლებო (საკოლონიზაციო) პოლიტიკის მხილება. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მეფის მთავრობის წაქეზებით და ხელშეწყობით „რეფორმისშემდგომ ხანში... ხდებოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია“[56], რაც იწვევდა ამ ქვეყნის გლეხთა კიდევ უფრო მეტ შევიწროებას. ვ. ი ლენინს მოჰყავს საქართველოს გლეხთა მცირემიწიანობის დამახასიათებელი ციფრები და აკეთებს შემდეგ დასკვნას: „თუ მცირემიწიანობის მხრივ კავკასიელ ხალხთა მდგომარეობა ბევრით არაფრით განსხვავდება რუსეთის გლეხთა მდგომარეობისაგან, მაშინ საკითხავია საიდანღა იქმნება მიწის საკოლონიზაციო ფონდი კავკასიაში და რისთვის ხდება იქ გადასახლება ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი გლეხების განსახლება მოახდინონ?“ და იქვე პასუხობს:? გადასახლების ფონდი იქმნება ადგილობრივ მკვიდრთა საადგილმამულო უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის გზით. ხოლო რუსეთიდან გადასახლება ხდება „განაპირა მხარეების რუსიფიკაციის“ კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპისათვის“[58].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვ. ი. ლენინი ღრმად წვდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ შედეგებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. დადებითად აფასებდა ამ შეერთებას და

---

[52] ვ. ი. ლენინი, ტ. 3, გვ. 703—705.
[53] იქვე გვ. 581.
[54] იქვე, ტ. 18, გვ. 100.
[55] იქვე.
[56] იქვე, გვ. 703.
[57] იქვე, გვ. 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე აკრიტიკებდა მეფის მთავრობის კოლონიურ რეჟიმს, მის პოლიტიკას შემოერთებული ხალხების მიმართ. ერთი სიტყვით, შეერთების დადებითი და ჩრდილოვანი მხარეები ხაზგასმით არის შეფასებული ვ. ი. ლენინის ნეცნიერულ მემკვიდრეობაში. ცხადია, ეს გამორიცხავს ამ მოვლენის ერთნაშნა შეფასების შესაძლებლობას, მიუთითებს მოვლენის რთულ ხასიათზე და მოითხოვს დიალექტიკურ მიდგომას ისტორიული პროცესების შეფასებისადმი.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მძიმე ხასიათი მიაჩნია ვ. ი. ლენინს ქართველი მშრომელების რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმის მიზეზად. იგი მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველოს მშრომელების რევოლუციურ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და ექსპლუატატორული წყობილების წინააღმდეგ.

ლენინური პოზიციებიდან აფასებდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხს ქართველ მარქსისტ-ლენინელები: ლ. კეცხოველი, ალ. წულუკიძე, ფ. მახარაძე, ი. სტალინი, მ. ცხაკაია და სხვები.

ეროვნული საკითხის ღრმა მეცნიერული გაშუქება, ეროვნულ მოძრაობათა ხასიათისა და მნიშვნელობის სწორი შეფასება გახდა ამ საკითხზე მათი შეხედულებების ამოსავალ წერტილად. ალ. წულუკიძემ, ი. სტალინმა, ფ. მახარაძემ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს „საერთო ნიადაგის“ და „ეროვნული ავტონომიის“ არჩილ ჯორჯაძისეული თვალსაზრისი. ეროვნულ საკითხს ისინი ისევე კლასობრივ საკითხად თვლიან. როგორც ყველა საზოგადოებრივ საკითხს და მის გადაწყვეტას პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების შესაბამისად მოითხოვენ. ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს ისინი სავსებით კანონზომიერ მოთხოვნად მიიჩნევენ და უკავშირებენ მათ ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას. გზა. „ბრძოლა“ აღნიშნავდა: „პოლიტიკური თავისუფლება და მამულიშვილის უფლებანი—აი, ანდერძი მეცხრამეტე საუკუნისა და ეს ანდერძი უნდა მოვიყვანოთ სისრულეში ჩვენ — სოციალ-დემოკრატებმა“.

1901 წლის სექტემბერში გაზ. „ბრძოლის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ლ. კეცხოველის სტატია: „ასი წლის იუბილეს გამო (წერილი ქართველ მუშებთან)“, რომელშიც მხილებულია ქართველ თავადაზნაურთა და ბურჟუაზიის იმ კალმოსნების და პოლიტიკური წრეების ყალბი, ცრუპატრიოტული აჟიოტაჟი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის გამო. ეს მოღვაწეები ისევე. როგორც ცარიზმის ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები, საქართველოს რუსეთთან შეერთების დადებით შედეგებს მთავრობის დამსახურებად ასაღებდნენ, ქებასა და დიდებას ასხამდნენ მის პოლიტიკას ქართველების მიმართ და ამ საუფძველზე 1801 წელს ისინი ქართველთა ეროვნულ დღესასწაულად თვლიდნენ, ზეიმით აღნიშნავდნენ მის ასწლოვან იუბილეს. ლ. კეცხოველმა ამხილა ამ პოზიციის რეაქციული ხასიათი. მან მიუთითა, რომ მეფის მთავრობა „ამ გემრიელ ლუკმას — საქართველოს კარგა ხანია მუშტრის თვალით უყურებდა“. რომ „მთავრობის გახრწნილ პოლიტიკას“ ქართველებისათვის არავითარი სიკეთე არ მოუტანია. მთავრობას არავითარი წვლილი არ მიუძღვის საქართველოს რუსეთთან შეერთების დადებით შედეგებში, რომელთა მართებული გაგება და შეფასება მხოლოდ მარქსისტებს შეეძლოთ. ეს დადებითი შედეგები ლ. კეცხოველს ჩვენი ხალხების ერთიანობისა და დაახლოების ობიექტური პროცესის თანმხლებ მოვლენად მიაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთივე თვალსაზრისია გამოთქმული ლენინური „ისკრის“ სარედაქციო სტატიაში (1901 წ., №13, 20 დეკემბერი), რომლის სათაურია: „რუსული ხიშტის ასი წელი საქართველოში“. აქ აღნიშნულია თუ როგორ მაამებლურად იზეიმეს ქართველმა თავადაზნაურებმა და ბურჟუაზიამ საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავი. ეს ზეიმი აშკარად ატარებდა ცარისტულ ხასიათს. იგი ზიზღს იწვევდა არა მარტო მშრომელ მასებში, არამედ თვით თავადაზნაურთა მცირე, მაგრამ შეგნებულ ნაწილში. ასევე კრიტიკულად შეხვდა ამ იუბილეს ლიბერალური ინტელიგენცია, რომლის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს პროკლამაცია (იგულისხმება, ალბათ, ეროვნული-დემოკრატების კომიტეტის მიერ 1901 წელს გამოცემული პროკლამაცია-მოწოდება). სადაც მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა მოგვცეს, მაგრამ ეს კრიტიკა ისეთი სუსტი იყო, ისეთი არაფრისმთქმელი ფრაზებით იყო მოცემული, რომ მას ხალხზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

„ისკრა აღნიშნავდა, რომ რეალური და მძლავრი პროტესტი ქართველ თავადაზნაურთა უქვეშევრდომილესი და მონური საქციელის მიმართ ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატებმა გამოხატეს. მათ მხარი მისცეს მუშათა ორგანიზაციებმა. 23 სექტემბერს მათ გამოსცეს პროკლამაცია, სადაც მოცემული იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების მოკლე ისტორიული მიმოხილვა, საქართველოში და კავკასიაში მეფის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების და პოლიტიკის სწორი დახასიათება, ნაჩვენები იყო მათი ანტიხალხური და რეაქციული ხასიათი. პროკლამაცია მოუწოდებდა მშრომელებს დარაზმულიყვნენ ცარიზმის სამარცხვინო უღლის დასამხობად.

იმავე წლის 26 სექტემბერს საქართველოს მუშათა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს ახალი პროკლამაცია (ეს უკვე რუსულ ენაზე), სადაც ქართველ თავადაზნაურებსა და მეფე ნიკოლოზს შორის გამართული დიალოგის სახით მხილებულია თავადაზნაურთა ცარისტული პოზიცია და მთავრობის პოლიტიკის ანტიხალხური არსი.

„ისკრის“ ეს სარედაქციო წერილი იძლეოდა საკმაოდ სწორ ორიენტაციას საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობის მართებულად შეფასების საკითხში.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ფუძემდებლური დებულებები მომარჯვებული და გამოყენებული იქნა თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიერ ამ უაღრესად რთული და მნიშვნელოვანი საკითხის მეცნიერული და საფუძვლიანი დამუშავებისათვის.

ჩვენ გავადევნეთ თვალი გეორგიევსკის ტრაქტატისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიოგრაფიიდან ერთ-ერთი და მთავარი ნაკადის განვითარებას. ეს მოკლე მიმოხილვა ქართული ისტორიული და საზოგადოებრივი აზრის მიერ ამ მოვლენის რევოლუციამდელ შეფასებებს ეხება. სპეციალური განხილვას მოითხოვს არაქართულენოვანი ისტორიოგრაფიის (რუსული

ოფიციალური, ევროპული, აღმოსავლური, მოძმე ხალხების — სომხური, აზერბაიჯანული და სხვ.) შეხედულებები კავკასიისა და საქართველოს (და საერთოდ. არარუს ხალხთა,) რუსეთთან შეერთების საკითხებზე. საიუბილეო დღეები ალბათ ნაყოფიერი იქნება ამ თვალსაზრისითაც.

Ш. А. ХАНТАДЗЕ

ИЗ ИСТОРИОГРАФИИ ГЕОРГИЕВСКОГО ТРАКТАТА

Резюме

В статье прослеживается развитие взглядов грузинских историков и общественных деятелей досоветского периода на заключение Георгиевского трактата и присоединение Грузии к России. Показано возникновение демократического направления в историографии указанных проблем, развитием которого явилась марксистско-ленинская концепция в оценке присоединения Грузии к России.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ გოცვაძე

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერიოდიზაციის საკითხისათვის XV—XVIII საუკუნეებში

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ხანგრძლივი და დიდი ისტორია აქვს, რომლის ცალკეული მხარეების შესწავლას არაერთი მონოგრაფია, სტატია თუ დოკუმენტების კრებული მიეძღვნა.

ერთი შეხედვით, თითქოს შეიძლება ითქვას, რომ ამ ურთიერთობათა გაგების იმდენად მყარი ტრადიციაა შექმნილი, რომ ძნელია მასში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, მაგრამ როგორც თვით ურთიერთობათა შემდგომმა შესწავლამ დაგვანახა, არსებული ტრადიცია, მიუხედავად მისი მაგისტრალური ხაზის სისწორისა, მაინც მოითხოვს ერთგვარ გადასინჯვას.

მკვლევარნი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, როგორც წესი, მხოლოდ ორი ძირითადი მიმართულებით განიხილავდნენ — საქართველოს ურთიერთობის კუთხით რუსეთ-თურქეთ-ირანთან და, მეორე, — საკუთრივ რუსეთ-თურქეთ-ირანისა საქართველოსთან ან მთელ კავკასიასთან დაკავშირებით (რა საკვირველია, იმ დროს შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით). ხოლო ის, რამაც უკვე დღეს მოითხოვა ზემოაღნიშნული ტრადიციული შეხედულების დაზუსტება სხვა არაფერია თუ არა საკუთრივ კავკასიის ხალხთა შორის საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების გათვალისწინება, მისთვის გარკვეული ადგილის მიჩენა ურთიერთობათა მთელ ამ რთულ კომპლექსში. ამის გარეშე დღეს შეუძლებელია რუსეთ-საქართველოსა და თურქეთ-ირან-საქართველოს ურთიერთობათა წარმოდგენა, გაძნელდება აგრეთვე შესწავლა ურთიერთობისა რუსეთ-თურქეთ-ირან-კავკასიისა და საბოლოოდ, თვით რუსეთ-თურქეთ-ირანისა მთელ კავკასიასთან დაკავშირებით.

საკავკასიათშორისო საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი, თავის მხრივ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული სამი ნაწილისაგან შედგება: ერთი — ჩრდილო კავკასიურის, რომელიც მოიცავს ადიღე-ყარაჩაი-ჩერქეზეთ-ბალყარეთ-ყაბარდო-ჩრდილო ოსეთ-ინგუშეთ-დაღესტნის ურთიერთობებს, მეორე — ამიერკავკასიურის: საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანისა და მესამე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩრდილო კავკასიურისა და ამიერკავკასიური ურთიერთობებისაგან.

საკუთრივ საკავკასიათაშორისო საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობას ის ობიექტური ისტორიული მნიშვნელობა ქონდა, რომ იგი თავისი განვითარებით ანელებდა ან აჩქარებდა, ანდა სულაც ცვლიდა ხოლმე როგორც რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობათა ხასიათს, ისე რუსეთ-თურქეთ ირანის ურთიერთობას ცალ-ცალკე კავკასიურ ერთეულებთან, ეს კი თავის მხრივ გარკვეულ დაღს ასვამდა თვით კავკასიური ერთეულების სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებას.

ასე რომ, კავკასიასთან დაკავშირებით საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობა ფაქტობრივ სამი ძირითადი კუთხით უნდა იქნეს განხილული: პირველი — რუსეთ-თურქეთისა და ირანის ურთიერთობის კუთხით საერთოდ და, კერძოდ, კავკასიასთან დაკავშირებით, მეორე—რუსეთ-თურქეთისა და ირანისა ცალკეულ კავკასიურ ერთეულებთან ურთიერთობის კუთხით, დაბოლოს, თვით კავკასიური პოლიტიკური წარმონაქმნების თუ გაერთიანებათა ურთიერთობის კუთხით, რათა ურთიერთობათა მთელი ამ რთული კომპლექსის შედარებით სრული სურათი მივიღოთ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ღრმად და ფართოდ შევდივართ ამ ცალკეული საკითხების შესწავლის საქმეში, მით უფრო მეტად იგრძნობა სწორედ მათი ერთმანეთთან დაკავშირების აუცილებლობა და ამდენადვე მათი ერთ კომპლექსში მოქცევა. ასეთი ვითარების ძირითადი საფუძველი ისაა, რომ კავკასია, მიუხედავად მისი გეოგრაფიული პირობებისა, რომ (იგი კავკასიონით ორად იყო გაყოფილი და, ამასთან, აქ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი სამეფო-სამთავროები, სასულთნო-სახანოები თუ თემობრივ-ფეოდალური გაერთიანებები იყვნენ), რუსეთის, თურქეთისა და ირანისათვის, მისი საბოლოოდ ხელში ჩაგდების თვალსაზრისით, მაინც ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა და ეს, რასაკვირველია, უმნიშვნელო ფაქტორი არ იყო, როგორც მათ ურთიერთშორის დამოკიდებულებაში, ისე საკუთრივ კავკასიურ ერთეულებთან მათ ურთიერთობაში. ამ ფაქტორმა უკვე თავის მხრივ თანმიმდევრულად სამივე დიდი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები კავკასიაში იმდენად პრინციპულად დაუპირისპირა ერთანეთს, რომ მან იმთავითვე გამორიცხა მათ შორის რაიმე შეთანხმების მიღწევა მისი გავლენის სფეროებად განაწილების საქმეში. ამასთან ერთად, მეორე მთავარი საფუძველი ასეთი საერთო მდგომარეობისა ის იყო, რომ თვით კონკრეტული კავკასიური ერთეულები, ეს იქნებოდა საქართველო თუ ყაბარდო, დაღესტანი თუ სომხეთი., ობიექტური პირობების გამო XVI—XVIII საუკუნეებში, რათა უზრუნველეყოთ თავიანთი არსებობა და თავიანთი შემდგომი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური განვითარება, ნებსით თუ უნებლიეთ ორგანულად აღმოჩნდნენ დაკავშირებულ-დამოკიდებულნი თურქეთ-ირანსა და რუსეთზე. ესეც თავისთავად არ იყო უმნიშვნელო ფაქტორი როგორც მათ ურთიერთშორის დამოკიდებულებაში, ისე მათ დამოკიდებულებაში დიდი სამეულის თითოეული წარმომადგენლისადმი.

მართალია, აღნიშნულ პერიოდში, XVI ს-ის ნახევარსა და XVIII საუკუნეში კავკასიურ ერთეულთა დამოკიდებულება დროდადრო იცვლებოდა ხოლმე რომელიმე დიდი ძალის მიმართ, ან მათი უშუალო ძალმომრეობის შედეგად ქვეყნის შიგნით არსებულ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის დასებს შორის ბრძოლით, კონკრეტულ სიტუაციაში დიპლომატიური მანევრირების გამო და სხვ., მაგრამ ამისდა მიუხედავად, კავკასიის ერთეულების მიერ უკვე XVI ს-ის მეორე ნახევარში მათთან ურთიერთობისათვის შემუშავებული საგარეო-პოლიტიკური კურსი, თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის ერთგვარად შენარჩუნების მიზნით, ძირითადად მაინც უცვლელი დარჩა, რაც, რასაკვირველია, შემთხვევითი გარემოება არ იყო.

ყოველივე ამის გამოა, რომ დღევანდელ ეტაპზე XVI—XVIII სს. კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასიური ერთეულების ერთად თუ ცალკეულად აღებულის საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის სრულყოფილად წარმოდგენა უკვე რამდენადმე შეუძლებელია, თუ მისი სამივე მხარე ერთმანეთთან ორგანულ კავშირში არ იქნა განხილული. პირველი — რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობა საერთოდ და კერძოდ კავკასიასთან დაკავშირებით, მეორე — ურთიერთობა რუსეთ-თურქეთ-ირანსა და კავკასიურ ერთეულებს შორის და მესამე — საკავკასიათაშორისო ურთიერთობა.

დღეს კავკასიური საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საკითხის ასე დასმა განპირობებულია არა ჩვენი საუბიექტური მოსაზრებებით, არამედ ობიექტურ გარემოებათა გამო. საქმე ისაა, რომ თვით რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობათა უფრო ღრმა შესწავლამ კავკასიასთან დაკავშირებით, ისევე როგორც რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობებისა კავკასიურ ერთულებთან, თავისთავად მოითხოვა საკუთრივ კავკასიელ ხალხთა ურთიერთობების შესწავლაც, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში მისი გათვალისწინების გარეშე ზემოთ ხსენებული ურთიერთობების მთელი რიგი კარდინალური საკითხები ან პირდაპირ აუხსნელი რჩებოდა ან კიდევ დიდი წინააღმდეგობების გამო დამატებით ახსნა-განმარტებას მოითხოვდა.

ასეთ საერთო ვითარებაში, ბუნებრივია, რომ XV—XVI საუკუნეების რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის პერიოდიზაცია, თუკი გამოვალთ მათი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების შესაბამისობის პრინციპიდან და გათვალისწინებულიც იქნება ორივე მხარის ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობა, შეიძლება დაახლოებით ასე წარმოვიდგინოთ[1]: ცალკე ეტაპად XV—XVI სს. პირველი ნახევარი, ანუ პერიოდი, როდესაც საქართველო მტრულ გარემოცვაში ექცეოდა (დაახლოებით, 1453 წელს კონსტანტინეპოლის აღებიდან 1555 წლის ამასიის ზავამდე) და ქვეყნის პოლიტიკური მესვეურები უკვე ცდილობდნენ მომავალი საშიშროების თავიდან აცილებას. საქართველო დაჟინებით ცდილობდა იმხანად ანტიოსმალურ კოალიციებს შეერთებოდა, ანდა თვით შეეკრა ასეთი კოალიცია. საქართველოდან მოსკოვში 1491 წელს გაგზავნილი ელჩობა უნდა მივიჩნიოთ ამ მტრული გარემოცვის მომავალი საშიშროების მოშლის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებად და რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის დასაწყისად[2]. მანიშნებელ ფაქტად ამ შემთხვევაში შეიძლება ისიც გამოდგეს, რომ

---

[1] მართალია, ჩვენი პერიოდიზაციის შედგენისას ძირითადად ვხელმძღვანელობდით ნ. ბერძენიშვილის, გ. პაიჭაძისა და ნ. ნაკაშიძის მიერ დღეისათვის თითქოს ყველაზე უფრო ღრმად შესწავლილი პერიოდიზაციით, მაგრამ წინამდებარე პერიოდიზაციამ მათთან შედარებით მაინც საკმაოდ განსხვავებული სახე მიიღო; ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში გარკვეული როლი შეასრულა ჩვენ მიერ, ერთი მხრივ, რუსეთ-ჩრდილო კავკასიის, ხოლო მეორე მხრივ, კი საქართველო-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობების გათვალისწინებამ (იხ. Н. Бердзенишвили, Путеводитель к выставке «Грузинская колония в Москве», „მიმომხილველი“, III, თბ., 1954, გვ. 281—285. Г. Г. Пайчадзе, Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII в., автореферат, Тб., 1967, გვ. 17—19; Н. Т. Накашидзе, Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968, გვ. 10—22).

[2] ჩვენ ვეთანხმებით ნ. ნაკაშიძეს, რომელიც საერთოდ, თვლის, რომ რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის დასაწყისიდან XV ს. უნდა მივიჩნიოთ (ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10).

რომში ამ დროს მართლაც იყო თურქეთის საწინააღმდეგო ლიგაში მოსკოვის აქტიური მონაწილეობის გეგმა შემუშავებული, რაც ქართველებს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა.

ასე რომ, გამორიცხული არაა მოსკოვში ქართველების მხრიდან წინასწარ თადარიგის დაჭერის ვარაუდის დაშვება. მოსკოვისათვის კი ყველაფერი ეს უცნობი არ უნდა ყოფილიყო, რადგან თურქეთის მხრიდან დაპყრობა ემუქრებოდა არა მარტო ევროპის ქვეყნებს, არამედ რუსეთსაც.

მართალია, XV—XVI ს-ის პირველ ნახევარში რუსეთ-საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობა ჯერ საკმაოდ შორეულ ჰორიზონტზე გადაიკვეთა, მაგრამ ამან მაინც გარკვეული საფუძველი ჩაუყარა ორივე მხარის ძმავალ ურთიერთობას. ურთიერთობამ უფრო კონკრეტული სახე მიიღო XVI ს-ის მეორე ნახევარსა და XVII ს-ის 10-იან წლებში, როდესაც საქართველო უკვე მტრულ გარემოცვაში იყო მოქცეული (თურქეთ-ყირიმის სახანო და ირანი) და რუსეთსაც უკვე თავისი კონკრეტული გეგმები ჰქონდა კავკასიაში.

ძირითადი, რამაც განსაზღვრა ამ პერიოდში საქართველოს რუსეთთან დაახლოება, ეს იყო საქართველოზე, ერთი მხრივ, თურქეთ-ირანის მოძალება, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის გამწვავება. რუსეთის მხრიდან კი საქართველოთი დაინტერესება გამოწვეული იყო რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკით, რაშიც 1552—1556 წლებში ყაზანასტრახანის სახანოების შემოერთების შემდეგ კავკასიამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.

საქმე ისაა, რომ კასპიისპირეთში გამოსული რუსეთისათვის აუცილებელი აღმოჩნდა კავკასიის პრობლემის გადაჭრაც, ჯერ ერთი, თურქეთის, ყირიმის სახანოსა და ირანისაგან ვოლგა-ასტრახანის დიდი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალის დაცვის თვალსაზრისით, ხოლო მეორე, თვით კავკასიაში მისი მომავალი გაბატონებისათვის.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი ამ შემთხვევაში ის იყო, რომ თურქეთსა და მის ვასალს ყირიმის სახანოს ვოლგისპირეთსა და კასპიისპირეთში ორი ტოლფასოვანი გზა ჰქონდა — ჩრდილო კავკასიის და ამიერკავკასიისა, ეს რასაკვირველია, რუსეთისათვის უმნიშვნელო გარემოება არ იყო.

აღნიშნულ პერიოდში, XVI ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII ს-ის 10-იან წლებში, ჩრდილოკავკასიური გზა, რომელიც გადიოდა ადიღე-ჩერქეზეთზე, ყარაჩაი-ბალყარეთზე, ჩრდილო ოსეთზე, ჩეჩნეთ-ინგუშეთზე და დაღესტანზე, რუსეთისათვის უდიდესი მნიშვნელობისა შეიქმნა, ამან, რასაკვირველია, დიდად განსაზღვრა რუსეთის კავკასიური პოლიტიკა. აქ პირველხარისხოვანი ადგილი იმთავითვე ჩრდილო კავკასიამ დაიკავა, რამდენადაც მისი დაპყრობით თურქეთი და ყირიმის სახანო არა მარტო თვით რუსეთზე გააფართოებდნენ თავიანთი შეტევის ფრონტს, არამედ გაიჭრებოდნენ აგრეთვე ყაზანასტრახანისაკენ და რუსეთს აღმოსავლეთისაკენაც გადაუჭრიდნენ გზას.

ასე რომ, რუსეთისათვის იმხანად კონკრეტულად უფრო მნიშვნელოვანი უაბარდო და დაღესტანი იყო, ვიდრე საქართველო.

მართალია, საქართველოც რუსეთისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, როგორც პოტენციალური მოკავშირე თურქეთ-ირანის წინააღმდეგ

ბრძოლაში და ამასთან როგორც ყველაზე საიმედო დასაყრდენი ამიერკავკასიაში, მაგრამ ახლა რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობა უფრო სხვა მიზნებისათვის სჭირდებოდა, საქართველოს დახმარებით მას ჩრდილო კავკასიის პრობლემის გადაჭრა ანუ ყაბარდო-დაღესტნის რუსეთთან შეერთების საკითხის მოგვარება სურდა.

ამიტომაც მოხდა, რომ აღნიშნულ პერიოდში, როდესაც რუსეთს საქართველო არ სჭირდებოდა, როგორც მოკავშირე თურქეთსა თუ ირანის წინააღმდეგ, იგი მის თაობაზე მათთან დიპლომატიურ ბრძოლასაც კი გაურბოდა, მაშინ როდესაც ყაბარდო-დაღესტანთან დაკავშირებით იგი ამ მხრივ აქტიურად მოქმედებდა და პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამდა.

ასე რომ, რუსეთი კავკასიაში თავის ურთიერთობას თურქეთ-ყირიმის სახანოსა და ირანთან ჯერ უფრო ყაბარდო-დაღესტნის კუთხით უდგებოდა, ვიდრე საქართველოსი. საქართველოს ინტერესები მისთვის მხოლოდ თავისი ყაბარდოული და დაღესტნური ინტერესების ფარგლებში იყო მისაღები და ამდენადვე ანგარიშგასაწევი, რის იქით იგი ვერ მიდიოდა და ვერც წავიდოდა საკუთარი ჩრდილობალტიური პრობლემების გამო.

ამრიგად XVI ს-ის მეორე ნახევარსა და XVII ს-ის 10-იანი წლების პერიოდში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ამოცანების მხოლოდ ერთი, ყაბარდოულ-დაღესტნური ნაწილი დაემთხვა რეალურად ამ პერიოდის რუსეთის კავკასიურ საგარეო-პოლიტიკურ ამოცანებს; მართალია, თავისთავად ესეც არ იყო უმნიშვნელო, მაგრამ რამდენადაც ახლა საქართველოსათვის მთავარი თურქეთ-ირანის მოძალების პრობლემა იყო, ვიდრე ყაბარდო-დაღესტნისა, ხოლო რუსეთისათვის კი თურქეთ-ირანის პრობლემა მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ არა მთავარი, ამიტომ, ბუნებრივია ამ გარემოებამ გარკვეული დაღი დაასვა რუსეთის საქართველოსადმი დახმარების ეფექტურობას.

რუსეთ-საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ამოცანების შეხვედრის ეს წერტილები კი საკმარისი არ აღმოჩნდა, რათა საქართველოს ცდები მტრული გარემოცვიდან თავის დასაღწევად წარმატებით დაგვირგვინებულიყო.

მაგრამ საქართველოსათვის ობიექტურად ასეთი რუსეთიც მისაღები იყო. მთავარი ამ შემთხვევაში ის იყო, რომ ვოლგა-ასტრახანით კავკასიაში შემოსული რუსეთი თავისი ინტერესებით უკვე მკვეთრად დაუპირისპირდა თურქეთსა და ირანს, ხოლო თუ ის თავის ურთიერთობას მოაგვარებდა დაღესტანთან, მაშინ საქართველოსათვის ერთი—„ლეკთა საკითხი"—მაინც გადაწყდებოდა, რაც თავისთავად მისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შემდგომ ეტაპად, ჩვენი აზრით, უნდა მივიჩნიოთ პერიოდი XVII ს-ის 10-იანი წლებიდან ვიდრე XVIII ს-ის 20-იან წლებამდე.

ამოსავალ წერტილად ორივე მხარის საშინაო და საგარეო მდგომარეობაა და მასთან ერთად მათი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების დამთხვევის თუ არდამთხვევის პრინციპი. რომ რუსეთი აღნიშნულ პერიოდში თავისი — ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარებით ძირითადად თანმიმდევრულად მზადრი ქვეყანა იყო, ხოლო საქართველო კი ამ თვალსაზრისით ჩიხში მოქცეული, რასაკვირველია, ამ გარემოებამ დიდად განსაზღვრა მათი საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობა, მით უფრო, რომ ევროპის კარე-

ბი საქართველოსათვის ამჯერადაც დაკეტილი დარჩა (თეიმურაზ I, ვახტანგ VI).

რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ამოცანები, რომლებიც იმხანად ბალტიისა და შავ ზღვაზე გასვლით შემოისაზღვრებოდა და, ასევე, უკრაინისა და სხვა რუსული მიწების შემოერთებით, სამხრეთ საზღვრების გამაგრებითა და ჩრდილო კავკასია კასპიისპირეთში მოპოვებულის დაცვით, მართალია ამ უკანასკნელთან დაკავშირებით თითქოს დაემთხვა საქართველოს ინტერესებსაც, მაგრამ ახლაც არა იმდენად, რომ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ამოცანებიც გადაეჭრა.

მთელი სირთულე საქართველოსათვის იმაში მდგომარეობდა, რომ მისი საგარეო-პოლიტიკური ამოცანა თურქეთ-ირანის მოძალებისა და უკვე გამწვავებული ლეკთა საკითხის" მოგვარება, რუსეთისაგან თურქეთ-ირანის წინააღმდეგ აშკარა შეტევას მოითხოვდა, მაშინ როდესაც თვით რუსეთი მათ მიმართ ჯერ კიდევ ე. წ. „ქმედით თავდაცვას" აწარმოებდა; ამ გარემოებას კი თავისთავად არ შეიძლებოდა უარყოფითად არ ემოქმედნა რუსეთის საქართველოსადმი დახმარების ეფექტურობაზე.

ამიტომაც იყო, რომ XVIIს-ის 10-იანი წლებიდან ვიდრე XVIII ს-ის 20-იან წლებამდე საქართველოს ცდებიც (თეიმურაზ I, ვახტანგ VI) რუსეთის დახმარებით მტრული გარემოცვის გარღვევისა ისევე დამთავრდა მარცხით, როგორც ეს დამთავრდა ალექსანდრე კახთა მეფის დროს,

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შემდგომ ეტაპად შოდის პერიოდი XVIII ს-ის 20-იანი წლებიდან 60-იანი წლების დასაწყისამდე (მხოლოდ თეიმურაზ II-ის პეტერბურგში ელჩობის ჩათვლით), როდესაც საქართველომ გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგა მტრული გარემოცვიდან თავის დასაღწევად (ვახტანგ VI, თეიმურაზ II).

საქართველოს რუსეთთან შეხვედრის წერტილები ამჯერადაც დაუკავშირდა ყაბარდო-დაღესტანს, რომლებიც რუსეთისათვის ახლაც პირველხარისხოვან პრობლემას შეადგენდნენ და რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში იმისდამიხედვით მონაცვლეობდნენ, თუ კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაში რომელი მათგანი მოითხოვდა რუსეთისაგან თურქეთის, ყირიმის სახანოსა თუ ირანის წინააღმდეგ ე. წ. „თავდაცვითი ომის" წარმოებას (იგულისხმება 1722—1723 წწ. პეტრე I-ის კავკასიაში ლაშქრობა და დაღესტანი; 1733 — 1735 წლებში რუსეთ-თურქეთის ომი და ყაბარდო). თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში, განსხვავებით ადრინდელისაგან, რუსეთი, გარდა იმისა, რომ კვლავაც განაგრძობდა საქართველოს დამხმარე ძალად გამოყენების პოლიტიკას ყაბარდო-დაღესტნის მიმართ, მანვე საქართველოს მიმართა აგრეთვე როგორც მაწონასწორებელ ძალას თურქეთსა და ირანთან თავის ურთიერთობაში. ამის ნათელი დადასტურებაცაა ირანთან 1723, 1732 და 1735 წლებში დადებული, ხოლო თურქეთთან 1724 წელს დადებული საზავო ხელშეკრულებები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ პერიოდში რუსეთ-საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობა, მართალია, მიმდინარეობდა ორივე მხარის ურთიერთდაინტერესებულობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპის დაცვით, მაგრამ წინარე პერიოდებთან შედარებით უკვე შეიმჩნევა,

რომ საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა რამდენადმე მაინც შეიზღუდა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის ზეგავლენის ქვეშ მოექცა.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის მომდევნო პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ XVIII ს-ის 60-დან 80-იანი წლების დასაწყისამდე, კონკრეტულად 1762 წლიდან 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატამდე.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ გარდატეხის ხანა.

ძირითადი საფუძველი ასეთი ვითარების ის იყო, რომ ამხანად რუსეთისა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ამოცანები თურქეთ-ირანთან სტრატეგიული ურთიერთობის ჭრილში პრინციპულად დაემთხვნენ ერთმანეთს.

საქმე ისაა, რომ XVIII ს-ის 60-იან წლებში რუსეთის საგარეო-პოლიტიკურმა ამოცანებმა, რომლებიც უკრაინა-ბელორუსიის დარჩენილი მიწების შემოერთებასთან ერთად შავ ზღვასა და კავკასიაში გარკვეულ გაბატონებასაც ითვალისწინებდა, სრული კანონზომიერებით გამოიწვია მისი თურქეთთან, ყირიმის სახანოსა და ირანთან შეჯახება.

რუსეთი კავკასიასთან დაკავშირებით თურქეთ-ირანის წინააღმდეგ ე. წ. „თავდაცვითი ომიდან“, ასე ვთქვათ, „შეტევით ომზე“ გადავიდა, რაც თავის ძხრივ უკვე იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი ახლა მაინც წარმართავდა თავის ურთიერთობას თურქეთ-ირანთან საქართველოს ინტერესების კუთხით. ეს რომ, მართლაც, ასე მოხდა, ამისი ნათელი დადასტურებაა სწორედ რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წლების ომი, ამ ომში საქართველოს აქტიური მონაწილეობა და, რასაკვირველია, თვით ომის ზოგადი თუ კონკრეტული შედეგები როგორც რუსეთის, ისე საქართველოსათვის.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში ცალკე პერიოდად უნდა გამოვყოთ პერიოდი 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატიდან ვიდრე 1801 წლამდე. ამ წლებს პირდაპირ შეიძლება ვუწოდოთ მტრული გარემოცვის გარღვევისა და რუსეთთან შეერთების პერიოდი.

ძირითადი ფაქტორი, რამაც დააჩქარა რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ტრაქტატის გაფორმება, ხოლო შემდეგ 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთება, ის იყო, რომ რუსეთმა თურქეთთან 1768—1774 წწ. ომით პრინციპში თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა როგორც ჩრდილო კავკასიური პრობლემა (შეიერთა ყაბარდო, ჩრდილო ოსეთი და სხვა), ისე ყირიმის პრობლემაც.

ჯერ 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, ხოლო შემდეგ 1783 წლის გეორგიევსკის მფარველობითი ტრაქტატით რუსეთმა უკვე პრინციპულად დააყენა საქართველოს საკითხი თურქეთსა და ირანის წინაშე, რაც მან თანმიმდევრულად გადაწყვიტა კიდეც 1801 წლის აქტით.

დასასრულს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ძირითადი თავისებურება, რომელიც თან ახლდა ყოველთვის საქართველო-რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობას მთელს XV—XVIII საუკუნეებში. საქმე ისაა, რომ მაშინ როდესაც აღნიშნულ საუკუნეებში რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ამოცანები იმისდამიხედვით იცვლებოდნენ, თუ დროისა და ძალის შესაბამისად რას მოითხოვდნენ სულ მზარდი ქვეყნის სამხედრო-ფეოდალური და ვაჭრუ-

ლი ზედაფენის ინტერესები, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ამოცანები ამ დროის მანძილზე თითქმის სულ უცვლელი რჩებოდნენ.

თავისთავად საქართველოსათვის ასეთი მდგომარეობა ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე თურქეთ-ირანის ინკორპორაციული პოლიტიკა მის მიმართ თითქმის ასევე უცვლელი იყო. ასევე უცვლელი რჩებოდა მისთვის „ლეკთა საკითხიც“ , რომელიც XVII—XVIII საუკუნეებში განსაკუთრებით გამწვავდა.

Т. Д. БОЦВАДЗЕ

К ВОПРОСУ ПЕРИОДИЗАЦИИ РУССКО-ГРУЗИНСКИХ ПОЛИТИЧЕСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ В XV—XVIII ВВ.

Резюме

Рассматривая русско-грузинские политические взаимоотношения в XV—XVIII вв. с учетом отношений обеих сторон с Северным Кавказом, периодизацию собственно русско-грузинских политических взаимоотношений можно представить приблизительно следующим образом:

I. XV—XVI вв. — первая половина или период, когда Грузия оказывалась во враждебном окружении (приблизительно со взятия Константинополя в 1453 г. до Амасийского мира ирано-турецкой войны в 1555 г., и политические деятели страны уже с самого начала старались избежать будущей опасности.

II. Период со второй половины XVI в. по 10-е годы XVII в.

III. С 10-х годов XVII в. по 20-е годы XVIII в.

IV. Период с 20-х по 60-е годы XVIII в. (включая посольство Теймураза II в Петербурге).

V. Начало 60—80-х годов—конкретно период с 1762 г. до Георгиевского трактата 1783 г.

VI. Период от покровительственного трактата 1783 г. по 1801 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ტივაძე

XVI საუკუნის 80-იანი წლების კახეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის

საქართველოს ფეოდალური სამეფო-სამთავროების რუსეთთან ურთიერთობა იმ საკითხთაგანია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესწავლით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი. ამიტომაცაა, რომ იგი კარგად შესწავლილად ითვლება[1]. განსაკუთრებული დამსახურება ამ საქმეში მიუძღვის აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილს, რომელმაც „... პირველმა შეძლო იმისი ჩვენება, რომ ქართველ მოღვაწეთა რუსული ორიენტაცია არც ხმლის ძალით ჰქონდა რუსეთის მხრიდან საქართველოს მოხვეული და არც თვით ამ ქართველ მოღვაწეთა თითქოს რაღაც შეცდომების შედეგად, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს წარმოედგინა იქამდე...“[2].

დღეისათვის ეჭვს არავისში არ იწვევს ის, რომ რუსული ორიენტაცია ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილის მიმართულება იყო[3], რომელსაც „ობიექტურად მოსდევდა და მოჰყვა კიდეც საქართველოს გადარჩენა დაღუპვისაგან თურქეთ-ირანის მხრივ“[4].

რუსული ორიენტაციის ჩამოყალიბება რთული, ხანგრძლივი, მტკივნეული და წინააღმდეგობით აღსავსე პროცესი იყო. საშინაო თუ საგარეო ვითარების ცვლასთან ერთად იცვლებოდა საქართველოს ფეოდალურ სამეფო-სამთავროთა მესვეურების დამოკიდებულება რუსეთზე ორიენტირების საკითხის მიმართ, რასაც გარკვეული გართულებები სდევდა თან. ყველაზე აქტიური და თანამიმდევრული ამ საკითხში აღმოჩნდა საქართველოს ერთერთი წამყვანი კუთხე, კახეთი, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. წინამდებარე წერილში შევეცდებით თვალი გავადევნოთ იმ კონტაქტებს, რომლებიც XV ს-ის დასასრულიდან არსებობდა საქართველოსა და რუსეთს შორის და რომლებმაც შეამზადეს კახეთის რუსეთთან მჭიდროდ დაახლოება XVI ს-ის 80-იან წლებში.

იმის გამო, რომ ჟამთა სიავემ დააზიანა და რიგ შემთხვევაში საერთოდ მოსპო ქართული წყაროები, სპეციალისტები იძულებული არიან ძირითადად რუსულ საარქივო მონაცემებს დაეყრდნონ, მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ასეთი შესაძლებლობა, სამწუხაროდ, მხოლოდ XVI ს-ის მიწურულისა და შემდგომი საუკუნეებისათვის გვაქვს, ვინაიდან რუსული დიპლომატიური საქმის წარმოება სისტემა-

---

[1] ნაშრომებს სათანადო ადგილებში მივუთითებთ.

[2] მ. ალექსიშვილი, რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხები, 1956, გვ. 9—10.

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 139.

[4] მ. ალექსიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14—15.

ტიზებულ სახეს მხოლოდ მოსკოვის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ იღებს. ადრინდელი ხანის ურთიერთობათა შესწავლისას მკვლევრები რთული ამოცანის წინაშე დგანან, რადგან ამ ორი ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულებაზე რუსულ მატიანეებსა თუ ხელნაწერ კრებულებში თითო-ოროლა ცნობაა შემორჩენილი. ასე მოაღწია, მაგალითად, ჩვენამდე მატიანესელმა ჩანაწერმა 1492 წლის ზამთარში მოსკოვში ქართველი მეფის ელჩის ჩასვლის შესახებ «То же зимы прииде посол к великому князю из Иверские земли от князя Александра именем Мурат»[5] (იგულისხმება სამყაროს დაარსებიდან 7000 წელი, რაც უტოლდება 1492 წელს).

მეორე ცნობა საქართველოდან მოსკოვში ელჩის ჩასვლაზე უფრო მრავლისმეტყველია. ესაა ქართველი მეფის, ალექსანდრეს მიერ რუსეთის მეფესთან მიწერილი წერილის რუსული თარგმანის პირი, რომელიც ჩართულია XVI ს-ის ხელნაწერ კრებულში «Грамот митропсличьих сборник»[6] და გამოქვეყნებული იყო ჯერ ნ. კარამზინის (1843 წ.), ხოლო შემდეგ (1889 წ.) ს. ბელოკუროვის მიერ. ამ წერილის მეორე პირს 1981 წ. ჩვენ მივაკვლიეთ მეორე ხელნაწერ კრებულში: «Минея Четьи»-ში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ორივე მითითებული კრებული გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით იყო შედგენილი და ქართველი მეფის წერილის მასში მოთავსება უკვე მიუთითებს იმ უზომოდ დიდ მნიშვნელობაზე, რასაც ანიჭებდა მოსკოვის სამეფო კარი საქართველოსთან ურთიერთობას.

მიუხედავად იმისა, რომ მეფე ალექსანდრეს წერილი ერთი შეხედვით ზოგად ხასიათს ატარებს და კონკრეტულად არაა ელჩობის მიზანი მითითებული, იგი მაინც მრავალმხრივაა საინტერესო. იმის გამო, რომ დღეისათვის ისტორიოგრაფიაში მიღებულ მოსაზრებებს წერილის დათარიღების შესახებ რადიკალურად ვეწინააღმდეგებით და, ამასთანავე, ჩვენს მსჯელობას ვაგებთ წერილის შინაარსის ანალიზზე, საჭიროდ მიგვაჩნია მისი სრულად მოყვანა:

«Великому царю и господарю, великому князю ниское челобитие. Ведомо бы было, что из далные земли ближнею мыслью менший холоп твой Александр челом бью. Темным еси свет, зеленого неба звезда еси, християнская еси надежа, веры нашие крепости всесветлый государь, всем еси государем прибежище, всем еси государем еси закон, бедным еси подпора и бесерменом еси надея, законной земли грозный государь, всем еси князем справедливая управа, всем князем вышний князь, земли еси тишина, обетник Николин. Добрых государей молитвою и счастием мы еще здесе в Иверской земле в здравыи живем. Аще бы про ваше здравие слышели быхом, слава богу. И еще ведомо буди, мно [го] государю челом бьючи Наримана Дамияна к твоему порогу послали есмя, Хоземарума шекенца в товарищех с ними ж послали есмя вашего здравия отведати. Пссылка наша дай бог в доброй час. Счясток дай бог всегды был. И холопству твоему недостойный Александр. А писана лета деветдесят первого генваря»[8].

---

[5] ПСРЛ, т. 25. Московский летописный свод конца XV века, М.,—Л., 1949, გვ. 333.
[6] ГИМ, отд. рукописей. Сборник синодального собрания, № 562, გვ. 170—171.
[7] იქვე, № 805 (Синод. № 183), Минея Четья, месяц август, გვ. 770.
[8] ГИМ ,отдел рукописей, Сборник синодального собрания, № 562, გვ. 170—171.

ასეთმა არასრულმა დათარიღებამ სპეციალისტებში დიდი და ხანგრძლივი პოლემიკა გამოიწვია. გასული საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული ცხარე კამათია გამართული მთელ რიგ საკითხებზე, კერძოდ **1.** რომელ წელსაა დაწერილი წერილი; **2.** რა მიზეზებმა გამოიწვიეს საქართველოდან შორეულ რუსეთში ელჩობის გაგზავნა; **3.** რა მიზანი ჰქონდა ელჩობას; **4.** რატომ მოხვდა ქართულ ელჩობაში წარმოშობით არაქართველი პიროვნება; **5.** როდისაა შედგენილი ხელნაწერი კრებული და რატომ აღმოჩნდა იქ ჩართული ქართველი მეფის წერილი და სხვ.

წერილის სწორად დათარიღება დანარჩენი საკითხების მართებულად გადაჭრის საწინდარია და იმის გამო, რომ მეცნიერთა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით გაიყო, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე მითითებული ელჩობის ისტორია შეუსწავლელი რჩება. მცირე მოცულობის წერილში ჩვენ ვერ შევძლებთ ყველა მკვლევრის შეხედულების სრულიად გადმოცემას და მათი არგუმენტების მოყვანას. ამიტომ, დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმ წინააღმდეგობათა ჩვენებით, რომელთა არსებობამაც გვიბიძგა ერთხელ კიდევ შევხებოდით საკვლევ საკითხს.

მკვლევართა ერთი ნაწილი: ნ. კარამზინი, ს. ბელოკუროვი, მ. ბროსე, ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, ო. ჟუჟუნაძე და მათზე დაყრდნობით სხვები[9], მიიჩნევენ, რომ წერილი დაწერილია ქრისტეს დაბადებიდან ნაანგარიშევი წელთაღრიცხვით და სრული სახით უნდა ყოფილიყო 1491 წელი.

მეორე ჯგუფს, კ. ბაზილევიჩს, ლ. ალექსიძეს, ნ. ნაკაშიძეს ნ. ასათიანს და სხვებს მიაჩნიათ, რომ რუსული საქმისწარმოება გამორიცხავდა ქრისტეს დაბადებიდან წელთაღრიცხვის ხმარებას და ამიტომ წერილი დათარიღებული უნდა ყოფილიყო სამყაროს შექმნიდან დაანგარიშებით ე. ი. მას წინ უნდა სწერებოდა სიტყვიერად „69“ ე. ი. „6991“ ანუ 1483 წელი[10].

მითითებული თარიღის — „91“-ს სხვაგვარი გაშიფვრა, მაგალითად: 6891, რაც გაუტოლდებოდა 1383 წელს, ან 7091 — ე. ი. 1583 წელი, ისევე როგორც 1391 ან 1591 წლები მკვლევართა მიერ ერთხმად უარყოფილია — 1391 და 1383 წწ. იმის გამო, რომ ამ დროს საქართველოში ალექსანდრეს სახელის მატარებელი არავინ მეფობდა, ხოლო 1583 და 1591 წლები იმის გამო, რომ ამ პერიოდის არქივებმა არ შემოგვინახეს მცირეოდენი მინიშნებაც კი ასეთი ელჩობის შესახებ. ყველაზე მნიშვნელოვანი როლი წერილის XVI ს-ით და-

---

[9] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1971. ტ. V, გვ. 228—233; ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.) თბ., 1956, გვ. 258; Н. Карамзин, История государства Российского, VI, СПб., 1843, გვ. 70. прим. 370; Сношения России с Кавказом, материалы извл. из Моск. гл. архива Мин. иностр. дел Сергеем Ал. Белокуровым, вып. I-й, 1578—1613 гг., М., 1889, გვ. XXI—XXII; М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, кн. I, СПб., 1847; О. Г. Жужунадзе, О дате первого грузинского посольства в Москве, журн. «Мацне». 1964, გვ. 289—303.

[10] К. Базилевич, Внешняя политика Русского централизованного государства во II пол. XV века, МГУ, 1952, გვ. 40—41.. Л. Алексидзе, Древнейший документ грузино-русских отношений, «Сов. ежегодник международного права», 1961, М. 1962, გვ. 326; его же, «6991 (1483 от Р. Х.) год—дата первого дипломатического документа в грузино-русских отношениях», «Мацне», 1967, № 1, გვ. 316; Н. Накашидзе, Грузино-русские политические отношения в I пол. XVII века, Тб., 1968, გვ. 13.

თარიღების შეუძლებლობის დასაბუთებაში შეასრულა იმ გარემოებამ, რომ სპეციალისტები იმ ხელნაწერ კრებულს, რომელშიც ალექსანდრე მეფის წერილია ჩართული, ათარიღებენ არაუგვიანეს XVI ს-ის 30-იანი წლებისა, რაც გამორიცხავს საქართველოდან რუსეთში წერილის 1583 ან 1591 წწ. გაგზავნას. ამის გამო, ისტორიოგრაფიაში ნარიმანის, დამიანესა და ხოზემარუმის ელჩობა 1491 წლის ელჩობის სახელითაა ცნობილი, თუმცა კი, როგორც მივუთითეთ, 1483 წლით დათარიღების მომხრე მკვლევრებს თავისი მოსაზრების სასარგებლოდ ბევრი არგუმენტი აქვთ გამოყენებული.

ქვევით ჩვენ ჩამოვთვლით იმ წინააღმდეგობებს, რომლებმაც თავი იჩინეს ამ საუკუნოვანი პაექრობის შედეგად და ხელი შეუშალეს მკვლევრებს, რომ მათ წინაშე მდგარი საკითხების გადაჭრისას ერთ მნიშვნელამდე მისულიყვნენ.

I. ისტორიკოსთა იმ ჯგუფს, რომლებმაც სავარაუდო თარიღად 1491 წელი მიიჩნია გაუჭირდა აეხსნა თუ როგორ მოხდა, რომ ასეთ შორ მანძილზე ზედიზედ 1491 და 1492 წლებში ორი ელჩობა გაიგზავნა. ერთი შეხედვით არაფერია უცნაური და შეუძლებელი იმაში, რომ საქართველოდან 1491 წ. გაგზავნილი ელჩები რუსეთში 1492 წ. ზამთარში ჩასულიყვნენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ორი ელჩობის გაიგივება დიდ სირთულეს აწყდება — მატიანეში 1492 წ. ერთი ელჩია მოხსენიებული, სახელად მურატი, ალექსანდრე მეფის წერილში კი სამი ელჩი. იმის გამო, რომ პრაქტიკულად ორი ელჩობის ზედიზედ გაგზავნა წარმოუდგენელია, ამ ისტორიკოსებს ბევრი ხელოვნური დასაბუთების მოყვანა დასჭირდათ ელჩობათა იგივეობის დასადასტურებლად, მაგალითად, შესაძლებლად მიიჩნიეს, რომ ორი ელჩი — ნარიმანი და დამიანე გზაში გარდაიცვალნენ და მოსკოვს მარტო ხოზემარუმმა ანუ ხოჯა მარუმმა მიაღწია და მისი სახელი მემატიანემ მახინჯად ჩაიწერაო[11]. მითითებული წინააღმდეგობის ასეთი ახსნა არ არის დამაჯერებელი.

II. სადავოდ რჩება დღემდე ელჩობის გაგზავნის მიზეზიცა და მიზანიც. ნ. კარამზინის აზრით ალექსანდრემ ელჩები გაგზავნა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის მიზნით[12]. კ. ბაზილევიჩი წერს, რომ ალექსანდრეს მიზანი იყო: „გასცნობოდა მოსკოვის სახელმწიფოს მდგომარეობას და მისგან დახმარების მიღების შესაძლებლობა გამოერკვია“[13]. ს. ბელოკუროვის მიხედვით, კახეთის მეფეს სურდა შეეტყობინებინა მოსკოვში თავისი გამეფება, დაემყარებინა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა და მოესინჯა ნიადაგი დახმარების მიღებისათვის[14]. ი. ციხცაძე, ნ. ბერძენიშვილი და ო. ჟუჟუნაძე იზიარებენ ამ მოსაზრებას[15]. ლ. ალექსიძის აზრით, ალექსანდრეს მოსკოვში ელჩობის გაგზავნის სურვილი გაუჩინა ჯერ ერთი, 1477 წელს უზუნ ჰასანის მიერ რუსი ელჩების გულთბილად მიღებამ, მეორეც, 1480 წ. უგრაზე რუსე-

---

[11] ი. ციხცაძე, დასახელებული. ნაშრომი, გვ. 247—248; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 229—230.

[12] Н. Карамзин, დასახ. ნაშრომი. გვ. 143.

[13] К. Базилевич, დასახ. ნაშრომი, გვ. 410.

[14] С. Белокуров, Сношения России с Кавказом, გვ. XXVII.

[15] ი. ციხცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 258; О. Жужунадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის ავტორიტეტის ზრდამ[16]. როგორც ვხედავთ, ამ საკითხში მკვლევართა აზრები ძლიერ წინააღმდეგობრივია, არგუმენტაცია კი სუსტი.

III. მესამე შეუსაბამობა მდგომარეობს იმაში, რომ არც ერთმა მკვლევარმა არ მისცა სათანადო ახსნა ალექსანდრეს წერილში მოხსენიებულ ტერმინებს: «Холоп» «великому царю и господарю», «великому князю», «законной земли грозный государь» და ა. შ. ტერმინი «холоп»-ი ქვეშევრდომის გაგებით რუს მთავართა სიგელებში და შესაბამისად რუსულ საქმისწარმოებაში ჩნდება მხოლოდ ვასილ III-ის დროიდან, ე. ი. 1505 წლიდან. ამაზე არსებობს ბ. ჩიჩერინის სპეციალური გამოკვლევა, რომელსაც მოპაექრე მხარეები კარგად იცნობენ და რატომღაც არ გაითვალისწინეს ეს გარემოება[17].

რაც შეეხება ტერმინ «царь»-ს მართალია, არსებობს მოსაზრება, რომ ივანე III თავის თავს «царь»-ს უწოდებდა და ზოგიერთ დიპლომატიურ საბუთში კიდევაც არის ეს ფიქსირებული, მაგრამ ძირითადად ივანე III-ს რუსეთში მიმართავდნენ «великий господин».

IV. არ არის ახსნილი შემდეგი გარემოება: თუ კი წერილის დაწერის თარიღად მივიჩნევთ 1491 წელს და გავითვალისწინებთ იაყუბ ხანის გამანადგურებელ შემოსევებს 1487 და 1490 წლებში, ლოგიკური იქნება დავასკვნათ, რომ ალექსანდრე რუსეთის მეფისაგან მოელის დახმარებას ირანის მხრიდან მომავალში თავდასხმებისაგან. ასეთ შემთხვევაში კი გაუგებარია, როგორღა მოხვდა ქართულ ელჩობაში სავსებით ოფიციალურ მონაწილედ ირანის პროვინციის, შაქის მოქალაქე ხოჯა მარუმი. წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ იგი უბრალო გამყოლი კი არ არის, გზის მაჩვენებლად რომ ქირაობდნენ, არამედ მეორე ელჩია—«товарищ». ელჩობის შემადგენლობაში თვითნებურად, შაჰის უკითხავად, მისი მოხვედრა საქართველო-ირანის ურთიერთობის დაძაბულობის პირობებში—ჩვენ შეუძლებლად გვესახება.

V. აუხსნელი რჩება წერილის ორი, მეტად მნიშვნელოვანი ადგილი: 1. ალექსანდრე რუსეთის მეფეს „მაჰმადიანთა იმედსაც“ უწოდებს «и бесерменом еси надея». ი. ცინცაძემ ეს ადგილი იმითი ახსნა, თითქოს ალექსანდრემ უკვე კარგად იცოდა 1487 წელს ივანე III-ის მიერ ყაზანის აღების ამბავი. ლ. ალექსიძემ არამც თუ თავი აარიდა ამ ადგილის განმარტებას, არამედ საერთოდ თავის სასარგებლოდ გადათარგმნა იგი «и бесерменом еси недея-т. е. надежда против бусурман»[19]; 2. ალექსანდრე თავის შესახებ წერს: «Добрых государей молитвою и счатием мы еще здесь в Иверской земле в здравьи живем».

თუ წერილს დაწერილად ჩავთვლით 1491 წ. მაშინ ძალიან გაგვიჭირდება მოვძებნოთ კახეთის მეფე ალექსანდრეს ირგვლივ მყოფი კეთილი მსურველი მეფეები, რომელთა ლოცვა-კურთხევითაც მას თავის ქვეყანაში მშვიდად შეეძლო მართვა. მაგალითად, 1490 წ. ქართლის მეფე კონსტანტინემ დარბაზიც კი მოიწვია მომძლავრებულ მეფე-მთავრებთან საბრძოლველად. მეგობრებად ვერ ჩავთვლით ვერც იმერეთსა და სამცხეს, რომლებიც არ ეპუებოდნენ ცენტრალიზებულ ხელისუფ-

---

[16] Л. Алексидзе, Древнейший документ грузино-русских отношений გვ. 329.
[17] Б. Чичерин, Опыты по истории русского права, СПб., 1899.
[18] ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.
[19] Л. Алексидзе, « 6991 (1483 от Р. Х) год-дата...გვ. 313.

ლებას თავის გაძლიერებაზე ფიქრობდნენ მხოლოდ[20]. ასე, რომ 1491 წლისათვის საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება არ ეთანხმება წერილის ოპტიმისტურ ტონს.

მითითებული წერილის დეტალური ანალიზი იმას მოწმობს, რომ დამწერმა შესანიშნავად იცოდა რუსეთში შექმნილი ვითარებაცა და საერთაშორისო ატმოსფეროც. რუსეთის მეფის ტიტულატურაში მოხვედრილი ეპითეტები ისეთ შთაბეჭდილებასა ტოვებს, რომ საქართველოში უცხო არ უნდა ყოფილიყო მსგავსი ეპისტოლეების შედგენა. ჩვენ ზევით არ მიგვითითებია, რომ მოპაექრე მხარეებიდან ზოგი წერილს ბერძნულად დაწერილად თვლის; ზოგი ლათინურად. ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს სადაური იყო წერილის შემდგენელი — ბერძენი თუ ლათინი, მთავარი ისაა, რომ წერილის მიმართვის ფორმით დასტურდება რუსეთის სახელმწიფოს ავტორიტეტის საერთაშორისო სარბიელზე ფართოდ გატანის ფაქტი, რაც ბუნებრივ კითხვას ჰბადებს—შეეფერება თუ არა ეს 1483 ან 1491 წლისათვის რუსეთის დმგომარეობას.

დანარჩენ წვრილმან შეუსაბამობაზე აქ აღარ შევჩერდებით.

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან ჩვენ დავასკვენით, რომ ასეთი სახის დოკუმენტი არ შეიძლება დათარიღდეს XV საუკუნით, ვინაიდან მაშინდელი ისტორიული ვითარება არ იძლევა წერილის შინაარსის ახსნის საშუალებას. ზემოთ უკვე მივუთითებდით, რომ 1583 ან 1591 წლებით წერილის დათარიღება ისტორიკოსთა მიერ უარყოფილია ძირითადად იმ მოტივით, რომ საამისო საარქივო მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია[21].

ამა თუ იმ ელჩობის მასალის მიუღწევლობა, ცხადია, არ ნიშნავს ელჩობის გაუგზავნლობას. არც მეფე თეიმურაზ ივანეს ძე წერილი არ შემოგვრჩა ალექსანდრესთან რომ გამოგზავნა, მაგრამ ეს არ ნიშნავს თითქოს დანილოვს იგი კახეთში არ ჩამოეტანოს. ასეთი მაგალითები ბევრია. მთავარი სირთულე წერილის 1583 წლით დათარიღებისა ის არის, რომ ორივე კრებულს რუსი სპეციალისტები ქაღალდის ჭვირნიშნის მიხედვით არაუგვიანეს XVI ს-ის პირველი მესამედით ათარიღებენ.

კრებულის ხელნაწერთა შესწავლამ პირადად ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მათი უმეტესობა XVI—XVII სს-თა მიჯნას ეკუთვნის, რაც შეეხება ქაღალდს, ვფიქრობთ, რომ XVI ს-ის დასაწყისში დამზადებული ქაღალდი შეიძლება გვიან შეეტანათ რუსეთში და გვიან გამოეყენებინათ დასაწერად.

წერილის დასათარიღებლად რჩება ერთადერთი გზა — მოიძებნოს ის ისტორიული ეპოქა, რომელიც პასუხს გასცემს ყველა ზემოთ წამოჭრილ კითხვას. ასეთად ჩვენ მიგვაჩნია XVI ს-ის 80-იანი წლების დასაწყისი. სანამ ძირითადი საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ საჭიროდ მივიჩნიეთ ყურადღება შევაჩეროთ კახეთ-რუსეთის ურთიერთობაზე იმავე საუკუნის 60-იან წლებში.

რუსეთის სახელმწიფოს მესვეურების ყურადღების ცენტრში საქართველო უკვე XVI ს-ის 50-იანი წლების მეორე ნახევარში მოექცა. როგორც

[20] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 750.

[21] С. Белокуров, Сношения России с Кавказом, გვ. XXV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია, 1557 წ. რუსეთში ჩასულმა ყაბარდოელმა ელჩებმა განაცხადეს, რომ მათთან ერთად მოსკოვის ქვეშევრდომობაში შესვლა საქართველოსაც უნდოდა[22]. ასეთ განცხადებას არ შეიძლებოდა არ დაეინტერესებინა რუსეთის დიპლომატია. მართალია, ყაბარდოელები არ უთითებდნენ სახელდობრ საქართველოს რომელი კუთხე ისწრაფოდა რუსეთთან დაახლოებისაკენ, მაგრამ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ აქ იგულისხმებოდა კახეთი, რომლის მეფემაც რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ 1564 წ. პრაქტიკულად განახორციელა რუსეთში ელჩის გაგზავნა.

კახეთ-რუსეთის ურთიერთობის თაობაზე ქართული მასალები ძალზე ბუნდოვან ცნობებს იძლევიან. ძირითადად მკვლევრები ეყრდნობიან ინგლისელი ანტონი ჯენკინსონის ჩანაწერებს. ჯენკინსონის ცნობით, შემახაში ყოფნისას (1563 წ.) მასთან ქართველი მეფის მიერ გაგზავნილი სომეხი მისულა, რათა გაერკვია შესძლებდა თუ არა მოსკოვის ხელმწიფე საქართველოსათვის დახმარების გაწევას[23]. ჯენკინსონი არ ასახელებს არც მეფის სახელს არც სადაურობას, რუსული მატიანეს მონაცემების საფუძველზე ი. ცინცაძემ დაასაბუთა, რომ სომეხი ვაჭარი ჯენკინსონთან კახეთიდან იყო გაგზავნილი. ამრიგად, დღემდე, ცნობილი იყო, რომ ლევან მეფემ რუსეთში გაგზავნა ელჩი იაკობი, რომელიც 1564 წ. ნოემბერში უკან გამოისტუმრეს[24]. არც ელჩობის მიზნის და არც შედეგების შესახებ ისტორიკოსებს არავითარი ცნობები არ გააჩნდათ.

1982 წ. ჩვენ მიერ მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის № 52 ფონდში („საბერძნეთის საქმეები"), მიკვლეული იქნა საკმაოდ საინტერესო ცნობები ამ ელჩობის შესახებ. ირკვევა, რომ იაკობის (ტომით ებრაელი) გარდა ელჩობაში შედიოდა ორი კაცი: სომეხი ვაჭარი (არ არის გამორიცხული, რომ ეს სწორედ ის პირი იყო, რომელიც შემახეში ჯენკინსონთან მივიდა) და ქართველი სასულიერო პირი დანიელი[25].

მართალია, მითითებულ ფონდში არ არის (და არც შეიძლება ყოფილიყო თავისი ხასიათის გამო) ცნობები ქართული ელჩობის მიზნის შესახებ, მაგრამ სამაგიეროდ შემორჩენილია იმ წერილის პირი, რომელიც გამოუგზავნა ივანე მრისხანემ ლევან კახთა მეფეს და რომელშიც სთხოვდა საქართველოს გავლით კონსტანტინეპოლში გაეტარებინა ის ბერძენი ღვთისმსახურები, რომლებიც მან ქართველ ელჩებს 1564 წ. ნოემბერში დაბრუნებისას გამოაყოლა:

«А се грамота от царя и великого князя к грузинскому Леону князю: Божиею милостию от царя и великого князя Ивана Васильевича всеа Руси Владимерского, Московского, Ноугородцкого, царя Казанского, царя Астраханского, государя Псковского, великого князя Смоленского, Тверского, Югорского, Пермского, Вятцкого, Болгарского и иных государя и великого князя Новагорода Низовские земли, Черниговского, Рязанского,

---

[22] С. Белокуроя, დასახ. ნაშრომი, გვ. LIV.
[23] ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 277—285.
[24] ПСРЛ, т. XIII, вторая половина, СПб., 1906, გვ. 391.
[25] ძაცსა, ფ. 52, წიგ. 1, ფურ. 208—209.

Полотцкого, Ростовского, Ярославского, Белоозерского, Угорского, Обдорского, Кондинского и Сибирские земли и Северныя страны повелитель и государя земли Вифлянские и иных. Заповеди нашие слово Грузинские земли государю Леону князю. Были у нас на Москве ис Турского салтатана земли от Костянтиногрядцкого патриарха Иоасафа егрипски митрополит Иасаф да патреархов Иасафов человек Михаило да Святые Горы старец Феофан, а с ним три старца. И мы митрополита Иасафа и Михаила и старцов Святые Горы и с их людми отпустили с Москвы с твоим послом с Яковом да с старцом Данилом вместе. Икак митрополит Иасаф и старцы Святые Горы и патриархов человек Михаило твоей земли дойдут и ты б к ним для нашего слова бережение во всем держал и мыта б еси и иных никоторых пошлин с них и их людей и с рухляди со всее имати не велел и нужи бы им и обиды и задержания в твоей земле не было, и провожати б еси их велел через свою землю до коих мест пригож, чтоб им дойти здорово. Писана во государства нашего во града Москвы лета 7073-го ноября месяца»[26]. (7073—5508—1565). იანვრის კალენდრით იგი უდრის 1564 წლის ნოემბერს,

მიუხედავად იმისა, რომ ივანე მრისხანესთან მიწერილი წერილი ნაპოვნი არ არის, უეჭველია კახეთის ძირითადი სათხოვარი მტრის წინააღმდეგ სამხედრო დახმარების გაწევა იქნებოდა. ქართველმა პოლიტიკოსებმა სავსებით სწორად შეაფასეს მოსკოვის სახელმწიფოს მიზნები და რეალურ მოკავშირედ მიიჩნიეს იგი. „ვოლგის აუზის დაპყრობით, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — და იმიერკავკასიაში შემოჭრით მოსკოვის რუსეთი ოსმალეთის ექსპანსიას წინ ეღობებოდა. იმიერკავკასიის ამ დიდ ამბებს კახთა მეფე სათვის შეუმჩნევლად არ ჩაუვლია. ლევან მეფეს ქრისტიანული რუსეთი ირან-ოსმალეთის მიერ შევიწროებული ქართველების ბუნებრივ მოკავშირედ ეჩვენა. კახეთის მეფემ ჩქარა გაიბა პოლიტიკური ურთიერთობა ჩრდილოეთიდან მომავალ ამ ახალ ძალასთან... ამიერიდან მოსკოვის რუსეთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ამიერკავკასიის პოლიტიკურ ისტორიაში“[27].

მართალია, 80-იანი წლების შუა ხანებამდე საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური კონტაქტის კვალი არ შეიმჩნევა, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათი ურთიერთდაინტერესების შენელებას. 70-იანი წლები რთული ხანა იყო რუსეთისათვისაც და საქართველოსთვისაც. ლივონიის მძიმე ომში ჩაბმული ივანე IV იძულებული იყო კავკასიაში პოზიციები დაეთმო და ისევ მოეთხარა ციხე-სიმაგრე, მაგრამ ეს უკანდახევაც დროებითი აღმოჩნდა, ვინაიდან სამხრეთისაკენ სწრაფვა ქვეყნის შინაგანი მოთხოვნილებით იყო გაპირობებული, მისი შეჩერება შეუძლებელი და გაუმართლებელი იქნებოდა.

განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება 1578 წლის გაზაფხულზე, როდესაც ირან-ოსმალეთის ომი დაიწყო. მან საფრთხე შეუქმნა არა მარტო ამიერკავკასიასა და ირანს, არამედ რუსეთსაც, რომლის სამხრეთი საზღვრები რეალური საშიშროების წინაშე დადგა. ამიტომაც იყო, რომ 1578 წლის გაზაფხულზევე მოსკოვში ჩასული ყაბარდოელი ელჩები, რომელთა სათხოვარი თერგზე სუნჯის შესართავთან ციხის აგება იყო ძალზე გულთბილად მიიღო

[26] ძ ა ც ს ა, ფ. 52, წიგ. № 1, ფურ: 208—209.

[27] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 165.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე მრისხანემ[28]. იმავე წელს ელჩები უკან გაისტუმრეს და თან ვოევოდა ლუკიანე ნოვოსილცოვი გააყოლეს უამრავი ხურო-კალატოზით. მალე ციხე-სიმაგრე აგებულ იქნა[29].

რუსეთის ხელისუფლების ეს ღონისძიება არ იყო ნაადრევი. შექმნილ ვითარებაში მოსკოვის მთავრობას აღარ აწყობდა უბრალო მეთვალყურის როლში გამოსვლა. საელჩო პრიკაზი სისტემატურად აგროვებდა ცნობებს კავკასიაში არსებული ვითარების შესახებ, რათა კარგად გარკვეულიყო იქ მიმდინარე პროცესებში.

ვითარება მართლაც მძიმე იყო. ომის დაწყებისთანავე შაჰმა რამდენჯერმე სცადა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება, მაგრამ ამაოდ. საუკეთესოდ მომზადებულ მტერთან პირისპირ მარტოდ დარჩენილმა მუჰამედ ხოდაბენდემ კავკასიის ხალხთა დარაზმვას შეუწყო ხელი. ამ მიზნით ჩანს ირანის ტყვეობიდან გამოშვებული ქართლში მეფე სიმონი, რომელიც მალე, 1582 წ.[30], შეუთანხმდა კახეთის მეფეს. მათ საქართველოს სხვა კუთხეებიც შეუერთდნენ. მათვე მიუდგნენ საშამხლო და ირანი[31]. შედეგმაც არ დააყოვნა, 1582 წ. ზაფხულში კოალიციური არმია თბილისს მიადგა[32], მაგრამ წარმატება დროებითი აღმოჩნდა. 1583 წ. 9 მაისს სულთნის ჯარებმა დაამარცხეს გაერთიანებული არმია და აღმოსავლეთ სომხეთის დაპყრობას შეუდგნენ.

არსებული მდგომარეობა, ბუნებრივია, კავკასიელ და ირანელ პოლიტიკოსებს დამხმარე ძალის ძებნას კარნახობდა. ყველაზე ახლოს ტერიტორიულად საკმაოდ ძლიერი რუსეთი იმყოფებოდა, რომელიც დაუფარავად ამჟღავნებდა თავის დაინტერესებას სამხრეთის მიმართ. ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ მართალი იყო ნ. კარამზინი, როდესაც წერდა 1583 წელს ივანე მრისხანეს მიერ ირანიდან ელჩების მიღების შესახებ[33]. იმის გამო, რომ ნ. კარამზინი წყაროს არ უთითებს ეს ცნობა დაუსაბუთებლადაა მიჩნეული და ისტორიკოსები რუსეთ-ირანის ურთიერთობებს 1587 წლიდან, შაჰის შიკრიკის ანდი ბეგის მოსკოვში ჩასვლიდან იწყებენ. ეს არ არის მართებული. ურთიერთმისწრაფება ამ ორ ქვეყანას შორის ადრეც შეიმჩნეოდა[37]. უფრო მეტიც, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ირანი ამ მისწრაფებაში მარტო არ იყო. სწორედ აქ გვინდა გავიხსენოთ ალექსანდრე მეფის წერილი, რომლის თარიღადაც ჩვენ 1583 წელი მიგვაჩნია. თუ მომავალმა კვლევამ დაადასტურა ირანიდან მოსკოვში 1583 წ. ელჩების ჩასვლის ფაქტი, არ არის გამორიცხული, რომ იგი კოალიციური ხასიათისა იყო და გულისხმობდა სწორედ დამიანეს,

---

[28] Е. Н. Кушева, Народы Северного Кавказа и их связи с Россией, М., 1963, გვ. 57.

[29] იქვე, გვ. 243 (გარკვეული მოსაზრებით იგი მალე დაანგრია რუსეთმა).

[30] ნ. ბერძენიშვილი ამ შეთანხმებას 1586 წ. ათარიღებს. იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 195.

[31] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. თბ., 1971, გვ. 148.

[32] იქვე, გვ. 149.

[33] Н. М. Карамзин, История государства Российского, кн. III, т. IX, с. СПб., 1845, გვ. 246.

[34] ვ. ბუშევი არ უარყოფს, მაგრამ ელჩობის 1583 წ. გაგზავნას (იხ. П. П. Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586—1612 гг., М., 1976, გვ. 49).

ნარიმანისა (ალექსანდრესაგან) და ხოჯა მურადის (შაჰისაგან) ელჩობას. თუ ამ მოსაზრებას დასაშვებად ჩავთვლით, მაშინ ადვილი ასახსნელი იქნება 1586 წ. რუსინ დანილოვის კახეთში ჩასვლის მიზანიც.

მართალია, კახეთიდან რუსეთში 1586 წლამდე ელჩების გაგზავნის ფაქტი ჯერჯერობით არ დასტურდება, მაგრამ სერიოზული მინიშნება იმის თაობაზე, რომ რუსინ დანილოვის კახეთში ჩამოსვლამდე ქართველებს ჰქონდათ მოსკოვთან კონტაქტები დამყარებული, გვაქვს და არა ერთი[35].

უპირველეს ყოვლისა გვინდა გავიხსენოთ ის კაზაკები, რომლებიც XVI ს-ის 80-იანი წლების პირველ ნახევარში ჯერ ქართლის, შემდეგ კი კახეთის მეფეების სამსახურში იმყოფებოდნენ[36], მაგრამ იმის გამო, რომ კაზაკები მეფის ჯარში ოფიციალურად არ ირიცხებოდნენ, ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად შეიძლება ეს მაგალითი არ გამოდგეს. მოვიყვანთ მეორე ფაქტს, როდესაც 1587 წ. რუსეთიდან კახეთში ელჩებად ბირკინი და პივოვი იგზავნებოდნენ, მათვის განკუთვნილი ინსტრუქციით ასტრახანის ვოევოდებს ევალებოდათ დიდი დაცვა გაეყოლებინათ იმ სტრელცების შემადგენლობით, რომლებიც უკვე „ნამყოფი იყვნენ ჩერქეზეთსა და საქართველოში“[37]. გამოდის, რომ 1587 წლის დასაწყისისათვის ასტრახანში მეფის სამსახურში მყოფი სტრელცების საკმაო რაოდენობა ცხოვრობდა, რომლებიც საქართველოში ხამყოფნი იყვნენ. 1586 წლამდე რუსეთთან დაკავშირების ალექსანდრესეულ ცდებზე მიუთითებენ რუსული არქივებიც[38].

რუსინ დანილოვის კახეთში გამოგზავნის თაობაზე ძალიან ცოტა ცნობები გვაქვს. საელჩო პრიკაზმა ეტყობა წინასწარ არ იცოდა მეფის წერილით ვინ გაიგზავნებოდა ასტრახანიდან და ამიტომ, როგორც ჩანს იგი მოსკოვიდან სხვა მოხელემ ჩაიტანა სპეციალური მიწერილობით — გადაეგზავნათ იგი კახეთში.

ცნობა იმის შესახებ, რომ კახეთში 1586 წელს რუსინ დანილოვი გაიგზავნა დაცულია ძველი აქტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის №110 ფონდის №1 წიგნში, რომელშიც თავმოყრილია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა სურათის ამსახველი სუფთად გადაწერილი საბუთების პირები. პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ: «Лета 7095-го сентября в 23 день, писали ко государю, царю и великому князю Федору Ивановичю всея Русии из Астарахани воеводы князь Федор Михайлович Лобанов Ростовской с товарищи дадиак Исак Чюрин, что приехал в Астарахан из Грузинские земли от Александракнязя государе толмач Русин Данилов; а посылан был из Астарахани проведывать дороги в Грузинскую землю и земли Грузинские — какова земля»[39].

ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ დანილოვს ვაჭრობის საქმის მოგვარებაც ევალებოდა. 1963 წ. ლ. ალექსიძემ თავის სადოქტორო დისერტაციაში, ხოლო მოგვიანებით ჩვენ, 1966 წ. საკანდიდატო დისერტაციაში ეჭვქვეშ დავაყენეთ დანილოვისათვის სავაჭრო საკითხების მოგვარების დავალების შესაძლებლობა და გამოვთქვით მოსაზრება, რომ ვაჭრების

---

[35] 1581—1582 წწ. ქართველი და რუსი ელჩები უნდა სტამბოლში შეხვედროდნენ ერთმანეთს (მ. სვანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 148).

[36] С. Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

[37] ძაცსა, ფ. 123/1, 1586, ფურ. 100, 109—110; ფ. 127/1, 1586, ფურ. 37.

[39] С. Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

მიწვევა მხოლოდ ოსმალთა თვალის ასახვევად ევალებოდა პოლიტიკური დავალებით გაგზავნილ დანილოვს[40]. საბუთი დანილოვისათვის ეკონომიკური დავალების საერთოდ მიუცემლობის შესახებ ჩვენ მაშინ არ გაგვაჩნდა. ბოლო წლებში საარქივო მასალებზე მუშაობისას მივაკვლიეთ მონაცემებს, რომელმაც დაადასტურა ადრე გამოთქმული მოსაზრება. სანამ ამ საბუთს მოვიყვანდეთ გვინდა შევჩერდეთ საკითხზე, თუ საიდან გაჩნდა ვერსია დანილოვისათვის ორმაგი — პოლიტიკური და ეკონომიკური დავალების მიცემის შესახებ.

ს. ბელოკუროვი რუსეთ-კავკასიის ურთიერთობათა ამსახველი მასალების კრებულის შესავალში, ეხებოდა რა რუსინ დანილოვის მისიას, წერდა,

«В конце 1586 года была получена в Москве отписка Астраханских воевод о приезде к ним послов от кахетинского «князя» Александра вместе с толмачем Даниловым, посыланным в Грузи—«проведывать дороги» в нее и «земли Грузинские, какова земля». Данилов был послан потому, как писал в том же году Астраханские воеводы, что царь велел им «писати от себя Шевкалы и в Грузи и в Кизылбаши, чтоб торговые люди с товары ездили в Астрахань, приезд и отъезд и торг в Астрахани поволен». Это посольство Данилова в Грузию с целью завязать торговыя снашения с Астраханью, повело к возобновлению дипломатических сношений с Грузией-Кахетией, окончившихся подданством Кахетии Московскому государству»[41].

მომდევნო წლებში ყველა მკვლევარმა უკრიტიკოდ მიიღო ს. ბელოკუროვის ეს მტკიცება, რომელიც ორი სხვადასხვა ასტრახანელი მოხელის — რუსინ დანილოვისა და რუსინკო პოლუეხტოვის შეცდომით გაიგივების საფუძველზე მოხდა. როგორც ცნობილია, ს. ბელოკუროვს რუსეთ-კავკასიის ურთიერთობათა ამსახველი მასალის შერჩევა-შესწავლისას ბევრ ფონდებზე უხდებოდა მუშაობა. დაძაბული შრომის პროცესში ძნელი არ არის უნებლიე შეცდომის დაშვება. ამითაა სწორედ გამოწვეული, რომ ზემოხსენებული ციტატის პირველი ნაწილი ემყარება ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში არსებული „საქართველოს საქმეების“ (ფ. № 110) № 1 წიგნის პირველ ფურცელს, ხოლო მეორე ნაწილი იმავე არქივის „ნიღაის საქმეების“ (ფ. № 127) 1586 წლის № 2 სვეტის მე-9, 10 და 11 ფურცლებს, სადაც მოთავსებულია ასტრახანის ვოევოდა ლობანოვ-როსტოვსკის მიერ მოსკოვში გაგზავნილი წერილი:

«Государю, царю и великому князю Федору Ивановичю всеа Руси. Холопи твои Фетка Лобанов-Ростовский с товарищи, Исачко Чюрин челом бъют. В нынешнем в ЧД-м году июля в 20 день писали к тебе, государю мы холопи твои с сотником стрелецким с Русином Даниловым: В нынешнем же в ЧД-м году июля в 6 день приехал из Шевкал от Саадат Кирея Степан Кузьмин, а с ним прислал пят грамот тезецким писмом. А перевесть их переводчик не умеет. Те грамоты послали к тебе ко государю под грамоткою.

---

[40] Л. Алексидзе, Взаимоотношения Грузии с Россией в XVI—XVIII вв. (Международно-правовое исследование), «Труды ТГУ», т. 94, 1963, 116—7; თ. ტივაძე, ირანის საკითხი მოსკოვის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში XVI ს-ის დასასრულსა და XVII ს-ის დასაწყისში, თბ., 1966, გვ. 66—67 (საკანდიდატო დისერტაცია).

[41] С. Белокуров, დასახ. ნაშრომი გვ. XCIV—XCV.

И бил челом тебе государю тезик Улпу Ага с товарищи, чтоб нам дат ему купити судно да послати с ними толмача ехати по гостей, а стояти ему судном на шевкалских пристанишах на Кой-се или Инде или на Ахкуме и ждати тут гостей кизылбашских и шевкалских и грузинских. А знают те пристанища юртовския татаровя бусной атаман Ак Саит и Ярлыгаш. И мы холопи твои юртовских татар розспрашивали, знают ли те пристанища. И юртовские татаровя Ак-Сеит и Ярлыгаш сказали что те они пристанища знают. А не будут гости тех земель и он будет на бусе с своим товаром в Астарахани. И мы холопи твои тезику Улуп Аге судно купити велели. И Улпу Ага судно зделал и мы его на те пристанища отпустили и томача с ним послали и юртовских татаров отпустили и в том по'нем запис поручную взяли, что ему в Астрахан с тех пристанищ быти на сей осени в ЧЕ-м (т. е. 1586 г.), а судно государь велели ему дати и отпустити ево на те пристанища для того, что писал еси государь к нам холопам своим, чтоб мне Фетку писати от себя в Шевкалы и в Грузии и в Кизы лбаши, чтоб торговые люди с товары ездили в Астрахань: приезд и отъезд и торг в Астрахани поволен: и мы холопи твои о том писали к Шевкалу, киязю с стрелцом с Русинком Полуехтовым, а шевкалской бы в Грузи и в Кизылбаши от себя о торговых людех писал»[42].

როგორც ვხედავთ, წერილი მეტად საინტერესოა და რამდენიმე საყურადღებო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: **1.** კახეთში გაგზავნილი რუსინ დანილოვი 1586 წლის 20 ივლისს უკვე ასტრახანშია და დიპლომატიური ფოსტით მოსკოვს იგზავნება; **2.** მოსკოვის ხელისუფლებას კახელი, დაღესტნელი და ირანელი ვაჭრების ასტრახანში შეღავათიან პირობებზე სავაჭროდ მიწვევა გადაწყვეტილი ჰქონია გაცილებით ადრე, ვიდრე ალექსანრესთან დანილოვს გაგზავნიდა შიკრიკად ე. ი. 1586 წლამდე ადგილი ჰქონია გარკვეულ კონკრეტულ მოლაპარაკებებს მითითებულ ქვეყნებს შორის; **3.** ვაჭრების მისაწვევად ასტრახანიდან გაგზავნილი ყოფილა არა რუსინ დანილოვი, არამედ რუსინკო პოლუეხტოვი, რომელიც ასტრახანში გვიან შემოდგომაზე დაბრუნებულა; **4.** ასტრახანის ვოევოდას მხოლოდ შამხალთან გაუგზავნია თავისი მოხელე და უთხოვია მისთვის „თავისი მხრივ“ მიეწერა კახეთსა და ირანში რუსეთის მთავრობის მიწვევა.

ახლა, რაც შეეხება დანილოვის კახეთში გაგზავნის მიზანს და საკითხს, თუ ვინ წარმოადგენდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა აღდგენის ინიციატორს — რუსეთი თუ კახეთი.

ს. ბელოკუროვის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე პროფ. მ. პოლიევქტოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კახეთის ელჩები, ყველა მონაცემებით, ალექსანდრეს მიერ გაგზავნილ იქნა ჩრდილოეთიდან კარნახით. ამ ელჩობას წინ უსწრებდა საქართველოში ასტრახანელი თარჯიმნის რუსინ დანილოვის ჩასვლაო[43].

ასევე შეაფასა ეს მოვლენები ნ. ბერძენიშვილმა:

„1585 წელს მოსკოვის მეფის მოხელემ, ასტრახანელ მეთოფეთა ასის-

---

[42] ძაცსა, ფ. 127/1, 1586, სვეტი № 2, ფურ. 9—11.

[43] М. А. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640 гг. Тб., 1937, გვ. XVI—XVII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმა, ტოლმაჩმა რუსინ-დანილოვმა მოვლო საშამხლო, შარვანი, კახეთი. დანილოვს რამდენიმე დავალება ჰქონდა. მოსკოვის მთავრობას სურდა სამხრეთის საქონელი რუსეთისაკენ მიეზიდა. დანილოვი ასტრახნის სარდლების სახელით არწმუნებდა იმიერ და ამიერკავკასიის ხალხებს ევაჭრათ ასტრახანს, სადაც ყველა პირობაა საამისოდ მზად იყო. ამავე დროს დანილოვს ევალებოდა შეესწავლა საქართველოსაკენ მიმავალი გზები და ისიც, თუ რას წარმოადგენდა ეს ქვეყანა. დანილოვმა ალექსანდრე კახთა მეფეს თედორე რუსთა მეფის წიგნი მიუტანა. რუსეთის მეფე პოლიტიკურ კავშირს და მფარველობას სთავაზობდა საქართველოს“[44].

ნ. ბერძენიშვილი იქვე დასძენდა: „ალექსანდრე კახთა მეფის საპასუხო მოქმედებიდან (ელჩებისა და წიგნის გაგზავნა მოსკოვის მეფესთან) ირკვევა, რომ ტოლმაჩ დანილოვს კახეთის მეფესთან მნიშვნელოვანი დიპლომატიური დავალებაც ჰქონია. მას ალექსანდრე მეფისათვის მოსკოვის მეფის მოკითხვის წიგნი გადაუცია და სიტყვა ჩამოუგდია მის შესახებ, რომ ხელმწიფე მზადაა კახთა მეფე და მისი ქვეყანა „ურწმუნოთა“ მხრით ძალადობისაგან დაიცვას“[45].

სავსებით ლოგიკური დასკვნაა თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ავტორი ეყრდნობოდა ს. ბელოკუროვისეულ გამოცემაში დაცულ მეფე ალექსანდრეს წერილს, რომელიც, სამწუხაროდ, ასევე უკრიტიკოდ და შეუმოწმებლად არის დაბეჭდილი შემდგენლის მიერ.

იმის გამო, რომ რუსინ დანილოვის ელჩობის ირგვლივ დოკუმენტური მასალა თითქმის არ შემორჩა, მკვლევრები იძულებული არიან დაკმაყოფილდნენ კახეთიდან 1587 წელს რუსეთში გაგზავნილი ელჩობის ამსახველი მასალის ანალიზით. კერძოდ, კახეთის მეფე ალექსანდრეს მიერ მოსკოვში გაგზავნილი წერილის და ელჩების (იოაკიმეს, კირილესა და ყურშიტის) საელჩო პრიკაზში დაკითხვის შესახებ არსებული ჩანაწერების შესწავლით, რატომღაც პირველი მათგანი საფუძვლად დაედო მკვლევართა დასკვნებს, მეორე კი ნაკლებადაა ყურადღების ცენტრში, მაშინ, როდესაც სწორედ ალექსანდრე მეფის წერილის გამოყენება არ შეიძლება მისი ნაკლოვანების გამო. იმისათვის, რომ ნათელი იყოს ჩვენი შემდეგი მსჯელობა, მითითებულ დოკუმენტს მოვიყვანთ მცირე შემოკლებით, გამოვტოვებთ მხოლოდ წერილის დასაწყისს, სადაც რუსეთის მეფის ტიტულია მოხსენიებული:

«...посем прислал еси к нам человека своего русина Игнатья Данилова а с ним прислал еси свою царскую грамоту и вести: — мы о том велми благодарим Бога и великим радованием возрадовалися есмя, понеже в настоящем сем времени христьянство в великом разрушенье и великою скорбью обдержими есми от неверных и богомерзких поганых язык, о сем же есть... духом святым провидели.||Принел и о том до земли челом бьет и сам своею головою и со всею с воею землею под кров царствия ти и под вашу царскую руку рад поддаетца, понеже государь наш и земля наша хрестьянская, а от неверных турок в велицей беде и в утесненье, и в том твоя царская

[44] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, „მასალები საქ-სა და კავკ. ისტ., “ ნაკვეთი I, თბ., 1944, გვ. 10—11.

[45] იქვე.

воля, как государя нашего и его землю пожалуеш, от таких и неверных богомерских агарян оборониш»[46].

თუ კარგად დავუკვირდებით დავინახავთ, რომ ტექსტის პირველ ნაწილში (იგი ორი ხაზითაა გამოყოფილი) თხრობა პირველ პირშია, მეორე ნაწილში კი მესამე პირში მიმდინარეობს.

ს. ბელოკუროვთან ტექსტი მთლიანის შთაბეჭდილებასა ტოვებს. როდესაც დედანს გავეცანით აღმოჩნდა, რომ № 1 წიგნს, რომელშიც მოთავსებულია წერილი, აკლია ფურცლები (თუმცა კი მოგვიანებით ტექსტი მთლიანად თანამიმდევრულადაა გადანომრილი, რამაც ეტყობა შეცდომაში შეიყვანა მკვლევარი). მეფე ალექსანდრეს წერილი წყდება წიგნის მე-6 გვერდზე. მე-7 გვერდზე დაწყებული ტექსტი წარმოადგენს საელჩო პრიკაზში ქართველ ელჩებთან ჩატარებული საუბრის ჩანაწერის გაგრძელებას, რომლის დასაწყისი ეტყობა მოთავსებული იყო დღეისათვის დაკარგულ ფურცლებზე, სადაც თავდებოდა ალექსანდრე მეფის წერილი.

ერთი შეხედვით ფურცლის ამოვარდნა ხელს არ გვიშლის გაერკვეთ იმაში, რომ აქ ლაპარაკია რუსინ დანილოვის მიერ წერილის ჩამოტანაზე, მაგრამ სახელდობრ რა ეწერა რუსეთის მეფის წერილში — ამის დასადგენად დამატებითი მასალაა საჭირო და სწორედ ამას ვპოულობთ საქართველოს საქმეების ფონდში დაცულ სხვა დოკუმენტში, რომელშიც სრულადაა შემორჩენილი ჩანაწერი საელჩო პრიკაზში ქართველ ელჩებთან წარმოებული საუბრის შესახებ:

«В лето 7095-го писали к государю царю и великому князю Федору Ивановичю всеа Руси из Астарахани воевода князь Федор Михайлович Лобанов Ростовской с товарищи, что приехал в Астарахань из Грузинские земли от Олександра князя государев толмач Русин Данилов, а посылан был проведывати из Астрахани в Грузинскую землю и земли грузинские — какова земля. А с Русином вместе прислал ко государю Александр князь послов своих священника Иакима, да старца Кирила да черкашенина Хуршита. А писал с ними ко государю царю и великому князю Федору Ивановичю всеа Русии в своей грамоте Александр князь и послы его били челом, что пожаловал его (Александра—Т. Т.) государь, поискал своим жалованьем, хочет приняти под свою царскую руку во оборону от неверных; и он (Александр—Т. Т.) то с радостию принел и о том до земли челом бьет...»[47] და ა. შ. იგივე, რაც № 1 წიგნის მე-7 ფურცელზე.

გამოდის, რომ რუსინ დანილოვის მიერ ჩამოტანილი წერილი არ იყო ჩვეულებრივი „მოკითხვის წიგნი“. ეს იყო ოფიციალური შეტყობინება იმის შესახებ, რომ რუსეთის მთავრობა თანახმაა მიიღოს კახეთი თავის ქვეშევრდომობაში და დაიცვას იგი მტრებისაგან. გასარკვევი რჩება საკითხი: რუსეთი თვითონ სთავაზობდა კახეთს თავის მფარველობას, თუ თანხმობას უცხადებდა კახეთს მის მიერ ნათხოვარზე — ქვეშევრდომობაში აეყვანა იგი.

ნ. ბერძენიშვილმა თავის დროზე ეჭვქვეშ დააყენა ს. ბელოკუროვის მო-

[46] С. Белокуров, დასახ ნაშრომი, გვ. 12.

[47] იქვე, გვ. 562.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზრება, თითქოს მოსკოვიდან საქართველოში გაგზავნილი ყველა ელჩობა საქართველოდან ჩასული ელჩობის პასუხს წარმოადგენდა[48]: „...არაერთი ისტორიკოსი, ზოგი განზრახ, ზოგი საჭირო დაკვირვების არქონების გამო ხსენებულ ურთიერთობას სწორედ ისე წარმოგვიდგენს, როგორც ეს მოსკოვის მეფის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელობას სურდა... ასევე არასწორად და სრულიად შებრუნებულად არის გაშუქებული რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის წამოწყების საკითხი ყველა იმ შემთხვევაში (და ასეთი შემთხვევა კი საკმაოდ ხშირია), როცა ამ ურთიერთობის წამოწყების ინიციატივა მოსკოვის მეფის მხრიდანაა“[49].

უდავო ფაქტია, რომ რუსეთის დიპლომატია საერთაშორისო სარბიელზე ყოველთვის ცდილობდა ქრისტიანთა მფარველის დროშით გამოსულიყო და თავისი საგარეო პოლიტიკა სამხრეთში ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნა-მუდარის დაკმაყოფილებად გამოეცხადებინა, მაგრამ „ველა შემთხვევაში“ ინიციატივა მოსკოვის მეფის მხრიდან არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

მართლაც, თუ გავიხსენებთ, რომ რუსინ დანილოვს ევალებოდა საქართველოში მიმავალი გზების დაზვერვა, უნდა დავასკვნათ, რომ რუსეთში ჯერ კიდევ არასრული წარმოდგენა ჰქონდათ კავკასიონის მიღმა მდებარე კახეთის შესახებ და სწორედ სრული წარმოდგენის შესაქმნელად გზავნიდნენ სპეციალურ მოხელეს. მაგრამ მაშინ ჩნდება კითხვა, რის საფუძველზე შეიქმნა რუსეთში შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ შორეული კახეთი მოსკოვის ქვეშევრდომობაში მოისურვებდა შესვლას და რამ განაპირობა თვით თეოდორე ივანის ძის მთავრობის ასეთი დაინტერესება კახეთით, თუ მისი მისწრაფება-შესაძლებლობების შესახებ არაფერი იცოდნენ მოსკოვში, თუ დარწმუნებული არ იყვნენ კახეთ-რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნების ურთიერთდამთხვევაში. ასევე ბუნებრივად იბადება მეორე კითხვაც: იყო თუ არა მოულოდნელი კახეთისათვის რუსეთიდან შიკრიკის ჩამოსვლა ამგვარი წინადადებით (უფრო სწორად-თანხმობით).

დავაკვირდეთ იმ სისწრაფეს, რომელიც ახასიათებს კახეთიდან მოსკოვში რუსინ დანილოვის ვიზიტის საპასუხოდ ელჩობის გაგზავნას. ზევით მივუთითებდით, რომ ასტრახანიდან კახეთში რუსინ დანილოვი წავიდა 1586 წლის დასაწყისში, 20 ივლისს (იმავე წელს), იგი უკვე ასტრახანში ჩანს დაბრუნებული და იმავე წლის შემოდგომაზე, 23 სექტემბერს ქართველი ელჩები ჩაჰყავს მოსკოვში. გამოდის, რომ მან კახეთში 2—3 თვე დაჰყო. მართალია, ქართველთა ელჩობა მცირერიცხოვანი იყო, და შეიძლება მის მომზადება-გასტუმრებას დიდი დრო არ დასჭირდებოდა, მაგრამ კახეთის მეფე ალექსანდრეს პასუხი უნდა გაეცა ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც უცხო ქვეყნის ქვეშევრდომობაში შესვლა იყო. ისეთი ძნელბედობის ჟამს, როგორიც ედგა საქართველოს მითითებულ წლებში, როდესაც კახეთის მეფე ფაქტობრივად ირანისა და ოსმალეთის ორმაგ ყმობაში აღმოჩნდა, ორიენტაციის ასეთი რადიკალური შეცვლა და მესამე ქვეყნის ქვეშევრდომობაში შესვლა არ იყო იოლად გადასაწყვეტი საკითხი. ერთპიროვნულად მისი გადაწყვეტა კახე-

[48] С. Белокуров, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.
[49] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20, შენ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის მეფეს გაუჭირდებოდა თუკი მითითებული პოლიტიკური ნაბიჯი რუსინ დანილოვის ჩამოსვლამდე ათასჯერ გაზომილი და აწონილი არ იქნებოდა.

სწორედ იმ გარემოებამ, რომ კახთა მეფე ასეთი დიდი სიხარულით შეხვდა რუსეთის მოხელის ჩამოსვლას და ასეთი სისწრაფით გააგზავნა მოსკოვში საპასუხო ელჩები, რომლებიც მოსკოვში ჩასვლისას აცხადებდნენ, რომ მათი ხელმწიფე თანახმა იყო მიეღო რუსეთის მეფის მოწყალება და სიხარულით ხდებოდა მისი ხელდებული, გვაფიქრებინა, რომ კახეთში წინასწარ იყო ნიადაგი შემზადებული რუსეთზე ორიენტაციის ასაღებად, რომ მოსკოვის ქვეშევრდომობაში შესვლა გარედან ნაკარნახევი და თავს ძალად მოხვეული პოლიტიკური აქტი კი არ იყო, არამედ, კახეთში შექმნილი შინაგანი პირობებითა და საგარეო ვითარებით გამოწვეულ ნაბიჯს წარმოადგენდა. რუსინ დანილოვის კახეთში გამოგზავნამდე მოსკოვის ხელისუფლებამ კახელთა მეშვეობით უკვე იცოდა საქართველოს ამბები, შესაძლებელია კახთა მეფეს უკვე ნათხოვნია ჰქონდა ქვეშევრდომობა და სწორედ ამის საპასუხოდ ებრძანათ ასტრახანის ვოევოდებს ფართო ეკონომიკური და პოლიტიკური კონტაქტები დაემყარებინათ არა მარტო კახეთთან, არამედ კახეთის მომხრე-პოლიტიკურ ერთეულებთან — შირვანთან და ირანთან.

ნ. ბერძენიშვილმა ბრწყინვალე შეფასება მისცა კახეთის მეფე ალექსანდრეს და მის მიერ აღებულ პოლიტიკურ კურსს: „...კახთა მეფე ფრთხილი პოლიტიკოსი იყო... ის მუდამ მზად იყო ყველაზედ მოსისხარსაც კი უმალ შერიგებოდა, თუ კი ეს მისი ქვეყნისათვის სასარგებლო ჩანდა... იშვიათის სიზუსტით ერკვეოდა ამიერკავკასიაში მოქმედ მოწინააღმდეგე ძალთა შეფასებაში და მუდამ მზად იყო ამისდა შესაბამისად საუკეთესო პოზიცია დაეჭირა“[50].

ალექსანდრე მართლაც, საინტერესოდ იქცეოდა: ოსმალებს ხარკს უხდიდა, ირანსაც მოსაკითხს უგზავნიდა, ამავე დროს ოსმალეთისაგან ფარულად და ირანის დასტურით ჩრდილოკავკასიის მთავართა მეშვეობით რუსეთთან ამყარებდა კავშირს[51]. ამასთან, შესანიშნავად იცოდა როგორც რუსეთის, ისე ირანის მიზნები და შესაძლებლობები:

„კახეთი კი ერანს ისევე უყურებდა, როგორც ოსმალეთს: შაჰიც ქართველობის ისეთივე მტერი იყო, როგორც ხონთქარი. მიუხედავად ამისა, კახეთის მეფე საჭირო ანგარიშს უწევდა ერან-მოსკოვის პოლიტიკურ მეგობრობას (ალექსანდრე მეფეს კარგად ესმოდა ამ მეგობრობის ანტიოსმალური საფუძველი) და იძულებული იყო სათანადოდ გასწყობოდა ამ მდგომარეობას. ასეთ პირობებში შემუშავდა კახეთის მეფის კარზე ის დიპლომატიური ფორმულა, რომელიც მთელი ორი საუკუნის განმავლობაში არაერთხელ წამოუყენებიათ საქართველოსა და ერან-რუსეთის ურთიერთობაში ქართველსა თუ რუს პოლიტიკურ მოღვაწეებს (პეტრე I, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ერეკ-

---

[50] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 194.

[51] ზემოხსენებულიდან გამომდინარე თავს ნებას მივცემთ არ დავეთანხმოთ ე. კუშევას მოსაზრებას, თითქოს ალექსანდრემ, რომელიც ერანის ყმად თვლიდა თავს, საჭიროდ მიიჩნია შაჰისათვის შეეტყობინებინა 1587 წელს მოსკოვის მეფის ქვეშევრდომობაში შესვლის ამბავი. როგორც აღნიშნული გვქონდა დოკუმენტური მასალა მოწმობს, რომ რუსეთთან დაკავშირების ცდები არ იყო მარტო ალექსანდრე II-ის ინიციატივა და ირანთან და ჩრდილოკავკასიის მთავრებთან შეთანხმებული მოქმედების ლოგიკური შედეგი იყო (შად. ე. კ უ შ ე ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 262).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე II): საქართველო (მოსკოვის ხელდებული) რუსეთ-ერანის კავშირის მოსაშუალე"[52].

მართალია, ნ. ბერძენიშვილის ეს დაკვირვება ეხება XVI ს-ის 90-იან წლებს, მაგრამ იგი მთელი სისრულით გამოდგება 80-იანი წლების შუა ხანებისათვისაც, როდესაც საქართველო რუსეთისათვისაც და ირანისათვისაც შუამავალი ქვეყნის როლში გვევლინება. როგორც ირანს, ისე რუსეთს მითითებულ წლებში საქართველოს ძალების გაერთიანება აინტერესებდა. ირანის ასეთ მისწრაფებაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი ზევით. რაც შეეხება რუსეთს, არქივებმა შემოგვინახეს საბუთები, რომლებიც იმავეს მოწმობენ: 80-იანი წლების შუა ხანებში რუსეთი მიისწრაფის შექმნას ძლიერი კოალიცია ოსმალეთის წინააღმდეგ ჩრდილოკავკასიელი მთავრებისა, საქართველოსა და ირანის შემადგენლობით[53].

რუსეთს ჰქონდა საფუძველი იმისათვის, რომ ასეთი კოალიციის ჩამოყალიბება რეალობად მიეჩნია. ფაქტობრივად ასეთი კავშირი უკვე მოქმედებდა და როგორც მივუთითებდით 1582 წელს დიდი საფიქრებელი გაუჩინა ოსმალეთს. ჩვენთვის ძნელია იმის თქმა — ახალ ფაქტებს გულისხმობდა თავადი ლობანოვ-როსტოვსკი თუ 1582 წლის ამბავს დიდი დაგვიანებით ატყობინებდა მთავრობას, როდესაც 1586 წლის 17 სექტემბერს დაწვრილებით აღწერდა თავის მოხსენებით ბარათში ანტიოსმალური კოალიციის ერთობლივ ლაშქრობას და მათ ბრწყინვალე გამარჯვებას ოსმალებზე[54].

ირანთან, როგორც ოსმალეთის მოწინააღმდეგე მებრძოლ სერიოზულ ძალასთან, დაკავშირება ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო აუცილებელი ხდებოდა და რუსეთიც აქტიურად მიისწრაფოდა ამისკენ. როგორც ვთქვით, ამის განხორციელებას მოსკოვის დიპლომატია საქართველოს დახმარებით აპირებდა. გვინდა მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი. როცა კახეთში მოსკოვიდან იგზავნებოდნენ რუსი ელჩები ბირკინი და პივოვი, მაშინ ჯერ არავინ იცოდა ირანიდან შაჰის შიკრიკის ანდი ბეგის მოსალოდნელი ჩამოსვლის შესახებ, მიუხედავად ამისა, კახეთში ჩასულმა ელჩებმა ორჯერ აწარმოვეს მოლაპარაკება ირანის წარმომადგენლებთან, რომლებიც მათ კახეთში დაუხვდათ: ერთხელ ხოჯა მაჰმუდთან, მეორედ — ელჩ ჯიმშიდთან.

საინტერესოა ის გარემოება, რომ რუს ელჩებს საჭიროდ ჩაუთვლიათ კახეთში შეხვედრილ ხოჯა მუჰამედისათვის ვრცლად ეამბნათ რუსეთის მეფის ანტიოსმალურად განწყობის შესახებ, სახელდობრ ის, რომ თითქოს რუსეთის მეფემ მასთან მისული სულთნის ელჩები, რომლებმაც ოსმალეთის მთავრობის სახელით ირანის წინააღმდეგ გამოსვლა შესთავაზეს, უარით გაისტუმრა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ რუსმა ელჩებმა გამიზნულად ისაუბრეს ვაჭართან, რათა ამ უკანასკნელს თავისი შაჰისათვის დაწვრილებით გადაეცა მათი ნაამბობი[55]. შედეგმაც არ დააყოვნა. შაჰმა კახეთში მყოფ რუს ელჩებს თავისი ელჩი ჯიმშიდი გაუგზავნა, რომელსაც ბირკინმა და პივოვმა იგივე გაუმეორეს.

---

[52] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. გვ. 35.

[53] ძაცსა, ფ. 110, წიგ. 1, ფურ. 170—171 (იგივე ითქმის 90-იან წლებზე, რაზედაც აქ აღარ შევჩერდებით).

[54] იქვე, ფ. 123/1, 1586, № 1, ფურ. 109—110.

[55] ს. ბელოკუროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

ვინაიდან რუსული დიპლომატიური საქმისწარმოება გამორიცხავს ელჩების მიერ საკუთარი ინიციატივით რაიმე ნაბიჯის გადადგმას, უნდა ვიფიქროთ, რომ 1587 წელს კახეთში გაგზავნილ რუს ელჩებს სპეციალურად ევალებოდათ ალექსანდრე II-ის მეშვეობით დაკავშირებოდნენ ირანის მთავრობას და გადაეცათ რუსეთის მეფის კეთილგანწყობის ამბავი.

ბირკინმა და პივოვმა პირნათლად შეასრულეს დავალება. რუსეთის ასეთი აჩქარება ირანთან დასაკავშირებელი გზების ძიებაში ადვილი ასახსნელია. 1586 წლისათვის მოსკოვს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ციხე-სიმაგრეების ჩადგმა ჩრდილოკავკასიაში და ირანის პოზიციების გარკვევას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. „რუსები რომ დროზე არ გამაგრებულიყვნენ თერგზე, — სამართლიანად მიუთითებდა ნ. სმირნოვი, — მაშინ XVI ს-ის 80-იან წლებში იქ თურქული ციხე-სიმაგრე გაჩნდებოდა. ამას მოჰყვებოდა მთელი კავკასიის დაქვემდებარება თურქეთისადმი, რაც გაუადვილდება მას კახეთზე და რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე შეტევის დაწყებას და აგრეთვე ირანის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებას“[56].

ყოველივე ეს კარგად ესმოდა ალექსანდრე II-ს, რომელმაც, როგორც ჩანს, ყოველი ღონე იხმარა იმ საოცარი სამხედრო — პოლიტიკური სამკუთხედის შესაქმნელად, რომელიც ჩამოყალიბდა 1586-1588 წლებში. მხედველობაში გვაქვს კახეთ-რუსეთ-ირანის ურთიერთდაკავშირება. საოცარი კი მას იმიტომ ვუწოდეთ, რომ სამივე ამ სახელმწიფოთაგანს ჰქონდა როგორც ურთიერთდამთხვევის წერტილები, ისე ურთიერთგამიჯვნის მიზეზებიც.

მათი გამაერთიანებელი იყო ოსმალეთის დასუსტების სურვილი, წინააღმდეგობა კი ვლინდება იმ ვიწრო — პირადულ სურვილებში, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგალითად, ირანს უნდოდა ჩრდილოკავკასიაში ისე გამაგრებულიყო, რომ რუსეთი არ გაეძლიერებინა, მაშინ როდესაც თვით რუსეთს თავისი პოზიციების განსამტკიცებლად სურდა ჩრდილოკავკასიაში გამავალი გზების ჩაკეტვა. კახეთს უნდოდა რუსეთის ხელით დაესუსტებინა შამხალი. არც რუსეთი იყო ამისი წინააღმდეგი, მაგრამ ირანს არ უნდოდა შამხლის დასუსტება, იგი მისთვის ორლესული მახვილი იყო კახეთისა და რუსეთისაკენ მიმართული. რუსეთს აწყობდა ძლიერი და გაერთიანებული საქართველო, რომელიც შესძლებდა ოსმალეთს გამკლავებოდა, მაგრამ აწყდებოდა ირანის წინააღმდეგობას, რომელთანაც კეთილმეზობლური ურთიერთობა მთელი მისი ახლოაღმოსავლური პოლიტიკის ძირითად ხაზად იკვეთებოდა.

იხილავდა რა საქართველო-რუსეთ-ირანის ურთიერთდაინტერესების საკითხებს. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა: „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პირობების იმ ვითარებაში, როგორიც მე-16 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისათვის შექმნილიყო, მოსკოვ-კახეთის ეს შეთანხმება (მფარველობა-ხელდებულების აქტი) ორივე მხარის ინტერესებს შეესაბამებოდა. მაგრამ ეს გარემოება ,რასაკვირველია, იმას კიდევ არ ნიშნავდა, რომ მოსკოვისა და კახეთის პოლიტიკური ინტერესები ახლო აღმოსავლეთის ყოველ საკითხში იდენტური იყო, რომ მხარეთა დაინტერესებულობა ყველა ამ საკითხში თა-

---

[56] Н. Смирнов, Политика России на Кавказе, М., 1958, გვ. 35.

ნაბარი იყო და თანხმობის გვერდით ინტერესთა სხვაობა მხარეებს შორის აღარ არსებობდა“[57].

მითითებული წინააღმდეგობები უცბად არ გამოვლენილა. მათ თანდათანობით, საერთაშორისო ვითარების დაძაბვის პროცესში იჩინეს თავი. ჩვენი აზრით, ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ირან-ოსმალეთის 1590 წლის დაზავებამ. ის, რაც აუცილებელი და სასურველი იყო შაჰ მოჰამედ ხუდაბენდეს მთავრობისათვის, მიუღებელი აღმოჩნდა ახალგაზრდა შაჰ აბას პირველისათვის. მას რუსეთთან დაკავშირების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, პირიქით, რუსი ელჩის, გრიგოლ ვასილჩიკოვის ირანში ჩასვლა მან მარჯვედ გამოიყენა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების წარმოებისას, მაგრამ სულაც არ აწყობდა ციხე-სიმაგრის აგება თერგზე, ციხე-სიმაგრისა, რომელიც იმდენად ყირიმელი თათრებისათვის გზის ჩასაკეტ იარაღად არ ივარგებდა, რამდენადაც რუსეთის ავტორიტეტის გასაძლიერებლად და განსამტკიცებლად.

ასევე დაკარგა თავისი შინაარსი ირანის თვალში კახეთ-რუსეთის კავშირმა, რომლის ძირითად მიზანსაც თავდაპირველად ოსმალთა და ყირიმელ თათართა მოძალების მოგერიება წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ირანი კარგად ერკვეოდა საქმის ვითარებაში და კახეთის რუსეთთან დაკავშირებას ჩვეულებრივ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობად გეგმავდა და არ ელოდა კახეთის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის იურიდიულ გაფორმებას, მით უმეტეს, თუ იგი ანტიოსმალური კოალიციის ერთ-ერთი წევრის, შამხლის წინააღმდეგ მიმართულ იარაღად გადაიქცეოდა.

კახეთის ხელისუფლებას თავისი პირადული ინტერესები პირველივე ელჩობის გაგზავნისას არ გამოუმჟღავნებია; მაშინ ალექსანდრეს სათხოვარი უფრო ზოგად ხასიათს ატარებდა — როგორც ქრისტიანული სახელმწიფოს მესვეური იგი ითხოვდა დაცვას ირანის დასარბევად საქართველოს გავლით წამოსული ოსმალო მარბიელი ჯარებისაგან, რისთვისაც თერგზე ციხე-სიმაგრის ჩადგმასა და შიგ დიდი რაოდენობის მეციხოვნე რაზმების ჩაყენებას ურჩევდა მომავალ მფარველს[58].

მომდევნო ელჩობისას ალექსანდრეს თხოვნა უფრო დაკონკრეტდა: იგი უკვე უჩიოდა შამხალს, რომლის ბრძანებითაც ხდებოდა ღამღამობით კახეთის სოფლების აოხრება და ხალხის ტყვეებად წაყვანა, მათი მაჰმადის რჯულზე მოქცევა და სხვა, აქედან გამომდინარე სათხოვარიც უკვე არა ოსმალების წინააღმდეგ დახმარების გაწევა იყო, არამედ შამხლის მოსპობა[59].

შამხლის მოსპობა ალექსანდრეს შეხედულებით რუსეთთან ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთი მიზანი და უპირველესი ამოცანა იყო. საინტერესოა, რომ ალექსანდრე II ცდილობდა რუსეთის მხრიდან ქრისტიანული კახეთისათვის დახმარების გაწევა მისთვის მორალურად დაევალდებულებინა. ამიტომ იყო, რომ რუსეთის ელჩებს კახეთის სამეფო კარზე საუბარში განუცხადეს — ჩვენ ხელნაწერი წიგნები გვაქვს, სადაც წერია, რუსეთის მეფე

---

[57] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 34—35.
[58] ს. ბელოკუროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.
[59] იქვე, გვ. 55—56.

რომის იმპერატორის შთამომავალიაო, რითაც არაპირდაპირ მიუთითეს მოსკოვის, როგორც „მესამე რომის“ ისტორიულ მისიაზე[60].

ალექსანდრე კახთა მეფის, როგორც დიპლომატის დამსახურება მარტო ის კი არ არის, რომ იგი სწორად ერკვეოდა საერთაშორისო ვითარებაში და მოხდენილად იყენებდა თავისი ქვეყნის სასარგებლოდ, არამედ ისიც, რომ არაჩვეულებრივად დროულად შეაფასა რუსეთთან ურთიერთობის როგორც ფართო, ისე ვიწრო მასშტაბით გამოყენების შესაძლებლობაც.

ფართო მასშტაბით საქართველოსათვის მოსკოვის სახელმწიფო წარმოადგენდა ანტიოსმალური კოალიციის წევრს, რომელსაც შეეძლო რეალურად შეესუსტებინა ოსმალეთის პოზიციები. ეს იყო ქვეყანა, რომელიც გამოექომაგებოდა ქრისტიანულ საქართველოს. ასეთ ასპექტში რუსეთი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის როლში შეიძლებოდა გამოსულიყო და სწორედ ასეთი რუსეთისაკენ მიისწრაფოდა ქართლიც, კახეთიც და კავკასიის მთელი რიგი პოლიტიკური ერთეულებისა 80-იანი წლების დასაწყისში.

ვიწრო მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ რუსეთი აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელიც შეძლებდა უშუალო დახმარება გაეწია საქართველოსათვის უფრო ზუსტად იმ კუთხისათვის, რომელიც მას ემიჯნებოდა. რეალურ დახმარებაში უპირველეს ყოვლისა იგულისხმებოდა შამხლის მოსპობა და საქართველოს შინაგანი ძალების დარაზმვა-მობილიზაცია[16]. ასეთი როლის შესრულება ჩვეულებრივ სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეს არ შეეძლო, აქ სხვა იურიდიული ფორმა უნდა მოძებნილიყო ურთიერთობისათვის და მოიძებნა კიდეც მფარველობის სახით. ამ პერიოდიდან „...თავისი პოლიტიკური ზრახვების განხორციელება ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა რუსეთთან თანამშრომლობას მტკიცედ დაუკავშირა“[62].

Т. Г. ТИВАДЗЕ

К ВОПРОСУ О КАХЕТИНСКО-РУССКИХ ОТНОШЕНИЯХ В 80-Е ГОДЫ XVI В.

Резюме

В работе рассмотрены те контакты и международная обстановка, которые определили и обусловили возобновление политических взаимоотношений между Кахети и Россией в середине 80-х годов XVI века. На основе анализа архивного материала автор постарался доказать, что в деле налаживания политических связей с Московским государством в указанный период инициатива исходила со стороны правящих кругов Кахети.

В работе впервые публикуется письмо Ивана Грозного к кахетинскому царю Левану, приводится дополнительный материал к истории грузинского посольства в Москве в 1563 г., дается попытка передатировать письмо кахетинского царя Александра к московскому государю, которое в историографии принято считать написанным в конце XV в.

[60] ძაცსა, ფ. 110/1, წიგნ. № 1, ფურ. 271.

[61] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები V, გვ. 169.

[62] იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ სამსონაძე

საქართველოს საგარეო ორიენტაციის საკითხი XVIII საუკუნეში

XVIII ს-ის საქართველოს ისტორიას და, შესაბამისად, საგარეო პოლიტიკასაც სამი დიდი პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობა განსაზღვრავდა. ეს იყო: ქვეყნის განთავისუფლება დამპყრობთა უღლისაგან, მისი კვლავ მოქცევა ევროპული ცივილიზაციის ორბიტაში და რამდენიმე სამეფო სამთავროდ დაშლილი ერის გაერთიანება ისტორიულ საზღვრებში.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ მესამე პრობლემაზე გაგვემახვილებია ყურადღება და გვეჩვენებია, თუ რა პერსპექტივები ჰქონდა მოცემულ ხანაში ქვეყნის გაერთიანების საქმეს და რა როლს ასრულებდა იგი საგარეო ორიენტაციის ჩამოყალიბებაში.

აღმავალი ფეოდალიზმის ეპოქაში წარმოშობილი ერთიანი სახელმწიფოები განვითარების გარკვეულ ეტაპზე უმრავლეს ქვეყანაში დაიშალა. ეს პროცესი ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში ფეოდალიზმის დაღმავალი განვითარების სტადიის დასაწყისს დაემთხვა და იმ მომენტამდე გაგრძელდა, როდესაც სასაქონლო მეურნეობის განვითარების საფუძველზე, ერთიანი, ეროვნული საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებამ და სხვადასხვა კუთხესა და მხარეთა შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობების განმტკიცებამ დღის წესრიგში დააყენა დაშლილი ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების აუცილებლობა. ე. ი. გაერთიანების პროცესი ახალი წარმოებითი ურთიერთობებისათვის ნიადაგის მომზადებას, მის ჩასახვა-ჩამოყალიბებას უკავშირდებოდა. შესაბამისად დაშლილობის ეპოქის ხანგრძლივობა ძირითადად განისაზღვრებოდა პერიოდით ფეოდალიზმის დაღმავალი სტადიის დასაწყისიდან, მის წიაღში ახალი ურთიერთობის, ახალი წყობის ჩამოყალიბების დასაწყისამდე.

ეს პრინციპული დებულება განვითარების თავისებურებებისა და მრავალი სხვა გარემოების გამო, თვით კლასიკური ფეოდალიზმის ქვეყნების მიმართაც არ ატარებდა აბსოლუტურ ხასიათს და ხშირად მნიშვნელოვანი ცვლილებებით, ნიუანსებით და საწინააღმდეგო მოვლენებითაც კი მჟღავნდებოდა. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში ფეოდალური დაშლილობის ეპოქა თითქმის არ ყოფილა. იტალიის (და ნაწილობრივ გერმანიის) სავაჭრო ქალაქებში, ახალი წარმოებითი ურთერთობები მეტად ადრე ჩამოყალიბდა, ხოლო ამას შედეგად ფეოდალთა უფლებების შეზღუდვა და ბატონყმური ექსპლუატაციის მოსპობაც კი მოჰყვა; მაგრამ აქ ეს პროცესი არა საშინაო, არამედ საგარეო ბაზრის მოთხოვნილებათა საფუძველზე წარიმართა. საგარეო ბაზარზე კი იტალიის ქალაქი-სახელმწიფოები ურთიერთსაკონკურენციო ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი. ამის გამო, ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებამ ამ ქალაქ-

თა დაკავშირების ტენდენცია კი არ გააძლიერა, არამედ კიდევ უფრო გააღრმავა მათი გათიშულობა, რაც ხშირად სისხლისმღვრელ ომებშიც კი გადაიზრდებოდა ხოლმე.

ზოგ ქვეყანაში, სადაც გათიშულობა-დაშლილობას ძირითადად ეკონომიკური კი არა, პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა (საგარეო ფაქტორი ესპანეთში), შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების პირობებში, ქვეყნის გაერთიანება საერთოდ ან თითქმის არ დაკავშირებია ერთიანი ეროვნული ბაზრისა და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების მიმდინარეობას.

ერთიანი საქართველოს დაშლის პროცესი, XIII ს-ის მიწურულიდან რომ შეიმჩნევა, მარტო გარეშე ძალების, საგარეო ფაქტორის, მოქმედების შედეგი არ ყოფილა. იგი ქვეყნის შინაგანი განვითარების კანონზომიერი პროდუქტიც იყო (ფეოდალური, ნატურალური, კარჩაკეტილი, გათიშული მეურნეობა, ეკონომიკური კავშირურთიერთობების სისუსტე, ასევე გათიშულ პოლიტიკურ მმართველობას გულისხმობს). გარეშე ძალების უარყოფითი ზემოქმედების შედეგი დაშლილობის პერიოდის არაჩვეულებრივი ხანგრძლივობა იყო. საგარეო ფაქტორებმა, რომლებიც ასე არასასურველად განლაგდნენ საქართველოს ისტორიის XIII—XVIII საუკუნეების განმავლობაში, ახალი წარმოებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების დაგვიანება განაპირობეს, ამის გამო ხუთი საუკუნის მანძილზე დაჭუცმაცებულობის პროცესი თანდათან ღრმავდებოდა. თუ რომელიმე იღბლიანი მმართველი, შექმნილი ხელსაყრელი პირობების ვითარებაში, ქვეყნის გაერთიანების გზაზე რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევას ახერხებდა, ეს წარმატება დროებითი და ეფემერული იყო, და, ჩვეულებრივ, მისი შემოქმედის სიცოცხლის პერიოდს თუ უძლებდა.

XIV ს-ის შუა ხანებში საქართველოში შექმნილმა შედარებით ხელსაყრელმა ვითარებამ (მონღოლთა უღლის გადაგდება, საგარეო მშვიდობა), მაშინვე გამოამჟღავნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დასახული ტენდენციები. საკანონმდებლო საქმიანობის სიცხოველე და მის ცენტრში გლეხის უფლებების საკითხის დაყენება, რასაც აღნიშნულ პერიოდში ჰქონდა ადგილი, იმის მაჩვენებელი იყო, რომ ფეოდალიზმის წიაღში გაჩნდა ძალა, რომელიც ახალი იდეებით გამოდიოდა და ფეოდალურ ექსპლუატაციას უპირისპირდებოდა ამ ექსპლუატაციის კრიტიკა, რომლის ნიშნები ჯერ კიდევ XIII ს-ში შეინიშნებოდა[1], ახლა უკვე, ჩანს, იმ ზომამდე მისულა, რომ მმართველი წრეები დაუფიქრებია და საკითხის მოწესრიგების აუცილებლობის წინაშე დაუყენებია. ამგვარ ვითარებაში, ქვეყნის გაერთიანების პრობლემის დღის წესრიგში დაყენება და აქტიური მოძრაობა მისი განხორციელებისათვის, გიორგი ბრწყინვალის მეფობის (1318—1346) პერიოდში რომ ჰქონდა ადგილი, ლოგიკური და ისტორიულად კანონზომიერი იყო.

მაგრამ XIV ს-ის მიწურულიდან ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა. თემურ-ლენგის არნახულმა გამანადგურებელმა შემოსევებმა ყველა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიღწევა არარაობად აქცია: „უბრალო შემთხვევითობანი, როგორც მაგალითად ბარბაროსული ხალხების შემოსევაა, ჩვეულებრივი ომებიც კი საკმარისია, რათა განვითარებული

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 57.

საწარმოო ძალებისა და მოთხოვნილებების მქონე რომელიმე ქვეყანა იქამდე მივიდეს, რომ იძულებული გახდეს ყველაფერი კვლავ თავიდან დაიწყოს"[2]. საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ არაერთი ამგვარი კატაკლიზმი იცის.

ისტორიული განვითარების ყველაზე მძიმე წლებშიც არ წყდებოდა ქვეყანაში საწარმოო ძალთა განვითარების პროცესი, რასაც აშკარად ადასტურებს შესაბამისი პერიოდის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ლექსიკური მასალა. ამის გამო კიდევ უფრო ღრმავდებოდა შეუსაბამობა საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობებს შორის, ეს კი ფეოდალური ექსპლუატაციის უმახინჯესი ფორმების გაჩენის საფუძველი ხდებოდა, რამაც ყველაზე თვალნათლივ ტყვით ვაჭრობის ბარბაროსული პროცესის წარმოქმნაში იჩინა თავი.

XVI ს-ში ქვეყნის დაშლილობამ საბოლოო სახე მიიღო. ჩამოყალიბდა სამი სამეფო და ოთხი სამთავრო. ამ ფაქტმა ცალკეულ სამეფო-სამთავროებში ფეოდალური პარტიკულარიზმი კიდევ უფრო გააძლიერა. მსხვილი ფეოდალები ახლა გაცილებით მეტ პოლიტიკურ და სამხედრო დამოუკიდებლობას აღწევენ. ეს ამბავი ერთი მხრივ, იმით იყო განპირობებული, რომ ცენტრალური ხელისუფლების დამცრობის გამო ცალკეულ მეფე-მთავართა და მათ ვასალ ფეოდალთა შორის განსხვავება მინიმუმამდე შემცირდა. ხშირად ცალკეული ფეოდალები სამხედრო ეკონომიკური თვალსაზრისით თავიანთ სიუზერენ მეფე მთავრებზე ძლიერებიც კი იყვნენ. მეორე მხრივ, ერთიანი ქართული ხელისუფლებისაგან („მეფეთ მეფეთაგან") გამოყოფისათვის ბრძოლაში ადგილობრივი ფეოდალების მხარდაჭერა რომ მიეღოთ, ცალკეულ სამეფო სამთავროთა მფლობელები თავიანთ ვასალებთან სოციალურ და პოლიტიკურ დათმობებზე მიდიოდნენ[3].

ამავე პერიოდში ქვეყნის გაერთიანების პერსპექტივას უდიდესი ზიანი მიაყენა იმან, რომ ორმა დიდმა აგრესორმა, — ირანმა და ოსმალეთმა — დაშლილი საქართველო გავლენის სფეროებად გაინაწილა (1755).

მიუხედავად ამისა, საწარმოო ძალთა მაღალი განვითარების შედეგად, ქვეყნის ცალკეულ მხრეებში, რომლებიც ხელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებსა და პოლიტიკურ მდგომარეობაში იყვნენ, ახალი ურთიერთობის ჩანასახები მაინც ახერხებდნენ გზის გაკაფვას. ეს სწრაფ ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას იწვევდა, რის საფუძველზე ცალკეულ სამეფო-სამთავროთა ხელისუფლები ფეოდალური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ მეტ-ნაკლებად წარმატებული ბრძოლის გაშლას ახერხებდნენ (კახეთი XVI ს., ქართლი XVII—XVIII სს.).

ამგვარი ტენდენციები დამაბრკოლებელ გარემოებებთან ბრძოლაში ნელა, მძიმედ, თანდათანობით, მაგრამ მაინც მეთოდურად იკაფავდნენ გზას.

საწარმოო ძალთა და სასაქონლო მეურნეობის განვითარების პარალელურად ვაჭრობა იყო ის რევოლუციური ძალა, რომელიც პირობებს ამზადებდა ქვეყნის სოციალური დაწინაურებისათვის.

---

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, წიგნიდან „გერმანული იდეოლოგია", თბ., 1948, გვ. 66.

[3] ამის მაგალითია ქართლის სამეფო დარბაზის გადაწყვეტილება იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე და ამის არგუმენტაცია (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965, გვ. 87).

ხანგრძლივი ისტორიული ტრადიციისა და წინააზიაში მნიშვნელოვანი როლის გამო, საქართველოს ვაჭრობას ძნელბედობის წლებშიც არ დაუთმია მაღალი პოზიციები. საქართველოს ვაჭართა მოღვაწეობა საგარეო ვაჭრობაში და იქ მნიშვნელოვანი კაპიტალების დაბანდება, გარკვეულად უშლიდა ხელს შინავაჭრობის განვითარებას და, შესაბამისად, საშინაო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესს; მაგრამ, ამავე დროს, ქართველ ვაჭართა სისტემატური კავშირი მსოფლიოს დიდ ცენტრებთან, პოლიტიკურად დასუსტებულ, დაშლილ და დიდ ისტორიულ გზაჯვარედინებს მიღმა დარჩენილ ქვეყანას საშუალებას აძლევდა არ მოწყვეტოდა მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს, მატერიალური თუ სულიერი განვითარების სფეროში, რაც მისი შემდგომი წინსვლის მასტიმულირებელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო. საქართველო მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების საქმის კურსში რჩებოდა.

ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების სხვადასხვაობა, საწარმოო ძალთა განვითარების არსებული დონე და ვაჭართა ბურჟუაზიული კლასის ჩამოყალიბების მიმდინარე პროცესი, ვიწრო ადგილობრივ ბაზართა თანდათანობითი გაფართოების, მათი თავმოყრისა და ერთიანი ქართული ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბების პირობებს ქმნიდა[4]. ვაჭართა კლასის წარმომადგენელთა საშინაო ვაჭრობაში აქტიური მონაწილეობა, ამ ვაჭრობის ვიწრო სპეციალობების გაჩენა, და ურთიერთსაჭონელგაცვლაში, ქვეყნის შორეული კუთხეების მონაწილეობა ამ პროცესის მიმდინარეობის აშკარა ნიშანი იყო.

საქართველოს დამმუშავებელი წარმოება, რომელიც XVIII ს-ის ავტორთა რწმუნებით, თავისი პროდუქციით მთელს ამიერკავკასიას ამარაგებდა, თანდათანობით სავაჭრო კაპიტალის გავლენაში ექცეოდა, რაც მრეწველობის კაპიტალისტური ფორმების ჩასახვა-ჩამოყალიბების შესაძლებლობას აპირობებდა. ამრიგად, სავაჭრო ბურჟუაზია იყო ის რევოლუციური ელემენტი, რომელიც, ერთი მხრივ, ცალკეულ, ვიწრო, ადგილობრივ ბაზრებს თანდათანობით აერთიანებდა, თავს უყრიდა და ერთ მთლიან ეროვნულ ბაზრად აყალიბებდა, ხოლო, მეორე მხრივ, აკავშირებდა რა საქონელ გაცვლას საქონელწარმოებასთან, ეს უკანასკნელი ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავდა და ამით სავაჭრო კაპიტალი სამრეწველო კაპიტალად იქცეოდა.

ყოველ შემთხვევაში XVIII ს-თვის დადგენილად უნდა ჩაითვლოს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს შორის სამეურნეო სპეციალიზაციის არსებობა. სასაქონლო პროდუქციის წარმოების სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობაშიც იკიდებდა ფეხს, რასაც არაერთი ფაქტი და საბუთი ადასტურებს.

ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს შორის ეკონომიკური კავშირი იმდენად მტკიცე და აუცილებელი გამხდარა, რომ მისი თუნდაც დროებითი დარღვევა თითქმის უბედურების ხასიათს იძენდა. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოდ მოჩანს პაპუნა ორბელიანის ცნობა, რომელიც XVIII ს-ის 50-იანი წლების სინამდვილეს ასახავს: ლეკთა ჩამოწოლის გამო „შეიკრა გზები მტრისაგან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო ქართლიდამ ჩამოუშვეს და

---

[4] მ. სამსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, თბ., 1980, გვ. 31

აღარც ახლაციხის ქვეყნიდამ ჭარავანი, ამით ქალაქ თბილისს ძვირობა შეიქმნა და ხალხი, დიახ, შეწუხდენ“. როგორც ვხედავთ დედაქალაქთან ერთი მიმართულებით კომუნიკაციის შეფერხებას მეტად მძიმე შედეგი მოჰყოლია. ამიტომაც ერეკლე ენერგიულად მოქმედებს: „გაბძანდა ბატონი საქართველოს ჯარით, რომელი ქალაქში ახლდენ, მიბძანდა, დადგა მცხეთას, შემოიყარა საერისთაოების ჯარი, დააყენა გზებზე, გაიხსნა გზები და უკუდგა მტერი, ჩამოვიდა ურიცხვი პური, ღვინო თუ რაც რაფერი საზდო, აივსო ქალაქი ყოვლითა სანოვაგითა“[5].

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათი და დონე, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილს შორის ეკონომიკური კავშირის განმტკიცება, შრომის საზოგადოებრივი განაწილების გაღრმავება, ამის საფუძველზე სხვადასხვა კუთხესა და რაიონში სამეურნეო სპეციალიზაციის ჩამოყალიბება და ერთიანი ქართული ეროვნული ბაზრის ფორმირების პროცესი, რამდენიმე ერთეულად დაშლილი ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას აუცილებლად მოითხოვდა.

ამასვე მოითხოვდა დამპყრობთა წინააღმდეგ, პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ქართველობის ეროვნული კონსოლიდაციის ინტერესებიც: მრავალ სამეფო სამთავროდ დანაწილებული და სხვადასხვა დამპყრობთა გავლენის სფეროში მოქცეული ხალხის შეკავშირება და საერთო ეროვნული საქმისათვის დარაზმვა შეუძლებელი იყო. საქართველოში ამას ყველა კლასი და ფენა გრძნობდა, მაგრამ ფეოდალთა კლასობრივი ინტერესები ობიექტურად ქვეყნის გაერთიანებას ეწინააღმდეგებოდნენ. ამ პროცესს ლოგიკურად უპირისპირდებოდნენ იმ სამეფო-სამთავროთა გამგებლებიც, რომლებსაც თავიანთი სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი საშუალებას არ აძლევდა ამ გაერთიანების ინიციატორებად გამოსულიყვნენ და მისი მეთაურობა ეკისრათ.

თავადური (მსხვილ ფეოდალთა) პარტიკულარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენად ჩვეულებრივ წვრილი ფეოდალები (აზნაურები) გამოდიოდნენ. ამ კავშირის სოციალური საფუძველი გასაგებია: ცენტრალური ხელისუფლების სახით აზნაურობა მსხვილ ფეოდალთა მოძალებისაგან დამცველს და მხარდამჭერს ხედავდა. მაგრამ ეს კავშირი მაშინ არის ეფექტური, როცა ერთიანი ქვეყანა მსხვილ საფეოდალოებად (სენიორიებად, სათავადოებად) არის დაშლილი. ხოლო როცა იგი რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად (სამეფო-სამთავროებად) იყო დანაწილებული, თითოეული მათგანის აზნაურობა (წვრილი ფეოდალები) იმავე სოციალური საფუძვლის გამო ადგილობრივი ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენად, მოკავშირედ გამოდიოდა და, ამდენად, ქვეყნის საერთო გაერთიანების საქმეს ხელს კი არ უწყობდა, არამედ ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ცალკეულ სამეფო-სამთავროთა გაერთიანების პრეტენზიას აცხადებდა, იძულებული იყო იმ წრეებს დაკავშირებოდა, რომელიც შემოსაერთებელ რეგიონში (ვთქვათ იმერეთში, გურიაში და ა. შ.) ცენტრალურ ხელისუფლებას უპირისპირდებოდა, ასეთად კი, როგორც ცნობილია მსხვილი ფეოდალები (მსხვილი თავადები) გამოდიოდნენ. ამგვარი მისწრაფება აშ-

---

[5] პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 234—235.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარად შეიმჩნევა გიორგი XI-ის, ვახტანგ VI-ისა და, განსაკუთრებით, თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკაში. მაგრამ ამგვარი ალიანსი არ შეიძლება ჯანსაღი და მტკიცე ყოფილიყო, რადგან ის პოლიტიკოსი, ვინც მთელი ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად გამოვიდოდა, საკუთარ სამფლობელოში ფეოდალურ პარტიკულარიზმს რომ ებრძოდა, (უამისოდ კი მას ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება და ამის საფუძველზე უფრო შორს გამიზნული ღონისძიებების დაგეგმვა არ შეეძლო) აშკარად ამჟღავნებდა თავისი პოლიტიკის მაგისტრალურ ხაზს. ამის გამო. დაპირისპირებულ სამეფო-სამთავროთა მსხვილი ფეოდალები მას მხოლოდ მანამდე უჭერდნენ მხარს, ვიდრე ეს კავშირი ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისკენ იყო მიმართული. მისი მოსპობა და უფრო ძლიერი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება, ბუნებრივია, მსხვილ ფეოდალებს არ აწყობდათ, რადგან ეს ავტომატურად უფრო ძლიერი პოლიტიკური ერთეულის შექმნას და, შესაბამისად, მსხვილ ფეოდალთა პოლიტიკური უფლებების შეზღუდვას, თვითნებობის აღკვეთას გამოიწვევდა. ერთი სიტყვით, ეს კავშირი არამყარი და დროებითი იყო.

ერის ძირითადი, ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი, — მწარმოებელი მოსახლეობა, განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა ქვეყნის გათიშულობის, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის, მტერთა შემოსევებისა და ფეოდალური ექსპლუატაციის სიმძიმეს. მაგრამ ბატონყმური წყობილება, რომელიც საწარმოო ძალთა განვითარებისა და წარმოებითი ურთიერთობის ხასიათის შეუსაბამობის მეტად გახანგრძლივებული პერიოდის გამო, ერთობ მძიმე და მახინჯი ფორმებით გამოირჩეოდა, ის მთავარი დამაბრკოლებელი გარემოება იყო, რომელიც გლეხობას ხელს უშლიდა ქვეყნის გაერთიანებისა და ცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაბმულიყო.

გლეხობა ან ფეოდალურ უღელში იყო და მებატონეთა ნებასურვილის შესაბამისად, იძულებით მათი პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა, ან კლასობრივ ბრძოლას აწარმოებდა; მაგრამ რადგან ფეოდალური ქვეყანა დამპყრობთა გავლენაში იყო მოქცეული, რომლისგან თავის დაღწევა ერის ყველა სასიცოცხლო პოტენციის სრულ მობილიზებას მოითხოვდა, გლეხთა სოციალური ბრძოლა საერთო ეროვნული საქმის წარმატებებს ძალაუნებურად ხელს უშლიდა. გლეხის უპირველესი მტერი ფეოდალი იყო, ამიტომ იგი განურჩევლად თავის მეგობრად მიიჩნევდა ყველას, ვინც იმ ძალას ებრძოდა, რომელიც ფეოდალურ უქსპლუატაციას უჭერდა მხარს.

მართალია, ერეკლე II-ის (ისევე, როგორც ვახტანგისა და თეიმურაზის) პოლიტიკა ბატონყმური რიგის მოწესრიგების, ფეოდალთა თვითნებობის შეკვეცის და გლეხთა უფლებების დაკანონებისაკენ იყო მიმართული, მაგრამ ყველაფერი ეს ფეოდალური ექსპლუატაციის შენარჩუნებას და განმტკიცებას ითვალისწინებდა. ლოზუნგი „რა ამოწყდეს გლეხიკაცი საქართველო დაძაბუნდესო“, იმის მაჩვენებელია, რომ ავტორს გლეხიკაცი ექსპლუატაციის მუდმივ ობიექტად მიაჩნდა, რომლის განთავისუფლება, თუნდაც მდგომარეობის შემსუბუქება კი არ ანაღვლებდა, არამედ ამოწყვეტა აშინებდა, რადგან მაშინ ექსპლუატატორთა მარჩენალის მძიმე ტვირთის მტარებელი არავინ დარჩებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდალური უღლის თანდათანობით დამძიმების გამო. გლეხი მზად იყო ყოველგვარი ზომისთვის მიემართა, რათა ექსპლუატაციისაგან საშველი ენახა. XVIII ს-ში ფეოდალური და ეროვნული ჩაგვრით შეწუხებულ გლეხთა გათურქების ტენდენციამ დასავლეთ საქართველოში, გალეკებისამ — აღმოსავლეთში, საშიში ხასიათი მიიღო. გურიაში იყო შემთხვევები, როცა მთელი სოფელი მუსლიმანურ რჯულზე გადადიოდა, რითაც მებატონეთაგან ფეოდალურ ექსპლუატაციას, ხოლო დამპყრობთაგან ეროვნულ ჩაგვრას აღწევდნენ თავს.

ყველაფერი ეს ეროვნულ ფრონტს ასუსტებდა, ერის ძალებს თიშავდა და საბოლოოდ დამპყრობთა და მჩაგვრელთა წისქვილზე ასხამდა წყალს. ეს კარგად ესმოდათ ქვეყნის პოლიტიკოსებს, მაგრამ ექსპლუატაციის შეცვლის, ან თუნდაც შერბილების საკითხს კი არ აყენებდნენ, არამედ ცდილობდნენ გლეხთა ანტიფეოდალური მოძრაობისათვის იურიდიული საფუძველი გამოეცლიათ; ამიტომ სახელმწიფო საკანონმდებლო საქმიანობაც ბატონყმური რიგის მოწესრიგებისაკენ იყო მიმართული.

გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ნეგატიური როლი ქვეყნის გაერთიანებისა და განთავისუფლების ეროვნულ საქმეში კარგად ჰქონდათ შეგნებული პროგრესულ ძალებს. ამით უნდა აიხსნას ერთი რამდენადმე უცნაური გარემოება: XVIII საუკუნეში მნიშვნელოვანი ძვრები შეიმჩნევა ქართული საზოგადოებრივი აზრის, კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განვითარების თვალსაზრისით (სულხან-საბა, დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, ვახუშტი, ისტორიული მეცნიერების განვითარება და ა. შ.) ეს ძვრები აშკარად აღორძინების ნიშნებს ატარებენ და ადრეული განმანათლებლობის იდეების გავრცელებით გვირგვინდებიან[6]. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ თუმცა ქართველ მოღვაწეთა ნაშრომებსა და ნააზრევში აშკარად მოსჩანს მშრომელი ადამიანის ინტერესთა დაცვის მოწოდება, მათი ბედით დაინტერესება და ა. შ. არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი, მინიშნებაც კი არ არის ბატონყმობის არა თუ მოსპობის, უბრალოდ კრიტიკის თვალსაზრისითაც კი. მაშინ, როდესაც აღნიშნული და უფრო ადრეული პერიოდის ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ეს მოტივი ერთ-ერთი ძირითადია.

საქართველოს სინამდვილეში მხოლოდ ქალაქები (ვაჭართა კლასი, ბურჟუაზია) შეიძლებოდა გამოსულიყო იმ რეალურ ძალად, რომელიც სისხლხორცეულად იქნებოდა დაინტერესებული ქვეყნის დაშლილობის მოსპობაში და ამ საქმეში ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენის ფუნქციას შეასრულებდა.

სწორედ ვაჭრები (ქალაქები, ბურჟუაზია) ზარალდებოდნენ ყველაზე მეტად გზების მოუწყობლობით და ხიფათით, აუარებელი ბაჟებით („ბაჟები წარმოიქმნა ხარკებიდან, რომლებსაც ფეოდალები ახდევინებდნენ მათს ადგილმამულზე გამავალ ვაჭრებს, როგორც გამოსასყიდს მათს გაძარცვაზე უარის თქმისათვის“[7]), ცალკეულ — სამეფო-სამთავროთა პოლიტიკურ მესვეურებთან ურთიერთობის სირთულით, მსხვილ ფეოდალთა და თვით მთავართა

---

[6] მ. გაფრინდაშვილი, ქართული განმანათლებლობა, თბ., 1966, გვ. 5.

[7] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, წიგნიდან „გერმანული იდეოლოგია“, თბ., 1948, გვ. 71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავხედობით, თავაშვებულობით, უსამართლობითა და ძალადობით. ამავე დროს ვაჭრები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიუხედავად ეკონომიკური სიძლიერისა ყმურ მდგომარეობაში რჩებოდა, ყველაზე მწვავედ განიცდიდნენ ფეოდალური ექსპლუატაციის სიმძიმეს და ფეოდალებს, როგორც კლასს, უპირისპირდებოდნენ.

ამრიგად, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილს შორის კავშირურთიერთობის ზრდა, მათი ურთიერთგანპირობებულობა, დღის წესრიგში ქვეყნის გაერთიანების აუცილებლობას აყენებდა, ხოლო თავადური პარტიკულარიზმისა და სამთავროთა სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მწიფდებოდა სამეფო ხელისუფლებისა და ბურჟუაზიის (ქალაქების, ვაჭრების) კავშირი. მაგრამ მხოლოდ მოქალაქეებზე და, მით უმეტეს მის ვაჭრულ ზედაფენაზე დაყრდნობით ამ დიდი საქმის წამოწყება შეუძლებელი იყო. ზემოთ აღნიშნული კავშირის სიმტკიცეს არაერთი დამაბრკოლებელი გარემოება ასუსტებდა.

ბურჟუაზიული ელემენტები ქვეყანაში ჯერ კიდევ უძლური იყვნენ იმისათვის, რომ ასეთი დიდი საქმე ეტვირთათ. მათ იმდენი ძალა კი შესწევდათ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას შინაური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოდგომოდნენ. მაგრამ როცა საქმე ამაზე შორს მიდიოდა, როცა გამაერთიანებელ ძალებს შეჯახება ელოდათ არა მარტო ქვეყნის შინა ცენტრიდანულ მისწრაფებებთან, არამედ სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა მთელ სამხედრო პოლიტიკურ პოტენციალთან და მათ დამხმარე საგარეო ფაქტორებთან (ირანი, თურქეთი, ლეკები და ა. შ.), ცხადია, მარცხი გარდაუვალი იყო.

ამას ის გარემოებაც ემატებოდა, რომ საქართველოს პირობებში ცენტრალური ხელისუფლებისა და ქალაქების (ბურჟუაზიის) კავშირი ბოლომდე გულრწფელი არ შეიძლება ყოფილიყო, რადგან ქალაქური ზედაფენა ფეოდალთა ინტერესების გამომხატველი და ფეოდალური ექსპლუატაციის დამცველი იყო.

ვაჭართა ზედაფენა, ფართო საგარეო ვაჭრობას რომ ეწეოდა, კარგად იყო ინფორმირებული ბურჟუაზიის მდგომარეობით დაწინაურებულ ქვეყნებში, იქ კი ფეოდალური ექსპლუატაცია ან მოსპობილი იყო, ან მისი მოსპობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა. ქართული ბურჟუაზია თანდათან იკრებდა ეკონომიკურ ძალებს და თავისი უცხოელი პარტნიორების მსგავსად, პოლიტიკური ძალაუფლებისა და სოციალური თავისუფლების მოთხოვნებს აყალიბებდა. აქ ცენტრალური ხელისუფლების და ვაჭრული ბურჟუაზიის ინტერესები ერთმანეთს სცილდებოდა.

მართალია, ცენტრალური ხელისუფლება ზრუნავდა ვაჭართა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და პოლიტიკურ და დიპლომატიურ საქმიანობაში ჩაბმისათვის, რაც შესანიშნავად ჩანს ვახტანგ VI-ის საკანონმდებლო მოღვაწეობაში, თეიმურაზ II-ის და განსაკუთრებით ერეკლე II-ის პოლიტიკაში და სხვ., მაგრამ ყველაფერი ეს მაინც პალიატიურ ღონისძიებებად რჩებოდა და XIX საუკუნეშიც კი, ბევრი მსხვილი ვაჭარი, რომელიც დიდ საგარეო კომერციებში მონაწილეობდა და იმ დროის კვალობაზე უზარმაზარ კაპიტალებს ატრიალებდა, ყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ყველაფერ ამას ერთი გარემოებაც ემატებოდა, რომელიც კიდევ უფრო ასუსტებდა ხსენებული კავშირის ეფექტიანობას: ეს იყო ქალაქური მოსახლეობის ეროვნული სიჭრელე. წამყვანი პოზიცია აქ (ეროვნებით თუ რელი-

გიით) სომხებს ეკავათ. ვაჭრობა-ხელოსნობაში მათი ხვედრითი წვლილი იმდენად დიდი იყო, რომ ქართული წარმოშობის პირს რჯულის გამოცვლის გარეშე მათ კორპორაციაში შესვლა საკმაოდ უძნელდებოდა. ქალაქების მოსახლეობის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს ფეოდალური ექსპლუატაციას გამოქცეული ყმა-გლეხები შეადგენდნენ. ქალაქის ხელოსნური უბნებისათვის რომ თავი შეეფარებინათ, მათ გვარისა და რჯულის გამოცვლაც უხდებოდათ. მომდევნო თაობები მათ ნამდვილ წარმომავლობას თანდათან ივიწყებდნენ, რასაც სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობაც უწყობდა ხელს. ამის გამო ქალაქის მოსახლეობაში სომხური, — გრიგორიანული ელემენტის ხვედრითი წილი ერთობ სტაბილური რჩებოდა.

ამის საფუძველზე ბურჟუაზიული ელემენტების დაპირისპირება ფეოდალთა კლასის წარმომადგენლებისადმი ამ უკანასკნელთა მცდელობის შედეგად ეროვნულ სამოსელში ეხვეოდა. შარდენის მოწმობით, სომხები საქართველოში (იგულისხმება ქალაქებში — მ. ს.) „ისე მრავლად არიან, რომ ქართველებსაც კი სჭარბობენ, ამასთანავე ისინი ყველაზე მდიდრები არიან, მაგრამ პატარა ადგილები და დაბალი თანამდებობები უკავიათ, ქართველები უფრო უფლებამოსილნი... არიან“[8].

ის ეკონომიკური შეძლებულობა, რომლის საფუძველზე მოქალაქეთა ზედაფენის წარმომადგენლები სოციალური და პოლიტიკური უფლებებისათვის იბრძოდნენ, ბუნებრივია, მწარმოებელი მოსახლეობის ექსპლუატაციის პროდუქტი იყო, ექსპლუატირებულთა როლში კი ძირითადად ქართველი გლეხობა გამოდიოდა. ამგვარ ვითარებაში ფეოდალური იდეოლოგია ადვილად ახერხებდა მშრომელ მოსახლეობაში ანტისომხური ნაციონალიზმის გაღვივებას.

მართალია, ვაჭართა რიგებს მართლმადიდებელი, კათოლიკე, თუ გრიგორიანული სარწმუნოების ბევრი ქართველი ავსებდა; ქალაქის მოსახლეობის თვით სომხური ნაწილიც მნიშვნელოვანწილად გაქართველებული იყო (ენა, წერა-კითხვა, კულტურა, განათლება და ა. შ.), მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ქართველებს, და არა მარტო ქართველებს, ტერმინი „სომეხი“, — ვაჭრის სინონიმად ესმოდათ.

ამრიგად, ეროვნული საკითხის გაცხოველების პირობებში, საქართველოს ბურჟუაზიამ „მოახერხა“ თავის წინააღმდეგ განეწყო მშრომელი მოსახლეობის მასები მანამდე, ვიდრე პოლიტიკურ ძალაუფლებას მიუახლოვდებოდა. ამდენად, საქართველოს ბურჟუაზია (ვაჭართა კლასი, მოქალაქეები) ქართული ეროვნული საქმის მედროშედ ვერ გამოვიდოდა. არაქართული წარმოშობის ელემენტი საქართველოს გაერთიანების საქმეს ვერ ითავებდა; იგი მთელი ერის სახელითა და მისი ინტერესების დამცველის პოზიციით ვერ ისარგებლებდა.

ეს, როგორც ჩანს, ვაჭართა ზედა ფენების წარმომადგენლებსაც კარგად ესმოდათ. ისინი გრძნობდნენ, რომ ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოში სოციალურ თანასწორობას და პოლიტიკურ უფლებებს ვერ მოიპოვებდნენ; ამიტომ გაქართველების მძლავრ ტენდენციასთან ერთად (საგულისხმოა, რომ სა-

[8] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975, გვ. 298.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოში ყველა სომხური გვარი გადმოქართულებული იყო; მხოლოდ XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში დაიწყო მისი შეცვლა სომხურ და რუსულ ყაიდაზე) ისინი იმედს ხშირად საგარეო ფაქტორზე ამყარებდნენ. უცხო ძალის წინაშე მათ ეროვნულ განსხვავებულობას აზრი ეკარგებოდა და ირანელი, თურქი თუ რუსი ხელისუფლების მხრიდან მათ, სულ ცოტა, ქართველების თანაბარი დამოკიდებულების იმედი შეიძლებოდა ჰქონოდათ.

ამიტომ ის გარემოება, რომ XVIII საუკუნის ფეოდალური ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელი მოქალაქეთა ზედაფენის მესვეურებს ქართული ეროვნული საქმის ღალატში ადანაშაულებდა, თუ ერთი მხრივ, ტრადიციული ანტაგონისტური დამოკიდებულების გამოხატულება იყო, მეორე მხრივ, ამგვარი შეხედულების არსებობას ვაჭრული ზედაფენების კლასობრივი ინტერესებიც ასაზრდოებდა.

ყოველივე ამის გამო, ქვეყნის ბურჟუაზიული ელემენტები პროგრესული ძალების, — ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლთა, მხოლოდ მოკავშირის როლში შეიძლებოდა გამოსულიყვნენ.

ამრიგად, XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, საქართველოში მეტად რთული და თითქმის გამოუვალი ვითარება შეიქმნა. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, პოლიტიკური თავისთავადობის შენარჩუნებისა და ეროვნული კონსოლიდაციის ინტერესები ქვეყნის აუცილებელ გაერთიანებას (და ცხადია განთავისუფლებას) მოითხოვდნენ.

ამავე დროს, ქვეყანაში არ არსებობდა კლასი, ან თუნდაც ძლიერი ფენა, რომელიც ამ გაერთიანებით სისხლხორცეულად იქნებოდა დაინტერესებული, მის მედროშედ გამოვიდოდა და, რაც მთავარია, იმდენი შესაძლებლობა ექნებოდა, რომ ცენტრიდანული ძალების მთელ კომპლექსს დაპირისპირებოდა.

ქვეყანაში პროგრესული ძალების არსებობა სრულიად უეჭველი ფაქტია. ისინი საზოგადოების ყველა კლასში და ფენაში შეიმჩნეოდა. მაგრამ მათი შესაძლებლობები ერთობ შეზღუდული იყო იმ რთული პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის, რომელიც იმ დროს ერის წინაშე იდგა. როგორც აღინიშნა, ქვეყნის გაერთიანებისა და განთავისუფლების დასახული ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში პროგრესისათვის მებრძოლნი, უნდა დაპირისპირებოდნენ ფეოდალურ პარტიკულარიზმს, ცალკეულ სამეფო-სამთავროთა სეპარატისტულ მისწრაფებებს, რომელსაც მათი მესვეურნი მთელი არსებული სამხედრო პოტენციალით იცავდნენ, და მათ ისეთ ძლიერ და სასტიკ დამცველსა და მხარდამჭერს, როგორიც ირანი და თურქეთი იყვნენ და ეს დაპირისპირება-შეჯახება უნდა მომხდარიყო მთიელ ფეოდალთა პერმანენტულ გამანადგურებელი შემოსევების ვითარებაში.

სრულიად ბუნებრივია, რომ იმდროინდელ საქართველოს დამოუკიდებლად, საკუთარი საშუალებებით, ამ პრობლემის გადაწყვეტა არ შეეძლო.

საქართველოს ერთიანობის იდეა ქვეყანაში არასოდეს გამქრალა და ყველა პროგრესული ძალა, ყველაზე მძიმე პერიოდებშიც კი ამ იდეის მატარებელი იყო. მაგრამ XVIII ს-ის დასაწყისიდან ქართველი პროგრესისტები ამ იდეის ხორცშესხმისათვის პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას გეგმავდნენ და იწყებენ. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ვახტანგ VI-მ ჩამოაყალიბა მწყობრი პროგრამა, მაგრამ შექმნილმა გაუთვალისწინებელმა საგარეო ფაქტორებმა ამ წამოწყების მარცხი განაპირობეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანების აუცილებლობას კიდევ უფრო ამწვავებდა და თავის მხრივ ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მთელ საქართველოს, ფაქტობრივად მის ყველა კუთხეს, ერთი აღიარებული კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი ჰქონდა თბილისის სახით, რომელსაც დაშლილობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეს პოზიცია არასოდეს დაუთმია.

ქალაქურ (ბურჟუაზიულ) წრეებთან კავშირის შესაძლებლობა იმ ხელისუფალს ჰქონდა, ვის გამგებლობაშიც თბილისი რჩებოდა. ამის გამოც იყო, რომ საქართველოს გაერთიანების მედროშედ ჩვეულებრივ ქართლი გამოდიოდა (ბუნებრივია, ამ ფაქტში მთავარი მნიშვნელობა ქართლის გეოგრაფიულ მდებარეობას და იმ ისტორიულ ტრადიციას ჰქონდა, რომლის მიხედვითაც გაერთიანებული საქართველოს პირდაპირ მემკვიდრედ ქართლი და ბაგრატიონთა ქართლის შტო ითვლებოდა).

თეიმურაზმა და ერეკლემ დაარღვიეს ეს ტრადიცია; ამიტომაც იყო, რომ ქართლისა და კახეთის გაერთიანება მათ ერთობ გაუძნელდათ და ამ ფაქტის იურიდიულ დაკანონების 40 წლის ბრძოლა დასჭირდა.

თეიმურაზ II-ს და ერეკლე II-ს, რომელთა გამგებლობაშიც ქართლ-კახეთის შეერთების შემდეგ თბილისი იმყოფებოდა, შეეძლოთ მთელი საქართველოს გაერთიანება დღის წესრიგში დაეყენებინათ. ამ მისწრაფების საფუძველი კი ის იყო, რომ ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფო მთელს ამიერკავკასიაში სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად და აღიარებულ ლიდერად ითვლებოდა.

საქართველოს გაერთიანების პროგრამა თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკაში უკვე XVIII ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებულ ხასიათს ატარებდა. ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის რუსეთში 1752 წლის ელჩობის ერთ-ერთ მთავარ მოტივად მოჩანს ქართლ-კახეთის მეფეების მიერ ელისაბედ დედოფლისათვის გაგზავნილი წერილის სიტყვები: „ხოლო ვინაიდან აწ მყოფსა ამას ჟამსა არღარავინ არს უსჯულოთა მეფეთაგან უფალი ჩვენზედა, ესე მოგახსენოს სიწმინდისა ცასა გონებასა შენსა. აწ არს ჟამი გამოხსნისა და დღე აღდგომისა ჩვენისა. უკეთუ არა სრულიადს განწირულებასა მიცემულ ვართ ცოდვათა ჩვენთათვის“[9].

ფორმულა: „აწ არს ჟამი აღდგომისა, ჩვენისა და დღე გამოხსნისა ჩვენისა“ დიდი ხანია გაშიფრულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. „აღდგომა“ გაერთიანებას, „გამოხსნა“ კი დამპყრობთაგან განთავისუფლებას ნიშნავს მაგრამ, თუ ამ ფორმულას მხოლოდ ქართლ-კახეთის მასშტაბით გავიზიარებთ მაშინ მას არავითარი აზრი არ აქვს, რადგან, ქართლი და კახეთი ამ დროს ფაქტობრივად გაერთიანებული იყო. მართალია, მეფეები ცდილობდნენ, რომ ეს გაერთიანება რუსეთს ეცნო და ამით მისი იურიდიული განმტკიცება მოეხდინათ, მაგრამ თუ მოცემულ დებულებას ამის მიხედვით გავშიფრავთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ივი ცუდადაა ჩამოყალიბებული, რასაც ამ შესანიშნავი წერილის ავტორებს ვერ დავაბრალებთ. კიდევ უფრო ნათელია ამ ფორმულის მეორე (უფრო ზუსტად პირველი) ნაწილი — „აწ არს ჟამი... გამოხსნისა ჩვენისა“. რა გამოხსნაზე (განთავისუფლებაზე) შეიძლება იყოს საუბარი? აკი

---

[9] ი. ცინცაძე, ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752—1754), საისტორიო მოამბე, 6, თბ., 1952, საბ. 2, გვ. 140 (ხაზი ჩვენია—მ. ს.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეები თვითონ აცხადებდნენ: „ამა ჟამსა არღარავინ არს უსჯულოთა მეფეთაგან უფალი ჩვენზედაო“.

სრულიად აშკარაა, თუ „აღდგომას“ და „გამოხსნას“ გაერთიანებად და განთავისუფლებად გავიგებთ, რაც თითქოს საეჭვო არ უნდა იყოს, მაშინ აქ საუბარია არა ქართლ-კახეთზე, არამედ მთელ საქართველოზე, რომლის სამხრეთი და დასავლეთი ნაწილი იმ დროს, მართლაც, საჭიროებდა უსჯულოთაგან გამოხსნას.

მაშასადამე, თეიმურაზი და ერეკლე რუსეთის დედოფლის წინაშე მთელი საქართველოს „უსჯულოთაგან“ განთავისუფებისა და გაერთიანების საკითხს აყენებდნენ და ამით თავიანთი მოღვაწეობის მაგისტრალურ ამოცანას აცხადებდნენ. არსებულ საშინაო და საგარეო ვითარებაში ქვეყნის გაერთიანებისა და გამოხსნის საკითხის დამუშავება ერთობ საიდუმლო ვითარებაში უნდა მომხდარიყო, ფრთხილად, მეთოდურად და შენიღბულად უნდა განხორციელებულიყო. ამ ამოცანის ნაადრევი გამჟღავნება მისი მარცხის პირობა იქნებოდა.

როგორც ითქვა, ქვეყნის გათიშულობა მნიშვნელოვანწილად საგარეო ფაქტორებითაც იყო გაპირობებული, მის შენარჩუნებას საგარეო ძალები უწყობდნენ ხელს, ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მეტ-ნაკლებად დაკარგული თავისუფლების აღსადგენად საგარეო ძალებთან შეჯახება იყო აუცილებელი; მაშასადამე პროგრესისათვის მებრძოლთ, ქვეყნის „აღდგომისა“ და „გამოხსნისათვის“ მებრძოლთ, თავის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენად შესაბამისი დამხმარე საგარეო ძალები უნდა ეძებნათ. „რეაქციის ძალებს მხარში ედგათ და აქტიურად ეხმარებოდნენ ოსმალეთი და ერანი. ასეთივე დამხმარე უნდა გაეჩინათ პროგრესისათვის მებრძოლ ძალებსაც“[10]. მაგრამ რა საგარეო ძალებზე დაყრდნობით შეეძლოთ მათ ამ დიდი და რთული ისტორიული საქმის წარმატებით გადაწყვეტის იმედი ჰქონოდათ?

ქართლ-კახეთის ფორმალური „ბატონი“ ირანი იყო[11]. მართალია, 1749 წლიდან მოკიდებული ქართლ-კახეთის სამეფოს ირანისადმი დამოკიდებულების საკითხი მისი უმაღლესობის სიტყვიერი აღიარებით შემოიფარგლებოდა და ამ ფორმალურ აღიარებასაც ქართველი ხელისუფალნი მხოლოდ უშუალოდ ირანთან კონტაქტების დროს ამჟღავნებდნენ, მაგრამ ეს ირანის სისუსტით იყო განპირობებული და როგორც კი ეს აგრესორი საამისო ძალებს მოიკრებდა, ეჭვი არ არის, მაშინვე საქართველოს ფაქტობრივ დაქვემდებარებას მოითხოვდა.

ერთი შეხედვით, თითქოს ირანს არაფერი არ უნდა ჰქონოდა იმის საწინააღმდეგო, რომ ქართლ-კახეთის გამგებლებს თავის ძალაუფლებაში მთელი საქართველო გაეერთიანებინათ და, მაშასადამე, მთელი რეგიონი ირანის გავლენაში მოექციათ სხვა საკითხია, ამგვარი გამოსავალი ხელს აძლევდათ თუ არა.

---

[10] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 179.

[11] ვინაიდან დიდი ეროვნული საქმის მედროშედ გამოსვლის უფლაზე მეტი საფუძველი და პრეტენზია ქართლ-კახეთის სამეფოს ჰქონდა, ამიტომ ჩვენ საკითხს სწორედ ამ კუთხით ვიხილავთ. თუმცა ეს არსებითად არაფერს არ ცვლის და ამგვარი პრეტენზიით, სხვა რომელიმე ქართული სამეფო ან სამთავროც რომ გამოსულიყო, რაც ნაკლებად მოსალოდნელია, საგარეო ძალთა პოზიცია არსებითად არ შეიცვლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ქართლ-კახეთის მესვეურებს), ცხადია თუ ეს მოხდებოდა შესაფერის საგარეო სიტუაციაში, ე. ი. თურქებთან კონფლიქტის ვითარებაში, რაც საკმაოდ ხშირი და, ამდენად, მოსალოდნელი იყო.

საქართველო-ირანის ურთიერთობის მთელი ისტორია იმის მაგალითია, რომ ირანი ამას არ დაუშვებდა, ყოველ შემთხვევაში ამას შეძლებისდაგვარად წინ აღუდგებოდა. ირანი მხოლოდ თავისი სისუსტის გამო იყო იძულებული ეღიარებინა ქართლ-კახეთის გაერთიანება. ამ აღიარების მისაღწევად თეიმურაზს და ერეკლეს წლების მანძილზე ფრთხილი, მეთოდური დიპლომატიური ბრძოლის წარმოება უხდებოდათ. აქ უადგილო არ უნდა იყოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის მოგონება: 1743—1746 წწ. ირან-თურქეთის ომის დროს ნადირ შაჰი ქართველებს თურქეთის წინააღმდეგ გამოსვლას უბრძანებდა და აქეზებდა. მართლაც, თეიმურაზმა და ერეკლემ თარეშის ხასიათის არა ერთი ლაშქრობა მოაწყვეს ყარსის და ახალციხის საფაშოში. მაგრამ, როგორც კი მათ ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე ციხეების დაკავება სცადეს, ირანის ხელმწიფემ მაშინვე მათი დატოვება უბრძანა და მეფეებიც იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ. ნადირ შაჰს ქართველთა გამოყენება თურქეთის სამხედრო პოტენციალის დასასუსტებლად და დასაქსაქსავად უნდოდა, ქართველებს კი ახალციხის საფაშოში ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ და ამ ძველისძველი ქართული მიწაწყლის შემოერთებაზე ოცნებობდნენ. ასეთი ნაბიჯი ქართველების გაძლიერებას გამოიწვევდა, რაც ირანის გეგმებს სულაც არ ეთანხმებოდა. ირანი გაერთიანებული ქართლ-კახეთის დამორჩილებასაც ვეღარ ახერხებდა, გაძლიერებული ხომ მით უფრო დაშორდებოდა მას.

ესეც რომ არ იყოს, ირანი თვით ქართველებისთვისაც მიუღებელი მოკავშირე იყო, სწორედ იმის გამო, რომ იგი იურიდიულად მაინც ქართლ-კახეთის სიუზერენად ითვლებოდა; სუსტი ირანი ქართველებს არაფერში გამოადგებოდათ, ძლიერი კი მათ ფაქტობრივ მორჩილებას მოითხოვდა. იქნებ საკითხი სხვაგვარადაც დამდგარიყო. იქნებ დაჭუცმაცებული და ორი აგრესორის მფლობელობაში ყოფნას გაერთიანებული ქვეყნის ერთი აგრესორის გავლენაში ყოფნა სჯობდა. მაგრამ როგორც ჩანს, ქართველი პოლიტიკოსები ირანის შემადგენლობაში ქვეყნის გაერთიანებას შეუძლებლად მიიჩნევდნენ. აქ არაერთი ფაქტორი მოქმედებდა, სოციალურ- ეკონომიკური და რელიგიური შეუთავსებლობაც, კულტურულ-პოლიტიკური მისწრაფებებიც და ა. შ. თანამედროვეთა მოწმობით ერეკლე ქვეყნის ევროპეიზაციაზე ოცნებობდა; ევროპა პროგრესისა და განათლების, ეკონომიკური და კულტურული აყვავების მაგალითი იყო, ირანის მფლობელობაში დარჩენა ჩამორჩენილობის, აზიურობის, რეგრესის გარემოცვაში ყოფნას ნიშნავდა.

обороны Севастополя, высокое звание Героя Советского Союза было присвоено инструктору снайперов старшине морской пехоты Ною Адамия; командиру батальона морской пехоты капитану (впоследствии полковник) А. Гегешидзе; политическому руководителю стрелковой роты младшему политруку М. Гахокидзе; командиру авиационной эскадрильи майору А. Цурцумия и другим.

Вторжение фашистских полчищ в Закавказские республики, в их числе и в Грузию, было остановлено войсками Закавказского и Северо-Кавказского фронтов в составе двенадцати общевойсковых, двух воздушных армий и одного танкового корпуса во взаимодействии с Черноморским флотом и Азовской военной флотилией. Всего в битве за Кавказ учавствовало 58 стрелковых горнострелковых и семь кавалерийских дивизий, среди них двенадцать соединений были национальными, из которых наиболее успешно действовали, отличились и были удостоены правительственных наград и почетных наименований 223-я, 402-я и 416-я азербайджанские, 89-я, 408-я и 409-я армянские, 242-я, 276-я, 392-я и 414-я грузинские стрелковые дивизии. Уже на первом этапе оборонительного сражения за Кавказ тысячи воинов отличились и были награждены орденами и медалями Советского Союза, среди них 212 азербайджанцев, 517 армян, 895 грузин[6].

Из воспоминаний Героя Советского Союза Якова Павлова: «..Дружно заговорили наши автоматы. Как всегда, собранно действует украинец Василий Глущенко. Метко строчил «максим» Ильи Воронова, ведут прицельный огонь из противотанковых ружей грузин Н. Мосиашвили, узбек К. Тургунов, казах Т. Мурзаев... Я помню, как со стороны дома напротив, где засели фашисты, неслись отчаянные возгласы, усиленные репродуктором: «Украинец, бей рус! Грузин, бей русь!». Гитлеровцы, видимо, знали, что почти половина состава нашей гвардейской дивизии была укомплектована воинами нерусской национальности. Но они не понимали что у нас, защитников Сталинграда, как и всех воинов нашей армии, одна Родина—великий и нерушимый Советский Союз, что все мы—советские люди. Здесь у стен Сталинграда, каждый из нас дрался за себя и за Родину. За свою семью и за Родину. За свою Республику и за Родину. Ничто не могло нас оторвать от Родины: кровью, сердцем приросли мы к ней. Ее судьба была нашей судьбой. Ее победа—наша победа...»[7].

В годы Великой Отечественной войны в рядах Вооруженных Сил СССР находилось около 700 000 представителей Грузинской ССР, из них более 23 800 офицеров, до 16 000 женщин, 60 генералов и адмиралов. За боевые заслуги и героические подвиги в период войны было награждено орденами и медалями Советского Союза 244 700 человек, из Грузии, а 157 воинов были удостены высокого звания Героя Советского Союза[8].

Красноармеец Наумов, по национальности русский, спас жизнь тяжело раненому товарищу—армянину Киносяну: вынес его через линию фронта к своим. Боец морской пехоты азербайджанец Мамедов,

---

6 Краснознаменный Закавказский, Воениздат, М., 1969, сс. 85—86.

7 Газ. «Красная Звезда» от 12 марта 1975 года.

8 Партархив Груз. филиала ИМЛ при ЦК КПСС, ф. 14, оп. 1, д. 13813, лл. 1—5, д. 13877, л. 49 и оп. 2, д. 269, л. 14.

заметив в пылу рукопашной схватки, как вражеский автоматчик целится в лейтенанта Синецкого, закрыл его собственной грудью[9].

Летчик-истребитель Галактион Пипия, успешно выполнив боевое задание юго-западнее Одессы, возвращался на свой аэродром, испытывая радость первой победы над врагом, и вдруг, в стороне от своего курса, он увидел неравный воздушный бой. Звено «мессершмиттов», появившись из-за облаков, атаковало советский самолет. Г. Пипия, моментально приняв решение оказать помощь боевому товарищу, спикировал на группу стервятников. Но было уже поздно, советский самолет, объятый пламенем, камнем устремился к земле, а от него отделился парашютист. Гитлеровцы ураганным пулеметным огнем преследовали советского летчика. Галактион Пипия, мастерски маневрируя и ведя прицельный огонь из пулеметов своего самолета, в считанные секунды уничтожил один «мессершмитт», а остальные были вынуждены убраться восвояси. Убедившись, что советский летчик спасен и благополучно приземлился, он взял курс на свою базу.

Победоносно кончилась война, Г. Пипия был демобилизован и вернулся в свою родную Грузию. Однако не забыл его майор В. Воронцов: после долгих и упорных поисков ему удалось найти своего спасителя и пригласить к себе в Москву. Встреча Владимира Воронцова и Галактиона Пипия через 23 года была исключительно задушевной, волнующей и обычной для советских воинов разных национальностей[10].

Звание Героя Советского Союза в годы Великой Отечественной войны заслужили; 8160 русских, 2069 украинцев, 309 белорусов, 161 татарин, 108 евреев, 96 казахов, 92 грузина, 90 армян, 69 узбеков, 61 мордвин, 44 чуваша, 43 азербайджанца, 39 башкир, 32 осетина, 18 марийцев, 18 туркмен, 15 литовцев, 14 таджиков, 13 латышей, 12 киргизов, 10 коми, 10 удмуртов, 9 эстонцев, 9 карелов, 8 калмыков, 7 кабардинцев, 6 адыгейцев, 5 абхазцев, 3 якута и представители многих других национальностей[11].

Среди общевойсковых командиров, подготовленных в годы войны Военной академией имени М. В. Фрунзе, были представители 42 национальностей СССР. А сразу же после войны во все военные академии Советского Союза было направлено большое число военнослужащих разных национальностей, в их числе более сотни офицеров и генералов грузин: из них лишь в Высшую военную академию Генерального штаба Вооруженных Сил СССР имени К. Е. Ворошилова были зачислены Герои Советского Союза генерал-лейтенант авиации В. Нанейшвили, генерал-майоры В. Джанджгава и Е. Коберидзе, генерал-майоры И. Бабалашвили, М. Глонти, А. Инаури, и Н. Каладзе.

Защита развитого социалистического общества в современных условиях приняла ярко выраженный интернациональный характер. Ныне империализму противостоит мощная социалистическая система, обладающая неисчерпаемыми материальными ресурсами и огромной идейной мощью. Единые цели, общая идеология, интернациональный характер отношений между социалистическими странами позволяют им успешно проводить согласованную мирную внешнюю политику, укреплять свою дружбу и братство, давать решительный отпор агрессивным вылазкам империализма.

---

9 Газ. «Красная Звезда» от 12 марта 1975 года.

10 Газ. «Колхети» от 22 февраля 1966 года.

11 Великая Отечественная война Советского Союза, изд. второе, М., 1970, с. 581.

В докладе на торжественном собрании в Кремлевском Дворце съездов, посвященном 50-летию образования СССР, было сказано: «...И сегодня наши Вооруженные Силы—надежный щит социалистической Родины, гарантия мирного труда народа, строящего коммунизм. Советский народ высоко ценит и любит свою армию, понимая, что, пока существуют на земле силы агрессии, без хорошо оснащенной армии не обойтись. Наша армия — особая армия и в том смысле, что она есть школа интернационализма, школа воспитания чувств братства, солидарности и взаимного уважения всех наций и народностей Советского Союза. Наши Вооруженные Силы — единая дружная семья, живое воплощение социалистического интернационализма».

Вооруженные Силы социалистического государства сильны внутренним единством своих рядов, основанным на общности задач, интересов и идеалов рядового и командно-политического состава, на их высокой политической сознательности, коммунистической убежденности, беспредельной преданности народу, делу Коммунистической партии, верности патриотическому и интернациональному долгу. Каждый советский воин, к какой бы национальности он не принадлежал, является гражданином и защитником великого Союза Советских Социалистических Республик. Он законно гордится тем, что служит Советскому Союзу — своей единой для всех, горячо любимой всеми социалистической Родине.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანა დავლიანიძე

ზოგიერთი მომენტი იოსებ არღუთინსკის მოღვაწეობიდან

XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსეთისა და ამიერკავკასიის ურთიერთობის საკითხების კვლევისას ერთ-ერთ აქტიურ მოღვაწედ წარმოგვიდგება იოსებ არღუთინსკი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ეწეოდა რუსული ორიენტაციის პროპაგანდას და თავისი პრაქტიკული საქმიანობით ყოველხმრივ ცდილობდა ხელი შეეწყო ამიერკავკასიის ხალხების რუსეთთან დაკავშირებისათვის.

ი. არღუთინსკის წინაპრები სანაინის მფლობელნი ყოფილან. იოსები დაიბადა 1743 წელს .სწავლობდა ეჩმიაძინის სამონასტრო სკოლაში, სადაც თავისი ნიჭის წყალობით ადრევე მიუქცევია კათალიკოსისა და ცნობილი მწერლის სიმეონ ერევანცის ყურადღება. ოცდაექვსი წლის ასაკში უკურთხებიათ ეპისკოპოსად, ხოლო უფრო მოგვიანებით არქიეპისკოპოსის პატივით სიმეონ კათალიკოსს გაუგზავნია რუსეთში სომხური მოსახლეობის ეპარქიალურ წინამძღვრად. ამ დროიდან არღუთინსკი სახლდება ასტრახანში.

რუსეთში ცხოვრების პერიოდი არღუთინსკისათვის სავსეა მრავალმხრივი მოღვაწეობით. ის იქ სულაც არ იფარგლებოდა მხოლოდ საეკლესიო სფეროთი, პირიქით, დიდ დროს ანდომებდა საერო საქმეებს, რაც ძირითადად ამიერკავკასიის ხალხებისა და რუსეთის ურთიერთობის საკითხებს ეხებოდა. მას მალე მოუპოვებია ავტორიტეტი არა მარტო სომეხთა შორის. არამედ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებშიც. არღუთინსკი ყოფილა მეტად ენერგიული, ძლიერი ნებისყოფის, სწამდა თავისი მიზნის ჭეშმარიტება და დაუზარებლივ იღვწოდა მის განსახორციელებლად[1].

ი. არღუთინსკი ზოგჯერ იხსენიება დოლგორუკოვადაც. საქმე ის არის, რომ ეს გვარი, საქართველოში თავად არღუთაშვილად ცნობილი, ერეკლეს დროიდან უკვე ცდილობდა წაემატებინა ძველი გვარიც მხარგრძელებისა და ასე ჩაწერილიყო რუსეთის „ღეროლდიაში“[2]. 1783 წლის 28 აგვისტოს ერეკლეს ასეთი ცნობა მიუცია არღუთაშვილებისათვის: „ვინათგან ყოველი ჩინებულება შთამომავლობითი დაიმტკიცების სიძველითა გვართათა და ჩინებულებითა წინაპართა, ამისათვის არა უმიზეზო არს, რათა ჩვენმიერ წამება მისცემოდათ

---

[1] ი. არღუთინსკის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის გასარკვევად ძირითადი წყაროა მის მიერ შედგენილი „დღიური“, ხელნაწერი ინახება ერევნის მატენადარანში (არქივი, საქაღ. № 7, საქ. 4; ასევე—**Կոտակ հայոց աշխարհին**, 1863, №7; **Դիվան հայոց պատմության**, თბ., 1911, გვ. 9; **Լեո, Հովսեփ կաթողիկոս Արղուբյան**, თბ., 1902 და სხვ.)

[2] მ. ბერძენიშვილი, წერილი „რაამე რუსთაველისათვის“ და მისი ავტორი ლ. ა.— დ. ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბ., 1973, გვ. 115.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანა დავლიანიძე

ზოგიერთი მომენტი იოსებ არღუთინსკის მოღვაწეობიდან

XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსეთისა და ამიერკავკასიის ურთიერთობის საკითხების კვლევისას ერთ-ერთ აქტიურ მოღვაწედ წარმოგვიდგება იოსებ არღუთინსკი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ეწეოდა რუსული ორიენტაციის პროპაგანდას და თავისი პრაქტიკული საქმიანობით ყოველხმრივ ცდილობდა ხელი შეეწყო ამიერკავკასიის ხალხების რუსეთთან დაკავშირებისათვის.

ი. არღუთინსკის წინაპრები სანაინის მფლობელნი ყოფილან. იოსები დაიბადა 1743 წელს .სწავლობდა ეჩმიაძინის სამონასტრო სკოლაში, სადაც თავისი ნიჭის წყალობით ადრევე მიუქცევია კათალიკოსისა და ცნობილი მწერლის სიმეონ ერევანცის ყურადღება. ოცდაექვსი წლის ასაკში უკურთხებიათ ეპისკოპოსად, ხოლო უფრო მოგვიანებით არქიეპისკოპოსის პატივით სიმეონ კათალიკოსს გაუგზავნია რუსეთში სომხური მოსახლეობის ეპარქიალურ წინამძღვრად. ამ დროიდან არღუთინსკი სახლდება ასტრახანში.

რუსეთში ცხოვრების პერიოდი არღუთინსკისათვის სავსეა მრავალმხრივი მოღვაწეობით. ის იქ სულაც არ იფარგლებოდა მხოლოდ საეკლესიო სფეროთი, პირიქით, დიდ დროს ანდომებდა საერო საქმეებს, რაც ძირითადად ამიერკავკასიის ხალხებისა და რუსეთის ურთიერთობის საკითხებს ეხებოდა. მას მალე მოუპოვებია ავტორიტეტი არა მარტო სომეხთა შორის. არამედ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებშიც. არღუთინსკი ყოფილა მეტად ენერგიული, ძლიერი ნებისყოფის, სწამდა თავისი მიზნის ჭეშმარიტება და დაუზარებლივ იღვწოდა მის განსახორციელებლად[1].

ი. არღუთინსკი ზოგჯერ იხსენიება დოლგორუკოვადაც. საქმე ის არის, რომ ეს გვარი, საქართველოში თავად არღუთაშვილად ცნობილი, ერეკლეს დროიდან უკვე ცდილობდა წაემატებინა ძველი გვარიც მხარგრძელებისა და ასე ჩაწერილიყო რუსეთის „ღეროლდიაში“[2]. 1783 წლის 28 აგვისტოს ერეკლეს ასეთი ცნობა მიუცია არღუთაშვილებისათვის: „ვინათგან ყოველი ჩინებულება შთამომავლობითი დაიმტკიცების სიძველითა გვართათა და ჩინებულებითა წინაპართა, ამისათვის არა უმიზეზო არს, რათა ჩვენმიერ წამება მისცემოდათ

---

[1] ი. არღუთინსკის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის გასარკვევად ძირითადი წყაროა მის მიერ შედგენილი „დღიური“, ხელნაწერი ინახება ერევნის მატენადარანში (არქივი, საქაღ. № 7, საქ. 4; ასევე—**Կոտակ հայոց աշխարհին**, 1863, №7; **Դիվան հայոց պատմության**, თბ., 1911, გვ. 9; **Լեո, Հովսեփ կաթողիկոս Արղուբյան**, თბ., 1902 და სხვ.)

[2] მ. ბერძენიშვილი, წერილი „რაამე რუსთაველისათვის“ და მისი ავტორი ლ. ა.— დ. ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბ., 1973, გვ. 115.

არღუთაანთ. რომელ არიან მხარგრძელნი, ვითარმედ არიან სომხითსა და ივერიას შინა. გვარნი დიდნი და ჩინებულნი... ვითხოვ საიმპერატორო კარისაგან, რათა ღეროლდსაცა შინა როსსიის კეთილშობილთასა აღრიცხულ იქნას მხარგრძელად“[3] ამის საფუძველზე პავლე I-მა 1800 წლის 22 მარტს იოსებ არღუთინსკის და მის ნათესავებს ნება მისცა წოდებულიყვნენ არღუთინსკი-დოლგორუკოვად.

იოსების საქმიანობა დიპლომატიურ სარბიელზე დაიწყო 1779 წლის 5 აგვისტოს, როდესაც სომეხ დიდვაჭარ ივანე ლაზარევთან ერთად მოსკოვიდან პეტერბურგში ჩავიდა. იმავე დღეს მიიღო ის კავკასიის საქმეების გამგებელმა პავლე პოტიომკინმა და მეორე დღესავე წარუდგინა ეკატერინე II-ს „პრეობრაჟენსკოეს ეკლესიაში“.

XVIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც რუსეთის სამეფო კარზე კვლავ დადგა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ლაშქრობის საკითხი კასპიის სანაპიროებისათვის ,ამ ლაშქრობის განხორციელება ეკატერინე II-მ. სუვოროვს დაავალა. ინსტრუქციის მიხედვით სუვოროვი უნდა დაკავშირებოდა ერეკლე II-ს, შემახიისა და სხვა ხანებს. ამ მიზნით 1780 წლის იანვარში სუვოროვი გ. პოტიომკინთან ერთად რამდენიმეჯერ შეხვედრია არქიეპისკოპოს იოსებ არღუთინსკის. ერთ-ერთი შეხვედრისას, 13 იანვარს ლაპარაკი ყოფილა ერეკლე II-ის ჯარების შესახებაც[5].

80-იანი წლების დასაწყისშივე რუსეთის ხელისუფლება საგარეო პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე, ფიქრობდა შეექმნა რუსეთის მფარველობის ქვეშ ამიერკავკასიის ქრისტიანული სახელმწიფოები, რომლებიც მტკიცე დასაყრდენი იქნებოდა მისთვის. ამ დროს ხშირი იყო მოლაპარაკებები ეკატერინე II-ის კარსა და ამიერკავკასიის წარმომადგენელთა შორის. ამ მხრივ აღსანიშნავია ი. არღუთინსკისა და პ. პოტიომკინის[6] შეხვედრა გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში 1782 წლის დეკემბერში. პოტიომკინს მრავალი კითხვა მიუცია იოსებისათვის. კითხვები ეხებოდა კავკასიის ხალხებში ქრისტიანული სარწმუნოების სიმტკიცეს, მათ დამოკიდებულებას ოსმალ-სპარსებთან, ერეკლეს კავშირს სომხებთან, მის უფლებებს მეზობელ სახანოებზე. რამდენად სანდონი იყვნენ რუსებისათვის ამიერკავკასიის ხალხები, რა შეძლება ჰქონდათ და სხვ.

ი. არღუთინსკის 28 დეკემბერს ყველა კითხვაზე წარუდგენია წერილობითი პასუხი, რაც გეორგიევსკშივე სასწრაფოდ უთარგმნიათ რუსულ ენაზე[7]. მათ შორის ერეკლეს შესახებ აღნიშნულია: ქართლ-კახეთის მეფე ირანის ყველა ხანსა და მფლობელზე ძლიერია და შაჰის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი პირია. მისი ძალაუფლება საქართველოს გარდა ვრცელდება განჯაზე, ერევანსა

---

[3] ლ. მელიქსეთბეგი, საქართველოს მეფის ერეკლე II-ისა და რუსეთის იმპერატორის პავლე 1-ის სიგელები მხარგრძელთადმი, „საისტორიო მოამბე“, 1, 1945, გვ. 22.

[4] А. Р. Иоаннисян, Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван, 19467, გვ. 21..

[5] М. Нерсесян, А. В. Суворов и русско-армянские отношения в 1770—1790 годах, წიგნიდან: Из истории русско-армянских отношений, к. I, Ереван, 1956, გვ. 51.

[6] კავკასიის საქმეების მოგვარება დავალებული ჰქონდა თავად გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინს, კავკასიის საქმეებში თანაშემწეობა კი დაეკისრა მის ნათესავს გენერალ-პორუჩიკ პავლე სერგის ძე პოტიომკინს.

[7] А. Р. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 40—41.

და ნახიჩევანზე. ირანის ხანები, დაწყებული თავრიზიდან, ყოველწლიურად მდიდარ ძღვენს უგზავნიან ერეკლეს პატივისცემისა და მოწიწების ნიშნად. მას შეუძლია ორმოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარის გამოგზავნა. მისი გადაბირების შემდეგ რუსეთს აღარ ეყოლება მოწინააღმდეგე მთელს აზერბაიჯანში თავრიზამდე, რადგანაც მას ანგარიშს უწევს ყველა იქაური მფლობელი[8].

თავის მხრივ იოსებ არღუთინსკი მეთოთხმეტე პუნქტად ამატებდა, რომ ერეკლეს ნდობის დამსახურების მიზნით, კარგი იქნებოდა თუ მას მიეცემოდა რაიმე ტიტული, ხოლო მის შვილს იულონს წმინდა ანნას ორდენი. ასევე დასძენდა. რომ თუ თვითონ ერეკლე ვერ შეძლებდა რუსეთის ჯართან ერთად ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას, სამაგიეროდ საომრად გაგზავნიდა თავის ერთ-ერთ შვილს, ან სიძეს — დავით ორბელიანს[9].

1783 წლის 10 ივნისს ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში იოსები მეორედ შეხვდა პ. პოტიომკინს „მეტად მნიშვნელოვანი საკითხის“ გამო. იქ მას ხანგრძლივად მოუხდა დარჩენა, იქვე დახვედრია ქართველ ელჩებს და მონაწილეობა მიუღია საქართველოდან წარგზავნილების მოლაპარაკებაში[10].

ამავე ხანას ეხება მის მიერ სომხური სახელმწიფოს მოწყობის პროექტის შედგენა. არღუთინსკი მომხრე ჩანს აბსოლუტური მონარქიისა, რომელსაც გარკვეული ვალდებულებანი ექნებოდა რუსეთის მიმართ.

მომდევნო წლებში იოსები მონაწილეობდა ყარაბაღის მელიქებისა და რუსეთის მთავრობის მოლაპარაკებაში, ხოლო 1787—1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც დადგა საკითხი მოლდავეთ-ვალახეთის სომხური მოსახლეობის რუსეთში შესახლებისა, პ. პოტიომკინმა არღუთინსკი მოქმედ არმიაში მიიწვია. აქ მას კვლავ მოუხდა საქმიანი ურთიერთობის დამყარება ა. სუვოროვთან. არღუთინსკი აქაც ჩვეული ენერგიით მოქმედებდა და შედეგიც თვალსაჩინო ყოფილა[11]. მის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე ასტრახანში სომხური სტამბის მოწყობა, სადაც ორმოცამდე წიგნი დაბეჭდილა[12].

ცალკე აღნიშვნის ღირსია არღუთინსკის დამოკიდებულება აღა-მაჰმად ხანის თავდასხმით გამოწვეულ თბილისის ტრაგედიასთან. ცნობა ამ მოვლენაზე მას 26 ნოემბერს მისვლია ქ. გრიგორიოპოლში. როგორც რუსული ორიენტაციის მომხრემ იოსებმა მეტად მძიმედ განიცადა აღნიშნული ფაქტი, რომელმაც გაართულა და დააბრკოლა მისი გეგმების განხორციელება. არღუთინსკის ამ ხანებში სამძიმრის წერილი შეუდგენია ერეკლე II-ის სახელზე. როგორც მისთვის უცნობებიათ ერეკლე II უნდა მისულიყო ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში და ეს წერილიც გამიზნული ყოფილა იქ გასაგზავნად. მაგრამ რამდენადაც ერეკლე გეორგიევსკში არ წასულა, ხოლო ბარათის საქართველოში გადმოგზავნა, ჩანს, ვერ მოხერხდა, ის ავტორის არქივში დარჩენილა. გაცილებით მოგვიანებით, იოსების ახლო ნათესავს, ვასილ არღუთინსკი-დოლგორუ-

---

[8] ქართული თარგმანი გ. პაიჭაძე, ქართლ-კახეთისა და რუსეთის ურთიერთობის გახანლება 80-იან წლებში, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 687.

[9] А. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

[10] იქვე, გვ. 86—87.

[11] М. Нерсесян, დასახ. ნაშრომი, გვ. 71—73.

[12] Հ. Բարխուդարյան, Հրդեհյան չոփսեփ, სომხური საბჭოთა ენციკლოპედია 11, ერევანი, 1976, გვ 86.

კოვს, წერილი გადაუცია თბილისში მოღვაწე ისტორიკოსისა და ჟურნალისტ ა. ერიცოვისათვის, რომელმაც გამოაქვეყნა მისი რუსული თარგმანი 1782 წელს[13]. რამდენადაც წერილი სამეცნიერო ლიტერატურაში შესული არ არის, მოვიტანთ სრულად:

კეთილმორწმუნე მეფეო,
მწუხარე ხელმწიფევ!

თქვენი სამეფოს უბედურების, ჩემი სამშობლოს აოხრების, განადგურებისა და ტყვეობის ამბავი შევიტყვე. ახლა მკვდარივით ვზირავ და ვითარცა იერემია წინასაწარმეტყველს, თავს ფერფლი მაყრია, თვალები კი ცრემლით მაქვს სავსე. დავტირი ჩემი სამშობლოს მწუხარებას. ჩემს ცრემლსა და წუხილს ვუერთებ დატყვევებულთა და დახოცილთა, წამებულთა და დასჯილთა შესაბრალის გოდებას. დე, გაიღვიძონ ჩვენმა წინაპრებმა და გულის გამგმირავი ქვითინით აღნიშნონ ბაგრატიანთა სამეფოს განადგურება. მათ შთამომავლობაზე იყო დამყარებული იმედი, რომ ის ამოიყრიდა დიდ ტოტებსა და ყლორტებს, მაგრამ ახლა უარესი მოხდა, ვიდრე უწინ იყო. ახლა თქვენთან ერთად გოდებენ მთელს დედამიწის პირზე გაფანტული სომხები, რადგანაც მათი იმედი მხოლოდ თქვენი ქვეყანა და თქვენი სამეფო იყო.

მეც მათთან ერთად დავტირი, როგორც საყოველთაო-სახალხო უბედურებას, ასევე ჩემს საკუთარსაც, (თბილისში მყოფი) ჩემი სისხლხორცეული ნათესავების ბედკრულობას, რომელთა შესახებაც აქამდე არაფერი ვიცი. გადარჩნენ ნეტა ისინი თავიანთ ხელმწიფესთან ერთად, თუ ხმლისა და ტყვეობის მსხვერპლნი გახდნენ? ო, რამდენი დარდი და ვარამი მაწვება! ვნაღვლობ წმინდა ტახტის ეჩმიაძინის გამოც, რადგანაც არაფერი ვიცი, თუ რა მდგომარეობაშია ის.

მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ ვვარდები, არ მინდა ვიფიქრო თითქოს საუკუნოდ ხელი აეღოს ღვთისმშობელს თქვენს ქალაქსა და სამეფოზე. მართალია, ღმერთი ზოგჯერ სჯის თავის შვილებს ჭკუის სწავლების მიზნით, მაგრამ არ უარყოფს მათ სამუდამოდ. მე მწამს, რომ ის მოულბობს ყოვლადმოწყალე გულს კეთილმორწმუნე ჩვენს თვითმპყრობელ დედოფალს თქვენსა და თქვენი სამეფოს მიმართ, ბედუკუღმართი ქრისტიანებისადმი და ამით კვლავ გაღირსებთ ქვეყნისა და სამეფოს აღორძინებას, ღვთის ტაძართა და ქრისტიანული წმინდა სარწმუნოების გაფურჩქვნას. აი, ამიტომ დიდი გაბედვის წინაშე განამტკიცეთ, მეფეო, თქვენი ძალები, რადგანაც ვინც ჭრილობები მოგაყენათ, მასვე შეუძლია განკურნება.

ვიდრე ეს უბედურება მოხდებოდა, ბევრს მივწერე და ველაპარაკე, მაგრამ მათ არ ირწმუნეს ქართველთა სამეფოს გულწრფელობა. ახლა კი მთელმა ქვეყანამ შეიტყო თქვენი ფიცის ქრისტიანული ერთგულების ამბავი. თქვენ ხომ სამეფოს აოხრებამდე მტკიცედ იცავდით მას. ამის გამო ღმერთი და მისი მირონცხებული არ დატოვებენ უგულისყუროდ თქვენ შეუბღალავ სიწრფელეს.

[13] А. Д. Ерицов, Письма архиепископа Иосифа Аргутинского о Грузии (1795—1796), «Кавказская старина», Тифлис, 1872, 2, გვ. 29—30.

რაც აუცილებელი იყო ყოველივე მივწერე ბრწყინვალე გრაფს — პლატონ ალექსანდრეს ძე ზუბოვს და ასევე ბევრ სხვასაც. მე კი ამ მნიშვნელოვან ჟამს განუყრელად უნდა ვყოფილიყავი ჩემს ხელმწიფესა და მეუფესთან, მაგრამ მკვდარივით ვარ მოკლებული ყველა სასიცოცხლო ძალას. ამის გამო ვიჩქარე გამომეგზავნა თქვენს უმაღლესობასთან ჩემი ძმისწული, თქვენი მსახური „პროტმეისტერი“ თავადი ვასილ დოლგორუკოვი, რათა მოგემსახუროთ. იქნებ მანდ გამოგადგეთ, ანდა — გასაგზავნად იმპერატორის კარზე.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როგორც კი გონს მოვალ, მივატოვებ ყველა საქმეს და გამოვეშურები თქვენკენ. თუ კეთილდღეობის დროს არ მეღირსა თქვენი უმაღლესობის ნახვა, ჩემდა საუბედუროდ, გიხილავთ ამ ბედუკუღმართობაში. დავინახავ თქვენს მწუხარე და ნაღვლიან სახეს. ყველა დანარჩენს შეიტყობთ თავადი ვასილისაგან. მე კი დავრჩები აქ მწარე ცრემლებითა და მჭმუნვარე გულით, მლოცველი თქვენი მეფური უმაღლესობისათვის.

გულმოწყალე ხელმწიფისა და მეფის უმორჩილესი,
მწუხარებით მოსილი იოსებ არქიეპისკოპოსი

1795 წლის 27 ნოემბერი, გრიგორიოპოლი

დაახლოებით ასეთივე შინაარსის ბარათი დაუწერია არღუთინსკის ანტონ კათალიკოსთან გასაგზავნად. 15 დეკემბერს კი შეუდგენია ერთი საყურადღებო წერილი პეტერბურგში მყოფ სტეფანე დავიდოვისათვის, რომელიც ხანგრძლივად ეწეოდა შუამავლის როლს იოსებსა და სახელმწიფო მოხელეებს შორის. აქ არღუთინსკი თბილისის ტრაგედიაში ბრალს დებს პ. გუდოვიჩს[14], ხოლო ლოცვა-კურთხევას უთვლის ა. სუვოროვს და უხმობს მას განწაცდელში მყოფ საქართველო-სომხეთის საშველად. ჩანს, არღუთინსკი დიდ იმედს ამყარებდა სუვოროვის უნარსა და გამოცდილებაზე და ცდილობდა კიდეც წერილების საშუალებით დაერწმუნებინა უმაღლესი მმართველობა. რათა რუსეთის ჯარს ამიერკავკასიაში სუვოროვი გამოსძღოლოდა. 1796 წელს ეკატერინე II-ის წინადადებით, თითქოს ეს საკითხი კიდეც მოგვარებულა, მაგრამ შემდეგ თვითონ სუვოროვს გადაუფიქრია აქეთ ლაშქრობა[15]. სარდლობა გენერალ პ. ზუბოვს დაეკისრა.

როგორც ცნობილია, 1796 წლის აპრილში ადგილობრივი ხალხების მხარდაჭერით ზუბოვმა დარუბანდი დაიკავა, რამაც ხელი შეუწყო ერეკლეს სამეფოს მდგომარეობის დროებით გაუმჯობესებას. როდესაც ამის შესახებ შეიტყო არღუთინსკიმ ასტრახანში ზუბოვის თარჯიმნის მანუჩარ კაჭკაჭოვის წერილით. დიდი კმაყოფილების გამოსახატავად ეკლესიაში დღესასწაული მოაწყო, ხოლო ერეკლეს მილოცვის ბარათი გაუგზავნა. ამავე დროს მას დაუწყია მთელი რუსეთის სომეხთა შორის ფულის შეგროვება ამიერკავკასიიდან წაყვანილი ქრისტიანი ტყვეების გამოსასყიდად[16]. რა თანხა შეგროვდა და როგორ იქნა ის გამოყენებული, არ ჩანს.

---

14 ამ საკითხზე იხ. ნარკვევები, IV, გვ. 758—759.

15 Письма и бумаги Суворова, т. I, გვ. 413; Нерсесян, გვ. 75.

16 А. Д. Ерицов, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ერეკლეს სამეფო კარს არქიეპისკოპოს იოსების მიმართ, ამაზე წარმოდგენას იძლევა პეტერბურგში სტ. დავიდოვთან გაგზავნილი ერთი მისი წერილი, სადაც არღუთინსკი ატყობინებს ადრესატს გიორგი ბატონიშვილის განსაკუთრებული სათხოვარის შესახებ რუსეთის მთავრობასთან, აქვე ლაპარაკია სხვა ბატონიშვილებზეც, ხოლო თვითონ ერეკლეს ვასილ არღუთინსკის საშუალებით უცნობებია, რომ თავისი საქმეების გამო ყოველთვის ჯერ მას მისწერდა, ხოლო შემდეგ მისი მეშვეობით დაუკავშირდებოდა ზუბოვს[17]. ჩანს, მეფე ერეკლე და ბატონიშვილები ენდობოდნენ და აფასებდნენ არღუთინსკის საქმიანობას. აქედან გამომდინარე ის, ალბათ, არა ერთხელ ასრულებდა ერთგვარ შუამავლის როლს საქართველო-პეტერბურგს შორის.

აღნიშნულ წერილში არღუთინსკი წუხს თბილისელთა გაღატაკების გამო. იმ ხანებში მას შეგროვილი ფული გადაუცია გარსევან ჭავჭავაძისათვის თბილისელი მოქალაქეებისა და ეკლესიების დასახმარებლად. თვითონ იოსებსაც ამ დროს, ჩანს, შერყეული ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა. ამას ადასტურებს 1800 წლის 20 აგვისტოთი დათარიღებული ერთი ბარათი, რომელიც ასტრახანიდან თბილისში გამოუგზავნია ვაჭარ სოლომონ ტერ შმოვანოვს თავის სიძესთან, ერეკლესდროინდელ გავლენიან მოხელე — მდივან მანუჩარ თუმანიშვილთან. წერილში ნათქვამია: „იოსებ ჰოქივატერი*... მოსკოვით ნახჩვანს წასულა და იქიდამ მალე აქეთ წამოვაო. მობრძანდეს, რასაკვირველია, ვეცდები შენი სალამის** გამორთმევა“[18]. შემდეგ წერილში, რომელიც 24 სექტემბრითაა დათარიღებული. იგივე სოლომონი ლაპარაკობს ძირითადი ვალის მიღებაზე, მაგრამ სარგებლის გადახდა მაინც გაძნელებია იოსებს[19].

აღსანიშნავია, რომ წერილში არღუთინსკი უკვე მოხსენიებულია როგორც „ჰოქივატერი“, ანუ კათალიკოსი. თუმცა ის ჯერ კიდევ რუსეთს იმყოფებოდა, და ვიდრე ამ პატივს მიიღებდა მრავალი დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდა. 1799 წლის 27 დეკემბერს, როდესაც გარდაიცვალა სომეხთა კათალიკოსი ლუკა, მისი დაკრძალვის მეორე დღესვე ეჩმიაძინში მოწვეულ იქნა კრება ახალი კათალიკოსის დადგენის თაობაზე. ოთხ პრეტენდენტს შორის იყო ი. არღუთინსკიც. ქართული სამეფო კარი აქტიურად იბრძოდა მისი კანდიდატურის სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით თბილისიდან ეჩმიაძინში გაიგზავნა გიორგი XII-ისა და მეფის ძის დავითის დეპუტაცია (სხვათა შორის გაგზავნილი ყოფილა თბილისელი ცნობილი მოხელე იოსებ მიშკარბაში არღუთაშვილიც). ვირფასი საჩუქრებით. გიორგი XII თავის წერილში ეჩმიაძინისადმი, ამბობდა: „აღირჩიონ იოსებ არღუთაშვილი რუსეთსა მყოფი კათალიკოსად“-ო, საპასუხოდ სომეხ სამღვდელოებას სავსებით შესატყვისი პასუხი უახლებია მეფისათვის. ეს პასუხი ეგ. იოსელიანის ქართულ თარგმანში ასეთია: „ხოლო რომელიც სულიერისა მამისა ჩვენისა არქიეპისკოპოსისასთვის გებრძანათ კათალიკოსად (კურთხევა)... სამართლად ფრიად კეთილ არს ბრძანება თქვენი

[17] А. Ерицов, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

[18] მ. ბერძენიშვილი, მასალები XVIII ს-ის ბოლო წლების საქართველოს ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, 1, 1965, გვ. 192.

[19] იქვე.

* ჰოქივატერი („ჰოქივურტერი“) უნდა მომდინარეობდეს სომხური სიტყვებიდან: **հոգի** ნიშნავს სულს, **տէր** — უფალი, სულიერი მეუფეს, კათალიკოსს.

** თალამი — ვალი

და თან კმაობა არს ნებისა ჩვენისა. ვინათგან ორგზის ვქმენით ჩვენ კრება წმინდისა მას შინა ტაძარსა გამორჩევისათვის კათალიკოსისა და მას შინა აღვრიცხეთ დიდპატივით იოსებ არქიეპისკოპოსი და ღირსად ვსაჯეთ საჭეთმპყრობლად წმინდისა ამის საყრდისა. გარნა შემდგომად შეშინებულთა რაოდენთამე მიზეზითა ვერღანა ვიკადნიერეთ ჩაწერად მუჯალამასა შინა.. მაგრამ შემდგომად თქვენისა ბრძანებისა. შევამზადეთ მუჯალამა იოსებ არქიეპისკოპოსისათვის“[20] მიუხედავად ეჩმიაძინის ასეთი სურვილისა, ძირითადი წინააღმდეგობა თავს იჩენდა ირან-ოსმალეთის მაშინდელი მთავრობის მხრიდან. მინისტრი კოვალენსკი ამის გამო წერდა: «Особа патриарха Иосифа по известной преданности ея и усердию к России, персам весьма не нравится и сей случай может быть для них камнем преткновения по соотношениям с Россиею, на долгое время[21].

თვითონ ი. არღუთინსკი ამ საქმესთან დაკავშირებულ თავის ბარათებში დიდად აფასებდა ქართული სამეფო კარის მხარდაჭერას. ა. ერიცოვს მოტანილი აქვს რუსულად თარგმნილი ნაწყვეტები იოსების წერილებიდან. ერთ-ერთ მათგანში დანიელ კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი, ნათქვამია: «богопомазанный царь Грузии, владетель и царь тех областей и провинций, любит нас ибо он, как сын воспитанный в руках наших считает нас своим вторым отцом и от души желает видеть нас во главе Эчмиадзинского престола и посему обещивает нам всевозможное попечение и покровительство свое» იქვე ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ «Император (России) будучи ныне владетелем и царем всей Грузии и тех частей Араратских провинций, кои находятся в руках Грузинского царя, не пощадит для нас... милостей, попечений и покровительства своего»[22].

მიუხედავად რთული ვითარებისა რუსეთის მთავრობის აქტიურმა ჩარევამ და ქართული სამეფო კარის მხარდაჭერამ საქმე არღუთინსკის სასარგებლოდ გადაჭრა. იმპერატორმა პავლე I-მა გენერალ კნორინგისა და გიორგი XII-ის სახელებზე მითითებანი გამოგზავნა თუ როგორი პატივით უნდა ყოფილიყო მიღებული უკვე პატრიარქად გამოცხადებული ი. არღუთინსკი თბილისში (ამ მითითებამ გიორგის ცოცხალს ვეღარ მოუსწრო).

1801 წლის 10 თებერვალს ასი კაზაკისა და კაპიტან საველიევის თანხლებით იოსები თბილისში მოვიდა. მას სოფ. კუმისთან შეხვდა იოანე ბატონიშვილი რჩეული დიდებულებით. პატივისცემის ნიშნად შემდგარა ქვემეხთა სროლა, ხოლო ქალაქის შესასვლელთან შეგებებია შემოსილი სამღვდელოება[23]. ამ დროს თბილისში გლოვა იყო გამოცხადებული გიორგი XII-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (1800 წლის 28 დეკემბერს). მეფე ჯერ დაკრძალულიც არ იყო. 20 თებერვალს, როდესაც გიორგის ნეშტი მცხეთაში წაასვენეს, როგორც პლ. იოსელიანი გვამცნობს, კუბოს „მარჯვნივ იყო კათა-

---

[20] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978 გვ. 125.

[21] Акты Археогр. Ком. т. I, ст. 15; А. Ерицов, Смутные годы эчмиадзинского патриаршества. (1799—1809); Кавк. стар. 1873, 7—8, გვ. 168.

[22] А. Ерицов, დასახ. ნაშრომი, 4—5, გვ. 102.

[23] А. Ерицов, დასახ. ნაშრომი, 7—8, გვ. 169.

ლიკოსი ანტონი სამღვდელოთი და მარცხნივ იოსებ კათალიკოსი სომეხთა თავისითა სამღვდელოთი“[24].

თბილისში ყოფნისას, როგორც ჩანს, ის ახლო ყოფილა ქართულ სამეფო სახლის წარმომადგენლებთან და მონაწილეობა მიუღია ბატონიშვილთა ურთიერთობის მოწესრიგებაში, მაგრამ ამ მიმართულებით მისი საქმიანობა ხანმოკლე გამოდგა. 1 მარტისათვის იოსებს გადაწყვეტილი ჰქონია ეჩმიაძინში გამგზავრება, უნდა გაეცილებინა იოანე ორბელიანს ჯარის ნაწილის თანხლებით, მაგრამ თებერვლის ბოლოს ავად გამხდარა, ხოლო 9 მარტს სრულიად მოულოდნელად გარდაცვლილა, რასაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია.

მიუხედავად ასეთი უეცარი დასასრულისა, ი. არღუთინსკიმ მაინც ბევრის გაკეთება მოასწრო რუსეთ-ამიერკავკასიის ურთიერთობის გაღრმავების საქმეში. სწორად აფასებდა რა ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ მნიშვნელობას მაშინდელ ვითარებაში, ის მუდამ მზად იყო ამ მიმართულებით გაეწია მისთვის გარკვეული სამსახური, რაც შემდეგ მთელი ამიერკავკასიის რუსეთთან დაკავშირებასაც შეუწყობდა ხელს. რუსეთის მმართველ წრეებში მოპოვებული ნდობა და ავტორიტეტი ეხმარებოდა იოსებს თავისი მიზნის წარმატებაში. ამ დამსახურებამ მიიყვანა სომეხთა საკათალიკოსი ტახტამდეც, რომლის დაუფლებასაც ვეღარ მოესწრო.

Л. С. ДАВЛИАНИДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ИОСИФА АРГУТИНСКОГО

Резюме

Иосиф Аргутинский — один из видных армянских деятелей прорусской ориентации второй половины XVIII столетия.

В статье рассматриваются некоторые моменты из жизни Аргутинского, связанные непосредственно с историей Грузии. Тут же приводится текст его письма грузинскому царю Ираклию II.

[24] პლ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

Н. Г. ГВЕНЦАДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ МОСКОВСКОГО ГРУЗИНСКОГО СТУДЕНЧЕСКОГО ЗЕМЛЯЧЕСТВА

Связь передовой грузинской молодежи с Московским университетом началась фактически со времени его основания. Первыми студентами университета были в основном выходцы из московской грузинской колонии, образовавшейся из заброшенных судьбой или прибывших добровольно в Москву грузин.

В первой четверти XIX века в Грузии не было ни одной гимназии, которая могла бы подготовить молодых людей для высших учебных заведений, поэтому о грузинских воспитанниках Московского и других университетов России архивных материалов значительно меньше. С открытием в 1829 году в Тифлисе первой гимназии грузинская молодежь получила возможность продолжить свое образование в университетских городах Российской империи (Петербург, Москва, Киев, Тарту и др.).

Московский университет в разное время окончили такие видные грузинские деятели, как Илья Картвелишвили (Грузинов) — врач, профессор физиологии и анатомии; Александр Размадзе — музыковед, первый грузинского происхождения профессор Московской консерватории; Александр Джавахишвили — видный грузинский геолог и антрополог; Александр Хаханашвили — специалист по истории Грузии, грузинского языка и литературы, приват-доцент Московского университета, профессор грузинской словесности в Лазаревском институте восточных яыков; Андрна Размадзе — известный математик и многие другие.

В Московском университете также обучалась целая плеяда видных грузинских врачей, таких как Симон Хечинашвили, Давид Гедеванишвили, Александр Шатилов, Георгий Иоселиани, Титэ Кикодзе и другие. Этот далеко не полный список свидетельствует о тесных контактах с Московским университетом грузинской передовой молодежи, которая в дальнейшем внесла свою лепту в развитие не только грузинской, но и русской науки.

Грузинская учащаяся молодежь совместно с русским студенчеством принимала самое активное участие в общественно-политической жизни России.

Как известно, в условиях жестокой цензуры передовая часть общества была вынуждена искать нелегальные пути для высказывания мнений по злободневным вопросам общественно-политической жизни. К тому же царское правительство решительно препятствовало изданию новых газет и журналов, особенно на национальных языках. Все это обусловило широкое распространение в конце XIX— начале XX века всевозможных рукописных журналов, в основном студенческих. Изучение подобных источников проливает свет на революционные настроения Московского студенчества.

8. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1983, № 3

В Центральном государственном архиве г. Москвы нами был обнаружен интересный материал, касающийся организации московского грузинского студенчества «Землячества». Он содержит сведения, свидетельствующие о том, что передовая грузинская молодежь была включена в студенческое и революционное движение страны.

Документ следующего содержания:

«5-го апреля (1904 г.—Н. Г.) в 12 часов дня были получены сведения, что в доме Гирш в квартире № 123, занимаемой бывшим студентом Московского университета Леонидом Александровичем Херхеулидзе, наблюдаемым охранным отделением по студенческой революционной группе, собралось до 20-ти человек студентов. Ввиду сего признано было необходимым выяснить как цель означенного собрания, так и его состав. При входе в сказанную квартиру местного пристава и состоящего при Московском охранном отделении отдельного корпуса жандармов поручика Фуллона, собравшиеся, в числе 27-ми человек, были застигнуты во время уничтожения имеющихся при них бумаг. При составлении по сему поводу протокола была обнаружена выброшенная из означенной квартиры на тротуар гектографированная тетрадь на грузинском языке революционного содержания. Принимая во внимание, что сборище это, судя по оказавшимся здесь документам, несомненно является грузинским землячеством, преследующим, по имеющимся сведениям, революционные цели, все участники, после переписи их, были арестованы и распределены по одиночным номерам полицейских домов, а по местам их жительств произведены обыски...»[1].

Далее в донесении говорится о студентах, застигнутых на сходке, и о результатах обысков. К секретному документу прилагается полный список задержанных студентов.

Нас заинтересовала упомянутая в донесении «гектографированная тетрадь на грузинском языке революционного содержания». Ее нам удалось разыскать в Центральном государственном архиве Октябрьской революции СССР.

Тетрадь представляет собой первый номер периодического рукописного журнала «Цда» («Попытка»)—московского грузинского студенчества[2]. Из конспиративных соображений авторы статей не подписывались своими настоящими фамилиями.

Журнал содержит 27 рукописных страниц и имеет титульный лист. В нем помещены следующие материалы: «От редакции», «Мрцамси» («Вера»)—автор статьи «Рамази», обращение студентов-грузин Харьковского университета —«Грузинскому кружку московских студентов, стихотворение «Песня»—автор «Эгриси», и «Сабаасо» («Для беседы») — автор Гареше.

Во вступительной статье «От редакции» сформулирована цель и направление журнала «Цда». В ней сказано, что среди грузинского студенчества появились представители разных политических направлений: националисты, социал-демократы, интернационалисты. Редакция журнала считает необходимым для всего грузинского студенчества объединиться в единую корпорацию на определенной политической платформе. С этой целью редакция считает своевременным издание студенческого периодического органа, на страницах которого пред-

[1] ЦГИАМ, ф. 16, оп. 93, т. 19453, с. 273—274.

[2] ЦГАОР СССР, ф. 167, оп. 2, д. 1137, с. 100.

ставители всех направлений получат возможность высказать свои взгляды и обсудить актуальные вопросы[3].

Московское губернское жандармское управление обратилось к директору Лазаревского института восточных языков с просьбой командировать кого-нибудь для перевода с грузинского языка на русский материалов, изъятых у студентов-грузин, привлеченных к дознанию в качестве обвиняемых.

В жандармерию был направлен доцент грузинского языка в специальных классах Лазаревского института, коллежский ассесор Александр Соломонович Хаханашвили[4]. К сожалению, текст перевода не обнаружен до настоящего времени. Однако мы можем судить о переводе по некоторым данным. По-видимому, Ал. Хаханашвили удалось настолько свягчить революционную направленность журнала, что он не вызвал у полиции особых подозрений. Все задержанные студенты были освобождены, а многие из них восстановлены в университете.

Как было уже сказано выше, у всех задержанных студентов на квартире были произведены обыски. У Силована Габуния[5], одного из видных руководителей московского грузинского студенчества, был найден чемодан, принадлежавший Ш. Дадиани, выбывшему без указания адреса[6]. В чемодане было обнаружено большое количество рукописей на одном из кавказских языков[7].

Вот что пишет по этому поводу в своей книге «Что вспомнилось» Ш. Дадиани: «По прибытии в Москву первым долгом я познакомился с грузинскими студентами, поскольку искал молодых людей, хорошо знающих школьную программу, которые сумели бы подготовить меня к поступлению в университет. Меня приняли в грузинское студенческое землячество, и я с удовольствием посещал их собрания. На одном из собраний мы читали нелегальную брошюру Г. Плеханова, присланную для ознакомления харьковским грузинским студенческим землячеством, руководимым в то время Мамией Орахелашвили»[8]. К сожалению, Ш. Дадиани не помнит точно названия этой брошюры, но он отмечает, что землячество поручило ему размножить ее на специальной печатной машинке, установленной на квартире одного из студентов. Далее Ш. Дадиани вспоминает: «В тот день, когда я печатал, у студентов было собрание, на котором я не присутствовал. Выполнив задание, я направился к землячеству и по дороге встретил Силована Габуния. Он рассказал мне, что все присутствующие на собрании задержаны полицией. С. Габуния посоветовал уничтожить все имеющиеся при мне бумаги, не показываться в землячестве и не возвращаться

---

3 ЦГАОР СССР, ф. 62, оп. 2, д. 286, с. 99.

4 Там же, с. 110.

5 С. Габуния — род. в 1876 г. Еще в период учебы в Кутаисской гимназии был редактором журнала «Гаигвидзе» («Проснись»), издаваемого с 1892 года. После выхода пятого номера журнала кружок распался на две группы. Одна стала издавать журнал «Уки», а вторая—«Оппозицию» под редакцией С. Габуния. Один номер этого журнала учащиеся подарили английской писательнице Марджори Уордроп, путешествующей в то время по Грузии с братом. В настоящее время он хранится в Бодлейской библиотеке Оксфордского университета.

См. М. Стуруа. Десять из тридцати .Тбилиси, 1978, с. 310.

6 ЦГАОР СССР, ф. 62, оп. 22, Д. 304 с. 4.

7 Там же.

8 Ш. Дадиани. Что вспомнилось. Тбилиси, 1959, с. 153—154 (на груз. яз.).

домой, поскольку у меня тоже был произведен обыск». Ш. Дадиани удалось избежать ареста — он скрылся на квартире зубного врача Теймураза Хорава[9].

Сравнив рукописный журнал «Цда» с рукописями Ш. Дадиани, хранившимися в Музее театра, кино и музыки ГССР, мы установили, что пять первых статей рукописного журнала переписаны рукой самого Ш. Дадиани[10].

Вышеприведенные факты, несомненно, расширяют наши представления об истории московского грузинского студенческого «Землячества», а также проливают свет на некоторые страницы биографии выдающегося грузинского драматурга, писателя и актера.

---

[9] Ш. Дадиани, Что вспомнилось. Тбилиси, 1959, с. 153—154 (на груз. яз).

[10] На сходство почерка нам указал заведующий отделом литературных взаимосвязей дореволюционного периода Музея дружбы народов АН ГССР С. С. Лекишвили.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან მაჭარაძე, ნინო ჩიქოვანი

გამოჩენილი რუსი კავკასიოლოგი ს. ა. ბელოკუროვი

რუსულ მეცნიერულ კავკასიოლოგიას საფუძველი ჩაეყარა XVIII საუკუნეში. კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს XIX საუკუნის რუსმა მეცნიერებმა (პ. ბუტკოვი. ნ. დუბროვინი, ნ. კონდაკოვი, მ. კოვალევსკი და სხვ.), რომელთა ტრადიცია წარმატებით გააგრძეს მ. პოლიევქტოვმა, ე. კრუპნოვმა, ნ. სმირნოვმა, ბ. პიოტროვსკიმ, ა. ფადეევმა, ო. მარკოვამ, ა. ნოვოსელცევმა და სხვა საბჭოთა ისტორიკოსებმა.

რუს კავკასიოლოგთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ს. ბელოკუროვს, რომლის შრომები დღემდე ინარჩუნებენ მეცნიერულ ღირებულებას.

სერგეი ალექსის ძე ბელოკუროვი დაიბადა 1862 წ. 1 (13) სექტემბერს მოსკოვში, სასულიერო პირის ოჯახში[1]. 1882 წ., სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი მეცნიერები — ე. ე. გოლუბინსკი, ვ. ო. კლიუჩევსკი, ვ. დ. კუდრიავცევი და სხვები, ხოლო აკადემიას სათავეში ედგა სასულიერო ლიტერატურისა და XVII ს-ის რუსული ეკლესიის ისტორიის შესანიშნავი მცოდნე — ს. კ. სმირნოვი.

სწავლის პროცესში ს. ბელოკუროვი დაინტერესდა XVII ს-ის რუსეთის ისტორიით. იგი დაშვებულ იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივის მასალებზე სამუშაოდ, რომლებიც საფუძვლად დაედო ახალგაზრდა მკვლევრის პირველ პუბლიკაციებს[2].

1886 წ., სასულიერო აკადემიის კანდიდატის ხარისხით დამთავრების შემდეგ, ს. ბელოკუროვი, რომელმაც კარგად იცოდა ბერძნული, ლათინური, გერმანული, ფრანგული ენები, მ. კ. ლიუბავსკის სიტყვით, „ვერ მოხიბლა საერო კარიერამ“, მან არქივში მუშაობა ამჯობინა[3].

1886 წლიდან გარდაცვალებამდე (1918 წ.) ს. ა. ბელოკუროვი საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარ არქივში მუშაობდა და უკანასკნელი

---

[1] ЦГАДА, ф. 180, оп. 9, д. 206, ч. I, л. 10.

[2] С. А. Белокуров, 1882—1907, М., 1908, გვ. 5.

[3] ЦГАДА, ф. 180, оп. 9, д. 206, ч. I, лл. 7 об., 14; С. К. Богоявленский, Некролог С. А. Белокурова. — В журн.: Исторический архив, кн. I, М., 1919; ЦГАДА, ф. 185, оп. I, д. 154, лл. 311 — 324 — М. К. Любавский, С. А. Белокуров в Обществе истории и древностей российских. Речь на заседании (31) марта 1919 г., გვ. 314.

ოცი წლის მანძილზე, ფაქტობრივად, განაგებდა მას: ხშირად ასრულებდა დირექტორის მოვალეობას, 1918 წ. კი არქივის მმართველად დაინიშნა[4].

ს. ბელოკუროვის მოღვაწეობას არქივში თანამედროვენი მაღალ შეფასებას აძლევდნენ. იმ წლების მანძილზე, — წერდა მ. მ. ბოგოსლოვსკი, — ძნელად თუ მოიძებნება რამდენიმე დღე, როცა ს. ბელოკუროვი არ მუშაობდა არქივში დაცულ დოკუმენტთა შესწავლაზე. მთელმა საცავმა გაიარა მის ხელში. ს. ბელოკუროვი კარგად ინცობდა არქივს და სულ უფრო ღრმად სწავლობდა მას. ამავე დროს, თავის ცოდნას იგი მუდმივად უზიარებდა სამეცნიერო სამყაროს, გამოსცემდა რა არქივში დაცულ დოკუმენტებს[5]. კიევის სასულიერო აკადემიის საბჭოს სხდომის ანგარიშში ნათქვამია, რომ არქივში მომუშავე მკვლევართათვის ს. ბელოკუროვი ცოცხალი ცნობარი და გზამკვლევი იყო[6]. ამასვე ადასტურებს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის პავლე თუმანიშვილის დეპეშა, რომელიც მადლობას უხდიდა ს. ბელოკუროვს ისტორიკოს ს. ესაძისათვის გაწეული დახმარების გამო[7].

ს. ბელოკუროვის შრომებმა მალე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. განსაკუთრებით მაღალი შეფასება დაიმსახურა გამოკვლევებმა «Арсений Суханов» (I და II ნაწ.) (მიენიჭა მეცნიერებათა აკადემიის ა. ს. უვაროვის პრემია) და «О библиотеке Московских государей в XVI веке», აგრეთვე კავკასიოლოგიურმა შრომებმა: „Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадианскую землю (1639—1640 гг.)»; «Сношения России с Кавказом (1578—1613)» და სხვ.[8]

დიდი მეცნიერული დამსახურებისათვის ს. ბელოკუროვი 1903 წ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს[9].

ს. ბელოკუროვის მეცნიერულმა ავტორიტეტმა განაპირობა ის ფაქტი, რომ იგი მრავალი სამეცნიერო საზოგადოებისა და კომისიის წევრად იყო არჩეული. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ს. ბელოკუროვმა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული რუსეთის ისტორიისა და სიძველეთა საზოგადოების მუშაობაში, რომლის ნამდვილი წევრი იყო 1887 წლიდან, 1890 წ. იგი არჩეულ იქნა საზოგადოების ხაზინადრად, 1891 წ. მისი ორგანოს[10] ფაქტო-

---

[4] ЦГАДА, ф. 180, оп. 9, д. 206, ч. I, лл. 1, 162, 164, 199, 221, 254, 259, 268; ч.2, лл. 35, 37—38, 51—52, 78—79, 149—151, 160, 167, 169, 170, 180, 183—185.

[5] М. М. Богословский, О трудах С. А. Белокурова по русской истории.— В журн.: Русский исторический журнал, кн. 8, М., 1922, გვ. 230.

[6] Извлечение из Журналов Совета Киевской духовной академии за 1903—1904 учебный год, Киев, 1904 გვ. 441.

[7] ЦГАДА, ф. 180, оп. 9, д. 206, ч. 2, л. 141.

[8] С. А. Белокуров, О Посольском приказе, М., 1906; его же, Московский архив Министерства иностранных дел в 1812 году, М., 1913.

[9] С. А. Белокуров 1882—1907, გვ. 57; Отдел рукописей Гос. библиотеки СССР им. В. И. Ленина, ф. 23 (Архив С. Белокурова), I. I, л. 5 об.

[10] Чтения в Обществе истории и древностей российских при Московском университете (ქვემოთ: Чтения в ОИДР).

ბრივი რედაქტორი გახდა. ხოლო 1917 წ. თებერვლიდან საზოგადოების მდივანი იყო[11].

რუსეთის ისტორიისა და სიძველეთა საზოგადოების საქმიანობის გამოცოცხლება ვ. ო. კლიუჩევსკის სახელს უკავშირდება, მაგრამ, როგორც მ. ლიუბავსკი მიუთითებდა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ვ. ო. კლიუჩევსკი, რომელიც დატვირთული იყო უნივერსიტეტში პედაგოგიური და ადმინისტრაციული საქმიანობით, ბევრს ვერაფერს გააკეთებდა საზოგადოებისათვის ისეთი თანაშემწის გარეშე, როგორიც ს. ბელოკუროვი იყო. იგი თავიდან აშორებდა ვ. ო. კლიუჩევსკის წვრილმან საზრუნავს და ახორციელებდა მის მითითებებს საზოგადოების საკეთილდღეოდ[12].

მიუხედავად სამსახურებრივი, საგამომცემლო, ორგანიზაციული და სარედაქციო საქმეებით გადატვირთვისა, ს. ბელოკუროვი ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა, რასაც მოწმობს საზოგადოების სხდომათა ოქმები და მისი ნაშრომების ვრცელი სია.

თანამედროვეთა აღიარებით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას რომ რუსეთის ისტორიისა და სიძველეთა საზოგადოების არსებობის მთელს მანძილზე არავის მის წევრთაგან არ გაუკეთებია იმდენი საზოგადოების საკეთილდღეოდ, რამდენიც გააკეთა ს. ბელოკუროვმა. უკანასკნელ ოცდაათ წელს საზოგადოების ისტორიაში თამამად შეიძლება ეწოდოს ბელოკუროვის ეპოქა. თავის აღმავლობას, ნაყოფიერ საგამომცემლო და კვლევით საქმიანობას საზოგადოება, უმთავრესად, ს. ბელოკუროვის დაუღალავ ზრუნვას უმადლოდა[13]. ამ ოცდაათი წლის მანძილზე იგი საზოგადოების სული და გული იყო, ერთგულად იცავდა მის ტრადიციებს, წესდებას. სწორედ მან დააყენა საზოგადოების გამოცემები სათანადო დონეზე[14].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ს. ბელოკუროვი, რუსული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად, აქტიურად ჩაება საარქივო საქმის რეორგანიზაციაში. მას, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივის მმართველს, განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ (რომელსაც ექვემდებარებოდა არქივები) დაავალა სპეციალისტთა — მოსკოვის უნივერსიტეტის რუსეთისა და მსოფლიო ისტორიის კათედრათა გამგეების და მოსკოვის არქივების მუშაკთა — თათბირის მოწვევა არქივების ცენტრალიზაციის გეგმის განსახილველად და საარქივო საქმის რეორგანიზაციის ძირითად დებულებათა შესამუშავებლად[15]. სამოქალაქო ომის მძიმე წლებში (1918 წ. სექტემბერი — ნოემბერი) ს. ბელოკუროვი მიავლინეს კურსკის, ხარკოვის, პენზის, ვორონეჟის, ტამბოვის საგუბერნიო არქივებში დოკუმენტთა შენახვისა და დაცვის მდგომარეობის შესასწავლად[16].

---

[11] ЦГАДА, ф. 185, оп. I, д. 154, лл. 316—321; И. А. Демидов, В. В. Ишутин, Общество истории и древностей российских при Московскмом университете. — В кн.: История и историки, М., 1978, გვ. 260; Отдел рукописей Гос. библиотеки СССР им. В. И. Ленина, ф. 23, I. I, л. 6.

[12] ЦГАДА, ф. 185, оп. I, д. 154, лл. 318—321.

[13] ЦГАДА, ф. 185, оп. I, д. 154—С. К. Богоявленский, Общая характеристика С. Белокурова, лл. 305—306.

[14] С. К. Богоявленский, Некролог С. А. Белокурова, გვ. 432.

[15] ЦГАДА, ф. 185, оп. I, д. I, лл. 70—71, 72—100.

[16] ЦГАДА, ф. 180, оп. I, д. 206, ч. 2, лл. 182—185, 187, 189.

ს. ბელოკუროვი გარდაიცვალა 1918 წ. 3 დეკემბერს, 56 წლის ასაკში. 1919 წ. 18 მარტს შედგა რუსეთის ისტორიისა და სიძველეთა საზოგადოების სპეციალური სხდომა, რომელიც ს. ბელოკუროვის ხსოვნას მიეძღვნა. ს. ბოგოიავლენსკი, მ. ლიუბავსკი და ნ. პოპოვი სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ და მაღალი შეფასება მისცეს ს. ბელოკუროვის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას[17].

კავკასიამ და, კერძოდ, საქართველომ ადრე მიიპყრო ს. ბელოკუროვის ყურადღება. ეს შემთხვევითი არ იყო. ქართველი სწავლულების (დავით და თეიმურაზ ბატონიშვილები) მოღვაწეობამ პეტერბურგში XIX ს-ის პირველ ნახევარში, ქართული მატიანეებისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დოკუმენტთა გამოქვეყნებამ დ. ჩუბინაშვილისა და მ. ბროსეს მიერ, პირველი ყაბარდოელი სწავლულის შ. ნოგმოვის შრომის[18] გამოცემამ, პ. ბუტკოვის „მასალებმა“[19] და ნ. დუბროვინის გამოკვლევებმა[20], კავკასიის ხალხთა საზოგადოებრივი ურთიერთობის და კულტურის სფეროში ინტენსიური კვლევა-ძიების გაშლამ XIX ს-ის 70-80-იან წლებში, რამაც საბოლოო გაფორმება პოვა მ. კოვალევსკისა[21] და ნ. კონდაკოვის [22] შრომებში, დ. ბაქრაძის ნაშრომებმა, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის (ბერჟეს მეთაურობით), მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების (ა. ა. და პ. უვაროვების მეთაურობით), მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის კათედრების, აგრეთვე ადგილობრივი სამეცნიერო საზოგადოებების საქმიანობამ განაპირობა კავკასიის ისტორიისადმი ინტერესის გაძლიერება. კავკასიის ომების დამთავრებამ უფრო ხელსაყრელი ვითარება შექმნა კავკასიის ხალხთა და რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის ისტორიის შესწავლისათვის. აი, ის პირობები, რომელთაც, როგორც ჩანს, განსაზღვრეს ახალგაზრდა ს. ბელოკუროვის დაინტერესება კავკასიის ხალხთა და, კერძოდ, რუსეთთან მათი ურთიერთობის ისტორიით.

ჯერ კიდევ მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს, 1884 წ. ს. ბელოკუროვმა გამოაქვეყნა ნაშრომი «Поездка старца Арсения Суханова в Грузию»

---

[17] ЦГАДА, ф. 185, оп. I, д. 154, лл. 263, 303—325.

[18] Ш. Ногмов, История адыхейского народа, Тифлис, 1861.

[19] П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. I—III, СПб., 1869.

[20] Н. Н. Дубровин, История войн и владычества русских на Кавказе, т. I—6 СПб., 1871—1888; его же, Закавказье от 1803 по 1806, СПб., 1886 და სხვ.

[21] М. Ковалевский, Современные обычаи и древний закон. Обычное право осетин в историко-сравнительном освещении, т. 1—2. М., 1886; его же, Закон и обычаи на Кавказе, М., 1890.

[22] Н. Кондаков, Мелкие древности Кубанской и Терской области, Киев, 1875; его же, Древняя архитектура Грузии, М., 1879; его же, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1890.

(1637—1640 гг.)[23]», ხოლო 1887 წ. — «Посольство дьяка Федота Елчина и священика Павла Захарьева в Дадианскую землю (1639—1640 гг.)[24]».

1888 წ. ს. ბელოკუროვმა განახორციელა ფუნდამენტური პუბლიკაცია «Сношения России с Кавказом», რომლის მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ეძღვნება. მასალების უფრო სრულად გამოვლენის მიზნით, ახალგაზრდა მკვლევარმა რჩევისათვის მიმართა ცნობილ ქართველ ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს, რომელსაც წერილთან ერთად გაუგზავნა თავისი ნაშრომი «Материалы для русской истории», სადაც დაბეჭდილი იყო ელჩინისა და ზახარევის ელჩობის მასალები. „ამჟამად,—წერდა ს. ბელოკუროვი დ. ბაქრაძეს 1889 წ. 23 იანვარს,—ვამთავრებ რუსეთის კავკასიასთან ურთიერთობის დოკუმენტთა ბეჭდვას. გამოცემაში მივედი 1605 წლამდე, რის შემდეგ დოკუმენტების სიმრავლე წყდება და საჭირო ხდება მასალის სტრიქონობით მოძიება სხვადასხვა საქმეში. თქვენ, როგორც პიროვნება, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა კავკასია (მე სიამოვნებით ვკითხულობ თქვენს ნაშრომებს, ვიღებ რა მათ ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში, რადგან საკუთარი ეკზემპლარები არა მაქვს), წყაროებს კარგად უნდა იცნობდეთ. ხომ ვერ მიმითითებდით, სად შეიძლება მათ მოძიება, გარდა საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივისა, სადაც მე ვმსახურობ და, ამდენად, აქაურ დოკუმენტებს კარგად ვიცნობ“[25].

თავის პასუხში (1889 წ. 10 მარტი) დ. ბაქრაძე ბოდიშს იხდიდა პასუხის დაგვიანების გამო და მადლობას უთვლიდა ს. ბელოკუროვს შესანიშნავი საჩუქრისათვის, რის სანაცვლოდ თვითონაც უგზავნიდა მას თავის ერთ-ერთ ნაშრომს. დ. ბაქრაძე მაღალ შეფასებას აძლევდა ელჩინისა და ზახარევის ელჩობის მასალებს, გამოქვეყნებულს ს. ბელოკუროვის მიერ და კმაყოფილებას გამოთქვამდა ახალი კრებულის ბეჭდვის გამო. „დარწმუნებული ვარ, — წერდა დ. ბაქრაძე, — მისი შინაარსი ისევე საყურადღებო იქნება, როგორც „ელჩინის და ზახარევის ელჩობისა...“ სადიანოში მათი ელჩობის შესახებ ჩვენთვის ცნობილი იყო მხოლოდ მცირე ნაწყვეტი 1861 წ. გამოქვეყნებული „მიმოწერიდან...“[26], მაგრამ თქვენ იძლევით მთელ მასალას, ყოველგვარი შემოკლების გარეშე, ისე, როგორც მან ჩვენამდე მოაღწია; ეს კი მეტად მნიშვნელოვანია მეცნიერული თვალსაზრისით... იმედია, შემდეგ კრებულში თქვენ იგივე წესს დაიცავთ, სწორედ ამიტომ მოუთმენლად ველი მის გამოქვეყნებას“[27].

დ. ბაქრაძე არა მხოლოდ იწონებდა დოკუმენტების სრულად გამოქვეყნებას, არამედ აფიქრებდა ისიც, რომ, ქართული ენის არცოდნის გამო, ქართულ ენაზე დაცული მასალა ს. ბელოკუროვს გამოუქვეყნებელი არ დარჩენოდა. ამიტომ იგი შეახსენებდა ახალგაზრდა ისტორიკოსს, რომ მოსკოვის არქივის „ქართული განყოფილება მეტად მდიდარია და მოიცავს არა მხოლოდ ურთიერთობის საკითხს, არამედ საქართველოს ცხოვრების საერთო სურათს,

---

[23] В журн.: Христианское чтение, 1884, № 3—4.

[24] Чтения в ОИДР за 1887 г.; С. Белокуров, Материалы для русской истории, М., 1888.

[25] საქ სსრ მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 32 (დ. ბაქრაძის ფონდი), № 128 Ros 49, ფურც. 2.

[26] იგულისხმება მ. ბროსეს პუბლიკაცია: Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 гг. СПб., 1861.

[27] ЦГАДА, ф. 184, оп. I, д. 327, л. 2.

იმს სამოქალაქო და სულიერ ცხოვრებას. რა თქმა უნდა, აუცილებელია, შეძლებისდაგვარად, ამოიწუროს მთელი ეს მასალა. ა. ცაგარელის მოწმობით, არქივში ბევრია ქართული დოკუმენტი რუსული თარგმანის გარეშე"[28]. დ. ბაქრაძე ურჩევდა ს. ბელოკუროვს, ესარგებლა ლაზარევის ინსტიტუტის ახალგაზრდა ქართველი პროფესორის ალ. ხახანაშვილის დახმარებით[29].

და ბოლოს, დ. ბაქრაძე აცნობებდა ს. ბელოკუროვს, რომ მისთვის საინტერესო პერიოდის (XVI—XVII სს.) საქართველოს ისტორიის მასალები დაცული იყო მ. ბროსეს მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემული „საქართველოს ისტორიის" მეორე ტომის პირველ და მეორე წიგნებში[30].

ს. ბელოკუროვისა და დ. ბაქრაძის მიმოწერა რუსი და ქართველი მეცნიერ-ისტორიკოსების მეგობრობისა და თანამშრომლობის ნათელი მაგალითია.

ს. ბელოკუროვის მეცნიერული მოღვაწეობის მთავარი სფერო იყო დოკუმენტების შესწავლა და გამოქვეყნება. ამას მოწმობს XVI—XVIII სს. რუსეთის ისტორიის მასალების მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები, რომლებიც ს. ბელოკუროვს ეკუთვნის. როგორც მკვლევარი და დოკუმენტების გამომცემელი, ს. ბელოკუროვი უაღრესად კეთილსინდისიერი იყო: დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასალის შერჩევას და ტექსტის გადმოცემას. ამ პრინციპებისათვის მას არც კავკასიოლოგიაში უღალატია.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარ არქივში[31] მუშაობის დაწყების შემდეგ ს. ბელოკუროვმა ხელი მოჰკიდა XVI—XVII სს. რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის მასალების შესწავლას. ამ მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის ხალხთა ისტორიისათვის. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს XIX საუკუნემდე არ ჰქონდათ მშობლიურ ენაზე დამწერლობა, ადგილობრივ მმართველთა საოჯახო არქივების მასალათა დიდი ნაწილი შინაბრძოლებმა იმსხვერპლა. რუსეთთან ამ ხალხების ურთიერთობის დოკუმენტთა უმრავლესობა იწერებოდა რუსულ ენაზე. მასალების ის ნაწილიც, რომელიც არაბულ, თურქულ, სპარსულ თუ სხვა ენაზე იქმნებოდა, რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებებში მოხვედრისთანავე ითარგმნებოდა რუსულად; ამ თარგმანებმა ჩვენამდე მოაღწია[32]. რაც შეეხება ამიერკავკასიის ხალხებს, აქ არსებული პოლიტიკური ერთეულების (ქართული სამეფო-სამ-

---

[28] დ. ბაქრაძის ამ გაფრთხილების პასუხი უნდა იყოს ს. ბელოკუროვის მიერ „საქართველოს საქმეების" ფონდის დახასიათება ნაშრომში «Сношения России с Кавказом» (იხ. გვ. XXVII).

[29] ЦГАДА, ф. 184, оп. I, д. 327, л. 2.

[30] იქვე.

[31] ამ არქივის მასალები ამჟამად დაცულია ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (XVIII ს. 20-იან წლებამდე) და რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში (XVIII ს. 20-იანი წლებიდან).

[32] იხ.: В. Н. Сокуров, Кабардинские грамоты XVI—XVII вв. — В кн.: Из истории феодальной Кабарды и Балкарии, Нальчик, 1981, გვ. 165—166; А. А. Пронштейн, Материалы о народах Северного Кавказа в русских архивах. — Известия Северо-Кавказского научного центра высшей школы, Общественные науки, Ростов н/Д, 1978, № 2, გვ. 3.

თავროებისა და სომხური და აზერბაიჯანული სახანოების) არქივები განადგურდა XVI—XVIII საუკუნეებში დამპყრობთა შემოსევების დროს. მატიანეები, საოჯახო არქივებისა და ეკლესია-მონასტრების მასალები, მათთვის დაძახასიათებელ თავისებურებათა გამო, სრულად ვერ ასახავენ ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიას. აქედან გამომდინარე, რუსული არქივების მასალები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ კავკასიის ხალხთა ისტორიისათვის[33].

ს. ბელოკუროვის წინამორბედები და თანამედროვენი, ძირითადად, XVIII—XIX სს. მასალებს სწავლობდნენ. მართალია, არსებობდა მ. ბროსეს ზემოთ დასახელებული პუბლიკაცია, უფრო ადრე კი ნ. ნოვიკოვს გამოქვეყნებული ჰქონდა ტოლოჩანოვისა და იევლევის ელჩობის ანგარიში, მაგრამ ეს მასალები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავდნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას XVII საუკუნეში, გარდა ამისა, მათ სერიოზული ტექნიკური ხარვეზები ჰქონდათ და არ შეესაბამებოდნენ მეცნიერულ მოთხოვნებს. ამრიგად, XVI—XVII სს რუსეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიის მასალები, დაცული საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარ არქივში, ს. ბელოკუროვის მეცნიერული მოღვაწეობის საწყისი პერიოდისათვის, ფაქტობრივად, ხელუხლებელი იყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემა, რომლის შესწავლას ხელი მოჰკიდა ს. ბელოკუროვმა, რუსეთისა და კავკასიის ისტორიოგრაფიის წინაშე მდგარ მორიგ ამოცანას წარმოადგენდა.

აღნიშნული პრობლემის შესწავლას ს. ბელოკუროვმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. მათგან უმრავლესობა წარმოადგენს დოკუმენტთა პუბლიკაციებს, რომელთაც დართული აქვთ ავტორის წინასიტყვაობა და კომენტარები. პუბლიკაციებს საფუძვლად დაედო. ძირითადად, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივის მასალები, თუმცა მათში შევიდა ზოგი სხვა არქივის (მაგ., საჭურვლის პალატის არქივისა და პეტერბურგის სახელმწიფო არქივის) დოკუმენტებიც.

ს. ბელოკუროვის კავკასიოლოგიური შრომებიდან ყველაზე ვრცელი და მრავალფეროვანია «Сношения России с Кавказом», რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი — რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა, მეორე — XVI ს-ის მეორე ნახევრისა და XVII ს-ის დასაწყისის ურთიერთობის დოკუმენტების პუბლიკაცია.

პირველი ნაწილი წარმოადგენს რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის ისტორიის ნარკვევს, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან XVII ს-ის დასაწყისამდე. ნარკვევზე მუშაობის დროს ს. ბელოკუროვს უსარგებლია ყველა ხელმისაწვდომი წყაროთი, აგრეთვე რუსულ და უცხოურ ენებზე არსებული ლიტერატურით. სხვა ნაშრომებთან ერთად, მას გამოყენებული აქვს ნ. კარამზინის, ს. სოლოვიოვის, მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, შ. ნოგმოვის და სხვ. შრომები, რაც შეეხება წყაროებს, ს. ბელოკუროვს შეუსწავლია რუსული მატიანეები, რუსეთის საისტორიო საზოგადოების კრებულები, უცხოელი ავტორების ცნობები, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივის ფონდები — საქართველოს საქმეები, ყაბარდოს საქმეები, ყირი-

---

[33] იხ.: М. Н. Тихомиров, Значение документальных богатств ЦГАДА для советской исторической науки.— Археографический ежегодник за 1965 год, М., 1966, გვ. 39—40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის, თურქეთის, ირანის საქმეები და სხვ. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა სოლიდური გამოკვლევის შექმნა, რომელიც 50 წლის მანძილზე (ნ. ბერძენიშვილის[34], ნ. სმირნოვის[35], ი. ცინცაძის[36] შრომების გამოქვეყნებამდე) წარმოადგენდა აღნიშნული პერიოდის რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის ისტორიის ერთადერთ ნარკვევს. მისი ზოგიერთი დებულება და ცალკეული მოსაზრებები დღემდე ინარჩუნებენ მეცნიერულ ღირებულებას.

გამოკვლევის დასაწყისში ს. ბელოკუროვი ეხება რუსებისა და კავკასიის ხალხთა კონტაქტებს უძველეს პერიოდში (XV საუკუნემდე). მას მოჰყავს არა მხოლოდ ცნობილი ფაქტები X—XII სს. ურთიერთობებიდან, არამედ მიუთითებს იმ გზებზეც, რომელთა მეშვეობით რუსებსა და კავკასიის ხალხებს შეეძლოთ ერთმანეთის შესახებ ცნობების მიღება მონღოლთა დაპყრობების შემდგომ პერიოდშიც (ოქროს ურდო, ათონის მთა). მართალია, შემდგომში ამ მიმართულებით კვლევა-ძიებამ ზოგიერთი ახალი ცნობა გამოავლინა, მაგრამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხასიათის ს. ბელოკუროვისეული შეფასება დღემდე ძალაში რჩება.

განსაკუთრებით საყურადღებოა XV ს-ის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მიმოხილვა. ჯერ ერთი, ს. ბელოკუროვმა სწორად განსაზღვრა რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის საწყისი თარიღი — 1491 წელი[37] (შემდგომმა გამოკვლევებმა, ჩვენი აზრით, ვერ შეცვალა ეს თვალსაზრისი); მეორე, დააზუსტა წერილის ავტორის („მეფე ალექსანდრე") ვინაობა — ეს იყო კახეთის მეფე ალექსანდრე[38]. თუმცა XV ს-ის მეორე ნახევარში კიდევ ერთი ალექსანდრე მეფობდა (იმერეთში); მესამე, რუსეთისა და საქართველოს ისტორიის კარგმა ცოდნამ საშუალება მისცა ს. ბელოკუროვს, უარეყო მ. ბროსესა და დ. ბაქრაძის თვალსაზრისი და ელჩობის მიზანი შემდეგნაირად განესაზღვრა: „ვფიქრობ, — წერდა ს. ბელოკუროვი, — რომ 1491 წელს კახეთის მეფე ალექსანდრეს მიერ რუსეთში ელჩები გაიგზავნენ იმ მიზნით, რომ დაემყარებინათ ურთიერთობა მოსკოვის სახელმწიფოსთან, თუ ასეთი ურთიერთობა ადრე არ იყო, ან კიდევ განეახლებინათ იგი, თუ ურთიერთობა ადრეც არსებობდა"[39].

უნდა აღინიშნოს აგრეთვე რუსეთ-ყაბარდოს ურთიერთობის მიმოხილვა XVI ს-ის 50—60-იან წლებში. სამეცნიერო მიმოქცევაში ახლადშემოტანილ მდიდარ მასალაზე დაყრდნობით, ს. ბელოკუროვი თანმიმდევრობით გადმოგვცემს მოვლენათა მსვლელობას. თუმცა წყაროთა ზოგიერთი ტერმინი ავტორს კრიტიკული შეფასებისა და სათანადო განმარტების გარეშე აქვს გამოყენებუ-

---

[34] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. მიჯნაზე. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, თბ., 1944.

[35] Н. А. Смирнов, Россия и Турция в XVI—XVII вв., т. 1—2. — Ученые записки МГУ, вып. 94, М., 1946.

[36] ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), თბ., 1956.

[37] С. Белокуров, Сношения России с Кавказом, М., 1889, გვ. XX—XXI.

[38] იქვე, გვ. XXI—XXII.

[39] იქვე, გვ. XXVII.

ლი. მაგრამ გამოკვლევის ეს ნაწილი დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას[40].

ს. ბელოკუროვი სამართლიანად უარყოფს მ. ბროსეს თვალსაზრისს 1558 წელს მოსკოვში ქართველი ელჩების ჩასვლის შესახებ[41] და სწორად გადმოგვცემს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის ისტორიას 1563 — 64 წლებში[42]. მართალია, სვიმონ მაყაშვილის ცნობამ, რომელიც ი. ციცაძემ გამოავლინა[43], ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომმა[44] და XVIII საუკუნის სხვა მასალებმა მნიშვნელოვნად შეავსო ჩვენი ცოდნა XVI ს-ის 60-იან წლებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ს. ბელოკუროვის მიერ დადგენილი ფაქტები და მისი დასკვნები ძალაში დარჩა.

აღნიშნულ გამოკვლევაში ვხვდებით ბევრ საინტერესო დაკვირვებას, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. აღსანიშნავია, მაგალითად, ს. ბელოკუროვის თვალსაზრისი თერგის კაზაკებისა და თერგის ციხის როლის შესახებ არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს, არამედ რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ურთიერთობაშიც. ამ თვალსაზრისმა შემდგომი განვითარება პოვა საბჭოთა ისტორიკოსების შრომებში.

უნდა ითქვას, რომ ს. ბელოკუროვი, ძირითადად, სწორად გადმოგვცემს X—XVI სს. საქართველოს ისტორიას (თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე უზუსტობას სახელებისა და თარიღების გადმოცემაში) და სავსებით სწორად მიუთითებს საქართველოს დასუსტების მიზეზზე XV საუკუნეში — ფეოდალურ შინაომებზე, რომელთაც განაპირობეს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლა სწორედ ირანისა და თურქეთის აგრესიის წინ; ამან, თავის მხრივ, დღის წესრიგში დააყენა ძლიერი ერთმორწმუნე მფარველის მოძებნის საკითხი და განსაზღვრა ქართველ პოლიტიკოსთა რუსული ორიენტაცია. ს. ბელოკუროვი არ ცდილა აღნიშნული პროცესის სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლების ახსნას; ეს არც იყო მოსალოდნელი, — ასეთი მოთხოვნის წაყენება XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსისათვის, მით უფრო მაშინ, როცა საქართველოს მეცნიერული ისტორია ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი, მართებული არ იქნებოდა.

შედარებით სქემატურადაა განხილული რუსეთ-კავკასიის, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა 1586—1613 წლებში. „ფიცის წიგნისა“ და „წყალობის სიგელის“ გაფორმების (1587—1589 წწ.) შემდგომ პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე საუბრისას ს. ბელოკუროვი ხშირად იყენებს წყაროთა ტერმინს — „ქვეშევრდომობა“, მაგრამ ამ ურთიერთობის შედეგების შეჯამების დროს იგი სავსებით სწორად მიუთითებს ამ „ქვეშევრდომობის“ ნომინალურ ხასიათზე.

---

40 ჩრდილოეთ კავკასიის XVI—XVIII სს. ისტორიის საკითხებზე თანამედროვე გამოკვლევების დიდი მნიშვნელობის აღიარებასთან ერთად, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ მრავლად გვხვდება სადაო, დაუსაბუთებელი დებულებანი. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ.: В. Г. Мачарадзе, Некоторые вопросы истории Кабарды и Северного Кавказа,— Труды Тбилисского гос. ун-та, В 8—9 (№ 155—156), Тб., 1974.

41 С. Белокуров, Сношения..., გვ. XXXII.

42 იქვე, გვ. XXII—XXXIV.

43 იხ.: ათანასე თბილელისა და სიმ. მაყაშვილის ელჩობა რუსეთში. — საისტორიო მოამბე, VI, თბ., 1952, გვ. 148.

44 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. — ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1973, გვ. 573.

ს. ბელოკუროვმა მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გახადა მდიდარი საისტორიო მასალა XVI—XVII სს. მიჯნაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად, რაც შემდგომში გამოყენებულ იქნა ნ. ბერძენიშვილის მიერ[45].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასახელებული ნაშრომის მეორე, უფრო ვრცელი ნაწილი რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის ისტორიის დოკუმენტთა პუბლიკაციას წარმოადგენს და მოიცავს პერიოდს XVI ს-ის შუა ხანებიდან XVII ს-ის პირველ ათწლეულამდე. 70 წლის მანძილზე, ყაბარდო-რუსეთის ურთიერთობის დოკუმენტთა ახალი კრებულის[46] გამოქვეყნებამდე (1957 წ.). ს. ბელოკუროვის პუბლიკაცია რჩებოდა ყაბარდოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიის ძირითად წყაროდ. მართალია, ახალი, უფრო სრული კრებულის გამოქვეყნების შემდეგ მან დაკარგა წინანდელი პრაქტიკული ღირებულება, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ახალი კრებულის პირველი განყოფილება, რომელიც 1550—1605 წლებს მოიცავს. თითქმის არ სცილდება ს. ბელოკუროვის მასალების ფარგლებს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ს. ბელოკუროვის მეცნიერულ კეთილსინდისიერებას.

საქართველოს ისტორიისათვის ს. ბელოკუროვის აღნიშნული პუბლიკაცია დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას, რადგან დასახელებული პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დოკუმენტთა სხვა გამოცემა ჯერჯერობით არ არსებობს.

ს. ბელოკუროვის პუბლიკაცია შეიცავს მრავალფეროვან და მრავალმხრივ მასალას საქართველოს ისტორიისათვის. გამოქვეყნებული დოკუმენტები, პირველ რიგში, საკმაო სისრულით წარმოგვიდგენენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას XVI ს-ის დასასრულს და XVII ს-ის დასაწყისში; საშუალებას იძლევიან ვიმსჯელოთ ორივე მხარის მიზნებზე, აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად იქნა ისინი მიღწეული. დოკუმენტები აღადგენენ დიპლომატიური ურთიერთობის სურათს მისთვის დამახასიათებელი სირთულეებით: ელჩობათა მომზადებასა და გამგზავრებას, მათ მიერ განვლილ გზას, მხარეებს შორის მიმდინარე დიპლომატიურ მოლაპარაკებებს, დავას, რომლებიც მოლაპარაკების პროცესში წარმოიშობოდა. პუბლიკაციაში თავმოყრილი მასალები ასახავენ საქართველოს ურთიერთობას არა მხოლოდ რუსეთთან, არამედ ირანთან, თურქეთთან, მეზობელ ხალხებთან. ისინი წარმოაჩენენ კავკასიის როლს იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობებში; ნათელი ხდება, ერთი მხრივ, თუ როგორ სურდა რუსეთს კავკასიის ხალხებთან თავისი ურთიერთობის წარმოდგენა საერთაშორისო მასშტაბით, მეორე მხრივ — როგორ რეაგირებდნენ ამაზე სხვა სახელმწიფოები (პირველ რიგში — ირანი და თურქეთი).

დოკუმენტები გვაცნობენ საქართველოს საშინაო ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. ისინი საშუალებას იძლევიან, უფრო ზუსტად დავადგინოთ კახეთის სამეფოს საზღვრები XVI—XVII საუკუნეებში, გზები, რომელთა მეშვეობით კახეთი უკავშირდებოდა ჩრდილოეთ კავკასიას, გავეცნოთ სამხედრო საქმის ორგანიზაციას კახეთში, ადგილობრივი მეფეების აღმშენებლობით საქმიანობას,

---

[45] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. მიჯნაზე.— მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ, 1, თბ., 1944.

[46] Кабардино-русские отношения в XVI—XVIII вв., в 2-х томах, т. I, М., 1957.

სამეფოს ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობას, მის ურთიერთობას სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან (კერძოდ, ქართლის სამეფოსთან), შინაპოლიტიკურ ბრძოლას კახეთში და სხვ.

არანაკლებ საინტერესო მასალას საქართველოს ისტორიისათვის იძლევა ს. ბელოკუროვის სხვა პუბლიკაციები. მაგალითად, ელჩინისა და ზახარევის ელჩობის მასალები მნიშვნელოვანი წყაროა XVII ს-ის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს ისტორიისათვის. როგორც აკად. დ. ლიხაჩოვი აღნიშნავდა, ეს დოკუმენტები საინტერესოა იმით, რომ ისინი პირველად ასახავენ რუსების შთაბეჭდილებებს კავკასიის შავიზღვისპირა მიწებზე[47]. დოკუმენტები წარმოგვიდგენენ სამეგრელოს სამთავროს მდგომარეობას, მეზობლებთან მის ურთიერთობას, აგრეთვე რუსეთის მიზნებს ამ მხარეში.

ს. ბელოკუროვის პუბლიკაციებმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. როგორც თანამედროვე, ისე მომდევნო თაობის ისტორიკოსები მის პუბლიკაციებს სრულად და ამომწურავად მიიჩნევდნენ[48].

ს. ბელოკუროვის «Сношения...»-ს შედარებამ რუსეთ-ყაბარდოს ურთიერთობის დუკუმენტთა ახალ პუბლიკაციასთან და რუსეთ-საქართველოს 1586—1605 წწ. ურთიერთობის საარქივო მასალასთან ცხადყო, რომ მან, მართლაც ამოწურა „1613 წლამდე მოსკოვის სახელმწიფოსა და კავკასიის ხალხების ურთიერთობის მასალები, დაცული საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარ არქივში[49]. კრებულის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დოკუმენტთა პუბლიკაციის დროს ს. ბელოკუროვი შემოიფარგლა მხოლოდ ორი ფონდის — „საქართველოს საქმეებისა“ და „ყაბარდოს საქმეების“ — მასალებით, იმ დროს, როცა რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის სრული სურათის აღდგენა, გასაგები მიზეზების გამო, შესაძლებელია მხოლოდ სხვა ფონდების „ყირიმის საქმეები“, „თურქეთის საქმეები“, „ირანის საქმეები“ და სხვ.) მასალათა მოშველიებით. როგორც ჩანს, ეს ნაკლი განაპირობა საგარეო ურთიერთობის დოკუმენტთა პუბლიკაციის იმდროინდელმა ტრადიციამ;; საქმე ისაა, რომ ს. ბელოკუროვი კარგად იცნობდა მომიჯნავე ფონდების მასალებს და ფართოდ იყენებდა მათ დოკუმენტებისადმი წამძღვარებული რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის ნარკვევის წერის დროს, მაგრამ საჭიროდ არ მიიჩნია კრებულში მათი შეტანა.

ს. ბელოკუროვის პუბლიკაციის შეფასებისას აუცილებლად უნდა შევჩერდეთ დოკუმენტთა პუბლიკაციის მეთოდზე. როგორც ცნობილია, საელჩო პრიკაზის XVI—XVII სს. დოკუმენტაცია სამი სახის მასალას შეიცავს: 1. „სვეტები“; 2 „წიგნები“; 3. სიგელები და ტრაქტატები. „სვეტებისა“ და „წიგნების“ შექმნის პროცესი კარგადაა ცნობილი სპეციალისტებისათვის. „წიგნები“ წარმოადგენენ თეთრად გადაწერილ და რედაქტირებულ „სვეტებს“, ეს უკანასკნელნი იქმნებოდა საქმის წარმოების პროცესში. ამ დოკუმენტების პუბლიკაციის მეთოდი დღემდე არ არის შემუშავებული და პრაქტიკულად

[47] Путешествия русских послов в XVI—XVII вв. Статейные списки. — М.—Л., 1954, გვ. 331.

[48] Н. Веселовский, Рецензия на исследование С. А. Белокурова «Сношения России с Кавказом», — журнал Министерства народного просвещения, 1890 г., февраль გვ. 368; М. А. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615—1640, Тб., 1937, გვ. IV.

[49] С. Белокуров, Сношения..., გვ. CXXVI.

საკითხი სხვადასხვაგვარად წყდება. ს. ბელოკუროვი, როგორც წესი, საფუძვლად იღებდა „სვეტებს“ და ავსებდა მათ „წიგნების“ მასალით („სვეტებში“ შესაბამისი მასალის არარსებობის შემთხვევაში). მაგალითად, ელჩინისა და ზახარევის ელჩობის მასალების, კერძოდ, ელჩინის ანგარიშის გამოქვეყნების დროს, რომელიც ორი ნუსხის სახით შემოინახა (ერთი—დაწერილი თვით ელჩინის მიერ, მეორე — მოსკოვის დიაკების მიერ ჩასწორებული), ს. ბელოკუროვი წერდა: „ორივე ნუსხა საყურადღებოა; პირველი იმიტომ, რომ წარმოგვიდგენს საქმეს ისე, როგორც ეს სინამდვილეში იყო, ელჩინის სიტყვით; მეორე იმიტომ, რომ წარმოგვიდგენს ოფიციალურ დამატებებს, გვიჩვენებს, თუ რა და როგორ შეასწორეს მოსკოვში და, საფიქრებელია, ასწორებდნენ მსგავს რაიმეს სხვა ანგარიშებშიც“[50]. ამიტომ პუბლიკაციის საკითხი მან შემდეგნაირად გადაწყვიტა: გამოაქვეყნა პირვანდელი ტექსტი, როგორც „უფრო ახლო მდგომი ისტორიულ სინამდვილესთან“[51], ხოლო ტექსტებს შორის ყველა განსხვავება აღნიშნა შენიშვნებში. ასეთივე პრინციპია დაცული ს. ბელოკუროვის სხვა პუბლიკაციებშიც[52].

საელჩო პრიკაზის დოკუმენტთა პუბლიკაციის ასეთი მეთოდი, ჩვენი აზრით, სწორია და მისაღები მეცნიერული თვალსაზრისით. „წიგნები“ არ წარმოადგენენ პირველწყაროს, გამოსულს უშუალოდ მოვლენათა მონაწილის ხელიდან, ისინი გადამუშავებულია სულ სხვა პირების — საელჩო პრიკაზის თანამშრომლების — მიერ.

ჯერ კიდევ მ. პოლიევქტოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ს. ბელოკუროვი ამზადებდა თავისი «Сношения...»-ს გაგრძელებას[53]. არ ვიცით, რა ჰქონდა მხედველობაში მ. პოლიევქტოვს, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალები ადასტურებენ აღნიშნულ მოსაზრებას. ჯერ ერთი, დასახელებულ პუბლიკაციას აქვს ნომერი — ნაკვეთი 1, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ავტორი ვარაუდობდა მომდევნო ნაკვეთის მომზადებას; მეორე, ჯერ კიდევ 1 ნაკვეთის ბეჭდვის დროს, 1889 წ. იანვარში, ს. ბელოკუროვმა შეკითხვით მიმართა დიმიტრი ბაქრაძეს იმის თაობაზე, თუ სად შეიძლებოდა ყოფილიყო 1605 წ. შემდგომი პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დოკუმენტები, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივის გარდა, რომლის მასალებს იგი კარგად იცნობდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამო[54]; მესამე, ს. ბელოკუროვის დღიურიდან ჩანს, რომ 1891 წ. იგი საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში ქართული არქივების მასალების მოსაძიებლად; და ბოლოს, ვ. ი. ლენინის სახ. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილე-

---

[50] Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадианскую землю (1639—1640 гг.). — Чтения в ОИДР, М., 1887, кн. 2, გვ. 266.

[51] იქვე.

[52] ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ ანალოგიურ პრინციპს იცავდა ნ. ველესლავკიც XVI—XVII სს. საგარეო ურთიერთობათა მასალების პუბლიკაციის დროს. იხ.: Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией, под ред. Н. И. Веселовского, т. 1—2, СПб., 1890.

[53] М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640 гг., გვ. II.

[54] საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 32 (დ. ბაქრაძის ფონდი), № 128, 49, ფურც. 2.

ბაში, ს. ბელოკუროვის ფონდში, დაცულია ხელნაწერი სათაურით: «Копии грузинских дел о сношениях московских государей с царем иверским Теймуразом и переводы грузинских документов»[55], რომელიც 1616—1640 წლების მასალებს მოიცავს და ქრონოლოგიურად «Сношения...»-ს გაგრძელებას წარმოადგენს.

ს. ბელოკუროვი წერდა, რომ გათვალისწინებული იყო რუსეთ-სომხეთის ურთიერთობის მასალების ცალკე გამოქვეყნება. ნათელი არ არის, ვინ აპირებდა ამ პუბლიკაციის განხორციელებას — თვითონ ს. ბელოკუროვი თუ სხვა ვინმე. არქივებში სათანადო მასალას ვერ მივაკვლიეთ, ამიტომ რაიმე დასკვნის გაკეთება ძნელია.

ს. ბელოკუროვის გამოკვლევამ და პუბლიკაციებმა საფუძველი ჩაუყარეს XVI—XVII სს. რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის ისტორიის კვლევას, რომელიც განაგრძნეს მომდევნო თაობის ისტორიკოსებმა.

ბ. გ. მაჭარაძე, ნ. ი. ჩიკოვანი

ИЗВЕСТНЫЙ РУССКИЙ КАВКАЗОВЕД С. А. БЕЛОКУРОВ

Резюме

В статье на основе известных и выявленных авторами документов освещается жизнь и деятельность С. А. Белокурова, оценен вклад русского ученого в дело изучения истории народов Кавказа с древнейших времен до начала XVII в. В работе особое внимание уделяется публикации документов русско-кавказских отношений XVI—XVII вв. и методу их издания.

[55] Отдел рукописей Гос. библиотеки СССР им. В. И. Ленина, ф. 23 (Архив С. Белокурова), 5. 5, лл. 1—82.

Ц. П. КАЛАНДАДЗЕ

НАУЧНЫЕ ЭКСПЕДИЦИИ РУССКИХ УЧЕНЫХ В ГРУЗИЮ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

Георгиевский трактат, который по праву признан манифестом дружбы русского и грузинского народов, сыграл исключительную роль в истории Грузии и всего Кавказа. Он связал тесными узами судьбу Грузии с Россией, породнил два народа, близость между которыми имела глубокие исторические корни.

Выбор грузинских патриотов, боровшихся за будущее своей страны, не мог остановиться ни на одной из окружавших ее враждебных государств, т. к. идея освобождения и восстановления Грузии была связана с беспримерной борьбой именно с этими захватчиками.

Единственной прогрессивной силой, способной освободить Грузию от иноземных агрессоров, объединить все грузинские земли, преодолеть внутренний кризис и обеспечить необходимые условия для развития производительных сил страны, являлась Россия, с которой Грузию связывали длительные политические и культурные взаимоотношения, многовековая дружба, борьба с общими врагами, общность религии.

В своей освободительной борьбе против иноземных захватчиков Грузия всегда искала моральную и материальную поддержку могущественного северного соседа и поэтому Георгиевский трактат явился декларативным признанием тех взаимоотношений, которые развивались между Россией и Грузией на протяжении почти трехсот лет.

Продвигаясь на Кавказ, Россия защищала свои жизненные интересы. Союз с Грузией давал ей возможность укрепить свои позиции на Кавказе и тем самым обеспечить безопасность своих южных границ, ослабить позиции Турции и Персии, помешать их продвижению на север. С другой стороны, Россия объективно выполняла роль освободителя народов Кавказа от жестокого ига турецких и персидских захватчиков. В дальнейшем, благодаря союзу с Россией, был положен конец феодальным междоусобицам, раздиравшим грузинское царство, навсегда прекратились варварские нашествия вековых врагов Грузии — Персии и Турции и их вассалов, постепенно разрушались средневековые формы хозяйства и старые общественные отношения. Жизнь Грузии пошла по новому пути.

Прогрессивное влияние оказал Георгиевский трактат, а затем присоединение Грузии к России на развитие и углубление культурных взаимоотношений между русским и грузинским народами. Эти взаимосвязи развивались различными путями.

С одной стороны значительную роль в их укреплении играли труды русских ученых о Грузии, которая становится объектом самых разнообразных исследований. Уже к началу 30-х годов XIX в. в России накопилась значительная литература о Грузии.

Большое внимание вопросам грузиноведения стало уделяться и в русской периодической печати.

С другой стороны особую роль, особое значение в развитии русско-грузинских культурных взаимоотношений, в правильном ознакомлении с Грузией, с ее прошлым и настоящим, играли сами грузины — члены грузинской колонии в Москве и Петербурге. Они издавали оригинальные исследования в различных областях знаний, художественные произведения, переводы, печатавшиеся в Москве и Петербурге. В то же время они служили проводниками передовой русской культуры в Грузии.

Культурные взаимоотношения России и Грузии развивались и укреплялись и в результате того, что начиная с XVIII века и особенно после присоединения Грузии к России, Российская Академия наук систематически снаряжала научные экспедиции по изучению естественных богатств и производительных сил, экономики, истории, языка, культуры и быта Кавказа и в частности Грузии.

В XVIII веке начинается организованное и систематическое изучение Кавказа. С разведовательной целью сюда посылаются ученые и политические агенты. Важное значение для выяснения политической ситуации имели, например, донесения командированных в Грузию политических агентов: кн. Моуравова, ст. сов. Бакунина, капитана Языкова, поручика Львова, полковника Бурнашева и других, собиравших и сообщавших необходимые правительству сведения.

Значительные результаты в изучении Кавказа дали организованные в XVIII веке Российской Академией наук научные экспедиции академиков Гильденштедта (1770—1773), Гмелина (1768—1774) и др.

Когда вопрос о присоединении Грузии к России назрел окончательно, русское правительство, не ограничившись только внешне-политическими соображениями, диктующими окончательно укрепиться в Закавказье, специально посылает в Грузию А. А. Мусина-Пушкина[1], почетного члена Академии наук, ученого, химика и минералога и государственного деятеля. Мусин-Пушкин получил в 1799 году правительственное задание произвести всестороннее научное обследование естественных богатств Кавказа. Он возглавил научную экспедицию[2] в Закавказье, продолжавшую работу и после его смерти.

Уезжая на Кавказ, в письме к акад. Г. Е. Ловицу Мусин-Пушкин извещал Академию наук о предстоящем ему путешествии и просил снабдить его инструкциями, книгами и специальными научными поручениями[3].

Мусин-Пушкин основательно изучил естественные богатства Грузии и около 1800 года представил Павлу I донесение «О удобности и выгодах присоединения, при теперешних обстоятельствах, Грузии к державе Российской», в котором говорилось о богатстве Грузии по-

---

[1] Вице-президент Берг-коллегии, член Лондонского королевского общества и нескольких иностранных академий.

[2] Гнучева В. Ф. Материалы для истории экспедиций Академии наук в XVIII—XIX веках. М.-Л., 1940, с. 10.

[3] В архиве Академии наук сохранились тексты инструкций, посланных Академией наук Мусину-Пушкину, инструкция академика В. М. Севергина по минералогии, академика П. И. Лепехина по ботанике, академика Н. Я. Озерецкого о промышленности и общая инструкция Академии наук. См.: Архив Академии наук СССР, ф. 1, оп. 2, 1800, §§ 36, 45, 46, 52.

лезными ископаемыми и райском климате, и в первом же пункте отмечалось, что «присоединяется богатая и изобильная страна» и записку «Предварительные примерные статьи об основаниях, на коих рудники грузинские могут возобновиться и поправиться Россиею, если воспоследует соизволение е. и. в., чтобы заключен был на оные формальный договор с его Высочеством царем грузинским»[4], о положении горного дела в Грузии в конце XVIII века.

17 декабря 1800 года, когда в Государственном совете рассматривался вопрос о присоединении Грузии к России, было зачитано «Представление... Мусина-Пушкина о удобности и выгодах присоединения Грузии к державе Российской», сыгравшее немаловажную роль при его решении.

В 1801 году Мусин-Пушкин[5] прислал из Грузии в Академию наук большое собрание камней и минералов с их описаниями.

Позднее он обратился в Академию с просьбой прислать ему в помощь молодого ученого натуралиста, но ввиду того, что такового специалиста в Академии не имелось, к нему был прикреплен молодой ученый ботаник, профессор Московского университета и медико-хирургической академии Михаил Фридрих Адамс[6].

В протоколах конференции Академии наук отмечаются неоднократные поступления от Мусина-Пушкина естественно-исторических коллекций и писем[7], однако в приложениях к протоколам сохранилось только одно из его писем о платине[8].

В архиве Академии наук СССР сохранились тексты инструкций, посланных ему Академией наук.

После присоединения Грузии к России начинается более интенсивное, все усиливающееся собирание сведений о Грузии, вошедших в сферу русского политического, экономического и культурного влияния. Культурные связи между грузинским и русским народами все более укрепляются и расширяются. Русское правительство в целях широкого политического и экономического освоения Кавказа, всячески поощряло его всестороннее изучение, сбор материалов и разнообразных сведений о крае и народах, его населяющих.

В первой четверти девятнадцатого века специальные агенты производят здесь финансовые, камеральные, статистико-экономические описания, целью которых являлось выяснить, какого рода и какое количество податей существует в Грузии, установить число жителей, с

---

[4] Эти документы целиком не опубликованы, их содержание излагается в кн. П. Буткова «Материалы для новой истории Кавказа», 1903, т. II; С. Эсадзе «Очерк истории горного дела на Кавказе», Тифл., 1907.

[5] Список его научных трудов (более 20), начиная с 1797 г., помещен в „Biogr. — eiterar handwort erbuch von Poggendort".

[6] Впоследствии по просьбе А. А. Мусина-Пушкина М. Ф. Адамс в 1805 г. был принят в Академию адъютантом зоологии и участвовал в экспедиции Академии наук в штате в составе посольства Ю. А. Головкина в 1805—1806 гг.

[7] См.: Архив АН СССР. Протоколы 1799 г., 5 декабря, § 342 (т. IV, с. 789; 1800 г., 2 января, § 32 (т. IV, с. 801); 19 марта, § 85 (с. 815); 4 мая, § 117 (с. 821); 11 мая, § 129 (с. 825); 9 ноября, § 315 (с. 867); 1801 г., 1 марта, § 55 (т. IV, с. 886); 30 сентября, § 274 (с. 939); 1802 г., 20 января, § 18 (т. IV, с. 966); 1803, 6 марта, § 73 (с. IV, с. 980); 1 мая, § 135 (с. 1077); 1804 г., 1 февраля, § 36.

[8] Подлинник письма об изысканиях Мусина-Пушкина о платине см: Архив АН СССР, ф. 1, оп. 2, 1801, § 939.

которых взымались подати, и их экономический уровень и, главным образом, изучить экономическое положение и состояние природных богатств. С другой стороны, велись работы по военно-топографическому изучению страны.

Агенты министерства иностранных дел были заняты описанием политической обстановки в стране[9].

Одновременно с этим продолжались академические разведки XVIII века. Однако следует подчеркнуть, что после присоединения Грузии к России, цель и характер научных экспедиций Академии уже совершенно иные по сравнению с XVIII веком. В XIX веке уже ставилось целью научно изучить не только экономику, естественные богатства, ее природные ресурсы, фауну и флору, а и язык, культуру и быт, нравы и обычаи народа, населяющего вновь присоединенную страну.

С этой целью Российская академия наук специально снаряжает на Кавказ научные экспедиции и организовывает поездки отдельных ученых. Следует отметить, что снаряжение экспедиций и их цели старались не разглашать. Об этом свидетельствует хотя бы, например, хранящееся в Ленинградском архиве обязательство, данное Академии наук студентом Бобринцевым, сопровождавшим на Кавказ академика Клапрота. В нем специальным пунктом оговорено, что он, Бобринцев, обязуется: «Не открывать никому, кто бы то ни был, ни малейшего о сем происшествии» (экспедиция — Ц. К.). Насколько важное значение придавалось экспедиции, можно судить по таким фактам, нашедшим отражение в архивных документах, что экспедиции, например, Шлегельмильха, Шегрена и других снаряжались с ведома императора вплоть до того, что даже разрешение на продление срока на 4 месяца экспедиции Шегрена в 1837 года было дано также лично императором.

По характеру своих исследований, экспедиции на Кавказе, предпринятые Академией наук в 1-й половине XIX века, можно разделить на две группы. В первую входят лингвистические и археолого-лингвистические экспедиции, вторую группу составляют физико-географические, геологические, минералогические, палеонтологические, зоологические и ботанические экспедиции. Экспедиции второй группы имели целью изучение естественных ресурсов Кавказа.

Следует подчеркнуть, что несмотря на то, что ни одна из этих экспедиций не была послана специально с целью изучения истории и этнографии Кавказа, по своим результатам почти все эти экспедиции дали огромный и богатейший материал по истории, этнографии и фольклору Кавказа.

Снаряжение лингвистических экспедиций было вызвано тем, что во 2-й половине XVIII века вопросы лингвистики и истории Кавказа разрабатывались сравнительно поверхностно, если не считать работ Гильденштедта. Только с начала XIX века, по мере утверждения русского политического и экономического влияния, встала необходимость более углубленного научного изучения этих вопросов. В связи с этим в 1807—1808 годах была совершена лигвистическая экспедиция в Грузию, возглавляемая выдающимся лингвистом своего времени академиком Генрихом Юлиусом Клапротом. Ему было дано специальное

---

[9] Вопросу финансово-экономического обследования Грузии посвящена статья О. П. Марковой «Финансово-экономическое обследование Грузии в первой трети XIX века». См.: «Исторические записки», 1949, т. 30, с. 172—210.

задание проверить и пополнить описания Кавказа и Грузии, произведенные Гмелиным, Гильденштедтом, Маршалл фон Бибертейном и другими. Основной целью экспедиции, помимо лингвистических исследований, ставилось общее ознакомление со вновь присоединенными местностями Кавказа[10], изучение страны, ее языков, отыскание летописей и собирание преданий.

Деятельное участие в отправлении Клапрота принимал И. О. Потоцкий, которым была составлена инструкция Клапроту и по его же инициативе академики А. Х. Лерберг и Ф. И. Круг составили Клапроту вопросник. Клапрот выехал в экспедицию 15 сентября 1807 г. по маршруту Москва, Курск, Харьков, Изюм, Бахмут, Аксай, Черкасск, Ставрополь. Он в ноябре прибыл в Георгиевск. Клапрот вместе с назначенным к нему в качестве переводчика студентом Федором Бобринцевым должен был сделать несколько экскурсий в окрестности Тифлиса, проехать в Баку, но из-за свирепствовавшей там чумы и беспорядков среди населения не смог это осуществить. Клапрот приехал в Тифлис 13 января 1808 г., пробыл там до конца июня того же года. Отсюда им были совершены поездки к истокам Арагви и Терека, в местность, расположенную между Курой и Иорой, в долину р. Лиахви, куда он отправился, присоединившись к отряду грузинских феодалов по Военно-Грузинской дороге и обратно. «В Тбилиси грузинское общество оказало ему большое содействие в его изысканиях; напротив, местные власти, по его словам, остались совершенно безучастными, несмотря на то, что у него были к ним соответствующие бумаги от Министерства внутренних дел»[11].

В июне 1808 г. Клапрот выехал из Тбилиси и 14 июня прибыл в Моздок. Оттуда он, чтобы не терять времени на соблюдение формальностей, без разрешения полиции и местных властей, взяв в провожающие нескольких осетин, отправился в поездку по Малой и Большой Кабарде, откуда через горы спустился в Рачу, до г. Они, где оставался до 9 августа.

В конце 1808 г. Клапрот был отозван обратно в Петербург, куда прибыл 11 января 1809 г. Описание путешествия Клапрота на Кавказ и в Грузию было издано на немецком и французском языках под заглавием: „Reise in den Kaukasus und Georgien in den 1807—1808» («Путешествие по Кавказу и Грузии в 1807—1808 годах»). В книге использован путевой дневник Клапрота, который он вел во время путешествия по Кавказу. Здесь дается описание и исторический очерк о Тбилиси, говорится о горцах Грузии, осетинах. Извлечение из этого труда было прочитано Клапротом в виде доклада в 1822 г. в Парижском Азиатском обществе. К путешествию приложено

---

[10] См.: хранящееся в Архиве АН СССР письмо историка, этнографа и археолога П. О. Потоцкого с изложением мнения о задачах исследований Клапрота на Кавказе. 4 лл. на франц. яз., ф. 1, оп. 2, 1807, § 296; также Инструкцию Н. П. Фуса, ф. 1, оп. 2, 1807, § 329.

„Fragen und Bemerkungen den Kaukasus und seine Bewohner betreffend, bei Gelegenheit einer von Herrn Klaproth nach Georgien zu unternehmenden Reise", ААН СССР. ф. 1, оп. 2, 1807, § 322.

[11] Полиевктов М. А. «Европейские путешественники по Кавказу». 1800—1830 г., Тб., 1946, стр. 109.

специальное исследование Клапрота о кавказских языках. Впоследствии Клапрот издал несколько трудов по наречиям Кавказа и переработал данные Гильденштедта и других. Из архивных материалов экспедиции Клапрота сохранились составленные в Академии наук планы, инструкции экспедиции, рапорты и научные заметки Клапрота[12].

Значительной по своим результатам явилась вторая лингвистическая экспедиция видного ученого академика Андрея Михайловича Шегрена, известного своими исследованиями в области лингвистики и отчасти этнографии. Шегрен приехал на Кавказ в 1835 году и пробыл здесь три года, занимаясь изучением грузинского и осетинского языков.

В 1834 г. Шегрен обратился в Академию наук с просьбой направить его на Кавказ. Конференция Академии наук и ее президент С. С. Уваров ходатайствовали об этом перед министром народного просвещения 31 мая 1835 года. В этом письме по поводу экспедиции Шегрена президент Академии Уваров писал, что «Академия уже с давних пор обращала внимание на языкознание кавказских и других подвластных Российскому скипетру народов и что труды Палласа, Гильденштедта и Клапрота в этой области, хотя и заслуживают внимание лингвистов, вместе с тем при своей недостаточности особенно по некоторым весьма важным наречиям требуют точнейшего исследования». Далее подчеркивалось, что Академия имеет в лице Шегрена лингвиста, могущего выполнить это важное поручение.

Проезжая по большой Военно-Грузинской дороге, Шегрен свернул с нее и совершил довольно трудное путешествие через Дигорию и прилегающий к ней хребет Кавказа в Имеретию и Рачу, с целью изучить осетинские главные наречия. По целому ряду причин Шегрен не сумел осуществить свои намерения и из Дигории вернулся в Тифлис через Рачу, Имеретию и Западную Картли. Отсюда он направил министру народного просвещения просьбу разрешить ему продолжить научные исследования и продлить срок пребывания на Кавказе. Конференция Академии наук, находя со своей стороны труд Шегрена «...весьма полезным и желая доставить ему возможность пополнить ряд лингвистических его изысканий»[13], просила удовлетворить его просьбу. 23 июня 1836 г. академик Х. Д. Френ сообщил на заседании Академии, с какой самоотверженностью и неутомимым усердием за-

---

[12] См. ф. 1, оп. 2, 1807, § 246; ф. 1, оп. 2, 1807, § 299; инструкция акад. В. М. Севергина, 2 лл. (ф. 1, оп. 2, 1807, § 318); записка Ф. И. Круга о некоторых задачах лингвистических исследований Клапрота на Кавказе (ф. 1, оп. 2, 1807, § 329, 2 л.) „Dem Herrn Hofrath klaproth bei Gelegenheit seiner Reise nach Georgien".

Письма Клапрота в Академию наук в период экспедиции в Грузию (р. 1, оп. 130, №№ 81—20) с отметкой параграфов протоколов конференций.

Черновик ответа непременного секретаря академика Н. И. Фуса на письмо Клапрота из Тифлиса от 14 февраля с одобрением плана дальнейшего путешествия (ф. 1, оп. 2), 1808, § 107.

О Клапроте см.: В. Ф. Гнучева. Материалы для истории эспедиций Академии наук в XVIII и XIX веках, М.—Л., 1940, с. 160; Г. А. Князев. Обозрение архивных материалов, Л., 1933, с. 177.

[13] АН СССР, ф. 2, оп. 5, 1835, л. 15 об. Журнал Министерства народного просвещения. 1846, г., ч. 50, отд. VII, с. 12.

Весомую роль в развитии постановочных идей Марджанишвили этого периода сыграло состояние художественной мысли России, её живописи, литературы. В репертуар Московского сезона осени 1909 года режиссер включил пьесы лишь современных авторов, и каждая постановка была отмечена отчетливой печатью поисков новых художественных форм. Первой премьерой стала «Колдунья», о которой уже говорилось (для оформления спектакля в Москву из Киева прибыл художник П. Андрияшев). Следующую пьесу — «Чёрные маски» Л. Андреева — Марджанишвили ставил как монодраму. При этом огромную трудность заключала в себе работа с художником (Н. Игнатьев). Фантастические грим и костюмы «черных масок» превращали гостей Лоренцо в мрачных мистических существ («Я мечтал иметь в актерах не их материальное тело, а как бы астральное воплощение», — писал Марджанишвили)[27]. Даже драпировка вокруг гроба с телом герцога воспринималась как скопище чудовищ. Гости на сцену не выходили, а возникали на ней таинственно и неожиданно из отверстия в оркестровой яме, полностью скрытого от зрителя.

Театральная критика жаловалась на примат художника в театре, на засилие живописи. В подобных высказываниях была своя справедливость. Красочная внешность спектаклей подчас заставляла забывать

---

23 Г. Крыжицкий, указ. соч., с. 50.

24 «Киевский театрал», № 2, 14 сентября 1907 г.

25 Сб. «К. Марджанишвили. Творческое наследие», т. I, с. 46—47.

26 Там же, с. 37.

27 Там же, с. 48.

об истинном смысле их создания. Это ощущали и практики театра. У Марджанишвили протест против внешности выразился своеобразно — пьесу О. Дымова «Ню» он решил поставить вовсе без красок, употребив графический приём светотени. Чтобы сконцентрировать внимание зрителей на актере и его действиях, вся сцена — декорации, аксессуары, костюмы, парики—были двух цветов: коричневого и слоновой кости. Однако программная «бесцветность» сцены оказалась единственным объектом внимания публики, на актеров в такой «рамке» просто было не интересно смотреть.

«Конфузное фиаско»[28] постановки «Ню» заставило режиссера искать новые пути к созданию нейтрального фона для актера. В спектакле по пьесе Г. Гауптмана «Шлюк и Яу» таким фоном стали серо-оливковые сукна, которые подвешивались на штакетниках и устанавливались как ширмы. Попытки оформления сцены сукнами делались и раньше. Однако столичная критика отметила по поводу марджановского «Шлюка и Яу», что здесь впервые на русской сцене приём использовался так последовательно и с таким художественным результатом[29]. Применение сукон оправдывалось временем событий, происходящих в спектакле (XIV век), как очередной стилизационный приём в данном случае под эстетику театра елизаветинской эпохи (кроме сукон использовались и таблички с обозначением места действия, которые выносили герольды-охотники, и яркие, богатые, по-театральному жизнерадостные костюмы). Однако здесь художественно-исследовательские интересы режиссера простирались шире формальных достижений для одного спектакля. Н. Эфрос писал: «Эксперимент г. Марджанова тем и интересен, что на деле оправдались теоретические соображения, сомнения в ненужности теперешних очень сложных и очень дорогих декораций, которые иллюзию, правда, дают все-таки лишь в слабой мере»[30]. Оказалось, что современный зритель, может быть, и не обладает «детской фантазией» зрителя средневекового, но «способен к отвлечению», очень легко активизирует своё воображение, поэтому отсутствие писанных, строенных, павильонных декораций никак не отражается на полноценности впечатления от спектакля.

Для Марджанишвили «Шлюк и Яу» принёс ещё одно открытие, которое сделалось этапным в его биографии: сукна действительно были действенным, эффектным средством концентрации зрительского внимания на актере и в этом отношении помогали и режиссеру и актеру. Но одновременно такая декорация и лишала актера своей поддержки, ибо в любой момент оказывалась способной разоблачить и продемонстрировать крупным планом его малейший пластический просчет. Постановка «Шлюка и Яу» принесла Марджанишвили ясное понимание значения «воспитанного тела» у актера, необходимости его умения «распоряжаться собственной фигурой»[31].

Громадное влияние на творческое развитие Марджанишвили оказало его пребывание во МХТе. Как уже говорилось, искусство художественников отвечало симпатиям Марджанишвили, и все годы работы в провинции он по-своему постоянно ориентировался на него. Повторим ещё раз — Художественный театр для Марджанишвили являлся не только эстетическим образцом, но и этическим идеалом, идеа-

---

28 Там же, с. 49.

29 «Театр», 1909 г. № 530.

30 «Русские ведомости», — № 266, 19 ноября 1909 г.

31 Сб. «К. Марджанишвили. Творческое наследие», т. I, с. 50.

лом не относительным, но абсолютным — безукоризненным, незапятнанным, возвышенным. Пребывание во МХТе этот абсолют сокрушило. Внезапно очутившись в самом центре проблем, болевых точек, конфликтов, на перекрёстке внутренних противодействующих сил сложного, живого организма МХТа, режиссёр с трудом искал твёрдую почву под ногами. И всё-таки сегодня, оценивая годы работы Марджанишвили во МХТе, можно смело говорить об определяющем, положительном значении её итогов в формировании творческой судьбы режиссера.

«В истории Художественного театра «Братья Карамазовы» стали первым, наиболее совершенным примером синтеза условного и реального, их естественного взаимообогащения, ...спектаклем, открывшим самые широкие перспективы... всему русскому сценическому искусству», —так определяет значение «Братьев Карамазовых» М. Н. Строева[32]. Приём кадрирования сцены, применение сукон и сохранение лаконичных деталей по мнению исследователя выводило актеров в новое внебытовое измерение, позволяло образам, очищенным от мелких бытовых оправданий, подняться до трагической высоты, до огромного символа. Честь создания спектакля принадлежит В. И. Немировичу-Данченко. Между тем известно об активном участии Марджанишвили в его подготовке. Не касаясь ответственной его работы с актёрами и участия в создании текста инсценировки, заметим, что декорационно-пластическое решение спектакля во многом совпало с результатом домхатовских исканий Марджанишвили в этой области. Неудобство инсценировки заключалось для постановщиков в том, что действие протекало в разных местах, а времени на подготовку «подробных» декораций, достойных Художественного театра, не было. «Тогда В. В. Лужский,—вспоминал Марджанишвили,—предложил воспользоваться моей идеей решения «Шлюка и Яу» у Незлобина, т. е. попросту играть без декораций»[33], с применением сукон. Подобная условность позволила ввести в спектакль «лицо от театра»—чтеца, который «в любом месте, не нарушая его динамики, мог передавать слушателю всё, что в данном месте хотел сказать автор»[34]. Год назад декорационная стилистика «Шлюка и Яу» дала возможность режиссеру вывести на сцену актера, читавшего обширные ремарки драматурга. И сейчас Марджанишвили втайне гордился, что его идеи, «правда, во многом благодаря случайности, просочились в Художественный театр»[35].

Поистине незабываемым уроком стало для Марджанишвили его участие в постановке крэговского «Гамлета». В процессе подготовки спектакля он не только выполнял отдельные практические задания руководителей постановки[36], но и непосредственно, вплотную смог

32 М. Н. Строева. Указ. соч., с. 257.

33 Сб. «К. Марджанишвили. Творческое наследие», т. I, с. 62.

34 Там же, с. 63.

35 Там же.

36 Достаточно сложные, ибо эти задания заключались не только в работе с актерами и ассистировании К. С. Станиславскому при разработке мизансцен и характеристик образов, но и в поисках конкретных материалов для воплощения крэговских ирреальных декораций. Таким образом, ему пришлось заниматься поиском форм, материалов и фактур для ширм, искать варианты их комбинаций в пропорциях реальной сцены МХТа, экспериментировать с цветом, освещением, продумывать костюмы, которые соответствовали бы пластике крэговских манекенов и отвечали сценическим образам.

приблизиться к сценической лаборатории Г. Крэга, наблюдая за его работами с макетами и манекенами, когда Крэг наезжал в Москву, и подробно изучая записи, планы, рабочие заметки англичанина во время его отсутствия. По существу, здесь Марджанишвили столкнулся с новой театральной проблематикой и новой, революционной концепцией пространства—пространства кинетического. Следует сказать к чести режиссера, что он не только подробно ознакомился с замыслами Крэга, но и активно переработал их в своём творческом сознании, глубоко пережил лично. Может быть, потому, что его собственные мучительные поиски новых сценических возможностей шли в том же направлении. Спустя годы в разных спектаклях Марджанишвили можно будет узнать реминисценции крэговских приёмов, разумеется, интерпретированных в контексте ставящихся спектаклей, а потому приобретавших самостоятельные марджановские формы[37]. Но главное, что, кроме свободы обращения с пространством, буквально впитало в себя режиссерское сознание Марджанишвили, стало одним из его сценических символов веры, характерных черт собственного режиссерского почерка, заключалось в подчеркнутом внимании к роли ритма («в читке, в позе, в сценическом действии»[38], в пространственных трансформациях) и признании могущественной власти света на сцене, способного помочь пространству, времени, людям, предметам и даже понятиям творить чудеса перевоплощения.

Оба спектакля, в которых пришлось принять участие Марджанишвили — «Братья Карамазовы» и «Гамлет», — колебали традиционные устои МХТа как театра бытовой интонации. На такие колебания сознательно шли его руководители, ибо понимали, что в противном случае просто-напросто прекратился бы процесс развития театра, а застой в конечном счете мог обернуться элементарным ретроградством. Всё-таки и в дальнейшем на сцене театра главенствовал принцип «внутреннего оправдания», естественности мизансцен, актерских приёмов и сценической обстановки. Любопытно, что пламенным апологетом идеи «полной жизненной правды на сцене» (выражение И. Я. Гремиславского)[39] принято считать В. А. Симова. Таковым и являлся Симов в действительности. Однако уже «Братья Карамазовы» доказали, насколько гибок мог быть художник в использовании доступных ему сценических средств, насколько далеко он мог отступить от схем и методов, уже разработанных. Декорации к драме К. Гамсуна «У жизни в лапах», сделанных совместно с Марджанишвили, подтвердили широту диапазона творческих возможностей художника. Для того, чтобы, по словам Марджанишвили, «послать к черту всякую скромность, всякий «хороший вкус»[40] в пьесе было достаточно поводов — и набоб Баст, и Юлиана — певица, у ног которой бывали и короли, и «наглая кобра», и наследство в виде негра-лакея, да и сами «лапы жизни», крепкую хватку которых демонстрировал драматург в судьбах всех персона-

[37] Сравним крэговскую «пирамиду» во 2-ой сцене «Гамлета» со шлейфом герцога Лорана в «Маскотте» и дамами, вышивающими полог в «Дон Карлосе» у Марджанишвили; сцену безумия Офелии (на лестнице) в «Гамлете» и мизансцену Эболи на лестнице в том же «Дон Карлосе».

[38] Сб. «К. Марджанишвили. Творч. наследие», т. I, с. 58.

[39] И. Я. Гремиславский. Композиция сценического пространства в творчестве В. А. Симова, М., 1953, с. 13.

[40] Сб. К. Марджанишвили. Творческое наследие», т. I, с. 65.

жей. Имея такие козыри, режиссер мог смело отказаться от приглушенного, обыденного тона и стремиться создать «яркий солнечный спектакль, который поднял бы зрителя над повседневностью»[41]. В. Симов настолько безоговорочно был покорён замыслом режиссера, настолько до конца проникся им сам, что единственный раз за всё время своей работы в театре отказался от макета, ограничась лишь эскизами. На открытках со сценами из спектакля декорации запечатлены в подробностях. Можно сожалеть, что открытки сделаны не в цвете, но судить о планировке сцены по ним мы можем со всей основательностью — она была до предела простой. Вопреки традициям театра (в утверждении которых участвовал и сам В. Симов), вопреки авторским ремаркам. И эта простота сама по себе уже несла новацию. «Кончился первый этап театра, потянуло в обратную сторону — к опрощению», так считал художник[42]. Тут же заметим, что опрощение пространственной композиции не служило самоцелью ни для режиссера, ни для художника. Сложность планировки не являлась необходимой, рассредотачивала внимание зрителей и потому от неё отказались. Все заботы при создании декорационного оформления были отданы цвету и свету на сцене, обстановке — с желанием по возможности произвести ею сильное, возбуждающее впечатление на публику. Вместо стен—ткани, драпировки; от вещей требовалась только выразительность, и они, действительно, выглядели как-то по-особому эффектно, сверкая под цветными лучами прожекторов, отражаясь в вазах, графинах, зеркалах (при этом постановщики полностью игнорировали направление потоков «естественного» света из окон). Свет вёл самостоятельную эмоциональную партию. Праздничный, динамичный, он не давал скучать ни одному уголку пространства, а когда появлялись дамы в «умопомрачительных» туалетах, то, благодаря свету, они казались окруженными сияющим ореолом. Свет подчеркивал дерзость цветового решения декораций, которое резко контрастировало с целомудренностью обычной сцены МХТ. Художника в спектакле поддерживал композитор (И. Сац), а совместные результаты их творчества побуждали актёров отступиться от будничной интонации, будничных жестов, оправдывали самые рискованные мизансцены. Так огромный, почти во всю сцену, весь в пятнах двух десятков цветных подушек, диван смотрелся достойным пьедесталом для Юлианы (О. Л. Книппер), когда она вскакивала на него и «произносила чуть ли не эротический монолог о жажде любви»[43].

Последний марджанишвилевский спектакль на сцене МХТ, который он ставил совместно с Г. К. Бурджаловым (руководителем постановки являлся В. И. Немирович-Данченко) — «Пер Гюнт» успеха не принёс. Предмет нашего исследования не позволяет углубляться в причины происшедшего. Здесь же хочется возразить М. В. Давыдовой, утверждающей в своих «Очерках истории русского театрально-декорационного искусства 18—нач. 20 веков»[44], что Н. Рерих, оформивший спектакль, лишь инертно перенёс на сцену образы своих станковых картин, не вникая в дела театра. Безусловно, искания Рериха в области эпоса, предпринятые им в рамках станковизма, нашли отражение в декорациях к «Пер Гюнту». Да и зачем было менять свой

41 Там же.

42 В. А. Симов. У жизни в лапах, «Театр и драматургия», 1939, № 9, с. 51.

43 Сб. «К. Марджанишвили. Творческое наследие», т. I, с. 67.

44 Там же, с. 141.

«слог» художнику, когда, вероятнее всего, именно владение им побудило Марджанишвили привлечь Рериха к оформлению спектакля. Однако художник отлично сознавал, куда его «забросила судьбина» и очень чутко отнёсся к специфике театра. Передавая свои впечатления о работе над «Пер Гюнтом», он писал, что впервые именно в Художественном театре ощутил радость сотворчества с режиссером и актерами в течение всего процесса подготовки спектакля. Отзываясь о Марджанишвили, он назвал его подлинным художником, с которым «приятно работать», ибо в его работе — «столько красивых исканий, столько вдумчивых глубин»[45]. Достаточно строго подошёл Рерих к результатам своей работы, признавая свои неудачи (например, в сцене с гамаками в пустыне). Однако декорационное решение многих сцен оставляли большое впечатление на зрителей. Так, поэт С. Городецкий писал художнику: «Вид пламенных сосен, синей реки и высокой избушки теперь навсегда во мне и со мной, как и сама светлая Сольвейг, ждущая там»[46]. Вероятно, и Марджанишвили был не в претензии к художнику, т. к. пригласил его на оформление «Принцессы Мален», которую он собирался ставить в своём Свободном театре.

С полным правом Марджанишвили можно назвать автором Свободного театра. И не только потому, что жанры, в которых были осуществлены постановки на его сцене — опера, оперетта, пантомима, драма — были доступны творческим возможностям его руководителя. Марджанишвили с самого начала относился к своему детищу не как к очередному, пусть и не обычному мероприятию, но как к явлению, долженствующему воплотить в себе самые заветные чаяния художника, стать выразителем его эстетических позиций, максимально соответствовать духовным потребностям зрителя — человека, причастного к достижениям культуры своего времени, явлению, способному стать не просто театральным «делом», но «храмом»[74]. Однако создание «храма» было прежде всего делом и делом величайшей трудоёмкости.

Для зрителей Свободный театр открылся оперой М. Мусоргского «Сорочинская ярмарка». Сочная жанровость, которую постановщики (режиссеры К. Марджанишвили, А. Санин, художник В. Симов) избрали своим выразительным средством, не заслоняла их поэтического отношения к сорочинским событиям. Вслед за Гоголем они пытались выразить «странное, необъяснимое чувство», когда радость «внемлет» грусти и веселье рождает печаль. В такой многопланновости сценического действия некоторые критики усматривали отсутствие цельности авторской концепции. Вторая претензия предъявлялась по поводу использования не нового, а потому не удивляющего уже приёма — воссоздания на сцене конкретного быта. Однако для Марджанишвили отказ от воспроизведения быта стал бы отходом от гоголевской народной стихии, гоголевской яркости и конкретности видения, гоголевской театральности, от красочного мира Украины. А потому на сцене в полной мере присутствовали глечики, казанки, свитки, очипки, плахты, но не в качестве предметов иллюстрирующих, пассивного музейного перечисления этнографических свойств и качеств малороссийской сельской действительности, но как неотъемлемая струя в потоке жиз-

---

[45] Там же т. 2, с. 419.

[47] «Я верил тогда, что строю храм; чистыми руками я клал там камень на камень», — писал режиссер позже. Сб., «К. Марджанишвили. Творческое наследие», т. 2, с. 67.

ни, кипучей и деятельной, полнокровной и разнообразной, разлитой в спектакле. И не ради внешнего эффекта, опрокидывая каноны двойной оперной условности, приведены были на сцену ставшие притчей во языцех волы. Любые реалии быта оправдывала органика действий всех исполнителей. Огромное значение имел в первом спектакле Свободного театра свет. В вечерних и ночных сценах он приобретал десятки полутонов и оттенков, в дневных — использовалось специально привезённое из Германии прожекторное «солнце», которое вместе с голубыми лампами, подсвечивающими небо, создавали иллюзию яркого солнечного дня.

После премьеры «Сорочинской ярмарки» подавляющее большинство зрителей сочло, что В. А. Симов не в состоянии «ступить ни шагу без фотографирования действительности» (А. Бенуа). Однако следующий же спектакль опрокинул это мнение: в сотрудничестве с Марджанишвили Симов оказался способным не только ввести в своё творчество иную чем прежде образность (в этом, безусловно, «повинен» был режиссёр), но и резко изменить свою манеру изображения. Рассматривая эскизы и макеты «Елены Прекрасной», невозможно признать в них авторство В. Симова, атрибуция могла бы вполне определённо обнаружить руку художника, приближенного к кругу «Мира искусств», художника, на чьё творчество поставили печать современные искания модерна[48].

Страницы дневника Свободного театра зафиксировали марджанишвилевское указание на очень серьёзное значение оперетты как сатиры. Чтобы подчеркнуть и усилить сатиру, решено было провести героев «Прекрасной Елены» Ж. Оффенбаха через разные иторические эпохи, наглядно продемонстрировать живучесть, а значит, злободневность сюжета. Для каждого действия режиссер и художник нашли свой пластический эквивалент, несущий в себе не только знак эпохи, но и ироническое отношение авторов к ее «героике». В первом действии (эпоха древней Греции) сцена изображала верхнюю часть амфоры с двумя поясами декора. На этих поясах-этажах оно и разыгрывалось. Второе действие шло на огромной кровати. Рокайльные формы ее украшений, шелковый балдахин, амурчики по углам — все напоминало о временах последних Людовиков. Прозрачность «лобового» символа не требовала здесь никаких аналогий и расшифровки. И наконец, третье современное действие развивалось на громадной карусели и около нее. Перечитывая страницы многих мемуаров о месяцах, когда создавался и жил спектакль, трудно не удивляться точности выбора режиссером сатирического образа своего времени. «Все ликовало, все пенилось, все чванилось, все грешило и обжиралось в этот 1913 год... Шумит, сверкает, кружится, как рождественская елочка на карусели...» — вспоминает художник В. Милашевский то время, что остается «до величайшей ошибки всей европейской истории»[49]. В последнем действии сатира выступала на грани публицистики.

То, чего критикам не хватало в постановочном решении «Сорочинской ярмарки» — необычайности, здесь, в «Елене Прекрасной», доставало в полной мере, что в свою очередь вызвало град критических упрёков. Сам же Марджанишвили спустя несколько лет осудил свою

48 Подобное изменение творческой манеры, сходное с экспериментом, было не единичным в то время; вспомним, для примера, историю с портретом Иды Рубинштейн В. Серова.

49 В. Милашевский. Вчера — позавчера, Л., 1972, с. 66, 112.

жал лодку, ставил доску между двумя табуретами, образуя речной поток и т. д. Подобными превращениями спектакль изобиловал. И во всех случаях смысловые потенции, заключенные в трансформирующихся вещах, зависели не столько от самих вещей, сколько от верного самочувствия актера и точного пластического рисунка его действий, от максимальной «коммуникабельности» человека с вещью.

«Желтая кофта» оказалась последним спектаклем Свободного театра, над которым работал Марджанишвили. Весной 1914 года театр прекратил свое существование.

Опыт постановок музыкальных спектаклей в Свободном театре явился не случайным эпизодом в творчестве К. Марджанишвили. Они были закономерным проявлением стремления режиссера осуществить на практике идею синтеза искусств, с которой сопрягалась родившаяся в это же время мысль о театре-празднике, ставшая спустя несколько лет принципиальной позицией Марджанишвили в искусстве. Поэтому в обращении режиссера после возвращения с фронта в 1916 году к опереттe видится своя последовательность. Однако, хотя его приход в оперетту, а затем и работа в Троицком театре значительно повысили художественное качество[53] их, сам Марджанишвили оказался на пороге творческого кризиса. Отсутствие социального адресата своих спектаклей во время грандиозных событий, происходящих в стране, он воспринимал мучительно болезненно. Нужна была «буря» «Фуэнте Овехуна», спектакля, рожденного в революционном Киеве, чтобы замечательный режиссер почувствовал свою причастность к судьбе народа, всю силу и величие своего искусства.

Период с 1901 по 1917 г. был для К. А. Марджанишвили временем интенсивного освоения многих достижений современного ему театра. Творческое горение, желание и способность высказываться в полный голос помогли Марджанишвили не только по-своему перерабатывать и сценически воплощать художественные идеи своего времени, но и развивать и утверждать новые, рожденные в результате собственных раздумий и практических поисков. Натурализм, импрессионизм, символизм, экспрессионизм, стилизация марджанишвилевских спектаклей были не данью моде, но результатами искренних переживаний художника, искания им новых соотношений искусства с действительностью.

В итоге всех творческих исканий этого периода проявилась основная тенденция творческого почерка Марджанишвили — его стремление к подчеркнутой выразительности художественной формы, к яркости эмоциональной окраски сценического действия.

В центре внимания режиссера постоянно находилось декорационное оформление спектакля. Воплощение новой художественной идеи для Марджанишвили выражалось прежде всего в изменении организации сценического пространства, принципа оформления места действия.

Результаты работы художника над спектаклем Марджанишвили считал исключительно важным средством идейно-художественного воздействия на зрителя.

Многие тенденции и художественные выводы дореволюционного периода режиссерской деятельности Марджанишвили нашли своё развитие и применение на дальнейших этапах его творческого пути.

---

52 «Театральная газета», 1913 г. № 4, с. 7.

53 История советского театра. 1933, Л., с. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა მირცხულავა

გ. გაბაშვილის ერთ-ერთი ჯგუფური პორტრეტის შესახებ

XIX ს-ის II ნახევრის ქართულ ხელოვნებაში, რეალისტური ტენდენციების განვითარებისა და განმტკიცებისათვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ მხატვართა მჭიდრო ურთიერთობას. პროგრესულად მოაზროვნე რუს საზოგადოებასთან. ამ ურთიერთობამ მოახდინა გავლენა და განსაკუთრებული სიძლიერით გამოიკვეთა ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიული განვითარების ახალი ეტაპის იმ მკაფიო და თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედებაში, რომელთაც სამხატვრო განათლება მოსკოვსა და პეტერბურგში მიიღეს (გ. მაისურაძე, რ. გველესიანი. ალ. ბერიძე).

გიგო გაბაშვილი ეკუთვნის სპეციალური სამხატვრო განათლების მქონე ქართველი მხატვრების სწორედ იმ პირველ თაობას, რომელთა შემოქმედებამ ქართულ ხელოვნებაში დაამკვიდრა იმდროინდელი ევროპის ტრადიციული ფერწერული მანერა, რეალისტური დაზგური ფერწერის პრინციპები. მისმა შემოქმედებამ დაზგური ფერწერის მაღალი პროფესიული დონით. თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით და, ბოლოს, მთლიანად მხატვრული ცხოვრების გამოცოცხლებით, უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ხელოვნებაში. გ. გაბაშვილი ავტორია შესანიშნავი ბატალური, ჟანრული, ისტორიული კომპოზიციებისა. შექმნილი აქვს როგორც ინდივიდუალურ პირთა შესანიშნავი პორტრეტები, ასევე პორტრეტ-ტიპები.

მონოგრაფიებში, რომლებშიც გაშუქებულია გიგო გაბაშვილის შემოქმედება, ზოგიერთი პორტრეტი ღებულობს კატეგორიულ შეფასებას, წინასწარ არგუმენტირებული ანალიზის გარეშე, თუმცა მხატვრის საუკეთესო პორტრეტების გამოყოფისას ავტორები ერთსულოვანნი არიან. გ. გაბაშვილის პორტრეტული შემოქმედების „უმაღლესი მიღწევებით“ და „მწვერვალებით“ განხილვამ, ხელოვნებათმცოდნეობით ლიტერატურაში შექმნა ერთგვარი „სტანდარტი“. ამა თუ იმ ავტორის სუბიექტური შეფასება, ინერციის ძალით გადავიდა ერთი ნაშრომიდან მეორეში.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ განვიხილავთ გ. გაბაშვილის ერთ-ერთ უპოპულარეს ნაწარმოებს „სამი გენერალი“, რომლის შეფასების საკითხს ერთგვარად დაღი დაასვა 50-იანი წლების კონცეფციებმა.

„სამის გენერალი“ (1910 წ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი) არა მარტო ინდივიდუალური დახასიათების სიღრმით, არამედ საერთო ტონუსით, საერთო ემოციური მდგომარეობის მოძებნით, განსაკუთრებით გამოირჩევა გ. გაბაშვილის პორტრეტულ შემოქმედებაში.

დამატებითი მასალის ჩართვამ, რომელსაც გვერდი აუარეს იმ დროის მკვლევრებმა შესაძლებლობა მოგვცა ეჭვქვეშ დაგვეყენებინა არსებული სტანდარტული შეფასება ამ ნაწარმოების „მეორეხარისხოვნების“ შესახებ და მხა-

ტვრის პოზიციისათვის სხვა თვალით შეგვეხედა, „სამ გენერალში“, რომელიც ინერციითაა მიკუთვნებული ხელოვნებათცოდნეობის მიერ პორტრეტტიპებისადმი, გამოსახული არიან კონკრეტული ადამიანები. აქ წარმოდგენილ გენერალთა ინდივიდუალური პორტრეტები, გაბაშვილმა შექმნა ჯგუფური პორტრეტის შექმნამდე. ესენი არიან 1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილენი[1], რუსეთის რეგულარული არმიის ქართველი გენერლები: ზაქარია ჭავჭავაძე — რომელიც „ღირსეულად უფროსობდა მოქმედი კორპუსის ცხენოსან ჯარს და გააფთრებულ ბრძოლებში ექვსჯერ იქნა დაჭრილი: მიხეილ ამირეჯიბი — რომელიც ელიზავეტპოლის პოლკს მეთაურობდა და ქალაქ არტაანისათვის ბრძოლაში, აგრეთვე ალაჯის სიმაგრეების იერიშის დროს სიმამაცისა და მხედართმთავრული ოსტატობის მაგალითებს აჩვენებდა. აქვე ისახელა თავი გენერალმა ამილახვარმა“[2]. ამ გენერლების სახელები ოქროს ასოებითაა შესული ქართველი ხალხის ისტორიაში[3]. ასეთია ფაქტები. არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ გაბაშვილის მხურვალე პატრიოტიზმი. ძნელია თეორიულად დავუშვათ, რომ მხატვარი მთელი ქართული საზოგადოებისაგან განსხვავებით „ირონიით“ მიუდგებოდა გენერლების გმირობას და „უარყოფით შეფასებას“ მისცემდა მათ დამსახურებას. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. რას გვაძლევს კონკრეტული მასალა? „სამი გენერლის“ პერსონაჟები არ არიან სამხედრო ელიტის პირველი წარმომადგენლები გაბაშვილის პორტრეტულ გალერეაში. მას შექმნილი აქვს გენერლების ყაზბეგის, გაბაშვილის, ერისთავისა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სამი გენერლის“ პერსონაჟთა ცალკეული პორტრეტები. ყველა ეს პერსონაჟი ერთნაირ საზეიმო მუნდირში გამოწყობილი დაახლოებით ერთი ასაკისაა და ერთი და იმავე სოციალურ ჯგუფს განეკუთვნება. მაგრამ ყოველი პორტრეტი, გამომდინარე მოდელის ინდივიდუალობიდან, აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მართალია, ეს პორტრეტები მთლიანად მაღალპროფესიული ნამუშევრებია (რომლებშიც არა თუ „ირონია“ არამედ „უარყოფითი შეფასების“ ნატამალიც კი არ ჩანს), მაგრამ მაინც არ შეიძლება ისინი მივაკუთვნოთ გაბაშვილის შემოქმედების „მწვერვალებს“. გარეგნულად თითქოს ერთნაირი „გარსის“ — საზეი-

---

[1] როგორც ცნობილია, ხალხი თანაგრძნობით შეხვდა თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას, რადგან იმედოვნებდა, რომ ამას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება. საქართველოს ისტორიული საზოგადოების აღდგენის იდეა, რაც რუსეთის განმათავისუფლებელ როლს ჯერ კიდევ ერეკლე II დაუკავშირა, XIX საუკუნის 60—70-იან წლებში ფართოდ გავრცელდა ქართულ საზოგადოებაში; საქართველოს ისტორიული საზღვრების აღსადგენად საჭირო გახდა ქართველთა სისხლის დაღვრა, თურქეთის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდნენ არა მხოლოდ რუსეთის ჯარის ნაწილები, არამედ ქართველი მოლაშქრეები ქართული ლაშქრის (მილიციის) რიგებში გლეხობის საგრძნობი ნაწილი თავისი სურვილით ეწერებოდა მოხალისედ. ბრძოლის ველზე (დაახლოებით 30 ათასი ქართველი მოლაშქრე გამოვიდა. „ქართული ლაშქრის“ (მილიციის ნაწილები მამაცურად იბრძოდნენ რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილების მხარდამხარ. ამგვარად, ქართველმა ხალხმა, მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი მისი მოსისხლე მტერი იყო, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი რუსეთს, რადგან ესმოდა, რომ ომში რუსეთის გამარჯვება ხელს შეუწყობდა მისი სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების დამოკიდებულებას, უზრუნველყოფდა თურქებისაგან მიტაცებული ქართული ტერიტორიების განთავისუფლებას-სწორედ ამ ბრძოლებში ისახელეს თავი გენერლებმა : ზ. ჭავჭავაძემ და მ. ამირეჯიბმა (საქართველოს ისტ. ნარკვ., ტ. V, თბ., 1970, გვ. 449—550).

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 449—450.

[3] შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, ჩვენი სახელოვანი წინაპრები, თბ., 1979.

შო მუნდირების, ყველასათვის დამახასიათებელი საერთო ემოციური თავშეკავებულობის და გარემოსთან ერთგვარი გამიჯვნის მიუხედავად, გაბაშვილი ცდილობს ჩაწვდეს ყოველი მათგანის ინდივიდუალურ არსს და კიდევაც აღწევს მას. სამხედრო შემართება შერწყმულია შინაგან ინტელიგენტობასთან გენერალ ყაზბეგის პორტრეტში; შედარებით „ახალგაზრდობა“, ძლიერი ტემპერამენტი განასხვავებს მისგან გენერალ გაბაშვილს, საკუთარი ღირსება შეიგრძნობა გენერალ ამილახვრის პორტრეტში. ყოველ მათგანში გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ურ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს გადმოგვცემს. „სამი გენერლის“ პერსონაჟთა ცალკეული პორტრეტების ძირითადი დახასიათებანი გაბაშვილს უცვლელად გადმოაქვს „ჯგუფურ პორტრეტში“ და გვაძლევს თითოეული გენერლის ღრმა ინდივიდუალურ დახასიათებას. ჭკვიანი გამჭოლი მზერა, საკუთარი ღირსების შეგრძნება იკითხება გენერალ ამილახვრის სახეში. მეტი სილაღით, მეტი ინტიმურობითაა გადაწყვეტილი



ზაქარია ჭავჭავაძის პორტრეტი; მის გვერდით, მიუხედავად ხანდაზმულობისა. ახალგაზრდულად გამოიყურება გენერალი ამილახვარი. არის ამ პორტრეტში გამაერთიანებელი ნიშნებიც. გაბაშვილი არ მალავს გენერლების ასაკს, ერთნაირ მუნდირებში გამოწყობილ მათ საკმაოდ დამძიმებულ ფიგურებს. ყოველი მათგანი ცალი ხელით ეყრდნობა ხმლის ტარს, შემდგომ უკვე იწყება ზემოთ აღნიშნული განსხვავება (თუ არ დავიწყებთ ჩაძიებას და უფრო დეტალურ გარჩევას ჯართა სახესხვაობების, ორდენების და გიორგის ჯვრების რაოდენობისა). ერთადერთი, რის შეგრძნებასაც ბადებს ამ ნაწარმოების ემოციური აღქმა, ეს არის დროის ყოვლისშემძლეობა; ყველაფრის შთანთქმულობა. დროისა, რომელმაც ასე გამოცვალა ერთ დროს ძლიერი, გმირი და ვაჟკაცი მებრძოლები.

როგორც აღვნიშნეთ. „სამ გენერალში“ მოცემულია ინდივიდუალური დახასიათება. საერთო აქ მოცემულია ინდივიდუალობის საშუალებით. იგი ჩნდება გარეგნულ ნიშნებში, მაგრამ არ ახშობს ინდივიდუალობას, განსხვავებით გაბაშვილის არანაკლებ პოპულარული „სამი მოქალაქისაგან“, სადაც მხა-

ტვარი არა თუ ცდილობს გაამრავალფეროვნოს ყოველი პერსონაჟის გარეგნული ნიშნები, არამედ, პირიქით, გამაერთიანებელს და მთავარს ეძებს. არავითარი, თუნდაც უმცირესი განმსგავსება ჩაცმულობაშიც კი, რომელიც რაღაცნაირად გამოავლენდა ინდივიდუალობას „სამ მოქალაქეში“ არ ჩანს. თითოეული გენერალი მოცემულია განუმეორებელი, ფსიქოლოგიური დახასიათებით, განუმეორებელი გარეგნობით. თითოეული პერსონაჟის გადაწყვეტა მიგვითითებს პიროვნების ინდივიდუალურ მნიშვნელობაზე, მის საზოგადოებრივ პოტენციალზე, ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია ეს პორტრეტი მივაკუთვნოთ ჯგუფურ პორტრეტებს და არა პორტრეტ-ტიპებს.

Н. МИРЦХУЛАВА

ОБ ОДНОМ ГРУППОВОМ ПОРТРЕТЕ Г. ГАБАШВИЛИ

Резюме

Деятельностью замечательного грузинского художника Гиго Габашвили грузинская живопись вышла на уровень общеевропейских достижений. Велика роль его творчества в расширении диапазона грузинской живописи, в заложении основы для развития многих жанров.

Данная статья ставит целью пересмотр ранее сложившейся оценки в искусствоведческой литературе одной из работ Г. Габашвили «Три генерала». Временные дистанции, отделяющие нас от этого произведения, позволяют с большей объективностью взглянуть на него, подвергнуть сомнению сложившуюся и ставшую стандартной оценку этого произведения и прояснить позицию художника.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

ვალერი სილოგავა

მასალები მოსკოვის ქართული დასახლების ისტორიისათვის

დონის მონასტრის ორენოვანი (ქართულ-რუსული) ეპიტაფიები

1711 წელს, არჩილ II-ის სურვილით, მოსკოვის დონის მონასტრის მთავარი (ღვთისმშობლის) ტაძრის ქვედა სართულში დაკრძალეს მისი ვაჟი, რუსეთის არმიის პირველი გენერალ-ფელდცეხმეისტერი (არტილერიის სარდალი), პეტრე I-ის უახლოესი თანამოაზრე და თანამებრძოლი ბატონიშვილი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, რომელიც 11 წლის განმავლობაში შვედების ტყვეობაში მყოფი რუსეთისაკენ მომავალი გზაში გარდაიცვალა. მოსკოვის ნოვოდევიჩევის მონასტრის სასაფლაოდან აქვე გადმოასვენეს მისი ძმების მ ა მ უ კ ა (†1693) და დ ა ვ ი თ (†1688) ბატონიშვილების და მისი პირველი მეუღლის თეოდოსია ივანეს ასულ მილოსლავსკაიას (†1689) ნეშტები. ტაძრის ქვედა სართული გადააკეთეს ეკლესიად და იგი აკურთხეს მაცხოვრის მირქმის სახელობაზე.

შემდეგში აქვე დაიკრძალა, როგორც თვითონ ა რ ჩ ი ლ II (†1713), მისი მეუღლე დედოფალი ქ ე თ ე ვ ა ნ, ქალიშვილი — მეფის ასული დ ა რ ე ჯ ა ნ, ე. ი. არჩილ II-ის მთელი მემკვიდრეობა, ისე მოსკოვში დარჩენილი შთამომავლები და მემკვიდრეები ვ ა ხ ტ ა ნ გ VI-ისა: დედოფალი რ უ ს უ დ ა ნ (†1741), მეფე ბ ა ქ ა რ (†1750), ბაქარის მეუღლე დედოფალი ა ნ ა, ბატონიშვილი ვ ა ხ უ შ ტ ი და სხვები.

ასე ჩაეყარა საფუძველი, XVIII ს-ის დამდეგის მოსკოვის გარეუბანში, რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი მონასტრის ტერიტორიაზე, გამოჩენილ ქართველ სახელმწიფო, პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეთა პანთეონს[1].

XVIII—XIX სს. მანძილზე დონის მონასტრის მირქმის ეკლესია და მთავარი ტაძრის მიმდებარე ტერიტორია მოსკოვში მცხოვრები არაერთი ქართველისათვის გადაიქცა უკანასკნელ განსასვენებლად. დონის მონასტერშივე, კერძოდ, მთავარი ტაძრის გარშემო გამართული ღია გალერეის დასავლეთ მონაკვეთში, როგორც მონასტერში მოწყობილი არქიტექტურის მუზეუმის ფილიალის ექსპონატები, უკვე ჩვენს დღეებში გადაიტანეს XVIII—XIX სს. საფლავების ქვები მოსკოვის სხვა გაუქმებული სასაფლაოებიდან, სადაც ქართველებიც იყვნენ დაკრძალულნი. საბოლოოდ ასე მოიყარა თავი დონის მონასტერში ექვს ათეულზე მეტმა ქართულმა საფლავმა და საფლავის ქვამ, რომლებიც რამდენიმე ჯგუფად იყოფიან[2].

---

[1] დონის მონასტრის შესახებ იხ.: И. З а б е л и н, Историческое описание Московского Ставропигиального Донского монастыря, М., 1893; Советская историческая энциклопедия, т. 5, М., 1964, столб. 307—308; Ю. И. А р е н к о в а, Г. И. М е х о в а, Донской монастырь, М., 1970 და სხვ.

[2] ვ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართველები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 244—245; В. И. Т а т и ш в и л и, Грузины в Москве. Исторический очерк (1653—1722), Тб., 1959, გვ. 212.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონის მონასტრის ქართული საფლავების ეპიტაფიებში ცალკე გამოიყოფა ორენოვანი — რუსულ-ქართული წარწერები; აქ ამჟამად ცნობილია შვიდი ასეთი წარწერა; დანარჩენი ეპიტაფიები შესრულებულია მხოლოდ რუსულ ენაზე.

ორენოვანი ეპიტაფიების ქართული ნაწილი გამოიცა ერთხელ, 1840 წელს აკად. მ. ბროსეს მიერ და ისიც არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ხუთი წარწერის ტექსტი[3] (წინამდებარე გამოცემის №№ **2, 3, 4, 5, 6**); ხოლო მათი რუსული ნაწილიდან მხოლოდ ერთის (№ **4**) ტექსტია გამოცემული ვ. ტატიშვილის მიერ[4] (ქართული წარწერები მას არ გამოუცია); ორი მათგანის (№№ **4, 6**) ფოტო, ტექსტების გარეშე, გამოქვეყნებულია ბ. ესაძის წიგნში[5].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, დონის მონასტრის ქართული წარწერების გამოცემის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლებოდა: გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის თაოსნობით დონის მონასტრის ქართველთა პანთეონში ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებს შორის, გათვალისწინებული იქნა ქართული საფლავების ეპიტაფიების ხელახალი შესწავლა მთლიანი სახით. ამ სამუშაოს შესრულება მე დამევალა*.

წინამდებარე წერილში წარმოდგენილია შესრულებული სამუშაოს და მოპოვებული მასალის ერთი ნაწილის — ქართულ-რუსული წარწერების პუბლიკაცია; განზრახულია შემდეგში ასევე მთლიანად გამოიცეს მონასტრის ქართული საფლავების რუსულენოვანი ეპიტაფიები.

ორენოვანი ეპიტაფიების ცალკე ჯგუფად გამოყოფა და ორივე ტექსტის ერთად გამოცემა აუცილებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ უმეტეს შემთხვევაში წარწერათა ტექსტების მონაცემები ერთმანეთს ავსებენ და მხოლოდ ორივეს გათვალისწინება გვაძლევს სრულ ცნობებს დაკრძალული პირის მოღვაწეობის და განსაკუთრებით, ქრონოლოგიის შესახებ.

მაგალითად, იმერეთის ეპისკოპოსის ფილიმონის ეპიტაფიის (№ **7**) ქართული ნაწილიდან არ ჩანს თუ როდის გარდაიცვალა იგი, მაშინ როდესაც რუსულ ტექსტში გარკვევით არის აღნიშნული 1782 წლის 30 მაისი, ნაშუადამევის 4 საათი. ბაქარ მეფის სახლთუხუცესის ედიშერ შალიკაშვილის ეპიტაფიის (№ **1**) რუსული ნაწილიდან არ ჩანს მისი თანამდებობა, მაშინ, როდესაც ქართულ ნაწილში ამის შესახებ, ისევე როგორც მისი წარმომავლობისა და ნათესაობის შესახებ, დაწვრილებით არის აღნიშნული; ასევე, ორივე ნაწილის გათვალისწინებით ჩანს, რომ ელისე და ედიშერ ერთი და იგივე პირია. გურგენ

---

[3] M. Brosset, Inscriptions tumulaires géorgiennes de Moscou et de Sant-Pétersbourg, MAIS, VI série, t. IV, St.—Pb; 1840 გვ. 475—479; ბროსეს მიერ მოსკოვის ქართული წარწერების შესწავლის შესახებ იხ.: შ. ხანთაძე, მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი) თბ., 1966, გვ. 57—58.

[4] ვ. ტატიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 251—252 (№ 14); В. И. Татишвили, Указанная работа, გვ. 218—219 (№ 14).

[5] Б. С. Эсадзе, Летопись Грузии, Вып. I, [Тиф.], [1913], ტაბულა 360 და 361 გვ. შორის.

* წარწერების შესწავლაში მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი მამუკა ახალაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახიმდივნის მამის სახელი — თამაზა, ცნობილია მისი ეპიტაფიის (№ 2) რუსული ნაწილიდან. არჩილ მეფის გაზრდილი და თანამოყოლილი მათე ყოფილიმარკოზ სქემოსანი რომ 21 წელი იყო ბერად მისი ეპიტაფიის (№ 3) მხოლოდ რუსულ ნაწილშია აღნიშნული; სამაგიეროდ, ქართულ ნაწილში დამატებით ცნობაა მისი გარდაცვალების შესახებ 75 წლის ასაკში; სხვათა შორის, მათეს მამის სახელი იოსები («Иосипович»), ასევე რუსულ ნაწილშია მხოლოდ აღნიშნული. საწინააღმდეგო ვითარებაა რუსუდან დედოფლის მდივნის სულხან თაქთაქისშვილის ეპიტაფიაში (№ 5), სადაც, მართალია, გარდაცვალების წელი ერთნაირად არის აღნიშნული ორივე ნაწილში, მაგრამ მან რომ 80 წელი იცოცხლა ამის შესახებ ცნობას მხოლოდ რუსული ტექსტი გვაწვდის და სხვ.

უფრო მეტი, ზოგჯერ ეპიტაფიის ერთი რომელიმე ნაწილის მიერ მოწოდებული ცნობა არსებითი ხასიათისაა და მისი გათვალისწინება აუცილებელია მეორე ნაწილის ტექსტის დადგენისა და გამართვისათვის. მაგალითად, გრიგოლ არქიმანდრიტის ეპიტაფიის (№ 6) ქართულმა ნაწილმა დაზიანებული სახით მოაღწია; იგი დაზიანებული ყოფილა ჯერ კიდევ 1837 წელს, როდესაც პირველად შეისწავლა აკად. მ. ბროსემ. ქართულ ნაწილში გრიგოლის სახელის შემდეგ შემორჩენილია სიტყვა „წინამძღვარ“; მ. ბროსემ, ტექსტის დაზიანების გამო, იგი მისი თანამდებობის აღმნიშვნელად ჩათვალა და მას გრიგოლ არქიმანდრიტი წინამძღვრად ჰყავს დასახელებული. მაშინ, როდესაც მთლიანი და დაუზიანებელი სახით შემონახული რუსული ნაწილის მიხედვით „წინამძღვრიშვილი“ («Цина [м] гвришкилов»!) გრიგოლ არქიმანდრიტის გვარია.

ასევე, ეპიტაფიის მხოლოდ რუსული ტექსტიდანაა ცნობილი, რომ დავით ქაიხოსრო მეფის ძე 22 წლისა გარდაიცვალა (№ 4); ქართულ ტექსტში „ოცდა“ გამოტოვებულია და გამოდის, რომ დავითი თითქოს ორი წლისა გარდაცვლილიყოს. ამ წარწერაში შეცდომის დაშვება მოულოდნელი არ ჩანს თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითონ დავითის სახელი, ე. ი. იმისა ვისთვისაც ეპიტაფია შესრულდა, წარწერის ამომკვეთს ქართულ ტექსტში გამორჩენია და იგი შემდეგაა ჩამატებული 23-ე და 24-ე სტრიქონებს შორის.

ერთი სიტყვით, ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით ცხადი უნდა იყოს, რომ დონის მონასტრის ორენოვანი ეპიტაფიების ორივე ნაწილის ერთად გამოცემა ცალკე ჯგუფად აუცილებელია და გამართლებული.

საგულისხმოა ისიც, რომ სხვა წყაროებზე მეტი ცნობები საზოგადოების სულ სხვადასხვა ფენის იმ წარმომადგენელთა შესახებ (მეფის ძე, სახლთუხუცესი, მღვდელმთავარი, დედოფლის მდივანი, მონაზონი და სხვ.), რომლებიც დონის მონასტერშია დაკრძალული და რომელთა ეპიტაფიებიც აქ ქვეყნდება, ისევ ამ ეპიტაფიებს შემოუნახავთ; გრიგოლ არქიმანდრიტისა (№ 6) და ფილიმონ იმერეთის ეპისკოპოსის (№ 7) შესახებ ჩვენ სხვა ცნობები არც გაგვაჩნია.

აშკარაა ისიც, რომ ეპიტაფიებში მოხსენებულ პირთა ერთი ნაწილი (№№ 1—5) ერთიმეორის მიყოლებით და თითქმის ერთდროულად გარდაცვლილა სულ რაღაც 5 წლის განმავლობაში (1728—1733 წწ.); ესენი ის პირებია (მარკოზ მათე-ყოფილის გამოკლებით), რომლებიც ვახტანგ VI-ის ამალას ჩამოყვნენ რუსეთში და, როგორც ჩანს ერთ-ერთი პირველები გამოაკლდნენ ამ ამალის გუნდს. იქნება ამიტომაცაა, რომ მათი საფლავის ქვები გამოირჩევა, XVIII

ს-ის დასასრულს დამზადებული საფლავის ქვებისაგან, როგორც ქართული წარწერების შესრულების ლაზათით, ისე მეტი მორთულობით.

ტექსტები

1

1728.I.7.

ედიშერ შალიკაშვილის ეპიტაფია (სურ. 1,2).

მონასტრის მთავარი ტაძრის დასავლეთი შესასვლელის ქვემოთ გამართულია გალერეაში, სადაც სხვადასხვა ეკლესიიდან გადმოტანილი საფლვის ქვების გამოფენაა ამჟამად მოწყობილი, დასავლეთ კედელზე ჩასმულია კირქვის ოთხკუთხა ფილა, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამუქებულ-ჩაშავებულა. ფილის ზომა: 78×76×12 სმ. ფილის ცენტრში მრგვალი პროფილის რელიეფური ზოლით გამოყოფილია „გულის“ ფორმის ფართი. მის გარშემო ზედაპირი შევსებულია მთავარანგელოზებისა და ბაროკოს სტილის ორნამენტის რელიეფური გამოსახულებებით: ორივე მხარეს წარმოდგენილია თითო ანგელოზი, მთელი ტანით, პირდაპირ, ხელში დახვეული გრაგნილებით; ქვემოთ — თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები; ზემოთ, „გულის ჩაზნექის“ ადგილას — „ბალიშზე“ დადებული ტოლმკლავიანი ჯვარი; ჯვრის მკლავებს შორის ჩაწერილია ამოკვეთით შესრულებული წარწერა: I⁻CX⁻C‖NIKA. ჯვრის ზემოთ გამოსახულია სამეფო გვირგვინი, რომელსაც მაღლა ეზიდება მის ორივე მხარეს წარმოდგენილი თითო ფრთოსანი ანგელოზი. ზემოდან ფილას დაუყვება ტალღოვანი მოყვანილობის განივი, რთულპროფილიანი რელიეფური ჩარჩო, რომელზედაც ამოკვეთილია რუსული წარწერა ერთ სტრიქონად; წარწერის ტექსტი გრძელდება და მთავრდება გვირგვინის მზიდავი ანგელოზების თავებს ზემოთ, სადაც ამოკვეთილია თითო სიტყვა.

ქართული მხედრული წარწერა, ამოკვეთილი 17 სტრიქონად, მთლიანად ავსებს „გულის“ ფორმის ფართს; სტრიქონები მოთავსებულია განივ, პარალელურ ხაზებს შორის; ასოების სიმაღლე: 1—3 სმ. ფილის ზედაპირის აცრეცის გამო ტექსტი ადგილ-ადგილ (მე-4, 6, 7, 9 სტრიქონებში) დაზიანებულია. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: კაუჭზე მიდგმული განივი ხაზი.

არ გამოც.

ქრისტეს: აქეთ: წელთა: ასათას(!): შვიდას:
ოცდა: რვასა: თვესა: იანვარსა: ზ⁻: საწუთოსა: ამას
მცირედ: ოდენ: ჟამსა: მოქალაქე: გარდაცვალ
ებულ: ვიქმენ: მონა: და: ნათ[ესა]ვი: ქართველთ
5. **მეფეთ: არჩილ[ი]სა: და: გიორგისა: დავითის: დის: შვილი**
და: მეფის: ვახტანგის: პირმშო: ძის: [ბაქა]რისა: სახლთუხ
უცესი[:] [შ]ალიკაშვილი: ედიშერ: და: მისვანებს: მცირე
ესე: ტაგრუცი: რომელი: ვიყავ: ვ⁻ა: თქუენ:
იქმნებით: მსგავს: ჩემ [და: ვინა]თგან:
6. **საწუთოსა: ამას: შვენიერება: წარ**
მავალია: და: საუკუნო: მიწათ: [თ]ანა:

ვითხოვთ: თქუენ: მიერ: შენდობ
ასა: სიყუარულისათვის: ღ[ისა
სულთა: მიმართ: ჩ
15. ემ: ცოდვილ
ისათა: ა
მინ:

ЯЧѢКИ ГО ГЕНВАРЯ ВЪ З ДЕ ПРЕСТАВИСЯ РАБ БЖИѢ ГРОУЗИНСКАГО ЦАРЯ [БАКАРА] ЕЛИССЕИ ШАЛЫКОВЪ.

ქრისტეს აქეთ წელთა ათას* შვიდას|ოცდარვასა, თვესა იანვარსა **ზ**, საწუთოსა ამას|მცირედ ოდენ ჟამ(ი)სა მოქალაქე, გარდაცვალ|ებულ ვიქმენ მონა და ნა[თესა]ვი ქართველთ(ა) მეფეთ(ა) არჩილ[ი]სა და გიორგისა. დავითის **დისშვილი,** | და მეფის ვახტანგის **პირმშო ძის [ბაქა]რისა სახლთუხუცესი** [შ]ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი ე დ ი შ ე რ.

და მისვანებს მცირე | ესე ტაგრუცი, რომელი ვიყავ ვ(ითარც)ა თქუენ, | იქმნებით მსგავს ჩემ[და ვინა]თგან | საწუთოსა ამას შევნიერება წარ|მავალია და საუკუნო მიწათ(ა) [თ]ანა. |

ვითხოვ თქუენ მიერ შენდო|ბასა, სიყუარულისათვის ღ(მრთ)ისა,|სულთა მიმართ ჩ|ემ ცოდვილ|ისათა, ა|მინ.

---

* ასათას წრწ.

1728 го(ду) генваря в 7 де(нь), преставися раб б(о)жий, грузинскаго царя Бакара <дворецкий> Елиссей Шалыков.

2

1730.IV.20.

გურგენ კახი მდივნის ეპიტაფია (სურ. 3).

მთავარი ტაძრის ქვედა სართულში, ტაძრის შიგნით, მირქმის ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის მარჯვნივ, მეორე საყრდენი სვეტის მარჯვენა მხარეს ჩასმულია თეთრი კირქვის ოთხკუთხა ფილა (ზომა: 95×90 სმ.); მის ცენტრში, მრგვალპროფილიანი რელიეფური წრით შექმნილია ფართობი (წრის დიამეტრი — 63 სმ.), რომელიც მთლიანად შევსებულია ქართული და რუსული რელიეფური ასომთავრული წარწერის ტექსტით. ფილის ზედაპირი წრის გარშემო შევსებულია ბაროკოს სტილის ორნამენტული, რელიეფური გამოსახულებებით: ზედა ნაწილში ორი ფრთოსანი ანგელოზი მაღლა ეწევა ფოთლოვან წრეს (დიამეტრი — 13 სმ.), რომელშიც ჩასმულია ტოლმკლავიანი (10×10 სმ.) ჯვარი. ჯვრის მკლავებს შორის მოთავსებულია რელიეფური წარწერა I᷄ X᷄ NIKA: ფილის ქვედა და გვერდითი ნაწილები შევსებულია ვარდულებით და სხვ. ფოთლოვანი ორნამენტით.

ქართული ასომთავრული წარწერა შესრულებულია 5 სტრიქონად (მე-5 სტრიქონს ჰქმნის ერთი ასო ჯ და მის მარჯვნივ დასმული რელიეფური სამწერტილი). უშუალოდ მის გაგრძელებაზე იწყება რუსული ასომთავრული წარწერა, შესრულებული 4 სტრიქონად. ქართულ წარწერას უჭირავს ფართობი 17×60 სმ; ხოლო რუსულს — 25×57 სმ. წარწერები შესრულებულია ხვეუ-

ლი დამწერლობით, ლიგატურების გამოყენებით. ქართული ასოების სიმაღლეა: 4—5,5—8 სმ; ხოლო რუსულისა — 2—4,5 სმ. განკვეთილობის ნიშანი — რელიეფური სამწერტილი დასმული მარჯვნივ წაწვეტებით; ქარაგმის ნიშანი— ვანივი, ბოლომოკაუჭებული რელიეფური ხაზი.

გამოც.: M. B r o s s e t, Inscriptions tumulaires géorgiennes, გვ. 476, № 20 (ქართული ნაწილის მხედრ. ტრანსლიტერაცია და ფრანგული თარგმანი) (**ბრ**).

ᲡᲨᲤᲮᲨᲩᲡ.
ᲨᲐᲨᲡ· ᲧᲫᲨ· ᲐᲨᲜᲩᲨᲐᲡ· ᲩᲫᲔᲨ·
ᲐᲨᲜᲡᲩᲡᲩᲘ ᲢᲓᲐᲡᲢᲢᲘᲩ· ᲩᲫᲨ·
ᲧᲜᲩᲓᲓᲢᲩᲡ· ᲥᲜᲨᲔᲓᲥ· ᲩᲘᲫ· ᲨᲡᲐᲢᲜᲮᲡ·

5. Ч҃· ПРОШОУ ПОМЯНОУТЬ ГРЕШНИХ КНЯЗ ГРОУЗИНСКИ
СЕКРЕТАР ГОУРГЕН ТАМАЗОВИЧ ПРЕСТАВИ
СЯ 1730 ГО ГОДА АПРЕЛЯ 20-ГО ЧИ
СЛА

საფლავსა | ამას შ(ინ)ა მდებარე, კ(ა)ხი | მ დ ი ვ ა ნ ი გ უ რ გ ე ნ ც(ო)-დ(ვილ)ი, | შენდობას ვითხოვ. **ჩღლ, აპრილს** | **კ.**

Прошу помянуть грешных; княз(ь), грузински(х) <царей> секретар(ь), Гурген Тамазович; преставися 1730-го года, апреля 20-го числа.

3

1730.VIII.28.

მარკოზ მათე-ყოფილის ეპიტაფია (სურ. 4, 5).

მთავარი ტაძრის ქვედა სართულში, ტაძრის შიგნით, მირქმის ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის მარჯვნივ, მთავარი ტაძრის კედელში ჩასმულია თეთრი კირქვის ოთხკუთხა ფილა (ზომა: 93×80 სმ.), რომელსაც გარშემო პროფილირებული ჩარჩო შემოუყვება (ჩარჩოს ქვედა კიდე ამჟამად შელესილობითაა დაფარული). ფილის ზედაპირი მთლიანად შევსებულია ამოკვეთით შესრულებული ქართული მხედრული (15 სტრიქონი) და რუსული ასომთავრული (4 სტრიქონი) წარწერების ტექსტით. ქართული წარწერის მე-11 სტრიქონის ქვემოთ ფილის ზედაპირი დაუდაბლებიათ და აქედან ორივე წარწერის სტრიქონები მოთავსებულია განივ, ჰორიზონტალურ ხაზებს შორის. ქართულ წარწერას უჭირავს ფართობი 70×68 სმ; ხოლო რუსულს — 16×68 სმ. ასოების სიმაღლე: ქართულის — 2—4—7 სმ; რუსულის — 3—4 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: მარცხნივ წაწვეტებული დაკუთხული ხაზი.

გამოც.: M. B r o s s e t, Inscriptions tumulaires géorgiennes, გვ. 476, № 21 (ქართული ნაწილის მხედრ. ტრანსლიტერაცია და ფრანგული თარგმანი) (**ბრ**).

ქ: წელთა: ათას: შვიდას: ოცდა: ათსა
თვესა: აგვისტოს: კ҃: დღესა: პარ
ასკევსა: ამიერ: სოფლით: მიიცვა
ლა: სად: ყველნივე: მიმავალ: ვარ
5. თ:მნა: ღ҃თისა: სულ: კურთხეული
მათე: ყოფილი: საქემოსანი(!): მარკოზ:

რომელი: იყო: მეფის: არჩილის: გა
ზრდილი: და თან: მოყოლილი: და დიდა
დ: ნამსახური: და დაემარხა: ამას
მცირესა: საფლავსა: ხოლო: ცხოვრებ
ა: მისი: სამოცდა: ათუთხმეტი
წელ: ვინც: მიემთხვივნეთ: წერი
ლსა: ამას: შენდობით: მოიხსენებ
დეთ: მომხსენებელნი: მისნი: ღ̃თნ
კეთილად: თქუენც: მოგიხსენოთ

ЯѰЛ ГОДУ АВГУСТА В 28 ДЕН ПРЕСТАВИС⁻ РАБ Б⁻ЖИ БЛАГОВЕРНАГО ЦРЯ АРЧИЛА ВАХТАНЪГЕЕВИЧА ЧІНОВНОЙ БЛІЖНЕЙ СТОЛНІКЪ МАТВЕЙ ОСІПОВИЧ И ПОЖИВЕ ОН В ГА В МОНАШЕСТВЕ Ї СХИМОНАХЪ БЫЛ КА Ї ДЕНЬ.

ქ. წელთა ათას შვიდას[1] ოცდაათსა, | თვესა[2] აგვისტოს[3] **კჱ**, დღესა პარ|ასკევსა ამიერ სოფლით მიიცვა|ლა[4], სად ყ(ო)ველნივე მიმავალ ვარ|თ, მ(ო)ნა ღ(მრ)თისა[5], სულკურთხეული[6] | მ ა თ ე-ყ ო ფ ი ლ ი[9] ს ქ ე მ ო ს ა ნ ი მ ა რ- კ ო ზ, | რომელი იყო მეფის არჩილის გა|ზრდილი[8] და თანმოყოლილი და დიდა|დ ნამსახური[9]. და დაემარხა ამას | მცირესა[10] საფლავსა. ხოლო ცხოვრებ|ა მისი იყო სამოცდაათუთხმეტი[11] | წელ. ვინც მიემთხვივნეთ[12] წერი|ლსა ამას — შენდობით მოიხსენებ|დეთ; მომხსენებელნი მისნი — ღ(მერ)თ(მა)ნ|კეთილად თქუენც[13] მოგიხსენოთ.

ბრ: [1]შვდ ას. [2]თთჳჱსა. [3]აგვსტოს. [4]მიიცჳალა. [5]ღჳთისა. [6]სულკურთხეულ. [7]ყოფილ. [8]გაზდილი. [9]ნამსახურ[ი] დამარხული (თუმცა ფრანგულ თარგმანში: service). [10]მცირერა (კორექტ. შეცდომა?). [11]სამ-ოც. და ათ-ხუთ-მეტ. [12]მიემთხჳვნეთ. [13]თქჳჱნც.

1730 году, августа в 28 ден(ь) преставис(я) раб б(о)жи(й), благовер|наго ц(а)ря Арчила Вахтангеевича чиновной ближ|ней столник, Матвей Осипович и поживе он в г(од)а в монашестве и схимонах был 21 и день*.

---

* შეიძლება წარწერის ტექსტი კიდევ გრძელდებოდა და ამჟამად კედლის შელესილობის ქვეშ იყოს მოყოლილი ფილის ჩარჩოს ქვედა კიდესთან ერთად.

4

1732. XII. 28.

დავით ქაიხოსრო მეფის ძის ეპიტაფია (სურ. 7,8).

დონის მონასტრის მთავარი ტაძრის ქვედა სართულში მოწყობილი მირქმის ეკლესიის საკურთხევლის სარკმლის ორივე მხარეს ჩასმულია ქვის ოთხი ფილა; ორ-ორი მარცხნივ და მარჯვნივ. მათზე მოთავსებულია წარწერები; ამათგან მარცხენა ზედა ფილაზე, რომელიც სხვებისაგან გამოირჩევა თავისი ზომით და მოყვანილობით — იგი მოგრძოა და სხვებზე დიდი ზომისა, მოთავსებულია ორენოვანი (ქართულ-რუსული) წარწერა. ფილის ზომა: 102×74 სმ. გარშემო დაუყვება ბაროკოს სტილის მაღალი რელიეფით შესრულებული ორნამენტი ზედა ნაწილში ორი მფრინავი ანგელოზის გამოსახულებით, რომლებიც მაღლა ეზიდებიან სამეფო გვირგვინს. ფილა სიგრძეზე, ვერტიკალურად, რელიეფური ზოლით გაყოფილია ორ თანაბარ ნაწილად — მარცხენა ნაწილი შევსებულია ამოკვეთით შესრულებული ქართული მხედრული წარწერის ტექსტით და მას უჭირავს ფართობი 82×25 სმ., ხოლო მარჯვენა ნაწილში — რუსული რელიეფური წარწერით და მას უჭირავს ფართობი 83×25 სმ.

ფილის ზედა ნაწილში, გვირგვინის დასწვრივ, წარწერის ტექსტებში „შუქ-რით“, შუა ადგილას, ამაღლებულ კვადრატულ ზედაპირზე (21,5×21,5 სმ.) წარმოდგენილია შემდეგი რელიეფური კომპოზიცია (სურ. 8): შუაში წრეში ჩასმულია კვართი, შურდული — ბაგრატიონთა საგვარეულო რელიქვიე-ბი და სიმბოლოები; კვართის ზემოთ, წრიულად, რელიეფური ასომთავრული ასოებია: ႣႵႵႩႣႸ; წრის გარეთ, მის ზემოთ გამოსახულია სამეფო გვირგვი-ნი და მის ორივე მხარეს სამეფო ინსიგნიები — ხმალი და კვერთხი. წრის ქვემოთ გამოსახულია მწოლარე ლომი, მთელი ტანით — პროფილში, სახით — მაყურებლისაკენ. წრეს მაღლა ეზიდება მის გარშემო გამოსახული ოთხი ფრთოსანი ანგელოზი — ორი ზემოთ და ორიც ქვემოთ. მთელი აღწერილი კომპოზიცია ჩასმულია კვადრატულ ჩარჩოში. ჩარჩოს ზედა და ქვედა კიდე-ებთან, გამოსახულებებისაგან თავისუფალ ადგილებში, მოთავსებულია ასომთავ-რული რელიეფური ასოები: ზემოთ — Ⴜ̃Ⴖ̃Ⴃ̃Ⴎ̃ (წ̃ ღ̃ დ̃ პ̃), ქვემოთ — Ⴋ̃Ⴂ̃Ⴗ̃Ⴑ̃ (მ̃ გ̃ ყ̃ ს̃)*.

ეპიტაფიის ქართული ტექსტი, შესრულებული მხედრული დამწერლობით, 29 სტრიქონად, ამოკვეთილია ჰორიზონტალურ, პარალელურ ხაზებს შორის; ასოების სიმაღლე: 1—2 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ერთი, ორი და სამწერტი-ლი (ადგილ-ადგილ); ქარაგმის ნიშანი: კაუჭზე მიდგმული განივი ხაზი. რუსული ტექსტი შესრულებულია თანაბარი ზომის (სიმაღლე: 1,5—2 სმ.) რე-ლიეფური ასოებით, ასევე 29 სტრიქონად.

გამოც.: 1) M. Brosset, Inscriptions tumulaires géorgiennes, გვ. 478—479 (ქართული ნაწილის მხედრ. ტრანსლიტერაცია და ფრანგ. თარგმანი) (ბრ). 2) Б. Эсадзе, Летопись Грузии, სურ. 360 და 361 გვერდებს შორის ჩაკრულ ტაბულაზე. 3) Вл. Татишвили, Грузины в Москве, с. 218—219, № 14 (რუს. ნაწილი), სურ. 14 (ბ. ესაძის მიხ.) (ტ). 4) ვ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, გვ. 251—252)—№ 14 (რუს. ნაწილი), სურ 14 (ბ. ესაძის მიხ.) (ტ).

ქ. იტყუ
ის წინასწარ
მეტყუელი დავი
თ მეფე: რომლისა
ტომისა და თესლ
ისაგან ვარ მე:. კაც
ნი თივანი: არინ. და დღენი

ГЛАГОЛЕ
ТЪ ЦАРСТВОѴЮ
ЩИ ПРОРОКЪ
ДАВЫДЪ ЧЕЙХ
РѸДЪ І СЕМЕНІ
ЕС МЫ Ч҃ЛВК
ТРАВА ДНІ ЕГО ЯКО ЦВ҃Т

* აღწერილი კომპოზიცია წარმოადგენს მეფე გიორგი XI-ის (1676—1688, 1703—1709 წწ.) გერბს. გერბის სურათი დართული აქვს ვახტანგ VI-ის სტამბის ორ წიგნს — „სამოცი-ქულოს“ (1709 წ.) და „ვეფხისტყაოსანს“ (1712 წ.). გერბში ჩაწერილი ასომთავრული ასოე-ბი იშიფრება შემდეგნაირად: ზემოთ და ქვემოთ, მსხვილი ასომთავრულით — „**წ**(ყალობითა) **ღ**(მრთისაითა) **დ**(ავითიან) — **პ**(ანკრატოანი) || **მ**(ეფე **გ**(იორგი) **ყ**(ოვლისა) **ს**(აქართველოისა)“; ხოლო შუაში, შედარებით მომცრო ასოებით — „**დ**(ავითის) **ქ**(ნარი), **ქ**(რისტეს) **კ**(უართი), **დ**(ავითის) **შ**(ურდული)“ (იხ. შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი. პირველი ბეჭდური (ვახ-ტანგისეული) გამოცემა 1712 წ. აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წ. ფოტორეპროდუქციული გამოცემა 1975 წ. თბ., 1975, გვ. [14], 406—407).

მისნი ვ˝ა ყუავილნი ველისანი
ვიქმენ მიწა და დაცვივნეს ყუა
ვილოვნება ჩენი(!): უშვერ მექმნა
შვენიერება და მომეკვეთნეს
ნორჩ-ნაზარდ-ნაკვეთანობათა(!)
ორ წელ აღორძინებულნი
ანაქუსნი ჩემნი: მე ვიყავ სო
ფელსა შინა ძე ქართველ
თა მეფისა ქაიხოსროსი: მის
მიერ ობლად დატევებული
და ვიზრდებდი ფუფუნები
თა, მამის ძმისა მიერ. მეფე
ქართველთა ვახტანგ მეო
თხემ: რომელსა წარმტაცა
უწყალმან სიკუდილმან უჟამ
დ: დავით* დავითიანი სოლომონ-
პანკრა
ტოანი: ესე არს განსასვენებელი:
ჩემი: ამას დავემკუიდრო: რ˝მთ
ნავს ესე: — წელსა 1732: თვესა
დეკენბერს 28 დღეს ოთხ
შაბათსა: ჟამსა 15 ღამისა
სა:

СЕЛНЫ ОБРАТЫХСЯ ПАКІ ЗЕМЛЕЮ
ІВСЯ Ч˝ВІМОЇОТПАДЕ
ОСТРАМИХСЯ КРАСОТА І ЛО
ЗА РАСТОУЩИ ДВАДЦАТЬ
ДВОУЛЕТНАЯ ПИТАЮШИ
СТАНЪ МОЯ ОБРЕТАЛСЯ
В МЇРЕ С˝НЪ ГРОУЗИНСКАГО
ЦАРЯ КАИХОСТРОВА
ОТ НЕГО СІРОТОЮ ОСТАВЛЕН
РАСТОХЪ І ВОСПИТАН В ВЕЛИ
КОМЪ ДОВОЛСТВИ БРА
ТА ОТЦА МОЕГО ЦАРЕМЪ
ГРОУЗЇНСКЇМЪ ВАХТА
НГОМЪ ЧЕТВЕРТЫМ ОТ КО
ТОРАГО ОТНЯЛА МЕНЯ
ЛЮТЕЇЩАЯ СМЕРТЬ БЕЗ
ВРЕМЕННО Я ДАВЫДЪ
ДАВЫДОВ СОЛОМОН ПАНКРА
ТОВ СЕИ ЕСТЪ ПОКОЇ МОЇДЕС
ПОСЕЛЮСЯ ЯКО ЖЕЛАЮ
1732 ГОДА М˝ЦА ДЕКЕМВРІЯ 28
ДНЯ В СРЕДУ В 15 ЧАСУ ПО НОЧИ.

* ეს სიტყვა („დავით“) ჩაწერილია სტრიქონს ზემოდან უფრო წვრილი ასოებით.

ქ[1]. იტყუ|ის[2] წინასწარ|მეტყუელი[3] დავი|თ მეფე, რომლისა | ტომისა და თესლ|ისაგან ვარ მე: „კაც|ნი თივანი არიან და დღენი მისნი ვ(ითარც)ა ყუავილ-ნი ველისანი“.* | ვიქმენ მიწა და დაცვივნეს[4] ყუა|ვილოვნება[5] ჩემი[6], უშვერ მექმნა | შვენიერება[7] და მომეკვეთნეს | ნორ-ნაზარდ-ნაკვეთანობათა | <ოცდა>-ორ წელ აღორძინებულნი | ანაქუსნი ჩემნი.

მე ვიყავ სო|ფელსა შინა ძე ქართველ|თა[8] მეფისა ქაიხოსროსი, მის | მიერ ობლად დატევებული და ვიზრდებ(ო)დი ფუფუნები|თა მამის ძმისა მიერ; <აღმ-ზარდა>[8 ა] მეფე | ქართველთა[9] ვახტანგ მეო|თხემ, რომელსა წარმტაცა | უწყალ(ო)მან სიკუდილმან უჟამ(ო)დ — დ ა ვ ი თ დავითიანი[10], სოლომონ-პან-კრა|ტ ოანი.

„ესე არს განსასვენებელი[11]|ჩემი, ამას დავემკუიდრო[12], რ(ამეთუ)[13] მთ|ნავს ესე“**.

წელსა 1732, თვესა[14] | დეკენბერს[15] 28, დღეს[16] ოთხ|შაბათსა, ჟამსა[17] 15[18] ღამისა|სა.

*შდრ. ფს. 102,15. ** ფს. 131,14.

ბრ: 1ქ-. 2იტყუს.3 წინასწარ-მეტყუველი. 4დაცვივნეს. 5ყვავილოვნება. 6ჩენი **წრწ**, ბრ (სქოლიოში ასწორებს: ჩუენნი) 7შუენიერება. 8ქართუელთა. 8 ა <აღმზარდა> —. 9ქართუელთა. 10დავითიან. 11განსასუენებელი. 12დავემკუდრე. 13რამეთუ—. 14თთუესა. 15დეკემბერსა. 16დღესა. 17ჟამსა—. 18[15]|11...

Глаголе|т царствую|щи(й)[1] пророк|Давыд, чейх[1а] род и семени[2]| есмы: «Ч(е)л(о)век|трава[3] дни его яко[4] цв|етъ[5] сельный»[6]*, обраты-

хися паки землею | и вся ч(ре)ви[7] мои[8] отпаде[9]; | остромихся красота и ло|за растущи(й), двадцать | двулетняя, питающи(й)[11] | стань моя обретался | в мире.

С(ы)нь грузинскаго[12] | царя Кайхострова[13] | от него сыротою оставлен, | растох[14] и воспитан в вели|ком довол(ь)стви(и)[15] бра|та(!) отца моего[16], царем | грузинским Вахта|нгом четвертым, от ко|тораго[17] отняла меня | лютейщая[18] смерть без|временно — я Давыд Давыдов, Соломон-Панкр|тов[19].

«Сей есть покой[20]мой[21], (з)дес(ь)[22] | поселюся яко желаю»*[23].

1732[24] года[25], м(еся)ца[26] декем|врия[27] 28, | дня в среду[28], в 15[29] часу по[30] ночи.

---

* Ср. Пс. 102,15 («Человекъ, яко трава, дни его, яко цветъ сельный тако отцвететь»).

** Пс. 131, 14.

ტ: [1]царствующи. 1а чей.[2]семе... [3]трава] Гра...ба(?).[4]яко] я. [5]цветы] день. [6]сельный —. [7]чреви. [8]мое. [9]опаде. [10]растущи. [11]питаюши. [12]грузинского. [13]Кайхстрова. [14]ростох. [15]довольстве. [16]отца моего] отцом его. [17]которого. [18]лютая. [19]Панкратов] Панкра... (?) тов. [20]+... [21]мой(?). [22]здесь—. [23]желаю] живая. [24]1738. [25]года—. [26]месяц, [27]декабря. [28]в среду—. [29]в 15—. [30]по—.

5

1733.III.2.

სულხან თაქთაქისშვილის ეპიტაფია (სურ. 6,9).

მთავარი ტაძრის ქვედა სართულში, ტაძრის შიგნით, მირქმის ეკლესიაში, მარკოზ მათე — ყოფილის ეპიტაფიის (№ 3) მარჯვნივ, მისგან 65 სმ-ის დაშორებით, კედელში ჩასმულია თეთრი კირქვის ოთხკუთხა ფილა (ზომა: 80×70 სმ.). ფილის ცენტრში, მრგვალი პროფილის რელიეფური ზოლით, გამოყოფილია „გულის“ ფორმის ფართი (47×38 სმ.). მის გარშემო ზედაპირი შევსებულია მთავარანგელოზებისა და ბაროკოს სტილის ორნამენტის რელიეფური გამოსახულებებით: ორივე მხარეს წარმოდგენილია თითო ანგელოზი, მთელი ტანით, პირდაპირ, ხელში დახვეული გრაგნილებით; ქვემოთ—თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები; ზემოთ, „გულის ჩაზნექის“ ადგილას — „ბალიშზე“ დადებული ტოლმკლავიანი ჯვარი (9×9 სმ.); ჯვრის მკლავებს შორის ჩაწერილია ამოკვეთით შესრულებული წარწერა: I˙CX˙C||NIKA. ჯვრის ზემოთ გამოსახულია სამეფო გვირგვინი, რომელსაც მაღლა ეზიდება მის ორივე მხარეს წარმოდგენილი თითო ფრთოსანი ანგელოზი. ზემოდან ფილას დაუყვება ტალღოვანი მოყვანილობის განივი რელიეფური ჩარჩო, რომელზედაც ამოკვეთილია რუსული წარწერა ერთ სტრიქონად; წარწერის ტექსტი გრძელდება და მთავრდება, ასევე ერთ სტრიქონად, გვირგვინის მზიდავი ანგელოზების თავებს ზემოთ. ფილის ზედა ნაწილი, გარდა იმ ადგილებისა, სადაც წარწერის ტექსტია ამოკვეთილი, შეღებილია წითელი, მწვანე, ბაცი ნარინჯისფერი და ბაცი იისფერი საღებავებით.

ქართული მხედრული წარწერა, ამოკვეთილი 15 სტრიქონად, მთლიანად ავსებს „გულის“ ფორმით ფართს. წარწერის სტრიქონები მოთავსებულია ჯანივ პარალელურ ხაზებს შორის, ოთხხაზოვან ბადეში. სტრიქონებს შორის მანძილი: 3 სმ; ასოების სიმაღლე: 1—3 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ: ქარაგმის ნიშანი: კაუჭზე მიდგმული განივი ხაზი.

გამოც.: M. Brosset, Inscriptions tumulaires géorgiennes, გვ. 477, № 22 (ქართული ნაწილის მხედრ. ტრანსლიტერაცია და ფრანგ. თარგმანი) (ბრ).

ქ:. ქრისტეს: აქეთ: წელთა: ათას: შვიდას
ოცდა: ცამეტს: მარტს: ორსა: დღესა: პარასკევსა:
საწუთოსა: ამის: მცირედ: ოდენ: ჟამისა: მოქალაქე:
გარდაცვალებულ: ვიქმენ: მე: მონა: ქართ:ველთ:
5. მეფისა: ვახტანგისა: და: ძისა: მისისა: ბაქარისა: და:
მდივანი: დედოფლის: რუსუდანისა: სულხან: თაქ
თაქისშვილი: და: მიველ: სამკუიდრებელსა: მას:
საუკუნესა: და: მისვანებს: ტაგრუცი: ესე:
რომელი: ვიყავ: ვ[ა]: თქუენ დ[ა:] იქნებით: მსგავს:
10. ჩემდა: ვინათგან: საწუთ[ო]სა: ამის: შვენიერება:
წარმავალია: და: საუკუნო: მიწათა: თანა: ვთხოვ
თქ[უენ:]მი ერ: შენდობასა: სიყუარ:
ულისათვის: ღ[თ]ისა: სულთა
მიმართ: ჩემ:
15. ცოდ[ვი]ლისა.

[173]3 ГОДУ МАРТА 2 ДНЪ ПРЕСТАВИСЯ РАБ Б-ЖИЇ ГРОУЗИНСКАГО Ц-РЯ К-НЗЬ СОУЛХАН ЕЛИЗБАРОВИЧ.
ЖИТИЯ ЕВО БЫЛО || 80 ЛЕТЪ.

ქ. ქრისტეს აქეთ წელთა ათას შვიდას[1]|ოცდაცამეტს[2], მარტს[3] ორსა, დღესა პარასკევსა,|საწუთოსა ამის მცირედ ოდენ ჟამისა მოქალაქე,|გარდაცვალებულ[4] ვიქმენ მე, მონა ქართველთ[5] | მეფისა[6] ვახტანგისა და ძისა მისისა ბაქარისა და | მდივანი დედოფლის[7] რუსუდანისა ს უ ლ ხ ა ნ თ ა ქ | თ ა ქ ი ს შ ვ ი ლ ი[8].

და მიველ სამკუიდრებელსა[9] მას | საუკუნესა და მისვანებს[10] ტაგრუცი ესე. | რომელი ვიყავ ვ(ითარც)ა თქუენ[11] დ[ა] იქმნებით მსგავს | ჩემდა, ვინათგან საწუთ[ო]სა ამის შვენიერება[12]|წარმავალია და საუკუნო მიწათა თანა.

ვ(ი)თხოვ[12]|თქ[უენ[13] მი]ერ შენდობასა, სიყუარ|ულისათვის[14] ღ(მრ)თისა[15], სულთა[16] | მიმართ ჩემ | ცოდ[ვი]ლისა.

ბრ: [1]შჯდ ას. [2]ოც და ცამეტსა. [3]მარტსა. [4]გარდაცუალებულ. [5]ქართცუელ. [6]მეფის. [7]დედოფლისა. [8]თაქთაქის-შჯლი. [9]სამკჳდრებელსა. [10]მისვანეს (შენ. სქ.-ში: il faut lire მისვენეს) [11]თქუენ. [12]შუნდობნიერება. [12] ვთხოვ. [13]თქუენ. [14]სიყუარლისა-თჳს. [15]ღუთისა. [16]სულთ.

1733 году, марта (в) 2 д(е)нь преставися раб б(о)жий, грузинскаго ц(а)ря <секретарь>, кн(я)зь Сулхан Елизбарович; жития ево было 80 лет .

6

1777.IX.12.

არქიმანდრიტ გრიგოლ წინამძღვრიშვილის ეპიტაფია (სურ. 10, 11).

მონასტრის მთავარი ტაძრის დასავლეთი შესასვლელის ქვემოთ გამართულ ღია გალერეაში, სადაც მოსკოვის სხვადასხვა დღეს უკვე გაუქმებული, ან არარსებული ეკლესიებიდან შესანახად გადმოტანილი საფლავის ქვებია გამოფენილი, სამხრეთის მხარეს, ჩრდილოეთის საყრდენი სვეტის კედელში, ჩასმულია თეთრი კირქვის ოთხკუთხა ფილა, რომელიც ჩაშავებულ-ჩამუქებულია; ზომა: 62×78×46 სმ. ფილა ადრე მოთავსებული ყოფილა ტაძრის შიგნით, მირქმის ეკლესიის კედელში («в боковых коридорах»), როგორც აღნიშნულია ბ. ესაძის წიგნის («Ле-

топись Грузии») 360 და 361 გვერდებს შორის ჩაკრულ ტაბულაზე გამოსახული ფოტოსურათების განმარტებით წარწერაში. ამ ფოტოზე, გრიგოლ არქიმანდრიტის ეპიტაფიის ფოტოსთან ერთად, იგივე განმარტებითი წარწერით წარმოდგენილია დავით ქაიხოსრო მეფის ძის (იხ. აქვე, № 4), გიორგი ლეონტის ძე დადიანის (გარდაიცვალა 1765 წ.; წარწერა რუსულ ენაზე) და გიორგი შჩერბაცკის (გარდაიცვალა 1754 წ.; წარწერა ლათინურ ენაზე) ეპიტაფიების ფოტოსურათები; ისინი ამჟამადაც თავის თავდაპირველ ადგილას მდებარეობენ. ასე რომ ბ. ესაძის ცნობა, გრიგოლ არქიმანდრიტის ეპიტაფიის თავდაპირველად მირქმის ტაძრის შიგნით არსებობის შესახებ, სწორი უნდა იყოს. როდის და რა მიზეზით გადაიტანეს ეს ფილა ტაძრის გარეთ, სხვადასხვა ეკლესიებიდან შემთხვევით მოტანილ საფლავის ქვებს შორის, უცნობია. უფრო მეტი, ვ. ტატიშვილს, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა დონის მონასტრის ნეკროპოლი, ეს ფილა საერთოდ დაკარგულად მიაჩნდა (იხ. მისი, ქართველები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 252).

ფილის ზემო ნაწილში, ორივე მხარეს, წარმოდგენილია თითო ფრთოსანი ანგელოზის რელიეფური გამოსახულება; ისინი სამეფო გვირგვინს მაღლა ეზიდებიან. ქვემოთ გამოსახული ყოფილა თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები, მაგრამ ეს ადგილი ამჟამად მოტეხილია. ფილის ზედაპირი სიგრძეზე გაყოფილია ორ ნაწილად რელიეფური ბრტყელი ზოლით. მარცხენა ნაწილში ამოკვეთილია რუსული წარწერა 26 სტრიქონად, ხოლო მარჯვენა ნაწილში— ქართული მხედრული წარწერა, რომლის დასასრული — ბოლო 8 სტრიქონი, ამოკვეთილია რუსული წარწერის ქვემოთ, უშუალოდ მის გაგრძელებაზე და ავსებს ფილის ზედაპირს ბოლომდე (ეს ადგილი, წარწერის სამი უკანასკნელი სტრიქონით, ამჟამად მოტეხილია). წარწერის ქართული ნაწილი ამჟამად დაზიანებულია — შედარებით მეტი ტექსტია წარმოდგენილი ბ.ესაძის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოზე; უფრო მეტი ყოფილა მ. ბროსეს დროს, თუმცა, როგორც მისი გამოცემიდან ჩანს, ტექსტს მაშინაც ჰკლებია. ქართული ტექსტის დაზიანება და ნაკლულობა გამოწვეულია ფილის ქვედა და განსაკუთრებით მარჯვენა კიდის გადარეცხვითა და გადაცრეცით.

ქართული წარწერა, როგორც ჩანს, შესრულებული იყო 28 სტრიქონად; მისი მე-15—20 და 26—28 სტრიქონები ამჟამად მთლიანად დაღუპულია. ნაკლული ტექსტის ნაწილობრივ შევსება შესაძლებელია მ. ბროსეს მიერ გამოცემული ტექსტისა და ბ. ესაძის მიერ გამოცემული ფოტოს მიხედვით. ასოების სიმაღლე: 2—4,5 სმ. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ უზის; ასოთა კვეთის ღარებს მსუბუქად შემოვლებული აქვს შავი ფანქარი.

გამოც.: 1) M. Brosset, Inscriptions tumulaires géorgiennes, გვ. 478 (ქართული ნაწილის მხედრ. ტრანსლიტერაცია და ფრანგ. თარგმანი) (**ბრ**). 2) Б. Эсадзе, Летопись Грузии, სურ. 360 და 361 გვერდებს შორის ჩაკრულ ტაბულაზე.

აქა მდებარე
არს განჯრ
წნადი და სიტყ
ს[ა]ებრ
შემოქმედისა
მიწად მიქცევადი
გუამი ხოლო
სულითა სათნ[ოთა]
შორის ღ[ი]სათა
სარწმუნოებისამე
ბრ და სასო[ებ]ისა
მისისა [აღრაც]

ხილი ა[რ]ქი[მა]ნდრ[იტი]
გრიგო[ლ წინამძღვრი]
15. შჳლ[ი რომლისა]
ან[გელოსებრი მონაზონებისა]
[————————]
[————————]
[————————]
20. [————————]

სიწმიდითა უკუდავსა
შინა დიდებასა და
მიიცუალა 1777 წ[ელს]
სეკდემბერს 12 [წლისა]
25. სამოცდაათ[ოთხმეტისა]
[ხოლო ვითარცა]
[კაცი ითხოვს მხილ]
[ველთაგან შენდობასა]

აქა მდებარე | არს განჳრ|წნადი და სიტყჳ|ს[ა]ებრ | შემოქმედისა | მიწად მიქცევადი | გუამი, ხოლო | სულითა[1] სათნ[ოთა] | შორის ღ(მრთ)ი[სათა][2] | სარწმუნოებისამე|ბრ[3] და სასო[ებ]ისა | მისისა [აღრაც]|ხილი ა[რ]ქი[მა]-ნდრ[იტი][4] | გ რ ი გ ო [ლ[5] წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი]|შ ჳ ლ [ი[6], რომლისა] | ან[გელოსებრი მონაზონებისა][7] | [...] | [...] | [...] | [...] | სიწმიდითა* უკუდავსა | შინა დიდებასა[8]. და | მიიცუალა 1777 წ[ელს][9], | სეკდემბერს 12, [წლისა] | სამოცდაათ[ოთხმეტისა]; | [ხოლო ვითარცა] | [კაცი, ითხოვს[10] მხილ]-|[ველთაგან[11] შენდობასა]**.

---

* აქედან ტექსტი გრძელდება რუსული წარწერის ქვემოთ, ფილის მარჯვენა ნაწილზე.

** ამჟამად გადასული და კუთხოვან კავებში წარმოდგენილი აღდგენილი ადგილები შევსებულია მ. ბროსეს მიერ გამოცემული ტექსტის და ბ. ესაძის მიერ გამოქვეყნებული წარწერის ფოტოსურათის მიხედვით.

ბრ: [1]სულიცა. [2]ღუთისათა. [3]სარწმუნოებისა-მერ. [4]არხიმანდრიტი. [5]გრიგორი. [6]წინამძღუარი (როგორც ჩანს, მ. ბროსეს წაკითხვას ამ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ: ეპიტაფიის რუსულ ტექსტში გრიგოლის გვარია «Цина[м]гвришкилов», რაც „წინამძღვრიშვილი“ უნდა იყოს და ქართული ტექსტის მომდევნო სტრიქონის დასაწყისში „შჳლ“ ამჟამადაც გარკვევით იკითხება). 7+ს..სა...სიცოცხლე გან.... 8+... [9]წელთა. [10]თხოვს. [11] მხილუჱლთაგან.

7

1782.V.30.

ფილიმონ იმერეთის ეპისკოპოსის ეპიტაფია (სურ. 12, 13).

დონის მონასტრის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის (Церковь Михаила Архистратига) — გოლიცინების საგვარეულო სამარხის სარდაფში ინახება თეთრი კირქვის ოთხკუთხა ფილა; ზომა: 68×71×13 სმ. ფილას გარშემო შემოუყვება ჩარჩო; მისი ზედა მარცხენა კიდე გადატეხილია; მოტეხილი ნაწილი, რომელსაც გაჰყოლია ფილის ამ მხარეს ამოკვეთილი რუსული წარწერის ტექსტის პირველი ექვსი სტრიქონის დასაწყისი ასოები და ანგელოზის გამოსახულება, ამჟამად არსად ჩანს. ფილის ზედა ნაწილში წარმოდგენილი ყოფილა თითო მფრინავი ანგელოზის რელიეფური გამოსახულება ორივე მხარეს. შემონახულია მხოლოდ მარჯვენა გამოსახულება. ანგელოზები, როგორც ჩანს, სამეფო გვირგვინს ეზიდებოდნენ მაღლა. ფილა სიგრძეზე, ვერტიკალურად, რელიეფური ბრტყელი ზოლით გაყოფილია ორ თანაბარ ნაწილად. მარცხენა ნაწილი მთლიანად შევსებულია რუსული წარწერის ამოკვეთით შესრულებული ტექსტით. მისი სტრიქონები (22 სტრიქონი), შესრულებული ღრმა და მკაფიო კვეთით, მოთავსებულია ჰორიზონტალურ, პარალელურ ხაზებს შორის. ქართული მხედრული წარწერა ამოკვეთილია 17 სტრიქონად და მას ფილის მარჯვენა ნახევარი უჭირავს (ზომა: 38×30სმ). მართა-

ლია, მისი ტექსტი განივი ხაზების ბადეშია განაწილებული, მაგრამ ულაზათოდ არის შესრულებული; მე-7 და მე-9 სტრიქონებში ცალკეული სიტყვები წვრილი, ოდნავ შესამჩნევი კაწრვითაა ამოკვეთილი. ასოების სიმაღლე: 0,8—2 სმ. განკვეთილობის ნიშანი — ერთწერტილი, დასმული ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: განივი, კლაკნილი ხაზი.

ფილა თავის ამჟამინდელ საცავში, ა. შუსევის სახელობის არქიტექტურის მუზეუმის თანამშრომელთა ზეპირი ცნობით (დონის მონასტერი ამ მუზეუმის ფილიალს წარმოადგენს), გადმოტანილია ნიკოლოზის ბერძნული მონასტრიდან (მდებარეობდა 25 ოქტომბრის ქუჩაზე). ამის დაბეჯითებით მტკიცებას ის უშლის ხელს, რომ ნიკოლოზის ბერძნული მონასტრის ქართულ ეპიტაფიებში, რომელიც 1838 წელს შეისწავლა და 1840 წ. გამოსცა მ. ბროსემ, იგი მოყვანილი არ არის.

არ გამოც.

[— — — — — П]ОДЪ КА
[— — — — —]МНЕМЪ СИ
[— — — — —]МЪ В ЗЕМНОЙ
[— — — — — ПЕ]ЩЕРИ СОКРЫТЪ
5. [— — — И В]НЕЙ ПОГРЕБЕНЪ КО
[—ТОРЫЙ В Л]ЮБВИ В НАДЕЖДЕ
СВЯЩЕНСТВОМЪ СВЫШЕ ОБЛЕ-
ЧЕНЪ
ТРИЦЕТИЛЕТНОЕ ОНЪ АРХИЕРЕИС
КОЕ НЕСЪ БРЕМЯ СЪ ПЕТЪНАЦА
10. ТЪ ЛЕТЪ НЕ ЗРЕЛЪ ВЪ СВЕТЕ
ОНЪ
СКОНЧАЛЪ ЖИЗНЪ ВЪ СТАРОСТИ
МАСТИТЕ ВЪ БЛАЖЕНСТВО КЪ
ГОСПОДУ ОТИДЕ ЕПИСКОПЪ ФИ
ЛИМОНЪ МЕРЕТИНСКІЙ А Ж
15. ИТИЯ ЕГО ПРЕОСВЯЩЕНС
ТВА БЫЛО 85 ЛЕТЪ СКО
НЧАЛСЯ ВЪ 1782 ГОДУ М҃ЦА
МАИА 30 ДНЯ НА ПАМЕ
ТЬ ПРЕПОДОБНАГО О҃ЦА
20. НАШЕГО ІСАКИЯ ДАЛМ
АЦКАГО ПО ПОЛУНЧИ ВЪ
4 ЧАСУ

ტაგრუ
ცსა. ამას. ქ
ვეშე. მდებარე. ა
რს. რ᷾მელ.აყვა
5. ვდებოდა. სიყვა
რულითა. სასოებითა. სარწმუნო
ებითა. მღდელობით. მაღლით. შმო-
სი
ლი. რ᷾მელ. ოცდათი. წელი. მღდელ
თ. მთავრობით. გატარა. ტვირთი.
დაათხუ
10. თმეტ. წელ. ვერღა. მხედველი თვა
ლითა. ხოლო. აღასრულა. ცხო: ვრ
ება. თვისი. სიბერესა. პოხიერები-
სასა.
და ნეტარებასა. მას. უფლისათ.
მიმართ. აღვიდა. იმერეთის. ეპი
15. სკოპოსი. ფილიმონ. იყო
წლისა. ოცხმეოცდახუ
თისა.

[П]од ка|мнем си|м, в земной| [пе]щери сокрыть| [и в] ней погребень, ко|торый в [л]юбви, в надежде, | священством свыше облечень; трицетилетное он архиерейс|кое нес бремя, с петьнаца|ть лет не зрел в свете. Он | скончал жизнь в старости | мастите, в блаженство. К Господу отиде епископ Фи|лимон Меретинский, а жи|тия его преосвященс|тва было 85 лет. Ско|нчался в 1782 году, м(еся)ца| маиа 30 дня, на паме|ть преподобного о(т)ца | нашего Исакия Далм|ацкаго, по полун(о)чи в 4 часу.

ტაგრუ|ცსა ამას ქ|ვეშე მდებარე ა|რს, რ(ო)მელ აყვა|ვდებოდა სიყვა|რულითა, სასოებითა, სარწმუნო|ებითა, მღდელობით მაღლით შ(ე)მოსი|ლი, რ(ო)მელ ოცდა(ა)თი წელი მღდელ|თმთავრობით გა(ა)ტარა ტვირთი და თხუ|-

თმეტ წელ ვერღა მხედველი თვა|ლითა. ხოლო აღასრულა ცხოვრ|ება თვისი სიბერესა პოხიერებისასა | და ნეტარებასა. მას უფლისათ|მიმართ აღვიდა იმერეთის ეპი|სკოპოსი ფილიმონ. იყო | წლისა ოთხმეოცდახუთისა.

*
* *

ქვემოთ ვეცდებით თავი მოვუყაროთ ეპიტაფიებში მოხსენებული პირების, ან მათი ახლობლების შესახებ წყაროებში შემონახულ ცნობებს.

1. ედიშერ შალიკაშვილი; ბაქარ მეფის სახლთუხუცესი; გარდაიცვალა 1728 წლის 7 იანვარს. მისი გარდაცვალების იგივე წელია აღნიშნული ვახტანგ VI-ის ამალის 1737 წლის ნუსხაშიც[6]. ამალის 1724 წლის ნუსხაში იგი იხსენიება ბაქარ ბატონიშვილის მხლებლებს შორის, მეორე ადგილზე — „დადიანის ბიძაშვილი გიორგი იესეს შვილის“ შემდეგ, როგორც „სახლთხუცესი თავადი ედიშერ როჭიკაშვილი“[7]. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა: „როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდამ“[8]. შალიკაშვილებს ვახუშტი ასახელებს სამცხის „აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულეს და შემძლებელ“ მთავართა შორის. მისივე ცნობით, 1722 წელს ედიშერ როჭიკაშვილი ვახტანგ VI წარუვლენია არზრუმის ფაშასთან, რომელიც იდგა „ყარსს შემუსრვად ერევნისა და დაპყრობად ადრიბეჟანისად“. ფაშა ვახტანგისაგან ითხოვდა, რომ „არა მწე ეყოს მათ“ და პირდებოდა ხონთქრისაგან „დიდძალი ნიჭის“ მოცემას. ვახუშტის ცნობით, ედიშერ როჭიკაშვილის პირით მეფეც დაპირებია, „ვინაჲთგან იმედეულ იყო გაზაფხულს რუსთა მეფის მოსლვასა“[9]. მაგრამ შემდეგში საქმე ისე წარიმართა, რომ, როგორც ვიცით, ედიშერ შალიკაშვილი-როჭიკაშვილი თავისი ოჯახით ვახტანგ VI-ს რუსეთში გაჰყვა 1724 წელს.

1724 წლის ამალის ნუსხაში ედიშერ როჭიკაშვილთან ერთად დასახელებულია მისი მეუღლე ანუკა, მათი ვაჟი დავითი და ქალი, რომლის სახელი უცნობია, 13 მხლებელი მსახურით[10]. 1737 წლის ამალის ნუსხიდან ჩანს, რომ მათ მეორე ვაჟი და კიდევ ერთი ქალი ჰყავთ. მეორე ვაჟის სახელია დიმიტრი; იგი იხსენიება მეუღლით და ორი ქალიშვილით[11]. როგორც ჩანს, დიმიტრი უფროსი იყო, რადგან 1737 წლის ნუსხაში ჯერ იგია დასახელებული და შემდეგ დავითი; მაშასადამე:

---

[6] ნუსხის პირი იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros, 335, 65r; სოლ. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, თბ., 1955, გვ. 173.

[7] გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 218; სოლ. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

[8] ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 34, 8.

[9] ქ~ცა, IV, 503, 8—12.

[10] გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 218; სოლ. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

[11] სოლ. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 147.



სურ. 1.

№ 1.



სურ. 2.



სურ. 3. № 2



სურ. 4.



სურ. 5.

№ 3.



სურ. 6

№ 5



სურ. 7.

№ 4.



სურ. 8.

№ 4.



სურ. 9.

№ 5.



სურ. 10.

№ 6



სურ. 11.

№ 6.



სურ. 12.

№ 7.



სურ. 13.

№ 7.



1737 წლისათვის ედიშერ შალიკაშვილის დარჩენილი ოჯახი მხლებლებიანად 23 სულისაგან შედგებოდა[12].

ედიშერ შალიკაშვილის დაკრძალვის ზუსტი ადგილი ჩვენთვის უცნობია; ჩვენ ისიც არ ვიცით დანამდვილებით იგი დონის მონასტერშია თუ არა საერთოდ დაკრძალული, ვინაიდან მისი საფლავის ფილა თავის თავდაპირველ ადგილას არ მდებარეობს და ამჟამად ჩასმულია მონასტრის მთავარი ტაძრის გარშემო გამართული ღია გალერეის დასავლეთ მონაკვეთში, მოსკოვის სხვადასხვა ეკლესიებიდან გადმოტანილ საფლავის ფილებს შორის (№ **1**-ის აღწერილობა). საქმეს ისიც ართულებს, რომ მ. ბროსე და სხვა მკვლევარები ამ ფილას და ედიშერ შალიკაშვილის ეპიტაფიას საერთოდ არ ახსენებენ, არც დონის მონასტრის და მოსკოვის არც რომელიმე სხვა ეკლესიის ქართულ საფლავებს შორის. მეორე მხრივ, ედიშერ შალიკაშვილის საფლავის ფილა თავისი გაფორმებით, და ეპიტაფიის ტექსტი თავისი შედგენლობით—წყობით და ფორმულებით, სულხან თაქთაქისშვილის ეპიტაფიის (№ **5**) ანალოგიურია. ორივე ეს ფილა ერთ სახელოსნოში ჩანს დამზადებული და მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის სხვაობა ხუთი წელია, ეპიტაფიების ტექსტებიც ერთი პირის მიერ უნდა იყოს შედგენილი. ვინაიდან სულხან თაქთაქიშვილის დაკრძალვის ადგილი დონის მონასტერში ზუსტად არის მინიშნებული საფლავის ფილით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ედიშერ შალიკაშვილიც დონის მონასტერშია დაკრძალული და მისი საფლავის ფილაც, მსგავსად გრიგოლ არქიმანდრიტის საფლავის ფილისა, ადგილ-შეცვლილია (იხ. № **6**-ის აღწერილობა).

2. გ უ რ გ ე ნ კ ა ხ ი; როგორც ეპიტაფიის ქართული და რუსული ტექსტებიდან ჩანს, იგი ყოფილა მდივანი; გარდაიცვალა 1730 წლის 20 აპრილს; დასახელებულია ვახტანგ VI-ის ამალის 1724 წლის ნუსხაში ვახტანგ მეფის მხლებელ პირებს შორის (აქედან ჩანს, რომ იგი მეფის ერთ-ერთი მდივანი იყო), როგორც „თავადი გურგენ თამაზას შვილი“[13]. მის თავადობას ადასტურებს ეპიტაფიის რუსული ტექსტიც. ამალის იმავე წლის ნუსხის ქართული ტექსტის მიხედვით, გურგენ მდივანი მეფეს გაჰყოლია ვაჟიშვილ ა ვ თ ა ნ დ ი ლ თ ა ნ და რვა მხლებელთან ერთად, ხოლო ნუსხის რუსული ტექსტით მას ორი ვაჟი ჰყოლია (სახელები აღნიშნული არ არის).

3. მ ა რ კ ო ზ მ ა თ ე-ყ ო ფ ი ლ ი; გარდაიცვალა 1730 წლის 28 აგვისტოს; იგი ყოფილა სქემოსანი, 21 წელი ბერობაში გაუტარებია. მარკოზი არის „მეფის არჩილის გაზრდილი და თანმოყოლილი“. სამწუხაროდ, ეპიტაფიის ტექსტის მხოლოდ ეს მონაცემები არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ მარკოზ მათე-ყოფილი

[12] სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

[13] გ. პ ა ი ჭ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 210; სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

გაგვეიგივებინა არჩილ II-ის თანმხლებ რომელიმე მათესთან («Роспись»-ში დასახელებულია ხუთზე მეტი «Матвей»)[14]. სამაგიეროდ, დონის მონასტრის შეწირულებათა წიგნში («Книга вкладная... Донского монастыря») მოხსენებული «благовернаго царя Арчила столник, ево ближный Матвей Иосифов», ეპიტაფიაში დასახელებული იგივე «благовернаго царя Арчила Вахтангеевича чиновной ближней столник Матвей Осипович»-ი უნდა იყოს. დონის მონასტრისათვის მისი და მისი ახლობლების სულის მოსახსენებლად შეწირულება გაუღიათ. დონის მონასტრის შეწირულებათა წიგნის ამ საინტერესო ჩანაწერის მთლიანი ტექსტი ასეთია:

„Род бл(а)говернаго ц(а)ря Арчила | столника, ево ближнего | Матвея Иосифова.|

Дано в кладу три(д)цеть!рублев о здравии живущих и на по|миновение д(у)ш сих.

Помяни, г(оспо)ди, усопших раб | своих и рабынь: схимонаха Марка, Феклы, | Марии д(е)в(и)цы, | Иосифа, | [...] Д(а)в(и)да“[15].

4. დავით, ქაიხსრო მეფის ძე; გარდაიცვალა 1732 წლის 28 დეკემბერს, 22 წლისა. დაკრძალულია მირქმის ეკლესიის საკურთხეველში — ყველაზე თვალსაჩინო და გამოჩენილ ადგილას. ვახტანგ VI-ის ამალის 1724 წლის ნუსხაში თავის დასთან, „მეფის ძმისწულ ანასთან“ ერთად დასახელებულია სავანგებო თავში — მეფის ძმებსა და ძმისწულებს შორის[16]. დავითის ნათესაობა ვახტანგ VI-თან ასე წარმოიდგინება[17]:



დავით ბატონიშვილის დედა დედოფალი ეკატერინე, გარდაცვლილი 1730 წლის 3 მაისს, დაკრძალული ყოფილა მოსკოვში, წმ. ნიკოლოზის მონასტერში (მდებარეობდა ნიკოლსკის, ამჟამად 25 ოქტომბრის ქუჩაზე). ნიკოლოზის მონასტრის გაუქმების შემდეგ (1940-იან წლებში) დონის მონასტერში გადაუტანიათ მისი საფლავის ქვა[18].

---

[14] Материалы по истории русско-грузинских отношений (80—90-е годы XVII века). 1. Документы к печати подготовил, предисловием и комментариями снабдил Г. Г. Пайчадзе, Тб., 1974, გვ. 166—168. ტ. III, Тб., 1979, გვ. 155—156.

[15] ГИМ, Дон. № 18, 92 г.

[16] გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 230; სოლ. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

[17] შდრ. მ. ქავთარია, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია (XVII—XVIII სს.), „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V. თბ., 1975, გვ. 205—206.

[18] ვ. ტატიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 253; В. И. Татишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 220.

5. სულხან თაქთაქისშვილი; გარდაიცვალა 1733 წლის 2 მარტს. იგი ყოფილა ვახტანგ VI-ის მეუღლის რუსუდან დედოფლის მდივანი, როგორც აღნიშნულია ეპიტაფიასა და ამალის 1724 და 1737 წლების ნუსხებში. სულხანს „თაქთაქისშვილობით“ იხსენიებს ეპიტაფიის მხოლოდ ქართული ტექსტი და ამალის ნუსხების რუსული ტექსტები; ხოლო ამალის 1724 წლის ნუსხის ქართული ნაწილით იგია „თავადი, მდივანი, სულხან ელიზბარაშვილი, თურქისტანისძე“; მას ახლავს მეუღლე, კარის მღვდელი და ათი მსახური; 3 მხლებელი ახლავს მის მეუღლეს[19]. როგორც 1737 წლის ამალის ნუსხიდან ჩანს, სულხან თაქთაქისშვილის მეუღლის სახელია ანახანუმ; ეპიტაფიის ტექსტის მონაცემებისაგან განსხვავებით, ამალის 1737 წლის ნუსხაში სულხან თაქთაქისშვილის გარდაცვალების თარიღად აღნიშნულია 1734 წელი[20].

შეიძლება წყაროებში სხვა ცნობებიც დაიძებნოს ეპიტაფიებში მოხსენებული პირების შესახებ; დონის მონასტრის რუსულენოვანი ეპიტაფიების შესწავლამ იქნებ მეტი მასალა მოგვცეს მათი და მათი ახლობლების შესახებ, მაგრამ ეს სამუშაოები მომავლის ამოცანად რჩება[21].

В. И. СИЛОГАВА

МАТЕРИАЛЫ ПО ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО ПОСЕЛЕНИЯ В МОСКВЕ

Двуязычные (грузино-русские) эпитафии Донского монастыря

Резюме

В 1711 году нижняя часть главного собора Донского монастыря была освящена в Сретенской церкви, где по повелению царя Арчила II был погребен его сын — царевич Александр, ближний сподвижник Петра I и первый генерал-фельдцехмейстер русской армии. С этого времени Сретенская церковь и прилегающая к главному собору территория постепенно, в течение XVIII в., превратилась в одно из главных мест захоронения грузин — государственных, политических и культурных деятелей, по воле судьбы переселившихся в Москву.

В Сретенской церкви, помимо царевича Александра, были погребены останки его братьев — царевичей Давида и Мамуки, перенесенные с кладбища Новодевичьего монастыря, сам Арчил II, дочь Арчила—царевна Дареджан, т. е. все потомство Арчила, а также потомки и наследники Вахтанга VI: его супруга — царица

[19] გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 215; სოლ. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129, 168.

[20] ს. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

[21] ცნობები ეპიტაფიებში დასახელებული პირების შესახებ, რომლებიც XVII ს-ის დასასრულს ქართულ ისტორიულ დოკუმენტებს შემოუნახავთ (მაგ., ედიშერ შალიკაშვილის შესახებ იხ.: ხელნაწერთა ინსტიტუტი Ad1731, Hd 3839, Sd 628; სცსა, ფონდი 1450, 15/27; 35/13 და სხვ.) თავმოყრილია კოლექტიურ ნაშრომში „ქართული ისტორიული საბუთების პირთა ანოტირებული საძიებელია“, რომლის ხელნაწერი (ნაწილობრივ მასალები) ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის დიპლომატიკის განყოფილებაში.

Русудан, сыновья — царь Бакар и царевич Вахушти, сын царя Кайхосро (старшего брата Вахтанга VI) — Давид и другие, а также представители разных чиновных людей, сопровождавших царя и его семью в составе свиты.

В настоящее время в Сретенской церкви и на прилегающей главному собору территории сохранились более 60 грузинских могил и надгробных плит, которые делятся на отдельные группы. Одну из таких групп составляют могильные плиты с двуязычными (грузино-русскими) эпитафиями.

В данной статье впервые издаются полностью все известные к настоящему времени двуязычные эпитафии Московского Донского монастыря (грузинские тексты одной части из них были изданы в 1840 г. акад. М. Броссе). Надписи представлены в хронологической последовательности; они принадлежат представителям самых разных слоев общества: 1. сахлтухуцесу (дворецкому) царя Бакара — Эдишеру Шаликашвили († 7. I. 1728); 2. секретарю царя Вахтанга VI — Гургену Кахи († 20. IV. 1730); 3. стольнику царя Арчила II — схимонаху Матвею († 28. VIII. 1730); 4. Давиду - сыну царя Кайхосро († 28. XII. 1732); 5. секретарю супруги Вахтанга VI, царицы Русудан — Сулхану Тактакисшвили († 2. III. 1733); 6. архимандриту Григолу Цинамдзгвришвили († 12. IX. 1777); 7. имеретинскому епископу Филимону († 30. V. 1782).

Совместное издание обоих — как грузинских, так и русских, текстов эпитафий представляется необходимым, т. к. сведения, содержащиеся в каждой части, дополняют друг друга. Данные этих эпитафий, дополненные скудными сведениями, имеющимися в письменных источниках («История царства Грузинского» Вахуштия Багратиони, «Книга вкладная... Донского монастыря», Списки свиты Вахтанга VI от 1724 и 1737 гг. ...), дают определенное представление о жизни и нелегкой судьбе людей, нашедших пристанище вдали от Родины, а также о грузинском поселении в Москве.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ახალი წიგნები

მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს

გეორგიევსკის ტრაქტატი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ, თბ., „მეცნიერება“, 1983.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით ცალკე სრული სახით ქვეყნდება ტრაქტატის ტექსტი. პუბლიკაცია შეიცავს აგრეთვე ქართული დედნების ფაქსიმილეს.

გ. პაიჭაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი (რუსულ ენაზე), თბ., „მეცნიერება“, 1983.

მონოგრაფია ეძღვნება 1783 წ. გეორგიევსკში ხელმოწერილ ტრაქტატს. წიგნში განხილულია ტრაქტატის დადების წანამძღვრები, ხელშეკრულების დადების ისტორია, მისი საერთაშორისო და ისტორიული მნიშვნელობა.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

ა. ბრეგვაძე, საქართველოს რუსეთთან შეერთება და მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა (რუსულ ენაზე), მოსკოვი, „მისლი“, 1983.

ნაშრომში ნაჩვენებია აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს-ის მეორე ნახევრის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა. შესწავლილია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები და 1783 წელს გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის მნიშვნელობა, გაშუქებულია ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში და ამ პოლიტიკის გავლენა მწარმოებლური ძალების განვითარებაზე.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისათვის, ეკონომისტებისა და მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

ა. სურგულაძე, საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული შედეგები (რუსულ ენაზე), თბ., „მეცნიერება“, 1982.

ნაშრომში განხილულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი XVI—XVII საუკუნეებში, 1783 წ. ტრაქტატი და საქართველოს შეერთება რუსეთთან. წიგნში განხილულია, თუ რა პროგრესული შედეგები ჰქონდა ქართველი ხალხისათვის რუსეთთან შეერთებას, როგორც საგარეო მტრებთან ბრძოლის საქმეში, ისე ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის.

წიგნი გათვალისწინებულია ისტორიკოსებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ზ. ცქიტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., „მეცნიერება“, 1982.

ნაშრომის მიზანს შეადგენს — მოგვცეს ნათელი სურათი გ. ჭავჭავაძის სახელმწიფო-პოლიტიკური, უპირატესად, დიპლომატიური მოღვაწეობისა, საარქივო და დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გადმოცემულია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორია XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში.

ლ. ტუხაშვილი, რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII ს-ის მეორე ნახევარში, თბ., „მეცნიერება“, 1983.

მონოგრაფიაში შესწავლილია ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა. მოცემულია 1765 წლის პაატა ვახტანგის ძე ბაგრატიონის შეთქმულების დაწვრილებითი ანალიზი. განხილულია ალექსანდრე ზაქარიას ძის გამოსვლა, ქართლელი ფეოდალების „ლეგიტიმისტური“ ტენდენციები.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნ. მახათაძე, მეგობრობის ფურცლები, თბ., „მეცნიერება“, 1983.

წიგნში განხილულია თეიმურაზ I, ნოდარ ციციშვილის, მამუკა ბარათაშვილის, არჩილ ბაგრატიონის, ვახტანგ IV, ფავლენიშვილის, ანტონ ბაგრატიონისა და XVII—XVIII სს. მწერლების ლიტერატურული მემკვიდრეობა, ნაჩვენებია ქართველი ხალხის მისწრაფება ერთმორწმუნე რუსეთისაკენ.

წიგნი განკუთვნილია ძველი ქართული კულტურისა და ქართულ-რუსულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ტაბაღუა, მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1982

ილია ტაბაღუას წიგნში განხილულია საქართველო-ირანის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII ს-ის დასაწყისში. საკმაოდ ვრცლადაა შესწავლილი, დახასიათებული და შეფასებული საქართველო-სპარსეთის ურთიერთობათა თავისებურებანი 1675—1722 წლების მანძილზე (გვ. 12—41). დაწვრილებითაა მიმოხილული იოსებ ქართველის მოღვაწეობის ისტორია (გვ. 42—87). საამისოდ გათვალისწინებულია როგორც სათანადო ლიტერატურა, ისე წყაროები. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ყოველმხრივ შევაფასოთ იოსებ ქართველის მეტად ინტენსიური მოღვაწეობა დიპლომატიისა და მწერლობის სარბიელზე.

ნაშრომი, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მასალების სიუხვით. მათს უმრავლესობას მიაგნო და პირველად გამოაქვეყნა ავტორმა. ნაშრომში გამოქვეყნებულია 12 დოკუმენტის ორიგინალი ანდა, ხშირ შემთხვევაში, მათი ქართული თარგმანი (გვ. 88—339). სისრულისათვის გვაკლია მხოლოდ იოსებ ქართველის იტალიურად დაწერილი 2 რელაციონი. ეს კი იმის გამო, რომ ისინი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არიან.

მოძიებული მასალებისა და დოკუმენტების შინაარსი, მთლიანად, მოიცავს იოსებ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს. ამიტომაა, რომ მის შესახებ ჩვენ ახლა უფრო მეტი რამ ვიცით, ვიდრე ამ ნაშრომის გამოქვეყნებამდე ვიცოდით.

რეცენზირებული ნაშრომის მთავარ ღირსებას, როგორც უკვე ვთქვით, შეადგენს იოსებ ქართველის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალების პუბლიკაცია. ავტორი სამართლიანად შენიშნავს: „ჩვენი აზრით, ეს საშუალებას მისცემს მკითხველს, რეალური წარმოდგენა იქონიოს იოსებ ქართველის ცხოვრებასა და მოღვაწეობის ერთ პერიოდზე, მის ნაშრომებსა და თვით მის პიროვნებაზე (გვ. 42).

მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ, ვერაგზით ვერ დავეთანხმებით იოსებ ქართველის პიროვნებისა და მოღვაწეობის ავტორისეულ შეფასებას.

ავტორი უარყოფითად ახასიათებს იოსებ ქართველს როგორც მოღვაწეს და მწერალს. წიგნის თითქმის ყველა გვერდზე, უკლებლივ ყველა სქოლიოში მას ხან რა ნაკლს და ხან რას უძებნის. ამავე დროს ასახელებს ყველა იმ დიპლომატს, მწერალს თუ მკვლევარს, რომლებიც „მაღალ შეფასებას აძლევენ“ (ავტორის გამოთქმაა) იოსებ ქართველს XVIII საუკუნიდან მოყოლებული დღემდე (გვ. 43). თვითონ ილია ტაბაღუას რამდენიმე წერილი აქვს გამოქვეყნებული იოსებ ქართველზე. ახლა კი წიგნიც დაბეჭდა. ასეთი დაინტერესება იოსებ ქართველის პიროვნებით და მოღვაწეობით, რა თქმა უნდა, უბრალო ბიბლიოგრაფიული ცნობისმოყვარეობით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ავტორი იოსებ ქართველს ხშირად უწოდებს უვიცს, უცოდინარს, ხოლო მის ფრანგულად და თურქულად დაწერილ თხზულებებს წყაროების თვალსაზრისით, უვარგისად აცხადებს.

მისი სიტყვით, „იოსებ ქართველი ბევრ ადგილას არ არის ზუსტი და მასზე დაყრდნობა არ შეიძლება. აშკარად ეტყობა რომ არ იცის არც საქართველოს და არც სპარსეთის ისტორია“ (გვ. 250). თუ ეს ასეა, მაშინ რა საჭირო იყო მასზე ხელახლად ყურადღების გამახვილება და მისი მოღვაწეობის ამსახველი მასალების გამოქვეყნება? კიდევ მეტი: საერთოდ ეჭვქვეშ დგება წიგნის ავტორისეული სათაური: „მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის“.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის მასალების გაცნობას ავტორი იმ დასკვნამდე მიუყვანია, „რომ ზოგიერთი ავტორი (ლ. ლოკარტი, ვ. გაბაშვილი) გადაჭარბებით აფასებს იოსებ ქართველის პიროვნებასა და მოღვაწეობას“ (გვ. 6). კი, მაგრამ, რაში მდგომარეობს ეს გადაჭარბება? ამის გამო არსად არაფერია ნათქვამი.

ჩვენ გვაინტერესებდა არა იოსებ ქართველის პიროვნება, არამედ მისი ვინაობა. ჩვენთვის იგი საინტერესო იყო, უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მას ევროპული განათლება („ფრანგული სწავლა“) ჰქონდა მიღებული.

„ფრანგული სწავლით“ კი XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული ფეოდალური საზოგადოების არაერთი წარმომადგენელი იყო დაინტერესებული (მათ შორის ვახუშტი ბაგრატიონიც). „ფრანგული სწავლით“ გატაცებას გვიდასტურებს თბილისელი იოსებ ქართველის, გაფრანგებული ქალაქის ნაცვლის შვილის, ევროპული განათლებაც. ამგვარი დაინტერესება, ჩანს, დამახასიათებელი იყო როგორც ფეოდალური წრეებისთვის, ისე მოქალაქეთათვის.

იოსებ ქართველმა იცოდა იტალიური, ფრანგული, თურქული და, ალბათ, სპარსულიც.

თუმცა მას დაცვა არ სჭირდება. მის სასარგებლოდ ლაპარაკობენ გამოქვეყნებული მასალები.

ყური დაუგდეთ რას ამბობენ იოსებ ქართველის თანამედროვე დიპლომატები და მწერლები: საფრანგეთის ელჩი დ' ანდრეზელი 1726 წელს პარიზში გაგზავნილ წერილში წერდა: „მე მასში ვპოვე გონებამახვილობა და უნარი—დიდ განათლებასთან და ბევრი ენის ცოდნასთან შეხამებული“ (გვ. 74, 186)[1]. სპარსეთის ამბების ერთ-ერთი აღმწერელი დე ლა მამი დე კლერაკი აღნიშნავდა იოსებ ქართველის „საკმაოდ ფართო ერუდიციას გეოგრაფიასა და ისტორიაში“ (გვ. 74). მასვე მისგან მიუღია დიდი „ნაწილი იმ ცნობებისა და მასალა საკითხებისა“, რომლებიც მას თავისი თხზულების შედგენის მიზნით დასჭირებია (გვ. 75).

იოსებ ქართველს კონსტანტინოპოლში „კარგად იცნობდნენ“ (გვ. 74). დ' ანდრეზელის წერილის (1725 წლის 5 აგვისტო) მიხედვით იგი „ცნობილი და დაფასებული“ ყოფილა თურქეთის ხელისუფალთა კარზე (გვ. 17). საქმიანი ურთიერთობა ჰქონია დამყარებული პორტას თარჯიმანთან (გვ. 205), კონსტანტინოპოლში ავსტრიის ელჩ დირლინგთან (გვ. 78), საქართველოს პატრიარქთან (გვ. 77), საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელ დ'ლიონთან, რომელთანაც ერთად იგი ბელგრადს გამგზავრებულა (იქვე). მანვე მოახერხა მოსკოვის რეზიდენტის თარჯიმანის პოსტის დაკავება, მაგრამ ვერ შეძლო მისი შენარჩუნება, რადგან თურქეთის ხელისუფლებმა დაუშვებლად მიიჩნიეს „მოსკოვის სახელმწიფოს ემსახურებოდეს ამდენი ამბების მცოდნე ადამიანი“ (გვ. 79). უარის დამასაბუთებელ წერილში (მისი ავტორი მოლდავეთის უფლისწული და პორტას თარჯიმანის ძმაა) ისაცაა ნათქვამი, რომ იოსებმა „კარგად იცის სპარსეთის და პორტას მდგომარეობა, მათი ძალები, სპარსეთის მმართველობის მდგომარეობა“, რომ „არანაკლებ ერკვევა ოტომანის ძალებში“ და რომ, ამას გარდა, ბევრი „იმოგზაურა ქრისტიანულ სამყაროში“ (იქვე). წარმოუდგენელია „უვიცსა და უცოდინარ“ ადამიანს ასეთი ინტენსიური ურთიერთობა დაემყარებინა კონსტანტინოპოლის დიპლომატიურ წრეებთან და თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

იოსებ ქართველს არცოდნად ეთვლება ისიც, რომ ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს „საელჩოს“ და „საკონსულოს“. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მის დროს ეს ერთმანეთისაგან ჯერ კიდევ არ იყო მკვეთრად გამიჯნული. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საერთაშორისო სამართალი ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა. ელჩად შეიძლებოდა ყოფილიყო ვაჭარიც, მისიონერიც და თვით თავზე ხელაღებული ავანტურისტიც. ასევე ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მეცნიერული (პრაგმატიკული) ისტორიოგრაფია, რის გამოც იოსებ ქართველისაგან იმასვე ვერ მოვითხოვთ, რასაც XIX და XX საუკუნეების ისტორიკოსებისაგან მოითხოვენ.

ილია ტაბაღუას განმარტებით: „იოსებ ქართველი არასოდეს ყოფილა საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელი. თარჯიმანი არ შეიძლება აღჭურვილი ყოფილიყო ასეთი დიპლომატიური უფლებებით“ (გვ. 70, შენ. 95). „თანამშრომელში“ მკვლევრებს ის არაა აქვთ ნაგულისხმები, რასაც ავტორი გულისხმობს. თუმცა „თანამშრომლის“ ზოგადი მნიშვნელობა, ჩანს მისთვისაც კარგად არის ცნობილი მის მიერ შესრულებულ ერთ თარგმანში იოსებ ქართველი „სულთნის თანამშრომლადაა“ გამოცხადებული. ყურადღება მიაქციეთ: „მოლდავეთის უფლისწულმა თავის ძმას — თარჯიმანს უპასუხა, რომ „იოსებ დიდი ბატონის (თურქეთის სულთანის — ი. ტ.) კარგი თანამშრომელია“ (გვ. 79). ვითომ რატომ არ შეიძლებოდა „სულთნის თანამშრომელი“ ყოფილიყო „ელჩის თანამშრომელიც“?

იოსებ ქართველს ისიც ეთვლება ნაკლად, რომ ერთდროულად ემსახურებოდა ოსმალეთსაც და საფრანგეთსაც. მისი თურქულად დაწერილი თხზულება ოსმალეთის დიდი ვეზირისადმი იყო განკუთვნილი, მისივე ფრანგული და იტალიური რელაციონები კი საფრანგეთის მთავრობისათვის. საფრანგეთის საარქივო საქმეთა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იგი სასარგებლო ცნობებს აწვდიდა საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში და კარგადაც ემსახურებო-

1 თვითონ წერილში ციტატა სხვანაირადაა ნათქვამი: „მასში ვპოვე გონებამახვილობა და უნარი ყველა ენის ცოდნაში დიდად დახელოვნებისა“ (გვ. 186).

და. ელჩი კმაყოფილებით აღნიშნავდა: „როცა ის თბილისში დაბრუნდება, ჩემთვის კარგი ინფორმატორი იქნება, რათა ვიყო საქმის კურსში იმის შესახებ, რაც იმ მხარეში მოხდება“ (გვ. 76). ფრანგებისათვის არც იოსების ოსმალეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობა ყოფილა უცნობი (იქვე). მაგრამ განა ეს შეიძლება დიპლომატიურ სარბიელზე მოღვაწის ნაკლად მივიჩნიოთ? ამგვარი ორმაგი დამოკიდებულება კარგადაა ცნობილი დიპლომატიის ისტორიიდან.

მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, სავსებით, ცხადი ჩანს იოსებ ქართველის ფრანგული ორიენტაცია. ამას უნდა ნიშნავდეს ის, რასაც იესე ტლაშაძე მას თავის პოემაში ათქმევინებს: „საფრანგეთი სჯობს ამასო“. ავტორი ამას მართებულად არ თვლის (გვ. 77). კეთილი, მაგრამ სხვა რა შინაარსი შეიძლება მოთავსდეს ამ გამოთქმაში? ამის გამო რეცენზირებულ ნაშრომში არაფერია ნათქვამი.

ილია ტაბაღუას მტკიცებით, იოსებ ქართველი უყურადღებოდ ტოვებს ქართველების გმირობას ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლაში (გვ. 60) ე. ი. იმას, რასაც, მისი თქმით, თანამედროვე ევროპელი მწერლები ასე ხაზგასმით აღნიშნავენ. მაგრამ აბა ყური დავუგდოთ იოსებ ქართველს: „შაჰმა თვალყური მიაპყრო გურგინ ხანს, სხვანაირად შაჰ ნავაზად წოდებულს, მამაც ჯარისკაცსა და ნიჭიერ მხედართმთავარს“ (გვ. 90. აგრეთვე გვ. 91, 92, 93, 94); გიორგიმ „სტაცა ხელი ხმალს, რათა მამაცურად დაეცვა თავი მირ ვეისის მეთაურობით მის წინააღმდეგ მომხდური 50 ავღანისაგან“ (გვ. 93); გიორგის ძმისწული, „ქაიხოსრო თავის გარშემო მყოფი 200 ქართველით შეიჭრა მოწინააღმდეგის მთავარ ძალებში, ვაჟკაცობა, ვიდრე ბოლოს ბედისწერამ არ დაიმორჩილა“ (გვ. 96); „გიორგის მამაცობისა და გულადობის სახელი ჰქონდა“ (გვ. 212). ვგონებ, ეს მაგალითები საკმარისი უნდა იყოს იმის საჩვენებლად, თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდა იოსებ ქართველს სპარსეთში საომრად გაწვეულ ქართველებზე.

იოსებ ქართველი მრავალნაირად ჩანს დაკავშირებული ქართველებთან და საქართველოსთან. მის თხზულებებში არაერთგან არიან დასახელებული სპარსეთში მოღვაწე ქართველები (გვ. 213, 214, 219, 220—221, 222). თურქულ ხელნაწერებში მოტანილია XVII ს-ის საქართველოს ისტორიის ფაქტები. დასახელებული არიან თეიმურაზ I, გიორგი XI, ვახტანგ VI, კონსტანტინე კახთა მეფე, ქაიხოსრო. აღნიშნულია ვახტანგის რეგენტობა და ისიც, რომ ის „საქართველოში ბრუნდება“ და ქართლის მეფედ ჯდება“ (გვ. 196—197). ამიტომ ილია ტაბაღუა მართალი არაა, როცა წერს: „ეტყობა, იოსებს წარმოდგენა არა აქვს საქართველოს ისტორიაზე. ისიც კი არ იცის რა ხდება საქართველოში, 1722—1725 წწ., ამ დროს თვითონ ჯერ ისფაჰანშია, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლში“ (გვ. 222, შენ. 64). დავუშვათ რომ ვცდებით ჩვენ და არა ილია ტაბაღუა. მაშინ ისმის კითხვა: რატომ ვაცხადებთ ასეთ „უვიც“ ადამიანებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს XVIII ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის მასალებად?

ნამდვილად იოსებ ქართველი უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVII ს-ის დამლევის და XVIII ს-ის პირველი მეოთხედის თბილისის შესახებ. კარგად იცნობდა ის თბილისის მისიონის მდგომარეობას, „სადაც მამა კაპუჩინების ეკლესია და მონასტერი დაინგრა სახალხო აღშფოთების შედეგად“ (გვ. 103). მარტო ამ „სახალხო აღშფოთების“ ფაქტის დასახელება (იესე ტლაშაძის ანალოგიურ ცნობასთან ერთად), მისი სათანადოდ გათვალისწინება სავსებით საკმარისია, რათა ვუჩვენოთ გამწვავებული კლასობრივი და სოციალური ვითარება XVII ს-ის დამლევის და XVIII ს-ის დამდეგის თბილისში.

იოსებ ქართველს მხედველობიდან არ გამორჩენია არც ოსმალების მიერ თბილისის აღება (გვ. 247). მისთვის ასევე ცნობილი იყო რუსთა ჯარის გილანში გამოჩენაც და ოსმალთა შემოჭრაც ამიერკავკასიაში (იქვე). იოსებ ქართველი ჩინებულად ერკვეოდა ამიერკავკასიის და ახლოაღმოსავლეთის საერთაშორისო სიტუაციაში. ალბათ, მისი სწორედ ამჯაჯარი ცოდნა ჰქონდა მხედველობაში საფრანგეთის ელჩს დ'ანდრეზილს, როცა თავის ერთ-ერთ წერილში ამბობდა: „თქვენ შეგიძლიათ ჩათვალოთ ეს ინფორმაცია უფრო სანდოდ, ვიდრე სხვა გზით მიმიღია“ (გვ. 121—122).

ახლა იოსებ ქართველის მიერ დაშვებული „შეცდომების“ გამო.

ილია ტაბაღუა მკაცრად აკრიტიკებს იოსებ ქართველის ნაშრომების ყველა სტრიქონს, ყველა წინადადებას, ყველა ცნობას. გამოქვეყნებული მასალების სქოლიოები გავსებულია საამისო შენიშვნებით, ძახილის ნიშნებით, ირონიული შეძახილებით. ამით იგი იმდენად არის გატაცებული, რომ ზოგჯერ ვერ ამჩნევს რა ეკუთვნის მას.

აი, ერთი მკაფიო მაგალითი.

იოსებ ქართველის თურქული თხზულების ასლს (გლაზგოს უნივერსიტეტის ხელნაწერი) და დედანს (სტამბოლის არქივის ხელნაწერი) წინ უძღვის პატარა პრეამბულა, რომელშიც

იხსენიება „ვინმე ჟოზეფო“ (გვ. 191) და „ვინმე სახელად იუჟფოსი“ (გვ. 204). ეს ვინმე ჟოზეფო თუ იუჟფოსი არის იოსებ ქართველი, რომლის გამოც პრეამბულაში ნათქვამია რომ მან ისფაჰანში დაჰყო 8 წელი და „საკუთარი თვალით იხილა ყოველივე“. სქოლიოში ასეთი შესწორებაა მოტანილი: „იოსებ ქართველი სპარსეთში იყო დაახლოებით 6 წელი და არა 8 წელი (გვ. 191, შენ. 7). თურქული ტექსტის დედნის ქართული თარგმანის კომენტარში ამგვარი განმარტება ერთხელ კიდევ მეორდება: „სპარსეთში იოსები დაახლოებით 6 წელი იყო“ (გვ. 204, შენ. 4). ამას დაუყოვნებლივ მოსდევს შენიშვნა: „საიდან ანგარიშობს იოსები 8 წელს, გაუგებარია“ (იქვე). იოსები კი არ ანგარიშობს, ამას სხვები ამბობენ.

გაუგებრად მიაჩნია ავტორს გამოთქმა: „25 წლის წინათ“ (გვ. 212). სქოლიოში ვკითხულობთ: „როდის ხდება აქ აღწერილი ამბები, იოსებს აღნიშნული არა აქვს და ამიტომ ძნელია იმის თქმა, თუ როდის იყო ეს „24 წლის წინათ“ (გვ. 212, შენ. 32). ამის დაანგარიშება (და, აგრეთვე, გათვალისწინება აღწერილი ამბების მიხედვით) სულ ადვილია. თურქული ხელნაწერი დათარიღებულია 1137 წლით, რაც უდრის 1724—1725 წელს. მაშასადამე იოსებ ქართველს მხედველობაში აქვს დაახლოებით 1700 წელი. აღწერითაც დაახლოებით ამ წელს მოხდარი ამბებია აღწერილი (მირ ვეისის გამოსვლა, მისი განდგომა და აჯანყება, გვ. 212). იქვე ისიცაა ნათქვამი რომ „ყანდაჰარის ქვეყანას აჯანყების ალი მოედო“ და რომ „ამ შემზარავმა ამბავმა შაჰის ყურამდე მიაღწია“.

ციტირებულ ადგილს უშუალოდ მოსდევს შემდეგი: „ქართველი ხანის ვახტანგის ბიძა გიორგი ხანი... დაინიშნა სპარსეთის ჯარის სპასალარად, მასვე ებოძა საქართველო და მისი (ნათესავი) ვახტანგი თბილისში მის მოადგილედ დაინიშნა“ (იქვე). ასე ესადაგება ერთმანეთს 1700 წლის ახლო ხანში სპარსეთსა და საქართველოში მომხდარი ამბები. გაუგებარი, როგორც ვხედავთ, აქ არაფერია.

იოსებ ქართველი თურმე ვერც გეოგრაფიაში ერკვევა. მას ნათქვამი აქვს, რომ „ყანდაჰარს“ დასავლეთითა და სამხრეთით ოკეანე ეკვრის“ (გვ. 208). ეს ადგილი ასეა განმარტებული: „ყანდაჰარის მახლობლად არც ოკეანეა და არც ზღვა“ (გვ. 208, შენ. 22). მაგრამ იოსებ ქართველს ოკეანე ეგულება არა ყანდაჰარის ახლოს, არამედ მის დასავლეთით და სამხრეთით. მან იცის რომ შაჰ-აბას I-ის ლაშქრობამდე ყანდაჰარი ინდოეთის (დიდ მოღოლთა სახელმწიფოს) შემადგენლობასა და მფლობელობაში იმყოფებოდა („ყანდაჰარი არსებითად ინდოეთის შემადგენლობაშია და ინდოსტანის მფლობელობაში... ...იყო“, გვ. 211). ინდოეთის შცოდნეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა თუ სად მდებარეობდა ინდოეთის ოკეანე. არსებობს ამის დამადასტურებელი სხვა საბუთიც. იოსებ ქართველი ლაპარაკობს ინდოეთის მხარეზე, სინდის მხარის მონაკვეთზე და მდინარე ჰინდის მიმართულებაზე (გვ. 210). მასკატისა და ბაჰრეინის ვილაეთის აღწერისას კი ამბობს: „მას შემდეგ, რაც პორტუგალიელებმა ოკეანისა და აღმოსავლეთ ინდოეთის მიმართულებით გზა აღმოაჩინეს, ინდოეთისა და კუნძულების ბევრი ნავსადგური დაიპყრეს და დაიუფლეს, ამ მხარეში მათი მრავალი გემი იყო“ (იქვე). ამის მთქმელს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა სად რა ზღვა და ოკეანე მდებარეობდა.

ილია ტაბაღუას ისიც უკვირს, რომ „იოსები სპარსეთის და ირანის (sic) აღსანიშნავად ოშვიათად ხმარობს „ირანს“. უმეტეს შემთხვევაში კი ამბობს „აჯემს“. (გვ. 225, შენ. 73). აქედან ცხადად ჩანს თუ როგორ კარგად იცნობდა იოსებ ქართველი აღმოსავლურ მწერლობას და მახლობელი და შუა აღმოსავლეთის გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას[2].

ავტორი გაკვირვებულია იმის გამოც, რომ იოსებ ქართველი ერთად ასახელებს სპარსულ და შიიტურ სარწმუნოებას (გვ. 206). ეს ასეა განმარტებული: „სპარსული სარწმუნოება არ არსებობს. ალბათ, ლაპარაკია სუნიტურ და შიიტურ სარწმუნოებაზე“ (გვ. 206, შენ 13). არა, აქ ლაპარაკია სპარსული და შიიტური სარწმუნოების სინონიმურ მნიშვნელობაზე, ისევე როგორც სინონიმური მნიშვნელობითაა ნახმარი „შიიტები და რაფიზები“ (გვ. 207). ილია ტაბაღუა სწორი არაა, როცა რაფიზობას შიიტური სარწმუნოების ერთ-ერთ სექტად მიიჩნევს (გვ. 207, შენ 19). ქართველი უფლისწულების რაფიზად გახდომა (გვ. 209, 212, 220, 222), ნიშნავდა გამაჰმადიანებას, შიიტურ სარწმუნოებაზე მოქცევას. შიიტური სარწმუნოება ფაქტობრივად გასპარსულებულ ისლამს წარმოადგენს. რაფიზს ოსმალები უწოდებდნენ შიიტ ყიზილბაშებს და მასში ოდიოზურ შინაარსს ათავსებდნენ. ამ ტერმინის ამ მნიშვნელობით ხმარება მოულოდნელი არაა თურქეთის ხელისუფლებისათვის შედგენილ თურქულ ტექსტში.

---

2 იოსებ ქართველი მართალია როცა წერს „სიჯისტანს“ (გვ. 206, შენ. 15). ასევე მართებულად უწოდებს ირანს „აჯემს“. აქედანაც კარგად ჩანს თუ როგორ კარგად იცნობდა ის აღმოსავლეთს და აღმოსავლურ წყაროებს.

იოსებ ქართველი „ყველგან წერს“ მოსკოვის მეფე“-ს (გვ. 222, შენ. 66) იმის გამო, რომ „მოსკოვის ხელმწიფე“, „მოსკოვის მეფე“ ან „მოსკოვის სახელმწიფო“ ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ ქართულ, აღმოსავლურ და ევროპულ მწერლობაში.

საკვირველია, რომ ილია ტაბაღუა იოსებ ქართველის თხზულებებში მხოლოდ ნაკლს პოულობს, არსად არ ნახულობს და არ აღნიშნავს მის რაიმე ღირსებას. ეს თხზულებები კი, ნამდვილად, წარმოადგენენ ე. წ. „ირანის რევოლუციის“ ისტორიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წყაროებს. იოსებ ქართველს ასახელებენ და მისი ცნობებით სარგებლობენ XVIII საუკუნის ის ნწერლები, რომელთაც აღწერილი აქვთ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ირანში მომხდარი ამბები (კრუსინსკი, მამი დე კლერაკი, ჰანვეი...). საფრანგეთის ელჩი დ'ადრეზელი იოსებ ქართველის ღირსებას ნახულობდა იმაში, რომ „ის იყო მოწმე ისფაჰანის აღებისა და მთელი არეულობისა ამ ქვეყანაში, სადაც ის კიდევ ერთი წელიწადი დარჩა მას შემდეგ, რაც მირ.მაჰმუდი იქ გაბატონდა“ (გვ. 119). ამ შეფასებას ვერ სცვლის ილია ტაბაღუას შენიშვნა, რომ „ისფაჰანში მირ მაჰმუდის გაბატონების შემდეგ იოსებ ქართველი იქ მხოლოდ 6 თვე დარჩა“ (გვ. 119, შენ. 7).

იოსებ ქართველი შეხვდა ავღანთა მეთაურ მირ მაჰმუდს (გვ. 140—141). დაესწრო შაჰ-ჰუსეინის ტახტიდან გადადგომის ცერემონიალს (გვ. 141—142). აღწერა ის, რაც მას საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი.

სწორედ ამის გამო იქცევდა და იქცევს ის მკვლევართა ყურადღებას.

რა აქვს, წყაროს თვალსაზრისით, იოსებ ქართველს და რა არა აქვთ მის თანამედროვე ევროპელ მწერლებს ანდა, პირიქით, რა არა აქვს მას და რა მოეპოვებათ „ირანის რევოლუციის“ ისტორიის აღმწერლებს, ეს ჯერ კიდევ ინგლისელმა მკვლევარმა ლ. ვეირმა გაარკვია. მანვე პირველმა აღნიშნა თუ რამდენი რამ არის გამოსარკვევი იოსებ ქართველის თხზულებების პრიორიტეტის დასადგენად. შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად არაერთი საგულისხმო ფაქტი გამოვლინდა. აღმოჩნდა ახალი მასალებიც იოსებ ქართველის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებით. გაირკვა, რომ ის (კორნელი კეკელიძის „ვინმე იოსები“) წარმოადგენს იესე ტალაშაძის პოემის ერთ-ერთ პერსონაჟს. საინტერესო მასალა მის შესახებ დაიძებნა თვით რუსეთის არქივში .(მხედველობაში გვაქვს გ. პაიჭაძის მიერ აღმოჩენილი დოკუმენტი).

საზოგადოდ იოსებ ქართველის თხზულებების ცნობებს მაღალ შეფასებას აძლევენ ჩვენი დროის ისტორიკოსები (ლოკარტი, ლენგი...) საკითხის ისტორიოგრაფიაში (ეს ისტორიოგრაფია კი დღეს უკვე საკმაოდ სოლიდურია) ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ილია ტაბაღუა. მაგრამ, ამავე დროს, არც ერთ დაინტერესებულ მკვლევარს არ გაუწევია იოსებ ქართველისათვის ისეთი სამსახური, როგორიც მას მან გაუწია. მისი ინტენსიური კვლევა-ძიების წყალობით ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია იოსებ ქართველის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული არაერთი დოკუმენტი (ორიგინალი თუ ნათარგმნი). ჯერ-ჯერობით აღმოსაჩენია მხოლოდ მის მიერ იტალიურად დაწერილი რელაციონები.

ილია ტაბაღუამ პირველად გამოაქვეყნა იოსებ ქართველის ფრანგული თხზულების ქართული თარგმანი და ორიგინალის ტექსტი (დოკ. № 1); ხელმისაწვდომი გახადა ფრანგი დიპლომატების (დ'ანდრეზელის, დე ბურბონის...) წერილები (თარგმანები და ფრანგული ტექსტები), რომელთა შინაარსი იოსებ ქართველს პიროვნებასა და მოღვაწეობას ეხება (დოკ. №№ 2, 3, 4, 6, 9); ქართულად გადმოიღო გლაზგოს უნივერსიტეტის ჰანტერის ბიბლიოთეკაში შემონახული იოსებ ქართველის „ანგარიშის თურქული ხელნაწერის (პირის) ის ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია „ირანის რევოლუციის“ ამბები და ინგლისურად თარგმნილია ვეირის მიერ (დოკ. № 10 და 12); მანვე მოიპოვა სტამბოლის არქივში დაცული ამ თხზულების დედანი და გამოაქვეყნა მისი ქართული თარგმანი (დოკ. № 11); მიუთითა კიდევ ორი ხელნაწერის არსებობაზე კემბრიჯსა და მარბურგში (გვ. 255); მოხმობილია ისეთი მასალები (ქართულ თარგმანებსა და ფრანგულ და ლათინურ ენებზე), რომელთა შინაარსი უშუალოდ უკავშირდება იმდროინდელი სპარსეთის ვითარებას (დოკ. № 5, 7, 8). ყოველივე ეს იძლევა იოსებ ქართველის ნაშრომების უფრო სრულყოფილად შესწავლის შესაძლებლობას. მაგრამ, ამას გარდა, ალბათ მნიშვნელოვანი და საგულისხმო ფაქტების დაძებნის საშუალებას მოგვცემდა თურქული დედნის ტექსტის გამოქვეყნება[3], იტალიურად დაწერილ

3 თურქული ტექსტი მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. ზოგან, როგორც ჩანს, საჭიროა ზოგიერთი წინადადების ხელახლად წაკითხვა, უკეთ გაშიფრა. რთული, ბუნდოვანი, არაბული სიტყვებით გადატვირთული და ქართულად მთარგმნელების მიერ კითხვის ნიშნებით გავსებული ტექსტი აშკარად შემდგომ შესწავლას მოითხოვს. ამჟამად გამოქვეყნებულია ამ ხელნაწერის მხოლოდ რამდენიმე კლიშე (გვ. 226—227, 236).

თხზულებების გამოვლენა და კემბრიჯისა და მარბურგის ხელნაწერების გაცნობა-გათვალისწინება.

ერთი სიტყვით, მომავალში წყაროების წრე იოსებ ქართველის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩანს, კიდევ უფრო შეტად გაფართოვდება.

მაგრამ ისიც, რაც უკვე გამოქვეყნდა, წარმოადგენენ შესანიშნავ მასალებს ირან-საქართველოს ურთიერთობის, სეფიანთა ირანის ისტორიის და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარების შესასწავლად.

მოძიებული მასალების საფუძველზე, გვჯერა, ახლებურად შეფასდება იოსებ ქართველის თხზულებების, როგორც წყაროს, მნიშვნელობა; დაიწერება საამისო გამოკვლევა.

არ გვგონია ილია ტაბაღუას ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობის ამგვარი შეფასება გადაჭარბებული იყოს.

ვ. გაბაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა და ინფორმაცია

მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს

საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია

რუსი და ქართველი ხალხების ისტორიულ ურთიერთობასა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ა/წ 27 ივნისს ჩატარეს მოსკოვს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებამ, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სსრ ისტორიის ინსტიტუტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა. კონფერენცია ჩატარდა სსრკ ისტორიის ინსტიტუტის საქტო დარბაზში.

შესავალი სიტყვით კონფერენცია გახსნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სსრკ ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ს. ხრომოვმა.

მოხსენება თემაზე „გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. ნოვოსელცევმა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გ. პაიჭაძე გამოვიდა მოხსენებით თემაზე: „გეორგიევსკის ტრაქტატის დადების ისტორიული წანამძღვრები“.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. ისმაილ-ზადემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „რუსი და ქართველი ხალხების ეკონომიკური და ეთნოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XIX საუკუნეში“.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი რ. მარშაევი გამოვიდა მოხსენებით „გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობა რუს და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარების საქმეში“.

მოხსენება თემაზე „საქართველოს ეთნოგრაფიული შესწავლა რუსი მეცნიერების მიერ (XIX საუკუნის კავკასიის პერიოდიკის მიხედვით)“ წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. სოლოვიოვამ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ნათმელაძე გამოვიდა მოხსნებით თემაზე: „საბჭოთა საქართველო სსრკ ხალხთა ძმურ ოჯახში“.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ცენტრალური სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული არქივის განყოფილების გამგის ი. კარდაშევის ინფორმაცია აღნიშნული არქივის გ. ა. პოტიომკინის პირადი ფონდის შესახებ. კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს დოკუმენტური მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოფენა, რომელიც მოეწყო საქტო დარბაზის შესასვლელთან.

მაყვალა ნათმელაძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

1983 წ. 1, 2, 3 ივნისს შედგა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მორიგი XXVII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა აკად: გ. მელიქიშვილმა. 1 ივნისის სხდომაზე მოსმენილ იქნა ოთხი მოხსენება: **1.** მ. სამსონაძე — გეორგიევსკის ტრაქტატის პროექტის მომზადების საკითხისათვის (მომხსენებელს შეკითხვები მისცეს ო. ჟორდანიამ, უ. სიდამონიძემ, შ. მეგრელაძემ, მ. ქოჩიაშვილმა, ა. იოსელიანმა, მოხსენების გარშემო აზრი გამოთქვა შ. ხანთაძემ); **2.** ც. კალანდაძე—ბარათაევების მოღვაწეობა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში XIX ს-ის პირველ ნახევარში (შეკითხვებით მიმართეს უ. სიდამონიძემ და მ. ქოჩიაშვილმა, აზრი გამოთქვა ჭ. ჩხატარაიშვილმა). **3.** ლ. დავლიანიძე — ამიერკავკასიის ხალხების რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში (შეკითხვები მისცეს

შ. ხანთაძემ და ჯ. ლომაშვილმა); 4. თ. ენუქიძე — გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტის პალეოგრაფიული შესწავლის საკითხები (შეკითხვით მიმართა ო. ჟორდანიამ, აზრი გამოთქვეს რ. კიკნაძემ და შ. ხანთაძემ).

2 ივნისის სხდომაზე სესიამ სამი მოხსენება მოისმინა: 1. შ. ხანთაძე — გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიოგრაფიიდან(მომხსენებელს შეკითხვები მისცეს: ო. ჟორდანიამ, მ. სამსონაძემ, ქ. ჩხატარაიშვილმა, მ. ქოჩიაშვილმა, დ. აბაშიძემ; აზრი გამოთქვეს: ლ. ტუხაშვილმა ო. ჟორდანიამ, პრ. რატიანმა, გ. მელიქიშვილმა); 2. ი. კაჭარავა — გეორგიევსკის ტრაქტატის იდეები XX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში; 3. ქ. ჩხატარაიშვილი — თეიმურაზ II რუსეთში (შეკითხვით მიმართა ზ. ცქიტიშვილმა, აზრი გამოთქვეს მ. სამსონაძემ და ზ. ცქიტიშვილმა).

სესიის ბოლო, 3 ივნისის სხდომაზე ოთხი მოხსენება იქნა მოსმენილი: 1. გ. მაისურაძე —ამიერკავკასიის ხალხები და გეორგიევსკის ტრაქტატი (მომხსენებელს შეკითხვები მისცეს ჯ. ოდიშელმა და ზ. ცქიტიშვილმა); 2. გ. თოგოშვილი — ჩრდილო კავკასიის ხალხები და გეორგიევსკის ტრაქტატი (შეკითხვებით მიმართეს ო. ჟორდანიამ და ლ. ტუხაშვილმა); 3. თ. ტივაძე — კახეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის XVI ს-ის 60—80-იან წლებში (შეკითხვებით მიმართეს გ. მაისურაძემ და ო. ჟორდანიამ); 4. ლ. ტუხაშვილი — „აღდგენა — გამოხსნისათვის“ ბრძოლის დედაარსი (შეკითხვები მისცეს: ო. ჟორდანიამ, თ. ბერაძემ, მ. სამსონაძემ, ჯ. ლომაშვილმა, ჯ. ოდიშელმა, შ. ხანთაძემ, გრ. მარგიანმა; აზრი გამოთქვეს. თ. ბერაძემ, ქ. ჩხატარაიშვილმა, გ. მელიქიშვილმა).

სესიის შედეგები შეაჯამა აკად. გ. მელიქიშვილმა.

ზურაბ ჯამბურია

საქართველოს ისტორიის წყაროეგის კომისიის სამეცნიერო სესია

მიმდინარე წლის 22 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ დაბა ფასანაურში ჩაატარა სამენციერო სესია, მიძღვნილი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა.

სესია გახსნა საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარემ აკად. შ. ძიძიგურმა, რომელმაც ხაზი გაუსვა გეორგიევსკის ტრაქტატის დიდ მნიშვნელობას ქართველი და რუსი ხალხების ურთიერთდაახლოების საქმეში, ამ ისტორიული დოკუმენტის წყაროთმცოდნეობით შესწავლის აუცილებლობას და ქართველ პროფესიონალ წყაროთმცოდნეთა მიღწევებს ამ დარგში.

სესიის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომუნისტური პარტიის დუშეთის რაიკომის მდივანი ქ. ბექაური.

სესიაზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. სურგულაძის „გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობა“, შ. ხანთაძის „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სათავეებთან (X—XII სს.)“, ე. ხოშტარიას „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებული სამი

დოკუმენტი ლენინგრადის სიძველეთა საცავებიდან“. ც. კალანდაძის „ახალი მასალა ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწეთა საქმიანობის შესახებ რუსეთში (XIX ს-ის მეორე ნახევარი“, ზ. შარაშენიძის „სპარსელი ისტორიკოსის აბდორრაზაყ დომბოლის ცნობები საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ“, რ. რამიშვილის „ამილახვარიანთ კარის სასახლე და ჭილაშვილების როლი რუს და ქართველ მოღვაწეთა დაახლოებაში“.

წაკითხულმა მოხსენებებმა დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც გამოიხატა მრავალრიცხოვან შეკითხვებში.

სესიის მუშაობა შეაჯამა კომისიის მთავარი რედაქტორის მოადგილემ რ. კიკნაძემ.

მედეა აბაშიძე

ეთნოგრაფთა V რესპუბლიკური სესია

მიმდინარე წლის 21—23 აპრილს ქ. ცხინვალში ჩატარდა ეთნოგრაფთა V რესპუბლიკური სესია, რომელიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. სესია მოაწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა ეთნოგრაფიულმა კომისიამ, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორმა და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ალ. რობაქიძემ. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის სახელით სესიას მიესალმა საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ალექსანდრე პარასჩაკი. წაკითხული იქნა აგრეთვე აკად გ. ჩიტაიას მისალმება.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა ისტ. მეცნ. დოქტორის გ. თოგოშვილის მოხსენება — „გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობა“ და ი. ცხოვრებოვის მოხსენება „გეორგიევსკის ტრაქტატი და ოსეთი“, სადაც აღინიშნა ის დადებითი შედეგები, რომელიც რუსეთ-საქართველოს შეერთებას მოჰყვა.

სესიაზე წაკითხული იქნა, როგორც თეორიული ისე კონკრეტული ხასიათის მოხსენებები ეთნოგრაფიული მეცნიერების სხვადასხვა დარგის — მატერიალური კულტურის, სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის საკითხებზე.

ეთნოგრაფიული მეცნიერების ზოგად თეორიულ პრობლემას მიეძღვნა გ. ჩიტაიასა და ალ. რობაქიძის მოხსენება — „ეთნოგრაფია და თანამედროვეობა“. მოხსენებაში ხაზი გაესვა იმ გარემოებას რომ საბჭოთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას თანამედროვეობის აქტუალური საკითხების შესწავლა შეადგენს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტრადიციის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის— ეთნოსის ერთობის განმტკიცებისა და ეთნიკური თვითშეგნების განვითარებას, რითაც ტრადიციის პრობლემას, როგორც სოციალისტური ერების განვითარების, მათი სულიერი დაახლოებისა და კულტურული ურთიერთობის გამდიდრების პირობებში პრინციპულად ახალი მნიშვნელობა მიენიჭა. იგი გახდა ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთი პირობა, მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ერთერთი საშუალება.

სამეცნიერო სესიაზე ქართულ-ოსური ქართულ-აფხაზური, აფხაზურ-ოსური ეთნოგრაფიული პარალელების საკითხებს 4 მოხსენება მიეძღვნა: ზ. გაგლოითის — „ქართულ-ოსური ეთნოგრაფიული პარალელები საზოგადოებრივ ყოფაში“, ფ. გაგლოევის „ქართულ-ოსური პარალელები საქორწილო წეს-ჩვეულების მიხედვით, ე. მალიას — „აფხაზურ-ოსური პარალელები ორნამენტის თავისებურებათა მიხედვით“, ბ. გამყრელიძის — „დამხმარე სამეურნეო ბაზა ორხელაობა — დუურან (ქართულ-ოსური ეთნოგრაფიული პარალელებისათვის)“. აღნიშნული მოხსენებებით ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხების სიახლოვე როგორც ენობრივი და ფოლკლორული, ისე ეთნოგრაფიული მონაცემებით არის დადასტურებული.

სესიაზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის საკითხს. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის შედგენაში მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის ეთნოგრაფთა ძირითადი ბირთვი.

სესიამ მოისმინა ანგარიშები საქართველოს

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასზე მიმდინარე მუშაობის შესახებ.

მსმენელთა წინაშე მოხსენებით წარსდგა აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე ლ. აკაბა, რომელმაც აღნიშნა აფხაზეთის საატლასე მასალების კრებულის, რომელშიც ასახულია ორი ძირითადი თემა აფხაზთა სამოსი და საცხოვრებელი, გამოცემის შესახებ. მზადდება კრებულები — მიწათმოქმედება და მეცხოველეობა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. შამილაძემ სესიას მოახსენა ბათუმის კვლევით ინსტიტუტში საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასზე მუშაობის ანგარიში. მან ყურადღება გაამახვილა იმ სიძნელეებზე, რასაც ისინი ატლასზე მუშაობის დროს წააწყდნენ. ამჟამად შესრულებულია 18 სამეცნიერო ნაშრომი მესაქონლეობის ხაზით. 1983 წელს გამოსაცემად მზადდება ატლასის მესაქონლეობის ნაკვეთის პირველი ნაწილი.

ზ. გაგლოითიმ სესიას მოახსენა საატლასო მუშაობის შესახებ. სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომებში ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის ხაზით დაიბეჭდა მისი გამოკვლევები: „სამიწათმოქმედო იარაღები“ და „ოსური სამოსი“. მუშაობა გრძელდება.

1973—1983 წწ. ატლასის მუშაობის საერთო შედეგები სესიის მონაწილეთ გააცნო ჯ. რუხაძემ. მან აღნიშნა, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის შექმნის ცდა ჩვენში პირველია და ცხადია გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა უკვე გამოიცა ატლასის მასალების მიწათმოქმედების პირველი ტომი, წარმოებაშია მემინდვრეობა და მევენახეობა-მეღვინეობის მასალები. 1983 წლის ბოლოს გამომცემლობას გადაეცემა კიდევ ორი ტომი: მესაქონლეობა და საცხოვრებელი ნაგებობა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგის გ. ჯალაბაძის მოხსენება ეხებოდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცულ დროშებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის ამჟრუალ ორგანიზაციებს განეკუთვნებოდა. ავტორის მოსაზრებით შეგირდის დალოცვის რიტუალი, რომელიც ამჟრის დროშების მონაწილეობით სრულდებოდა მსგავსია ბავშვის ხატში მიბარების შესრულების რიტუალთან.

კ. ჩოლოყაშვილმა მოხსენებაში „თბილისელის შეიარაღების“ შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროების საფუძველზე ნათელყო, რომ ქ. თბილისი, მთელი კავკასიის მასშტაბით, საჭურვლის დამზადების ერთ-ერთი მთავარი კერა იყო. იგი შეეხო იარაღის დამზადების სხვადასხვა წესს; ამასთან დაკავშირებით ოქრომჭედლობის საკითხსაც და თბილისელთა შეიარაღების ადგილსა და ფუნქციას ძველი თბილისის საზოგადოებაში.

ინტერესი გამოიწვია ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ა. კარაპეტიანის მოხსენებამ — „სამიწათმოქმედო კულტურის ისტორიიდან სამცხე-ჯავახეთში (შავი გუთანი)“, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი გუთანი, ხვნის პროცესი (გუთნობა). მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შავი გუთანი მესხური გუთნისაგან განსხვავებით უფრო ლოკალური სახვნელია. იგი მხოლოდ ჯავახეთისათვის იყო დამახასიათებელი, რასაც თავისთავად განაპირობებდა ჯავახეთის ნიადაგის თავისებურება.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან სესიაზე მოხსენება გააკეთა ნ. მგელაძემ. მის მოხსენებაში — „ჩვეულებითი სამართლის ისტორიიდან აჭარაში“, აღნიშნული იყო, რომ XIX ს-ის II ნახევრისათვის აჭარაში ჩვეულებითმა სამართალმა შეინარჩუნა ადათობრივი სამართლის მთელი რიგი ფორმები, რომლებიც ზოგადქართული ხასიათის მატარებელია. აჭარაში ჩვეულებითი სამართლის ფუნქციონირება თავის მხრივ გამოწვეული იყო სისხლის აღების წესის და კომპოზიციის არსებობით.

სესიაზე წარმოდგენილი მოხსენებების დიდი ნაწილი რელიგიისა და მითოლოგიის საკითხებს შეეხებოდა, მითოლოგიისა და ოფიციალური იდეოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხი ძველი აღმოსავლეთის საზოგადოების მაგალითზე განხილული იყო ნ. ხაზარაძის მოხსენებაში. მომხსენებელმა ძველ აღმოსავლური მითოლოგიისა და რიტუალების ანალიზისა და უნივერსალიზაციის გზით თვალი გაადევნა იმ ცვლილებებს, რომელიც შეინიშნება ღვთაებათა პანთეონში თემური წყობილებადან ადრეკლასობრივზე გადასვლის ხანაში.

ნ. ხაზარაძემ ყურადღება გაამახვილა ძველანატოლიური მასალების მნიშვნელობაზე ქართველოლოგიისათვის, ძველი ქართული საზოგადოების სოციალური ბუნებისა და სტრუქტურის შესწავლისათვის.

ირ. სურგულაძემ სესიაზე წაიკითხა მოხსენება — კავკასიელთა უძველესი წარმოდგენები სამყაროს აგებულების შესახებ. კავკასიური ემპირული კოსმოგონიური წარმოდგენების მიხედვით, სამყარო დამოუკიდებელ სამყაროთა (სკნელთა) სისტემაა, რომელთა შორის საზღვრის გადალახვა შეეძლოთ ღვთაებებს და ნახევარღვთაებებს. მთელი ეს სისტემა გარემოცული იყო სიცარიელით, რომელიც განიხი-

ლებოდა, როგორც არარაობა და შეგრძნებადი სამყაროს სასრული.

ლ. ჩიბიროვმა მოხსენებაში — „ცის მნათობთა თაყვანისცემა ნაყოფიერების კულტში ოსეთში“, აღნიშნა რომ ოსური მასალების მიხედვით ნაყოფიერების თაყვანისცემის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მზისა და მთვარის ანტროპომორფულ სახეს.

ი. ცხოვრებოვმა მოხსენებაში — „მითის შექმნის ზოგიერთი საკითხის შესახებ“, მარქსის ცნობილი მოსაზრება, რომ ყოველი მითოლოგია თავის წარმოსახვაში და წარმოსახვის საშუალებით გადალახავს, იმორჩილებს და გარდაქმნის ბუნების ძალებს — გაამდიდრა ოსური ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მაგალითებით.

ა. ჩოჩიევის მოხსენება შეეხებოდა სათანას სახის პრობლემას ოსურ მითოლოგიაში. მომხსენებელმა ნართების ეპოსის ამ ჰერსონაჟის ფუნქციების ეთნოგრაფიული დახასიათების საფუძველზე წარმოადგინა ტერმინ „სათანას“ ახალი ეტიმოლოგია და აღნიშნა, რომ, რადგან სათანა ნართების არამკვიდრი, არამშობელ, არამედ აღმზრდელ და გამომკვებავ დედას წარმოადგენდა, ამიტომ „დედობა“ ნართების ეპოსის მიხედვით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო არა შვილების შობასთან, არამედ თაობის გამოკვებასა და აღზრდასთან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის დოცენტმა ი. კვიციანმა სესიას მოახსენა ვეფხისტყაოსანში არაერთგზის ნახსენები ძველი ქართული წეს-ჩვეულების „მუხლით მოყრის“ და „თითით ხვეწნის“ შესახებ. მომხსენებელმა აღწერა და გააანალიზა თანამედროვე სვანურ ყოფაში დამოწმებული ამ წესის ვარიანტები და გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული წესი დამახასიათებელი იყო და არის მთელი ქართული და კავკასიური მოსახლეობისათვის.

ნ. ჯუსოითიმ მოხსენებაში — „ნართების საზოგადოება და ოსური სუფრის ეთიკეტი“, ნართების ეპოსის მიხედვით წარმოადგინა ოსური სუფრის წესები და იგი ნართების საზოგადოებრივი ყოფის მიხედვით გააშუქა.

სესიაზე წარმოდგენილი ყოველი მოხსენების ირგვლივ იმართებოდა მეცნიერული კამათი.

სესია შეაჯამა პროფ. ალ. რობაქიძემ, მან ყურადღება გაამახვილა იმ საპრობლემო საკითხებზე, რომლებიც სესიაზე იყო დასმული. იგი შეეხო ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური პარალელების და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასზე მუშაობის მიმდინარეობის საკითხებს.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დაისახა ღონისძიება საკოორდინაციო სამუშაოების გაუმჯობესების ხაზით. ალ. რობაქიძემ წამოაყენა წინადადება საატლასო სამუშაოებში სოფლის ინტელიგენციის მასობრივი ჩაბმის შესახებ. სესიამ ნათელყო სამხრეთ ოსეთში კვალიფიციური ეთნოგრაფიული კადრების ზრდა.

სამეცნიერო სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ჯულიეტა რუხაძე, ნინო მინდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 1 მან. 30 კაპ.

ინდექსი 76197